

სამრეწველო ს ა კ უ თ რ ე ბ ა

სასაქონლო ნიშნები
არაკეთილსინდისიერი კონკურენცია
საზირმო სახელწოდება

ქართული სასამართლო პრაქტიკა

გამომცემლობა „სტამბა ქართული ფილიპი“
თბილისი
2006

შემდგენელი – სანდრო ჯორბენაძე

**Industrial Property
Trademarks
Unfair Competition
Trade Name
Georgian Judicial Practice**

© სანდრო ჯორბენაძე, 2006

© Sandro Jorbenadze, 2006

ISBN 99940-58-54-1

ს ა რ ჩ ე ვ ი

კავშირი "საქმიანი საქართველო" – შპს "მულტიმედიაცენტრის" ნინაღმდებ – სასაქონლო ნიშნის NMC (mmc) გამოყენების აკრძალვის თაობაზე

ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება.....	11
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 11 ოქტომბრის განჩინება.....	17
გ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება.....	22
შპს „მურლონი MICK“ – ასოციაცია „ქართული შინა და შინეარაღობი ნულბისა“ და სსიპ „საქპატენტის“ ნინაღმდებ – კოლექტიური სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუშვების თაობაზე	
ა. „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება.....	28
ბ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება.....	28
გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 21 აპრილის განჩინება.....	34
შპს გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ – ინდ. სანარგო „გიორგი გეზირბანი – გაზეთი ზარია ვოსტოკა პლუსის ნინაღმდებ – სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვისა და მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე	
ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 17 აპრილის განჩინება.....	40
ბ. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება.....	44
გ. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 29 დეკემბრის განჩინება.....	46
დ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 27 აგვისტოს განჩინება.....	49
ე. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 17 იანვრის განჩინება.....	52

დავით სარაჯიშვილის მემკვიდრეები - სს "ენისელის" წინააღმდეგ - სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

- ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 1999 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება.....54
 - ბ. თბილისის საოლქო სასამართლოს 1999 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება.....60
 - გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 20 მარტის განჩინება.....64
 - დ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 5 ნოემბრის განჩინება...65
- სს "რუსთავეცენტი" - შპს "სინათლის" წინააღმდეგ" - მსგავსი სასაქონლო ნიშნის გამოყენების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე**

თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 26 იანვრის განჩინება.....67

კომპანია "მაკლარენ ინტერნეშელ ლიმიტიდ" - კომპანია „ბატ-მარკ ლიმიტიდის" წინააღმდეგ - "McLAREN"-ის საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად აღიარებისა და მოვასუსხის ილენტური სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

- ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 22 მარტის განჩინება.....70
- ბ. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება.....72
- გ. გიგილაშვილი - სსიპ "საქპატენტისა" და ფირმა "FERERO"-ს წინააღმდეგ - სასაქონლო ნიშან "Nuella"-ს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

თბილისის საოლქო სასამართლოს 1999 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება.....75

ფირმა „იპვარიელ ტოპაკო კომპანი" - სსიპ „საქპატენტის" და ფირმა „უხ სიგარატენფაბრიკ ღრუზდენ გგპპ"-ს წინააღმდეგ - სასაქონლო ნიშან "REAL"-ის რეგისტრაციის გათილად ცნობის თაობაზე

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება.....79

ფირმა "პ.ტ. პერმონა" - სსიპ "საქპატენტისა და ფირმა "მონტა როლქს ს.ა."-ს წინააღმდეგ - სასაქონლო ნიშან "ROLEX"-ის რეგისტრაციის თაობაზე

ა.	“საქპატენტის” სააპელაციო პალატის 2002 წლის 2 აპრილის გადანყვეტილება.....	82
ბ.	ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 11 დეკემბრის გადანყვეტილება.....	85
კომპანია „რიხტარ გედონე ვედიხნატ დიარ რტ“ – სსიპ “საქპა- ტენტის” წინააღმდეგ – სასამართლო ნიშან “RICH T.A.”-ის რეგისტრაციის თაობაზე		
ა.	ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 2 ივნისის განჩინება.....	88
ბ.	თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 19 ოქტომბრის განჩინება.....	89
გ.	საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 15 თებერვლის განჩინება.....	91
დ.	ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 7 მაისის განჩინება.....	94
ე.	ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 4 აპრილის გადანყვეტილება.....	95
შირვა „დორინა ტაქსტილ გგვა“ – სსიპ “საქპატენტის” წინა- აღმდეგ – სასამართლო ნიშან “DORIN A”-ს რეგისტრაციის თაობაზე		
ა.	“საქპატენტის” სააპელაციო პალატის 1999 წლის 19 ივლისის გადანყვეტილება.....	100
ბ.	თბილისის საოლქო სასამართლოს 1999 წლის 17 ნოემბრის გადანყვეტილება.....	101
გ.	საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 13 მარტის განჩინება.....	105
კომპანია „ზი ველეომ ვაუნდებიან ლიმიტიდი“ – სსიპ „საქპა- ტენტისა“ და კომპანია „შერიგ-ალაგ ლტდ“-ს წინააღ- მდეგ – სასამართლო ნიშან “AFERIFID”-ის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე		
ა.	ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 3 თებერვლის გადანყვეტილება.....	108
ბ.	თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 2 ივლისის განჩინება....	112
გ.	საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 2 ოქტომბრის განჩინება.....	114

დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 15 ოქტომბრის განჩინება.....	118
კომპანია "როდია" - სსიპ "საქპატენტის" წინააღმდეგ - სასაქონლო ნიშან "RHODIA"-ს რეგისტრირის თაობაზე	
ა. "საქპატენტის" სააპელაციო პალატის 2001 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება.....	121
ბ. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება.....	122
საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტრო - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტისა და სსიპ „საქპატენტის“ წინააღმდეგ - "გაზეთ "რეზონანსის" საყოველთაოდ ცნობილად აღიარების თაობაზე	
კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 9 დეკემბრის განჩინება.....	126
კომპანია "გლასო გრუპ ლიმიტიდი" - სსიპ „საქპატენტისა“ და კომპანია "სანოჟის ს.ა."-ს წინააღმდეგ - სასაქონლო ნიშან "ГЛОКСАТИИ"-ის რეგისტრაციის გათიქობის თაობაზე	
ა. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება.....	128
ბ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 20 ივლისის განჩინება.....	132
კომპანია „აუბი ვილინაშ ურის ს.ა.“ - სსიპ „საქპატენტის“ წინააღმდეგ - სასაქონლო ნიშან "PREMIERE"-ს რეგისტრაციის თაობაზე	
ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება.....	135
კომპანია „ტოგანა ლუბლიანა“ - სსიპ "საქპატენტის" წინააღმდეგ - სასაქონლო ნიშნების "BOSS SUPER LIGHTS" და "BOSS CLASSIC"-ის რეგისტრაციის თაობაზე	
ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 1999 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება.....	137
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 9 მარტის განჩინება.....	141
კომპანია "რად გულლ გგვ" - სსიპ "საქპატენტის" წინააღმდეგ-სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციისა და გადაცემის თაობაზე	

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 31 ოქტომბრის გადანყვეტილება.....	144
ფირმა "პარკი, დევის კომპანი" – სსიპ „საქპატენტისა“ და ფირმა „აქინდე კამიკა რიუნითა ანჯალინი ფრანჩისკო ა.ს.რ.ა.ფ. ს.პ.ა“-ს წინააღმდეგ – სასამართლო ნიშან "ACUTIL"-ით დაცულ საქონლის ჩამონათვალში ცვლილ- ბების შეთანის თაობაზე	
ა. "საქპატენტის" სააპელაციო პალატის 2002 წლის 26 მარტის გადანყვეტილება.....	149
ბ. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 30 მაისის განჩინება.....	151
კომპანია "ნაფ-ნაფ დისტრიბუტიონ ზ.პ." – სსიპ "საქპატენტის" წინააღმდეგ – საქონლის სრული ჩამონათვლისათვის სასამართლო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნის თაობაზე	
ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 1 აპრილის გადანყვეტილება.....	153
კომპანია „გავერიჯ ტრაიდ მარკ კომპანი ლიმიტედი“ – სსიპ „საქპატენტის“ წინააღმდეგ – სასამართლო ნიშან "KASTEL BEER"-ის რეგისტრაციის თაობაზე	
ა. "საქპატენტის" სააპელაციო პალატის 2001 წლის 24 იანვრის გადანყვე- ტილება.....	156
ბ. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 24 აპრილის გადანყვეტილება.....	158
კომპანია „რემსტმა უკრაინა“ და კომპანია "ამერიკანსტიმული" – სსიპ "საქპატენტისა" და კომპანია „ფე სიგარეტაფაბ- რიკან დრუზდენ გმგვ“-ს წინააღმდეგ – სასამართლო ნიშ- ნების „ПРИМА ЛЮКС“, „ПРИМА ЛЮКС ЛЕГКИЙ“ და "ПРИМА"-ს რეგისტრაციის თაობაზე	
ა. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 5 ნოემბრის გადანყვეტილება.....	161
ბ. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 17 დეკემბრის განჩინება.....	164
კომპანია „ბანკ კომერციალ უურ ლაუროვა დუ ნორდ ეუროპანკი" – სსიპ "საქპატენტისა" და "ეფგ ბანკ ეუროპან ფინანსი-	

აღ გრუპ ს.ა.-ს წინააღმდეგ – სასაქონლო ნიშნის წინააღმდეგ ბრძოლის ბათილშობის თაშობაჴა

- ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 21 ივნისის
გადანყვეტილება..... 166
- ჟირმა „ბადიშა ტაბაკმანუშაჴტურ რთ-ჴენდლა გგჴ“ – სსიპ
„საჴაატანტისა“ და ჟირმა „ბრიტიშ-ამერიკან ტოგაკო
(გრენდჴ) ლიმიტიდ“-ის წინააღმდეგ – სასაქონლო ნიშან
“POLO“-ს რეგისტრაციის გაუჴმეგის თაშობაჴა
- ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 13 მარტის განჩინება... 169
- ბ. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 30 ნოემბრის
განჩინება..... 171
- გ. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 მარტის
განჩინება..... 172
- კოგვანია „სოსიატა ანონიშ დჴ ო შინარალე დჴვიანი“ – სსიპ
„საჴაატანტის“ წინააღმდეგ – სასაქონლო ნიშან “EVIAN“-
ის რეგისტრაციის თაშობაჴა
- ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 21 ივნისის
განჩინება..... 174
- კოგვანია „შარმაცია ენდ ააჴონ კოგვანი“ – სსიპ „საჴაატანტისა“
და კოგვანია „განიარ ეგ“-ს წინააღმდეგ – სასაქონლო
ნიშან “PROMIRA“-ს რეგისტრაციის ბათილშობის თაშობაჴა
- ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 22 თებერვლის
გადანყვეტილება..... 176
- ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 2 ივნისის
განჩინება..... 182
- საჴმის გადაცემა განსჴადი სასამართლოსათვის სასაქონლო
ნიშნის „SCHWARZKOPF BRILLANCE“-ის რეგისტრაციის
გაუჴმეგის თაშობაჴა
- თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 21 მარტის განჩინება..... 186
- ჟირმა „ალსტომი“ – სსიპ „საჴაატანტის“ წინააღმდეგ – სასაქონლო
ნიშან “ALSTOM“-ის რეგისტრაციის თაშობაჴა
- ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 3 აპრილის
გადანყვეტილება..... 188
- შპს „ღვინის ჴარხანა ახაშანი“ – სსიპ „საჴაატანტის“
წინააღმდეგ – სასაქონლო ნიშან “ქართული ვაჴის“
რეგისტრაციის თაშობაჴა

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 17 მაისის გადანყვეტილება.....	190
კომპანია "DE-VI A/S" - სსიპ "საქპატენტის" წინააღმდეგ - სასაქონლო ნიშან "DE-VI"-ს რეგისტრაციის თაობაზე	
ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის გადანყვეტილება.....	194
კომპანია "გალავერ ლიმიტედი" - სსიპ "საქპატენტის" წინააღ- მდეგ - სასაქონლო ნიშან "SAINT GEORGE"-ს რეგისტრა- ციის თაობაზე	
ა. "საქპატენტის" სააპელაციო პალატის 2003 წლის 12 თებერვლის გადანყვეტილება.....	198
ბ. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 11 თებერვლის გადანყვეტილება.....	199
კომპანია „ამერიკან ვოუპ პროდაქტს კორპორეიშენ“ - სსიპ "საქპატენტის" წინააღმდეგ სასაქონლო ნიშნის რეგის- ტრაციასთან დაკავშირებით ხარვეზის შევსების თაობაზე	
ა. "საქპატენტის" სააპელაციო პალატის 2002 წლის 27 მაისის გადანყვეტილება.....	203
ბ. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 11 დეკემბრის განჩინება.....	204
კომპანია "ნეშენალ ჯიობრაფიკ სოსაიეტი" - კომპანია "დისკო- ვარი კომუნიკეიშენზ ინკ"-ის და სსიპ "საქპატენტის" წინააღმდეგ - სასაქონლო ნიშან "ADVENTURE I"-ს რეგის- ტრაციის გათიღობის თაობაზე	
თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 18 ნოემბრის გადანყვეტილება.....	208
შპს „საქართველოს ავიაციაზები“ - შპს „აირზან საქართველოს ავიაციაზების" წინააღმდეგ - არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაუ- რებისა და მსგავსი სასაქონლო ნიშნის გამოყენების აპრძალვის თაობაზე	
ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 25 ივლისის გადანყვეტილება.....	211
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 26 დეკემბრის გადანყვეტილება.....	216

გ.	თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება.....	222
სს	„საპატრანსგაზმრანვის“ სანიციაციკო ჯგუჟის ნაერები – ბ. ვარღიჟვილის წინააღმდეგ – არაკეთილსინდისიერი კონკურანციის შედეგად მიყენებული ზიანის გამო სისხლის სამართლის საქმის განახლების თოგაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 30 მაისის განწინება.....	227
კავშირი	“საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“ – კავშირი “საქართველოს დემოგრაფიული საზოგადო- ების“ წინააღმდეგ – იდენტური საფირმო სახელწოდების – “საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“ რე- გისტრაციის გაუქმების თოგაზე	
ა.	თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება.....	233
ბ.	საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 30 მარტის განწინება.....	237
გ.	თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება.....	241
დ.	საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება.....	245
	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (ამონარიდი).....	254
	საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ (ამონარიდი).....	259
	საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (ამონარიდი).....	269
	საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ (ამონარიდი).....	270
	საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ (ამონარიდი).....	277

სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა



გ ა ლ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№02ა/61

3 ივლისი, 2000 წ.,

ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და
სამენარმეო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი
შემადგენლობით: მ. ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
ქ. დუგლაძე,
დ. თოდრაძე

ლ. გელაშვილის მდივნობით

მოსარჩელე: კავშირი „საქმიანი საქართველოს“ წარმომადგენლების – მ.
ლებანიძის, ი. ჟღენტის

მოპასუხე: შპს „მულტიმედიაცენტრის“ წარმომადგენლის გ. ბერიშვი-
ლის მონანილობით

განიხილა სამოქალაქო საქმე კავშირის „საქმიანი საქართველო“ სარჩე-
ლის გამო მოპასუხე შპს „მულტიმედიაცენტრის“ მიმართ სასაქონლო ნიშნის
გამოყენების აკრძალვის თაობაზე. სასამართლო კოლეგიამ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

მოსარჩელე – კავშირმა „საქმიანი საქართველო“ სარჩელით მიმართა
თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კო-
ლეგიას, მოპასუხე შპს „მულტიმედიაცენტრის“ მიმართ და მიუთითა შემდეგ
გარემოებებზე: 1999 წლის 3 ნოემბერს საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნულ ცენტრში კავშირის „საქმიანი საქართველოს“ სახელ-
ზე რეგისტრირებულ იქნა სასაქონლო ნიშანი MMC (მომც).

მოსარჩელის განმარტებით, მიუხედავად მოპასუხის მრავალჯერ გაფ-
რთხილებისა, შპს „მულტიმედიაცენტრი“ მაინც განაგრძობს მის მიერ და-
რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის MMC (მომც)-ს გამოყენებას, რითაც
ის არღვევს მის განსაკუთრებულ უფლებას სასაქონლო ნიშანზე.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მოითხოვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შეაბამისად მოპასუხეს შპს „მულტიმედიაცენტრს“ აეკრძალოს კავშირის „საქმიანი საქართველოს“ სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გამოყენება ინტერნეტის საინფორმაციო ქსელში, მის მიერ განთავსებული გვერდის დასახელებაში, აგრეთვე, ამ გვერდის მისამართსა და ელექტრონული ფოსტის მისამართში.

საქმის მომზადების სტადიაზე მოპასუხებმ წარმოადგინა შეპასუხება მის მიმართ წარდგენილ სარჩელთან დაკავშირებით და მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

შპს „მულტიმედიაცენტრი“ 1997 წლის 21 მაისიდან ფუნქციონირებს, როგორც ინტერნეტ-მომსახურების გამწვევი სამსახური. მისი დომენური სახელი დარეგისტრირებულია ინტერნეტ ნუმერაციისა და დომენური სახელების რეგისტრში (ICANN-IANA-ის (I)NDR-ში), როგორც დომენური სახელის msc.net.ge-ს მატარებელი, მისი მოქმედების ფარგლები სცილდება საქართველოს საზღვრებს და მოიცავს მსოფლიოს იმ ქვეყნებს, სადაც მოქმედებს ინტერნეტის ქსელი. ამრიგად, დომენი msc.net.ge ინტერნეტის მსოფლიო ქსელში უნიკალურია და წარმოადგენს ინტერნეტში შპს „მულტიმედიაცენტრის“ ელექტრონულ სახელს და მისამართს, ამიტომ მოპასუხის განმარტებით კავშირს „საქმიანი საქართველო“ უფლება არა აქვს აუკრძალოს შპს „მულტიმედიაცენტრს“ სასაქონლო ნიშნად გამოიყენოს საკუთარი სახელი და მისამართი.

საქმის მომზადების ეტაპზე შპს „მულტიმედიაცენტრმა“ სასამართლოს წარმოუდგინა შესაგებელი და მოითხოვა „საქპატენტის“ მიერ კავშირის „საქმიანი საქართველოს“ სახელზე გაცემული მონუმბის № M12918 გაუქმება საქართველოს კანონის „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ 27-ე მუხლის „გ“ პუნქტისა და მე-5 მუხლის „დ“ და „კ“ პუნქტების თანახმად.

სასამართლომ 2000 წლის 17 მაისის მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხეს უარი უთხრა შეგებებული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ განსჯადობის წესების მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის („საქპატენტის“) მიერ სასაქონლო ნიშანზე გაცემული მონუმბის გაუქმების მოთხოვნით მიმართვა მხარეს შეუძლია ადმინისტრაციული წესით რაიონულ სასამართლოში.

სასამართლო კოლეგიამ მოისმინა მხარეთა ზეპირი განმარტებანი, შეაფასა საქმეში არსებული და წარმოდგენილი მტკიცებულებები, ფაქტობრივი და საპრობლემური თვალსაზრისით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კავშირის „საქმიანი საქართველოს“ სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანია და ის უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დადგინდად მიიჩნია ის ფაქტი, რომ კავშირის „საქმიანი საქართველოს“ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის საფუძველზე რეგისტრაციის შედეგად წარმოშობილი აქვს განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშანზე NMC (msc).

საქართველოს კანონის „სასაქონლო ნიშნების“ შესაბამებ მე-6 მუხლის I პუნქტის თანახმად რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიძობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან და ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ნიშნის განსაკუთრებული უფლების მქონე პირს ანიჭებს უფლებას აუქმდლოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის რეგისტრაციით დაცული სასაქონლო ნიშნის მსგავსია.

მოპასუხებ მიუთითა, რომ მოსარჩელის რეგისტრაციით დაცული სასაქონლო ნიშანი, რომელზეც მოწმობა გასცა „საქპატენტმა“ არის MMC (თმც)-ს, ხოლო იგი იყენებს თმც-ს, ამდენად მოპასუხემ მიუთითა, რომ ეს ორი ნიშანი განსხვავებულია და ორივე ნიშნის ბაზარზე გამოყენება აღრევას არ გამოიწვევს. მოპასუხემ აგრეთვე მიუთითა, რომ ამ ასოებისაგან შემდგარი პირამიდული ფორმის ნიშანს ის იყენებს შპს „მულტიმედიაცენტრის“ ბლანკებზე, ასევე ინტერნეტის გვერდზე (ვებ საიდზე), რის დაშლასტურებულადაც სასამართლოს წერილობით მტკიცებულებად წარმოუდგინა, შპს „მულტიმედიაცენტრის“ ინტერნეტის გვერდის ამონაბეჭდი, რითაც ადასტურებს მის მიერ სიმბოლოს გამოყენების ფაქტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირამიდული ფორმით განლაგებული MMC ასოებისაგან შემდგარი სიმბოლო, ასევე MMC-ს გამოყენება ინტერნეტის საინფორმაციო ქსელში შპს „მულტიმედიაცენტრის“ მიერ განთავსებული გვერდის დასახელებაში, მისამართში და ელექტრონული ფოსტის მისამართში არ წარმოადგენს მოსარჩელის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის MMC (თმც)-ს გამოყენებას მოპასუხის მიერ. მან სასამართლოს მოთვარ სხდომაზე საილუსტრაციოდ წარმოადგინა ორი A4 ფორმატის ფურცელზე კომპიუტერიდან ამობეჭდილი სასაქონლო ნიშნის MMC (თმც)-სა და შპს „მულტიმედიაცენტრის“ გვერდის თმც იეი ე-ს ნიმუშები.

მოპასუხის მტკიცებით, ეს ორი ნიშანი არ არის იდენტური, რასაც მოსარჩელე დაეთანხმა, მაგრამ მან მიუთითა, რომ ეს ორი ნიშანი იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება მათი, როგორც აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა და „სასაქონლო ნიშნების შესაბამებ“ კანონის მე-6 მუხლის I პუნქტის საფუძველზე აღნიშნულის გამო, მოსარჩელეს, როგორც ნიშნის კანონიერ მფლობელს შეუძლია აუქმდლოს შპს „მულტიმედიაცენტრს“ მისი თანხმობის გარეშე იმ ნიშნის გამოყენება.

სასამართლომ ვერ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება იმის თაობაზე, რომ მიუხედავად ნიშნების არაიდენტურობისა, იგი აღრევას არ გამოიწვევს მომხმარებელში, რადგანაც მეორე დონის დომენი შეიცავს სამ ლათინურ ასოს თმც-ს, რომელიც არის რეანიშნისაგან შემდგარი სასაქონლო ნიშნის MMC (თმც)-ს ნაწილი.

ამასთან, მოპასუხე ახორციელებს პროვაიდერულ საქმიანობას, ხოლო მოსარჩელეს ასევე განზრახული აქვს იდენტური საქმიანობის დაწყება, კერძოდ, იმ მომსახურების სფეროში, რომლის მიმართაც რეგისტრირებული

აქვს სასაქონლო ნიშანი, ელექტრონული ფოსტა ლოკალური და საერთაშორისო საინფორმაციო ელექტრონული ქსელები.

მოპასუხე მიიჩნევს, რომ 2000-ს გამოყენება დომეინური სახელის შემადგენლობაში განპირობებულია დომეინური სახელების რეგისტრში რეგისტრაციით, რის დამადასტურებლადაც მან წარმოადგინა შპს „სანეტის“ ბლანკზე დაბეჭდილი (il-დომეინის მენეჯერის გიორგი კაშიას მიერ გაცემული ცნობა, რაც ადასტურებს დომეინური სახელის 2000.net.ge-ს რეგისტრაციის ფაქტს 1997 წლის 14 ივლისიდან. მოსარჩელემ აღნიშნულის საპირისპიროდ, ზეპირი მტკიცების სახით ვანაცხადა, რომ მსგავს რეგისტრაციას არანაირი საზღვარსაღარო შედეგი არ შეიძლება მოჰყვეს, რადგანაც საქართველო არ არის მიერთებული დომეინურ სახელებთან დაკავშირებულ რაიმე საერთაშორისო შეთანხმებასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ვერ გაიზიარა მოპასუხე მხარის მტკიცება იმის თაობაზე, რომ შპს „სანეტის“ მიერ გაცემულ ცნობას გააჩნია სამართლებრივი საფუძველი, რადგანაც საქართველო არ წარმოადგენს არცერთი საერთაშორისო ხელშეკრულების ხელშემკვერელ მხარეს, რომელიც დომეინური სახელების რეგისტრაციას აწარმოებს.

შპს „მულტიმედიაცენტრი“ შეეხო აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ის 1997 წლიდან იყენებს ნიშანს 2000-ს და აღნიშნულის გამო, მის მიერ ფაქტიური გამოყენების გზით მოპოვებულ უფლებას ნიშანზე, უპირატესობა უნდა მიენიჭოს 1999 წლის დარეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან შედარებით.

მოსარჩელემ – კავშირმა „საქმიანი საქართველო“ მოპასუხის შპს „მულტიმედიაცენტრის“ საწინააღმდეგოდ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ განსაკუთრებული უფლების წარმოშობას უკავშირებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას „საქპატენტში“ და აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს მიაჩნია, რომ კანონის საფუძველზე დარეგისტრირებულ ნიშანს უპირატესობა აქვს იმ ნიშანთან მიმართებაში, რომელიც ფაქტიური გამოყენების გზით არის მოპოვებული.

სასამართლომ იმსჯელა მხარეთა პოზიციებზე და რიგი გარემოებების გამო ვერ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ნიშნის ფაქტიური გამოყენების გზით მოპოვებულ უფლებას უპირატესობა ენიჭება კანონის საფუძველზე რეგისტრირებულ ნიშანთან შედარებით. სასამართლო აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას დაეყრდნო კანონის „სასაქონლო ნიშნების“ შესახებ ნორმებიდან გამომდინარე ძირითად დებულებებს. კერძოდ, კანონის საფუძველზე რეგისტრაცია საშუალებას იძლევა ზუსტად იქნეს დაფიქსირებული დაცვის ობიექტის შინაარსობრივი და არსებითი ფარგლები, რეგისტრაციის შემთხვევაში ზუსტად განისაზღვრება მომსახურების ის წრე, რომლისთვისაც სასაქონლო ნიშანი არის განკუთვნილი, გამოსაყენებლად. ამას გარდა კანონის მე-15 მუხლის I და II პუნქტების საფუძველზე „საქპატენტის“ მიერ ხდება სასაქონლო ნიშნის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის გამოქვეყნება, რითაც „საქპატენტი“ აფრთხილებს კონკურენტებს და შესაძლო კონკურენტებს განსაკუთრებული უფლების წარმოშობის

შესახებ. რეგისტრაცია ასევე მნიშვნელოვან უპიტარესობას იძლევა იმ მხრივაც, რომ განსაკუთრებული უფლების მოქმედება ქვეყნის მოელ რეგისტრირებაზე დადასტურებულია და რეგისტრაციით ფიქსირდება ძირითადი ელემენტები, რომლისგანაც შედგება სასაქონლო ნიშანი.

სასამართლო აღნიშნული საკითხის გადანყევტისას დაეყრდნო იმ ფაქტსაც, რომ მოსარჩელის სახელზე გაცემულ მონშობაში, დაცული სასაქონლო ნიშნიდან არ არის ამოღებული არც ერთი ელემენტი, რომლის გამოყენება შესაძებ პირის მიერ შესაძლებელი იქნებოდა.

სასამართლომ ასევე ვერ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება იმის თაობაზე, რომ „მომ“ არის შპს „მულტიმედიაცენტრის“ საფირმო სახელწოდება და მას იცავს პარიზის კონვენციის მე-მ მუხლი. კოლეგიამ მიართა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ მოპასუხის საფირმო სახელწოდება არის შპს „მულტიმედიაცენტრი“ და არა „მულტიმედიაცენტრის“ ინგლისური აბრევიატურა „მმც“. საფირმო სახელწოდების რეგისტრაცია „მენარშეთა შესახებ“ კანონის მიხედვით ხდება სანარმოს რეგისტრაციასთან ერთად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის აუცილებელი მითითებით და რა თქმა უნდა, „მენარშეთა შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე, ფირმას უკვე ვაანჩია თავისი საფირმო სახელი და ის დაცულია პარიზის კონვენციის მე-მ მუხლის შესაბამისად კავშირის ყველა ქვეყანაში განაცხადის მონოდების და ხელშეორედ რეგისტრაციის დავალებულების გარეშე. მიუხედავად იმისა, შეადგენს თუ არა ფირმის სახელწოდება სასაქონლო ნიშნის ნაწილს. აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, ფირმის სახელწოდებას – შპს „მულტიმედიაცენტრს“ – საერთაშორისო ბაზარზე თავისი საფირმო სახელწოდების დარეგისტრირება ხელშეორედ არ სჭირდება.

სასამართლო კოლეგიამ ასევე ვერ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, იმასთან დაკავშირებით, რომ მომ.მ.დ არის მხოლოდ შპს „მულტიმედიაცენტრის“ მისამართი ინტერნეტში, რომელსაც არა აქვს სასაქონლო ნიშნის ფუნქცია და შესაბამისად არ წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრებით დაცულ ობიექტს.

მოსარჩელის განმარტებით, მეორე დონის დომენი „მომ“ წარმოადგენს მის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის .MIMC (მომ)-ს ნაწილს, რომელსაც შეუძლია გამოინვიოს ნიშანთა აღრევა.

სასამართლოს აზრით, მოსარჩელის არგუმენტი არ არის საფუძველს მოკლებული, რადგანაც მისამართი ინტერნეტში არ შეიძლება იყოს განყენებული, აბსტრაქტული მნიშვნელობის ნიშანი, რომლითაც ინტერნეტის მომხმარებლები აგნებენ მათთვის სასურველ ინფორმაციას შესაბამის ვებ-საიტზე (ინტერნეტის გვერდებზე).

ინტერნეტის მისამართი სახელის გამოყენება თავისთავად ინვეს მთელ რიგ სამართლებრივ შედეგებს და მათ შორის ხშირია კონფლიქტი დომენსა და სასაქონლო ნიშანს შორის, ვინაიდან დომენი თავისი არსით ინტელექტუალური საკუთრების ახალ ობიექტს წარმოადგენს და მისი რეგლამენტა-

ცია ჯერ არ განხორციელებულა. სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლს მიანიჭა პრიორიტეტი, რომლის მიხედვითაც „ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია“.

სასამართლომ მტკიცებულებათა არარსებობის გამო დაუსაბუთებლად მიიჩნია მოპასუხის ის არგუმენტი, რომ მოსარჩელისათვის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე ცნობილი იყო შპს „მულტიმედიაცენტრის“ დომენი და მან „საქპატენტში“ ნიშნის რეგისტრაცია მისი სამენარმეო საქმიანობისთვის ხელის შეშლის მიზნით განახორციელა.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის I ნაწილით, პარიზის კონვენციის მე-8 მუხლით, საქართველოს კანონის „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-5 მუხლის „დ“ და „კ“ პუნქტებით, მე-6 მუხლის I და II პუნქტებით, მე-15 მუხლის I და II პუნქტებით, 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 27-ე მუხლის „ვ“ პუნქტით, „მენარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლით, მე-6 მუხლის 6.1, 6.5 მუხლებით, სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლით. სსკ-ის 243-ე, 244-ე, 258-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით,

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

დაკმაყოფილდეს მოსარჩელის – კავშირი „საქმიანი საქართველოს“ სასარჩელო მოთხოვნა.

1) აეკრძალოს მოპასუხეს შპს „მულტიმედიაცენტრს“ მოსარჩელის კავშირის „საქმიანი საქართველოს“ მიერ „საქპატენტში“ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის MMC (ოიმიც)-ს გამოყენება ინტერნეტის საინფორმაციო ქსელში მის მიერ განთავსებული გვერდის დასახელებაში, აგრეთვე, ამ გვერდის მისამართსა და ელექტრონული ფოსტის მისამართში.

2) გადანყვეტილების გასაჩივრება შეიძლება საკასაციო წესით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3კ/589

11 ოქტომბერი, 2000 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ვ. ხრუსტალი (თავმჯდომარე),
მ. გოგიშვილი,
რ. ნადირიანი

განიხილა შპს „მულტიმედიაცენტრის“ საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებაზე, საქმეზე კავშირი „საქმიანი საქართველოს“ სარჩელის გამო შპს „მულტიმედიაცენტრის“ მიმართ – ინტერნეტში დომენის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიას კავშირმა „საქმიანი საქართველო“ მიმართა სარჩელით. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 1999 წლის 3 ნოემბერს „საქპატენტში“ კავშირი „საქმიანი საქართველოს“ სახელზე რეგისტრირებულ იქნა სასაქონლო ნიშანი „MMC(თმც)“. მიუხედავად მრავალჯერადი წერილობითი და ზეპირი გაფრთხილებისა, შპს „მულტიმედიაცენტრი“ იყენებს საქმიანი საქართველოს კუთვნილ სასაქონლო ნიშანს. ეს გარემოება დასტურდება „მულტიმედიაცენტრის“ ინტერნეტში არსებული გვერდით, სადაც გამოყენებულია აღნიშნული სასაქონლო ნიშანი. მოსარჩელე მოითხოვდა, რომ შპს „მულტიმედიაცენტრს“ აეკრძალოს კავშირი „საქმიანი საქართველოს“ მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გამოყენება ინტერნეტის საინფორმაციო ქსელში, მის მიერ განთავსებული გვერდის დასახელებაში, აგრეთვე ამ გვერდის მისამართსა და ელექტრონული ფოსტის მისამართში სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

მოპასუხე შესაგებელში აღნიშნავდა, რომ 1997 წლის 21 მაისიდან შპს „მულტიმედიაცენტრი“ ფუნქციონირებს, როგორც ინტერნეტ-პროვაიდერ-

რი. ამავე წლიდან მისი დომეინური სახელი დარეგისტრირებულია ინტერნეტ ნუმერაციის მინიჭების მართვის და ინტერნეტის ნუმერაციისა და სახელების მიმნიჭებელი კორპორაციის საქართველოს დომეინური სახელების რეგისტრში, როგორც დომეინური სახელის .com მატარებელი. მისი მოქმედების ფარგლები სცდება საქართველოს საზღვრებს და მოიცავს მსოფლიოს იმ უკუყუბს, სადაც მოქმედებს ინტერნეტის ქსელი. .com.ua. ინტერნეტში ნარმოადგენს .com „მულტიმედიაცენტრის“ ელექტრონულ სახელსა და მისამართს. რის გამოც „საქმიან საქართველოს“ უფლება არა აქვს აუკრძალოს .com „მულტიმედიაცენტრის“ ელექტრონულ სახელსა და მისამართს, რის გამოც „საქმიან საქართველოს“ უფლება არა აქვს აუკრძალოს შპს „მულტიმედიაცენტრის“ გამოიყენოს საკუთარი სახელი და მისამართი. მან თავისი მოტივაციის საფუძველად მიუთითა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

მოპასუხე მიუთითებდა, რომ 1998 წლის მაისში კავშირი „საქმიანი საქართველოს“ ხელმძღვანელი ზ. ბეგარიშვილი ანარმოებდა მოლაპარაკებას შპს „მულტიმედიაცენტრის“ სერვერზე თავისი ინფორმაციის განთავსების შესახებ. მოლაპარაკება ვერ შედგა და ამის შემდეგ „მოსარჩელემ“ „საქპატენტში“ ძეიტანა განცხადება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე. მოპასუხეს მიაჩნია, რომ მოსარჩელეს ქმედება თავიდანვე მიმართული იყო შპს „მულტიმედიაცენტრისათვის“ საქმიანობაში ხელის შეშლისაკენ.

თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიის 2000 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით კავშირი „საქმიანი საქართველოს“ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა. შპს „მულტიმედიაცენტრს“ აუკრძალა მოსარჩელის მიერ „საქპატენტში“ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გამოყენება ინტერნეტის საინფორმაციო ქსელში მის მიერ განთავსებული გვერდის დასახელებაში. აგრეთვე, ამ გვერდის მისამართსა და ელექტრონული ფოსტის მისამართში. სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება ნარმოიშობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან და ამ ნიშნის განსაკუთრებული უფლების მქონე პირს ენიჭება უფლება აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის რეგისტრაციით დაცული სასაქონლო ნიშნის მსგავსია.

პირველი იხსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის რეგისტრაციით დაცული სასაქონლო ნიშანი და ინტერნეტის საინფორმაციო ქსელში შპს „მულტიმედიაცენტრის“ მიერ განთავსებული გვერდის მისამართში გამოყენებული დომეინი მსგავსია და მას შეუძლია აღრევა გამოიწვიოს. სასამართლომ ვერ გაიზიარა მოპასუხე მხარის მტკიცება იმის თობაზე, რომ შპს „სანეტის“ მიერ გაცემულ დომეინური სახელის რეგისტრაციის შესახებ ცნობას გააჩნია სამართლებრივი საფუძველი, რადგან საქართველო არ ნარმოადგენს არც ერთი საერთაშორისო ხელშეკრულების ხელშემ-

კვრელ მხარეს, რომელიც დომეინური სახელების რეგისტრაციას აწარმოებს. სასამართლომ, ასევე, ვერ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ ნიშნის ფაქტობრივი გამოყენების გზით მოპოვებულ უფლებას უპირატესობა ენიჭება კანონის საფუძველზე რეგისტრირებულ ნიშანთან შედარებით.

სასამართლომ ვერ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ООО.ИТ.С. არის მხოლოდ შპს „მულტიმედიაცენტრის“ მისამართი ინტერნეტში, რომელსაც არა აქვს სასაქონლო ნიშნის ფუნქცია და შესაბამისად არ წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრებით დაცულ ობიექტს. კოლეგიის აზრით, მისამართი ინტერნეტში არ შეიძლება იყოს განყენებული. აბსტრაქტული მნიშვნელობის ნიშანი, რომლითაც ინტერნეტის მომხმარებლები აგნებენ მათთვის სასურველ ინფორმაციას ინტერნეტის გვერდებზე.

სასამართლომ მტკიცებულებათა არარსებობის გამო, დაუსაბუთებლად მიიჩნია მოპასუხის ის არგუმენტი, რომ მოსარჩელისათვის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე ცნობილი იყო შპს „მულტიმედიაცენტრის“ დომეინი და მან „საქპატენტში“ ნიშნის რეგისტრაცია შპს „მულტიმედიაცენტრის“ სამენარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით განახორციელა.

შპს „მულტიმედიაცენტრი“ საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ სასამართლომ ფაქტობრივი დასაბუთების გარეშე, სათანადო ნორმატიული აქტების მითითების გარეშე მიიჩნია, რომ „მულტიმედიაცენტრის“ დომეინი „ООО.ИТ.С.“ ატარებს სასაქონლო ნიშნის ფუნქციას და გააიგივა იგი სასაქონლო ნიშანთან. კასატორს მიაჩნია, რომ დომეინს არ გააჩნია სასაქონლო ნიშნის ფუნქცია და მისი გაიგივება სასაქონლო ნიშანთან შეცდომია. იგი აღნიშნავს, რომ დომეინი, განმარტებით, არის დომეინის მფლობელის მისამართი ინტერნეტის ქსელში, ანუ სახელი ინტერნეტის ქსელში. არც ერთი კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი არსად არ განმარტავს პირის მისამართს ან სახელს, როგორც რაიმე ნიშანს.

კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, სადაც განიხილება დომეინისა და სასაქონლო ნიშნის იდენტურობა ან მსგავსება არ არის დასაბუთებული. მისი აზრით, სასამართლომ თვითონ შეუწყო ხელი მტკიცებულებათა არარსებობას, რის გამოც გაძნელდა იმის დადასტურება, რომ მოსარჩელისათვის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე ცნობილი იყო შპს „მულტიმედიაცენტრის“ დომეინი და მან „საქპატენტში“ ნიშნის რეგისტრაცია მის სამენარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით განახორციელა.

იგი აღნიშნავს, რომ სასამართლოს მოცემულ შემთხვევაში უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი, რომელიც კრძალავს უფლების გამოყენებას მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლითა და მხარეთა განმარტებების მოსმენით მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსა-

ხილველად დაუბრუნდეს იმავე კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

გადამწყვეტილება არ არის იურიდიულად საკმაოდ დასაბუთებული, რის გამოც იგი უნდა ჩაითვალოს კანონის დარღვევით მიღებულად.

ის, რომ არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ინტერნეტთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, არ შეიძლება გახდეს ინტერნეტში გამოყენებული პირის ინდივიდუალიზაციის საშუალებების სახელისა და მისამართის დაცვაზე უარის თქმის საფუძველი.

დომეინურ სახელთან მიმართებაში სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მინაარსი უნდა განიმარტოს კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების მთლიანობაში ანალიზის საფუძველზე.

დომეინი ინტერნეტში წარმოადგენს მისამართსა და სახელს, რომლის შემეუიობით ხდება მისი მფლობელის ინდივიდუალიზება.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია. აღიარებული განმარტებით, სამოქალაქო ბრუნვა არის ეკონომიკური ბრუნვის სამოქალაქო სამართლებრივი გამოხატულება, რომელიც ხორციელდება ვალდებულებითი სამართლის ხელშეკრულებითი და არასახელშეკრულებო ინსტიტუტებით. სახელისა და მისამართის მთავარი ფუნქცია არ არის მისი მფლობელის სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობა; ის წარმოადგენს ინტერნეტში პირის ინდივიდუალიზების, მისი მიგნების საშუალებას. აღნიშნულ გარემოებათა გამო, ის არ შეიძლება ჩაითვალოს სასაქონლო ნიშანზე არსებული განსაკუთრებული უფლების გავრცელებს ობიექტად.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თვით „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონი (მე-7 მუხლი) სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების განხორციელების თვალსაზრისით სახელსა და მისამართს ანსხვავებს სხვა ნიშნებისაგან. განსაკუთრებული უფლება ვერ განხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც სასაქონლო ნიშნად გამოყენებულია საკუთარი სახელი და მისამართი.

საოლქო სასამართლოს კოლეგიამ მოცემული საქმის არსებითად გადასანჯვეტად მნიშვნელოვნად მიიჩნია მოსარჩელისათვის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე ცნობილი იყო თუ არა შპს „მულტიმედიაცენტრის“ დომეინი და მან „საქპატენტში“ ნიშნის რეგისტრაცია მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით ხომ არ განახორციელა, მაგრამ მან ამ გარემოებების კანონიერად არ გამოიძახა მონმეები, რომელთა გამოძახებაზეც მხარემ იმუანდგომლა.

პალატა იზიარებს საოლქო სასამართლოს კოლეგიის მოსაზრებას, რომ მოცემული დავის გადასანჯვეტად მნიშვნელოვანია დადგინდეს, რა მიზანს ემსახურებოდა კავშირი „საქმიანი საქართველოს“ მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია „საქპატენტში“. პალატა თვლის, რომ კოლეგიამ უნდა დაკით-

ხოს მოპასუხის მიერ მითითებული მოწმეები, რათა გაირკვეს და დადგინდეს საქმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. თუ მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდება, რომ კავშირი „საქმიანი საქართველოს“ მიერ მოცემული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია განხორციელდა იმ მიზნით, რომ ზიანი მიაღგეს შპს „მულტიმედიაცენტრს“, სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის საფუძველზე სარჩელი არ უნდა დააკმაყოფილოს. სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად, პირმა თავისი უფლებები არ უნდა გამოიყენოს მხოლოდ იმ მიზნით, რომ ზიანი მიაღგეს სხვას. აღნიშნული ნორმა მოითხოვს მოქალაქეებისაგან და იურიდიული პირებისაგან სამოქალაქო უფლებების კეთილსინდისიერ განხორციელებას, საქმიანი ურთიერთობების კეთილი ტრადიციების დაცვას. ის შეიცავს პირდაპირ აკრძალვას უფლებათა ისეთი გამოყენებისა, რომელიც იწვევს სხვათა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დარღვევას. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისა და რეგისტრაციით მოპოვებული უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არამართლზომიერი მიზნით.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, ასევე, სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის 10^{bis} მუხლი (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია): კავშირის ქვეყნები შეზოქილნი არიან ვალდებულებებით უზრუნველყონ თავისი მოქალაქეებისათვის ეფექტური დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს შეადგენს ნებისმიერი კონკურენციის განკვეთის აქტი, რომელიც ენიშნა აღმდგება სამენარმეო თუ კონკურენციული საქმიანობის პატიოსან ჩვევებს. იკრძალება ყველა ისეთი ქმედება, რომელმაც რაიმე სახით შეიძლება გამოიწვიოს აღრევა კონკურენტის სანარმოსთან, საქონელთან ან სამრეწველო, თუ კომერციულ საქმიანობასთან.

დომენური სახელისა და სასაქონლო ნიშნის გამოყენების მართლზომიერება შეფასებულ უნდა იქნეს საქმიანი ბრუნვის ტრადიციებისა და უფლების განხორციელების მართლზომიერი საზღვრების გათვალისწინებით. აღნიშნული თვალსაზრისით, არამართლზომიერად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მიზნით ინტერნეტში დომენად დარეგისტრირდეს ნიშანი, რომელიც უკვე არსებული გარკვეული რეპუტაციის მქონე სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია. ასევე, არამართლზომიერად უნდა იქნეს მიჩნეული უკვე დარეგისტრირებული დომენური სახელის სხვა პირის მიერ სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია და შემდეგში სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების საფუძველზე დომენის გამოყენების აკრძალვა.

როგორც კასატორი აცხადებს, შპს „მულტიმედიაცენტრს“ აქვს თავისი დომენური სახელი და მისამართი მსოფლიოს საინფორმაციო ქსელში. პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგინდეს რეგისტრაციის ფაქტი, გაირკვეს რეგისტრაციის არსი და მნიშვნელობა, გაირკვეს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მიზანი და შესაბამისი შეფასება მიეცეს დადგენილ გარემოებებს მოცემული დავის გადანყევტაში.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე
პუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „მულტიმედიაცენტრის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. აუციმულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე კოლეგიას.
2. განიხილება საბოლოო და არ გასაჩივრდება.



გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№2ა-4-2001 23 იანვარი, 2001 წ.,

ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და
სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი
შემადგენლობით: მ. ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
ქ. დუგლაძე,
დ. თოდრაძე

6. გველესიანის მდივნობით

მოსარჩელე: კავშირი „საქმიანი საქართველოს“ წარმომადგენლების –
ზ. ბეგლარიშვილის, მ. ლებანიძის.

მოპასუხე: შპს „მულტიმედიაცენტრის“ წარმომადგენლების – თ. ჩუბი-
ნიშვილის, გ. ბერიშვილის მონაწილეობით

განიხილა სამოქალაქო საქმე „საქმიანი საქართველოს“ სარჩელის გამო
მოპასუხე შპს „მულტიმედიაცენტრის“ მიმართ სასაქონლო ნიშნის გამოყე-
ნებს აკრძალვის თაობაზე. სასამართლო კოლეგიამ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

კავშირმა „საქმიანი საქართველო“ სარჩელით მიმართა აშშ-ის საგარეო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარშეო საქმეთა კოლეჯთან მოპასუხე მას „მულტიმედიაცენტრის“ წინააღმდეგ და მოუთითა მემდეგ გარემოებებზე: 1994 წლის 3 ნოემბერს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში“ კავშირის „საქმიანი საქართველოს“ სახელზე რეგისტრირებული იქნა სასაქონლო ნიშანი MMC (munic).

მოსარჩელის განმარტებით, მიუხედავად მოპასუხის პრაქტიკული გაფრთხილებისა, მას „მულტიმედიაცენტრი“ მაინც განაგრძობს მის მიერ დარეგულირებული სასაქონლო ნიშნის MMC (munic)-ს მსგავსი ნიშნის მონაცემების გამოყენებას, რითაც ის არღვევს მის განსაკუთრებულ უფლებას სასაქონლო ნიშანზე.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოსარჩელე მოითხოვს მას „მულტიმედიაცენტრს“ აეკრძალოს კავშირის „საქმიანი საქართველოს“ სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გამოყენება ინტერნეტის საინფორმაციო ქსელში, მის მიერ განთავსებული გვერდის დასახელებაში, აგრეთვე, იმ გვერდის მისამართსა და ელექტრონული ფოსტის მისამართში.

წარდგენილ სარჩელთან დაკავშირებით მოპასუხემ თავის შესაგებებლში არ ცნო სარჩელი და მოუთითა მემდეგ გარემოებებზე:

მას „მულტიმედიაცენტრი“ 1997 წლის 21 მაისიდან ფუნქციონირებს როგორც ინტერნეტ-პროვაიდერი, ანუ ინტერნეტ-მომსახურების გაწევი სამსახური. ამავ ელიდან მას მიღებული აქვს შესაბამისი ლიცენზია და მისი დოკუმენტური სახელი – მონაცემები რეგისტრირებულია ინტერნეტ-ნუმერაციის მინიჭების მართვის და ინტერნეტ-ნუმერაციისა და სახელების მიმოქცევილი კორპორაციის საქართველოს დომეინური სახელების რეგისტრში. მისი დოკუმენტური სახელის შესამე დონის დომეინი „munic“ წარმოადგენს მას „მულტიმედიაცენტრის“ აბრევიატურას და მის საფირმო სახელწოდებას, რაც დასტურდება ქ.თბილისის კრანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 7 ივლისის დადგენილებით (რეგისტრაციის №4/4-11417).

მოპასუხე მიიჩნევს, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად: „სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არა აქვს უფლება აუკრძალოს შესამე პირს სამოქალაქო ბრუნვაში ნიშნად გამოიყენოს საკუთარი სახელი ან მისამართი, თუ ისინი ემთხვევა განსაკუთრებული უფლების მქონე პირის სასაქონლო ნიშანს“.

მას „მულტიმედიაცენტრი“ თვლის, რომ კავშირმა „საქმიანი საქართველომ“ სასაქონლო ნიშნის MMC (munic)-ს რეგისტრაცია „საქპატენტში“ განახორციელა იმ მიზნით, რომ ზიანი მიეყენებინა მას „მულტიმედიაცენტრის“ საქმიანობისათვის და სკ-ს 115-ე მუხლის თანახმად სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

შპს „მულტიმედიაცენტრის“ წარმომადგენელმა აღნიშნულის დადასტურების მიზნით, საქმის მომზადების სტადიაზე ზეპირი შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს მოწმის სახით ტექნიფორმის დირექტორის ო.მატბერაშვილისა და განყოფილების უფროსის დ.დუმბაძის დაკითხვის თაობაზე.

მოპასუხემ თავის შესაგებელს მტკიცებულებების სახით დაურთო ტექნიფორმის მიერ 1998 წელს გამოცემული კატალოგი – „საქართველოს კომპანიები“ და მოსარჩელის მიერ 1999 წელს გამოცემული კატალოგი „საქმიანი საქართველო“. სასამართლომ შეისწავლა საქმეში არსებული მტკიცებულებები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, მოხმეთა ჩვენებები და მივიდა იმ დასკვნაზე, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები: მოსარჩელე – კავშირი „საქმიანი საქართველო“ არის იურიდიული პირი (სასამართლოს დადგენილება), რომელმაც მოახდინა სასაქონლო ნიშნის MIMC (ИММС)-ს რეგისტრაცია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში“ (მონმობა №ИМ 12918) 1999წ. 3 ნოემბერს.

მოპასუხე შპს „მულტიმედიაცენტრი“ არის იურიდიული პირი (სასამართლოს დადგენილება), რომელიც ფუნქციონირებს 1997 წლის 21 მაისიდან, როგორც ინტერნეტ-პროვაიდერი ანუ ინტერნეტ-მომსახურების გამწვევი სამსახური, მიღებული აქვს შესაბამისი ლიცენზია და მისი დომენური სახელი ИММС.სს.სს 1997 წლის 14 ივლისიდან რეგისტრირებულია ინტერნეტ-ნუმერაციისა და სახელების მიმნიჭებელი კორპორაციის საქართველოს დომენური სახელების რეგისტრში.

სასამართლომ ვერ გაიზიარა შპს „მულტიმედიაცენტრის“ მტკიცება იმის თაობაზე, რომ „ИММС“ – არის მისი საფირმო სახელწოდება და მას იცავს პარიზის კონვენციის მე-8 მუხლი.

კოლეგიამ მოპასუხის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოპასუხის საფირმო სახელწოდება არის სრული დასახელებით „Multimedia Centre“ Ltd, შემოკლებით „ИММС“ Ltd (კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000წ. 7 ივლისის დადგენილება. Ltd-ინგლისურად – შპს ქართულად).

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საწარმოს რეგისტრაციასთან ერთად ხდება მისი საფირმო სახელწოდების რეგისტრაციაც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის აუცილებელი მითითებით. „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის თანახმად, საწარმოს გააჩნია თავისი საფირმო სახელი და ის დაცულია „პარიზის კონვენციის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, კავშირის ყველა ქვეყანაში განაცხადის მონოდების და ხელმეორედ რეგისტრაციის და ვალდებულებების გარეშე, აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე „ИММС“ Ltd-ს საერთაშორისო ბაზარზე თავისი საფირმო სახელწოდების დარეგისტრირება ხელმეორედ არ სჭირდება.

რაც შეეხება მოსარჩელის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ საწარმოს არ შეიძლება ჰქონდეს ორი სახელი – ეს ცალკე დავის საგანია, რაზეც სასამართლო ამჟამად ვერ იმსჯელებს.

სასამართლომ ასევე ვერ გაიზიარა მოქალაქის მტკიცება იმის თაობაზე, რომ "MIMC" – არის პირის მისამართი. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მისამართად ითვლება პირის იურიდიული მისამართი, ამ შემთხვევაში შპს „მულტიმედიაცენტრის“ მისამართი არის თბილისი კოსტავას ქუჩა №47.

სასამართლო კოლეგიამ გაიზიარა მოსარჩელის კავშირი – „საქმიანი საქართველო“-ს მტკიცება იმის თაობაზე, რომ სასაქონლო ნიშანი MIMC (MIMC)-ს და MIMC.MC.GE მსგავსი ნიშნებია და მათი ერთად გამოყენება ინტერნეტის ქსელში აღრევას გამოიწვევს მომხმარებელში.

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო დაეყრდნო ნიშნების მსგავსების დადგენის ორ კრიტერიუმს: ვიზუალურს და ფონეტიკურს. ვიზუალური შეფასებისას, რასაც გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, უნდა აღნიშნოს, რომ სასაქონლო ნიშნის მეორე ნაწილი "MIMC" და დომეინი "MIMC" აბსოლუტურად იდენტურია. ორივე ნიშანი შესრულებულია ერთნაირი ზომის ლათინური ასოებით. ფონეტიკური მსგავსებაც იმდენად ამკარავს, რომ მათი შემადგენელი მარცვლების ფონეტიკური ანალიზი არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. ამდენად სასაქონლო ნიშნის MIMC (MIMC)-ს და დომეინის MIMC-ს ანბანური ასოების ერთნაირი შემადგენლობა, საერთო ვიზუალური შთაბეჭდილება, ფონეტიკური მსგავსება იმდენად დიდია, რომ იქმნება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის და აღრევის საშიშროება. ნიშნების ასეთი მსგავსების შემთხვევაში განსაკუთრებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს – კავშირს „საქმიანი საქართველო“, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის თანახმად უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს თავისი უფლების დამრღვევი მოქმედების შეწყვეტა, მაგრამ სასამართლოს მთავარ სხდომაზე კავშირის „საქმიანი საქართველოს“ დირექტორის ზ.ბეგლარიძის ზეპირი ახსნა-განმარტების მოსმენისას და მოწმეთა დაკითხვის შედეგად დაადგინა ის ვარემოება, რომ კავშირმა „საქმიანი საქართველო“ სასაქონლო ნიშანი MIMC (MIMC) „საქატენტიში“ დაარეგისტრირა მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანის მიყენებინა სხვისთვის, ამ შემთხვევაში კი შპს „მულტიმედიაცენტრისათვის“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად: „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას“.

აღნიშნული მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. პირმა თავისი უფლებები არ უნდა გამოიყენოს იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. აღნიშნული ნორმა კერძოსამართალურთიერთობის მონაწილეებისაგან მოითხოვს უფლების კეთილსინდისიერ განხორციელებას, საქმიანი ურთიერთობების კეთილი ტრადიციების დაცვას. ის შეიცავს პირდაპირ აკრძალვას უფლებათა ისეთი გამოყენებისა, რომელიც იწვევს სხვათა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დარღვევას. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისა და რეგისტრაციით მოპოვებული უფლება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს არამართლზომიერი მიზნით.

სასამართლო კოლეგია მივიდა აღნიშნულ დასკვნამდე შემდეგ გარემოე-

ბეზი დაყრდნობით:

შპს „მულტიმედიაცენტრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და პარტნიორი საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკური გამოკვლევების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი – „ტექნიფორმი“ 1996 წლიდან გამოსცემს ცნობარს „საქართველოს კომპანიების შესახებ (იხ.მტკიცებულება – „ტექნიფორმის“ კატალოგი 1998 წლის) ტექნიფორმმა გადაწყვიტა ცნობართან ერთად გამოეშვა მისი ელექტრონული ვერსია – ლაზერული კომპაქტდისკი (CD.ROM) (მონმე ო.შატბერაშვილის ჩვენება), ხოლო ცნობარში მოთავსებული კომპანიების რეკლამები განეთავსებინა ინტერნეტში შპს „მულტიმედიაცენტრის“ სერვერზე – www.ncl.ge-ზე. კლუბმა „მთენი“ (სამართალმემკვიდრე კავშირი „საქმიანი საქართველო“) გადაწყვიტა გამოეცა ასევე კატალოგი „საქმიანი საქართველო“. აღმოჩნდა, რომ კლუბი „მთენი“ სამოქალაქო ბრუნვაში იყენებს სასაქონლო ნიშანს „საქმიანი საქართველო“, რომელზედაც 1998 წლიდან განსაკუთრებული უფლების მქონე პირია ტექნიფორმი (მონმეთა ჩვენებები).

ვინაიდან კავშირის „საქმიანი საქართველო“-ს ხელმძღვანელს ზ. ბეგლარაშვილს სურდა აღნიშნული დასახელებით გამოეცა ცნობარი, მან 1998 წლის მაისიდან მოლაპარაკებები აწარმოა ტექნიფორმის დირექტორთან ო.შატბერაშვილთან და ამავე ინსტიტუტის განყოფილების გამგესთან დ.დუმბაძესთან. ტექნიფორმმა კავშირ „საქმიანი საქართველოს“-ს შესთავაზა შემდეგი პირობა: „მთენი“ თავისი კატალოგისთვის გამოიყენებს სახელს „საქმიანი საქართველო“ იმ შემთხვევაში თუ: 1) მითითებული იქნება, რომ ეს სახელი ტექნიფორმის ნებართვითაა გამოყენებული და 2) კატალოგში შესული რეკლამები ინტერნეტში განთავსდება შპს „მულტიმედიაცენტრის“ სერვერზე, რომლის დომენური სახელი იმთავითვე იყო „www.ncl.ge“. ე.ი. 1998 წლის მაისიდან ზ. ბეგლარაშვილისათვის უკვე ცნობილი იყო, რომ „მთენი“ – შპს „მულტიმედიაცენტრის“ დომენია (მონმეთა ჩვენებები). მოსარჩელისა და მონმეთა განმარტებით მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო, რადგან კლუბ „მთენი“-ს ხელმძღვანელს უნდოდა სასაქონლო ნიშანი „საქმიანი საქართველო“ გადასულიყო მისი ორგანიზაციის საკუთრებაში. მიუხედავად უშედეგოდ დამთავრებული მოლაპარაკებისა, „მთენმა“ მაინც გამოსცა კატალოგი „საქმიანი საქართველო“ და 1998წ. 22 დეკემბერს დიდუბის რ-ნის სასამართლოში მოახდინა კავშირი „საქმიანი საქართველოს“ რეგისტრაცია.

1998 წელს მოსარჩელის მიერ კატალოგში რამდენიმე გვერზე ფიგურირებს შპს „მულტიმედიაცენტრის“ დომენი „www.ncl.ge“, (მაგ. შპს ტურისტურული ფირმა „გალაქსი სითი“ – კატალოგის 21-ე გვერდზე). აღნიშნული კიდევ ერთხელ მონმობს იმას, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო „მთენი“-ს არსებობა.

ამის შემდეგ კავშირმა „საქმიანი საქართველო“ 1999წ. 3 ნოემბერს საქვანტში დაარეგისტრირა სასაქონლო ნიშანი MM('mmt) და შეხვდა ტექნიფორმის დირექტორს ო.შატბერაშვილს, განყოფილების გამგეს დ. დუმბაძეს და შპს „მულტიმედიაცენტრის“ დირექტორს თ.ჩუბინაშვილს (მონმეთა ჩვენე-

ბები). ამ შეხვედრაზე ზ.ბეგლარიშვილმა განაცხადა, რომ თუ ტექნიკური არ დაუთმობდა მას სასაქონლო ნიშანს „საქმიანი საქართველო“, იგი აუკრძალავდა შპს „მულტიმედიაცენტრს“ მის მიერ დარეგისტრირებული ნიშნის გამოყენებას, ანუ იგი აღძრავდა სარჩელს სასამართლოში შპს „მულტიმედიაცენტრის“ წინააღმდეგ (მონშეთა ჩვენებები). აღნიშნულს, სასამართლოს შეკითხვაზე მოსარჩელის პასუხიც ადასტურებს: „საქმიანი საქართველო“-ს მიზარი უფრო მეტი ინტერესი გამაჩნია, თუ მეორე მხარე დამთავსდება ამაზე, მაშინ სასაქონლო ნიშანს დაუკრძალავს“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო კოლეგიას ჩამოუყალიბდა რწმენა იმის თაობაზე, რომ კავშირმა „საქმიანი საქართველო“ სასაქონლო ნიშანი NIMC (ნიშ) დაარეგისტრირა იმ მიზნით, რომ შპს „მულტიმედიაცენტრის“ მუშაობა შეეწყობინა, რაც თავის მხრივ ვაძოინებდა ტექნიკური ნიშნის საინფორმაციო საქმიანობის შეფერხებას, რადგან შპს „მულტიმედიაცენტრი“ წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, ტექნიკური ნიშნის კომუნიკაციის მომსახურების გაძევია. სასამართლოს რწმენას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ დღემდე კავშირს „საქმიანი საქართველო“ თავისი სასაქონლო ნიშანი NIMC (ნიშ) არ გამოუყენებია.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა სკ-ს 115-ე მუხლით, „მენარშეთა შესახებ“ კანონის 5.4 მუხლით, მე-6 მუხლის 6.1, 6.5 მუხლებით „პარიზის კონვენციის“ მე-8 მუხლით. სკ-ის 243-ე, 244-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. მოსარჩელე კავშირი „საქმიანი საქართველო“-ს სარჩელს შპს „მულტიმედიაცენტრის“ მიმართ სხვისი სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვის თაობაზე ეთქვას უარი უსაფუძვლოდ გამო.
2. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება საქართველოს უზენაეს სასამართლოში თბილისის საოლქო სასამართლოს შემკვეთობით მხარისაოვის გადაწყვეტილების გადაცემიდან ერთი თვის განმავლობაში.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება

გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№009

7 ივლისი, ქ.თბილისი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ზ. ნეფარიძე (თავმჯდომარე),
ა. შიხაშვილი,
ე. რევიშვილი

განიხილა რა რეგისტრირებული კოლექტიური ნიშნების (რეგისტრაციის №9924, 9925) მფლობელი გაერთიანების ნევრების „ბორჯომის“ ჩამომსხმელი №1 და №2 ქარხნების საჩივარი „მურლონი MICK“-ს სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის (განაცხადის საკ. №87410397, რეგისტრაციის №9490, 01.06.98) გაუქმების შესახებ.

გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ა :

საქართველოს კანონის „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ 27-ე მუხლის და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 ივნისის №392 ბრძანებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის და მე-8 მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, ბორჯომის ჩამომსხმელ №1 და №2 ქარხნებს უარი ეთქვას საჩივრის განხილვაზე. ვინაიდან მესამე პირის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გაუქმება სცილდება სააპელაციო პალატის კომპეტენციას და „საქპატენტს“ სთუძლია გააუქმოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს უფრო ადრინდელი პრიორიტეტის განაცხადი.

სასაქონლო პალატაში საჩივრის წარდგენისათვის გადახდილი საფასური დაუბრუნდეს განმცხადებელს.



გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3ა/8

18 იანვარი, 2000წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული
სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი
შემადგენლობით: ი. ლევაშვილი (თავმჯდომარე),
ი.თოდრია,
ტ. ზამბახიძე

ქ. ზავრადაშვილის მდინეობით

მოსარჩელე: ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური ნწყლების“
წარმომადგენლის ე. ყიფიანის

მოპასუხე: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული
ცენტრის „საქპატენტის“ წარმომადგენლის – ზ. ნეფარიძის; შპს „მურლონი
MCK“-ს დირექტორის მ. ლონღაძის მონაწილეობით

განიხილა საქმის მასალები – ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური
წყლების“ სასარჩელო განცხადება საქართველოს ინტელექტუალური სა-
კუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ და შპს „მურლონი MCK“-ს
მიმართ, შპს „მურლონი MCK“-ს სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო
ნიშნის №9490 განაცხადი №12607, პრიორიტეტი 03.10.97. რეგისტრაციის გა-
უქმების თაობაზე.

სასამართლომ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ასოციაციამ
„ქართული მინა და მინერალური ნწყლები“ და მოითხოვა შპს „მურლონი
MCK“-ს სახელზე 1998 წლის 1 ივნისს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის
№9490, განაცხადი №12607 პრიორიტეტი 03.10.97 რეგისტრაციის გაუქმება
იმ მოტივით, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის
27-ე მუხლის შესაბამისად სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია უნდა გაუქ-
მდეს, ვინაიდან ამავე კანონის მე-5 მუხლის თანახმად უფრო ადრინდელი
პრიორიტეტის მქონე №33 რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის და №9925
კოლექტიური ნიშნის მგავსია და ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის
შესაძლებლობა. ნიშნების მსგავსება გამოიხატება იმაში, რომ პრაქტიკუ-
ლად ერთნაირია ფერთა შეხამება, რომლებშიც დაცულია ნიშნები, ეტიკეტე-
ბის კომპოზიციური ელემენტები ერთნაირად არის განლაგებული, ცენტრა-
ლური ოვალური ელემენტი წარმოადგენს პეიზაჟს, ხოლო წარწერა „ბორ-
ჯომი“ განლაგებულია ოვალური ელემენტების ზედა და ქვედა ნაწილში.

საქმის მომზადების სტადიაზე მოპასუხე საქართველოს ინტელექტუა-
ლური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა“ სარჩელი არ სცნო
და განმარტა, „საქპატენტის“ მიერ 1994 წლის 2 მარტს რეგისტრირებული
იქნა სასაქონლო ნიშანი №33 „ბორჯომის“ ეტიკეტის სახით, დახურული სა-
აქციო საზოგადოება „ბორჯომი-1“-ის სახელზე, რომელიც შეიქმნა ბორჯომ-

მის ჩამომსხმელი №1 და №2 ქარხნების ბაზაზე. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის დასვენაში გაკეთდა დისკლამაცია. „ეტიკეტი დაიცევა მთლიანად, აიტყვიერი და ციფრობრივი აღნიშვნები დაცვას არ ექვემდებარება; ადგილმდებარეობის დასახელება ჩანერილი ქართული „ბორჯომი“ და იგნლისური „BORJOMI“ ასოებით დაცვიდან ამოღებულია“. აქედან გამომდინარე, სიტყვა „ბორჯომი“ დამოუკიდებელ დაცვას არ ექვემდებარება.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 11 თებერვლის №95 ბრძანებულების – „მინერალური წყლის „ბორჯომის“ წარმოების სრულყოფის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ შესაბამისად, გაიმართა კონკურსი მინერალური წყლის „ბორჯომის“ საბადოთა სარგებლობისათვის, რომელშიც გაიმარჯვა „ჯორჯიან გლას ენდ მინერალ ვოთერ კო ნ.ვ.“ ამ კომპანიას გადაეცა ბორჯომის ჩამომსხმელი №1 და №2 ქარხნების მართვის უფლება და სახელწოდების „ბორჯომი“ გამოყენების უფლება, ხოლო ლიცენზიის მქონე სხვა მენარმე სუბიექტებს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ეს უფლება უნდა მისცემოდათ კონკურსში გამარჯვებული მენარმე სუბიექტის მიერ, ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე.

1997 წლის 3 ოქტომბერს შპს „მურლონი MGK“-ს მიერ „საქპატენტში“ შეტანილი იქნა განაცხადი სასაქონლო ნიშანზე „ბორჯომის“ ეტიკეტის სახით და წარმოადგინა კონკურსში გამარჯვებულ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ.

„საქპატენტმა“ რეგისტრაციაში გაატარა შპს „მურლონი MGK“-ს შემდეგ და არ შეიძლება მას უკუქცევიითი ძალა მიეცეს.

სასაქონლო ნიშნების მსგავსებასთან დაკავშირებით არარსებობს ისეთი ნიშნები (ელემენტები), რომლებიც მომხმარებელში აღრევას გამოიწვევს. აღნიშნული დადასტურდა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებითაც. წარმოდგენილი სარჩელი მიზნად ისახავს კონკურენტისათვის სამომხმარებლო ბაზრის წართმევას და ამიტომ სარჩელს უარი უნდა ეთქვას.

სასამართლო კოლეგია გაეცნო რა წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მოუსმინა მხარეებს მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის მიერ 1994 წლის 2 მარტს რეგისტრირებული იქნა სასაქონლო ნიშანი №000167, რომელიც წარმოადგენდა „ბორჯომის“ მინერალური წყლის ფერად ეტიკეტს. ეტიკეტი დაცული იყო მთლიანად გარდა სიტყვიერი და ციფრობრივი აღნიშვნებისა, სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებული იყო დახურული სააციო საზოგადოება „ბორჯომი I“-ის და დახურული სააციო საზოგადოება „ბორჯომის“ სახელზე, რომლებიც შეიქმნენ ბორჯომის ჩამომსხმელი №1 და №2 ქარხნების ბაზაზე.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 11 თებერვლის №95 ბრძანებულების – „მინერალური წყლის „ბორჯომის“ წარმოების სრულყოფის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ შესაბამისად გამართულ ტენდერში მინერალური წყლის „ბორჯომის“ საბადოთა სარგებლობისათვის, „გაიმარჯვა კომ-

პანია „ჯორჯიან გლას ენდ მინერალ ვოთერ კო ნ.ვ.“, რომელსაც გადაეცა ბორჯომის ჩამომსხმელი №1 და №2 ქარხნების მართვის უფლება. მოგვიანებით, კონკურსში გამარჯვებული კომპანია, ბორჯომის ჩამომსხმელი №1 და №2 ქარხნები და ს/ს „ბორჯომმინწყლები“ გაერთიანდნენ და შექმნეს ასოციაცია „ქართული მინა და მინარეღური წყლები“, რომელმაც განცხადებით მიმართეს „საქპატენტს“ კოლექტიური სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნით და მიუთითეს, რომ თუ კოლექტიური სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის განაცხადის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღებას ხელს შეუშლიდა ასოციაციაში განევრიანებული მენარმე სუბიექტის სახელზე „საქპატენტის“ მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები №000167, პრიორიტეტი 21.03.93 და №00996 i, პრიორიტეტი 19.03.96, გაუქმებინათ ამ სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია კოლექტიური სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის სასარგებლოდ. „საქპატენტმა“ კოლექტიური სასაქონლო ნიშანი ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური წყლები“ სახელზე რეგისტრაციაში გაატარა 1998 წლის 1 ივლისს. ამ დროისათვის, 1998 წლის 1 ივნისიდან უკვე რეგისტრირებული იყო სასაქონლო ნიშანი №9490 შპს „მურლონი MCK“-ს სახელზე, მაგრამ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნად, ვინაიდან როგორც ავლნიშნეთ, ბორჯომის ჩამომსხმელი №2 ქარხნის სახელზე რეგისტრირებული №000167 სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებული იყო 1994 წლის 2 მარტიდან (რეგისტრაციის №33), რომლის რეგისტრაციის გაუქმება მოხდა მხოლოდ ფორმალური ნიშნით, კოლექტიური სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის სასარგებლოდ, ამიტომ მოპასუხე შპს „მურლონი MCK“-ს მოტივი, რომ მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი უფრო გვიან არის რეგისტრირებული და ამიტომ მას რიგითობის დაცვით არ შეიძლება პრეტენზია ჰქონდეს მოპასუხესთან – უსაფუძვლოა, ვინაიდან სასაქონლო ნიშანი ჯერ კიდევ 1994 წლიდან რეგისტრირებული იყო ასოციაციაში განევრიანებული ერთ-ერთი მენარმე სუბიექტის (ბორჯომის ჩამომსხმელი №2 ქარხნის) სახელზე.

სასამართლო კოლეგია ასევე არ იზიარებს მოპასუხის პოზიციას იმის თაობაზე, რომ ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური წყლები“ სარჩელი სასამართლომ საერთოდ არ უნდა განიხილოს, ვინაიდან იგი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური წყლები“ წარმოადგენს არარეგისტრირებულ კავშირს, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, მაგრამ ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, არარეგისტრირებული კავშირი შეიძლება სასამართლოში ან სასამართლოსგარეშე ურთიერთობებში წარმოადგენილი იყოს თავისი წევრებით. სასარჩელო განცხადებას ხელ აწერს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ჯორჯიან გლას ენდ მინერალ ვოთერ კო ნ.ვ.“, რომელიც ასოციაციის წევრია.

გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე

მუხლის შესაბამისად, მხარეებად სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ისეთი ორგანიზაციებიც, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები. სწორედ მოქმედი კანონმდებლობა აძლევს უფლებას არარეგისტრირებულ კავშირს (ამ შემთხვევაში ასოციაციას), რომელიც არ არის იურიდიული პირი, გამოვიდეს მხარედ სასამართლოში.

მოპასუხის მოტივი, რომ კანონი, რომელზეც მითითებებიც მოსარჩელე მოითხოვს რეგისტრაციის გაუქმებას, მიღებულია სასაქონლო ნიშნის №9490 რეგისტრაციის შემდეგ და არ შეიძლება გამოყენებული იქნეს აღნიშნული დავის გადასაწყვეტად, არ შეიძლება გახდეს სარჩელზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან მართალია საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მიღებულია 1999 წლის 5 თებერვალს, მაგრამ მანამდე მოქმედებდა დებულება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №304 დადგენილებით, რომელიც არეგულირებდა სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული დებულების მე-2 და 36-ე მუხლების შესაბამისად, არ დაიშვება სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია ან გამოყენება სასაქონლო ნიშნისა, რომლებიც მოიცავენ ან რომლის შემადგენლობაში არის შიბაძვა ან გამეორება ისეთი სახის მინიშნებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ მეცდომაში შეიყვანონ მომხმარებელი, ხოლო ამავე დებულების 34-ე და 36-ე მუხლების შესაბამისად, თუ აღნიშნული სასაქონლო ნიშანი უკვე რეგისტრირებულია დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს მისი რეგისტრაციის გაუქმება.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ დაბელების მე-7 და მე-10 მუხლების თანახმად, სასაქონლო ნიშნის თაობაზე შატანილ განაცხადზე „საქპატენტი“ ატარებს განაცხადის დადგენილი ფორმის შემოწმებას და ორიგინალობის ექსპერტიზას. ექსპერტიზაზე სასაქონლო ნიშნის ორიგინალობის შესახებ მონმდება სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშნის მსგავსება ან იდენტურობა უკვე მოქმედი ან საყოველთაოდ აღიარებული სასაქონლო ნიშნის მიმართ.

ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური წყლების“ და შპს „მურლონი MCK“-ს სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის გადაწყვეტილებით, ეტიკეტი დაიცვება მთლიანად, სიტყვიერი და ციფრობრივი აღნიშვნები დაიცვას არ ექვემდებარება. ადგილმდებარეობის დასახელება „ბორჯომი“ დაცვიდან ამოღებულია.

მაშასადამე, დაცულია მინერალური წყლის „ბორჯომის“ ეტიკეტი მთლიანად, რომელიც წარმოადგენს მართკუთხედის ფორმის გამოსახულებას, რომლის ველი დაყოფილია სამ ვერტიკალურ ნაწილად, ცენტრალური თეთრი, მარჯვენა და მარცხენა ფერადი ფონით. ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური წყლების“ სასაქონლო ნიშნის №9925 გვერდითი ფონი წარმოადგენს წითელი და ცისფერი ფიგურების ერთობლიობას, ხოლო შპს „მურლონი MCK“-ს სასაქონლო ნიშნის №9490 გვერდითი ფონი მხოლოდ წითელი ფერისაა. ორივე ეტიკეტის ცენტრალური ნაწილი თეთრი ფერისაა, რომელ-

შიც მოთავსებულია ოვალური ფორმის ნახატი სხვადასხვა მთიანი პეიზაჟით. ორივე პეიზაჟის ფორმა, განლაგება და ფერთა შეხამება ერთნაირია (წითელი, მწვანე, თეთრი, ლურჯი, შავი №9490 და წითელი, ლურჯი, მწვანე, ვარდისფერი, ცისფერი, ყაივისფერი, თეთრი, შავი №9925-ზე).

სასამართლოს მიაჩნია, რომ მხედველობითი შთაბეჭდილებით შესადარებელი სასაქონლო ნიშნები იმდენად მსგავსია, რომ მომხმარებლის მიერ აღიქმებიან როგორც მინერალური წყლის „ბორჯომი“ ერთიდაიგივე სასაქონლო ნიშანი.

მოპასუხე შპს „მურლონი MGK“-ს სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი რომ მსგავსია ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური წყლის“ კოლექტიური სასაქონლო ნიშნისა და არსებობს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის საშიშროება, დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის 1999 წლის 29 ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნითაც და სასამართლო სხდომაზე შპს „მურლონი MGK“-ს დირექტორის მ.ლონლაძის მიერ მიცემული განმარტებითაც, რომ „მურლონი MGK“-ს სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის სხვა (განსხვავებულ) ფერებში გაფორმების შემთხვევაში, მის მიერ წარმოებული პროდუქცია სამომხმარებლო ბაზარზე არ გასაღდებოდა, ვინაიდან მომხმარებლისათვის მინერალური წყლის „ბორჯომის“ ეტიკეტი ასოცირდება წითელ, თეთრ და ლურჯ ფერებთან, თეთრი ფერის ველში მთლიანი პეიზაჟის გამოსახულებით.

საქმის სასამართლო განხილვის დროს მოპასუხე შპს „მურლონი MGK“-ს დირექტორმა წარმოადგინა მინერალური წყლის „ბორჯომის“ არარეგისტრირებული ახალი ეტიკეტი, რომლითაც რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან ერთად აწარმოებს პროდუქციას. აღნიშნული ეტიკეტიც იგივე ფერებშია (თეთრი, წითელი, ლურჯი, თეთრ ველში მთლიანი პეიზაჟის ოვალური გამოსახულებით) გაფორმებული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მომხმარებლისათვის მინერალური წყლის „ბორჯომის“ სასაქონლო ნიშანი სწორედ ამ ფერებთან ასოცირდება და რომელიც მსგავსია ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური წყლები“-ს სახელზე რეგისტრირებული კოლექტიური სასაქონლო ნიშნისა.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა სსკ-ს 248-ე, 249-ე, 395-ე და 397-ე მუხლებით საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-12 მუხლით,

ბ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. მოსარჩელე – ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური წყლების“ სარჩელი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს შპს „მურლონი MGK“-ს სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი №9490, განაცხადი №12607, პრიორიტეტი 03.10.97.

3. მოპასუხე შპს „მურლონი MGK“-ს გადახდეს სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით. სახელმწიფო ბაჟი ჩაირიცხოს საქართველოს მატერიალურ-

ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ანგარიშზე საქართველოს ეროვნულ ბანკში ანგარიში № 115141102, კოდი 220101107, პირველი სახაზინო სამსახური.

4. ექსპერტიზის ხარჯები 100 ლარის ოდენობით სოლიდარულად დაეკისროთ მოსარჩელე ასოციაცია „ქართული მინა და მინერალურ წყლებს“ და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტი“.

5. გადანყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში, ქ.თბილისის საოლქო სასამართლოში საკასაციო საჩივრის შეტანით, მხარეთათვის გადანყვეტილების სრული ტექსტის გამოცხადებიდან (ჩაბარებიდან) ერთი თვის ვადაში.



გ ა ნ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3გ-ად-39-კ

21 აპრილი, 2000წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ი.ტაბუცაძე (თავმჯდომარე),
მ.ვაჩაძე,
ნ.კლარჯეიშვილი

განიხილა შპს „მურლონი MGK“-ს საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 18 იანვრის გადანყვეტილების გაუქმების თაობაზე.

საკასაციო პალატამ, მოისმინა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მათა ვაჩაძის მოხსენება.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1999 წლის 23 აგვისტოს, ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური წყლების“ ადმინისტრაციული საბჭოს ათემჯდომარემ და „Georgian Glass &

Mineral Water Co. N.V." ვიცეპრეზიდენტმა ბ.ჯაფარიძემ სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა შპს „მურლონი MCK“-ს სახელზე ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ 1998 წლის 1 ივნისს რეგისტრირებული №9490 სასაქონლო ნიშნის (განაცხადი №12607, პრიორიტეტი 03.10.976.) რეგისტრაციის გაუქმება.

მოსარჩელე თავის მოთხოვნას შემდეგ გარემოებებზე ამყარებდა:

1. „საქპატენტის“ მიერ 1994 წლის 2 მარტს ბორჯომის №1 და №2 ქარხნების სახელზე რეგისტრაციაში გატარდა სასაქონლო ნიშანი №000167, რომელიც წარმოადგენდა „ბორჯომის“ მინერალური წყლის ფერად ეტიკეტს. ეტიკეტი დაცული იყო მთლიანად, გარდა სიტყვიერი და ციფრობრივი აღნიშვნებისა. ადგილმდებარეობის დასახელება, სიტყვა „ბორჯომი“ დამოუკიდებელ დაცვას არ ექვემდებარებოდა.

მოგვიანებით, მინერალური წყლის „ბორჯომის“ საბადოთა სარგებლობისათვის საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 11 თებერვლის №95-ე ბრძანებულების შესაბამისად გამართულ კონკურსში გაიმარჯვა „Georgian Glass & Mineral Water Co. N.V.“ და მასვე გადაეცა ბორჯომის ჩამომსხმელი №1 და №2 ქარხნების მართვისა და სახელწოდება „ბორჯომის“ გამოყენების უფლება.

კომპანია „Georgian Glass & Mineral Water Co. N.V.“ ბორჯომის ჩამომსხმელი №1 და №2 ქარხნები და სს „ბორჯომმინწყლები“ გაერთიანდნენ და შექმნეს ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური წყლები“, რომელმაც 1998 წლის 27 აპრილს აღნიშნა „ბორჯომის“ დაცვის მოთხოვნით განაცხადი წარადგინა „საქპატენტში“ კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციისა და ამ ნიშნის სასარგებლოდ „საქპატენტის“ მიერ 1994 წლის 2 მარტს რეგისტრირებული №000167 სასაქონლო ნიშნის გაუქმების თაობაზე. №000167 სასაქონლო ნიშანი გაუქმდა 1998 წლის 29 ივნისს, ხოლო №9925 კოლექტიური ნიშნის რეგისტრაცია მოხდა 1998 წლის 1 ივლისს. ამავე პერიოდში, 1998 წლის 1 ივნისს, მაშინ, როცა მიმდინარეობდა კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციის პროცესი, „საქპატენტმა“ შპს „მურლონი MCK“-ს სახელზე რეგისტრაციაში გაატარა №9490 სასაქონლო ნიშანი, „ბორჯომის“ მინერალური წყლის ფერადი ეტიკეტი. შპს „მურლონი MCK“-ს სახელზე რეგისტრირებული №9490 სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნა განპირობებულია იმ მოტივით, რომ იგი მსგავსია თავის დროზე ბორჯომის ჩამომსხმელი №1 და №2 ქარხნების სახელზე რეგისტრირებული №000167 სასაქონლო ნიშნისა და ასევე, ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური წყლები“ სახელზე რეგისტრირებული №9925 კოლექტიური ნიშნისა. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად უნდა გაუქმდეს შპს „მურლონი MCK“-ს სახელზე გაცემული №9490 სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, ვინაიდან ამ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია კანონის მე-5 მუხლის თანახმად უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე №000167 სასაქონლო ნიშნისა და №9925 კოლექტიური ნიშნის მსგავსია და ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის შესაძლებლობა.

2. შპს „მურლონი MCK“-ს სახელზე 1997 წლის 18 აპრილს გაცემულ წიალით

სარგებლობის ლიცენზიას მოქმედების ვადა გაუვიდა 1998 წლის 18 აპრილს. ამდენად, მის მიერ დღესდღეობით მინერალური წყლის მოპოვება და მისი გადამუშავება ხდება „წიალის შესახებ“ და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, „წიალი სარგებლობაში გაიცემა მხოლოდ სათანადო ნებართვის (ლიცენზიის) საფუძველზე“ (მუხლი 2). „წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებისას ლიცენზიის გაცემის პირობები და წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით „წიალის შესახებ“ (მუხლი 48.9).

3. მართალია, შპს „მურლონი MCK“-სთან „Georgian Glass & Mineral Water Co. N.V.“ მიერ 1997 წლის 7 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალით შპს „მურლონს“ გადაეცა მინერალური წყლის „ბორჯომის“ სახელწოდებით სარგებლობის უფლება, მაგრამ, იმ პირობით, რომ შპს „მურლონი MCK“ აღნიშნული უფლებით მხოლოდ საკუთარი ეტიკეტის რეგისტრაციის შემთხვევაში ისარგებლებდა, რომელიც, ამასთანავე, გამორიცხავდა ამ კომპანიის სასაქონლო ნიშანთან იმიტაციას, რომ შპს „მურლონი MCK“-ს მიერ დაირღვა. მოსარჩელემ მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება.

მოპასუხეებმა, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა“ და შპს „მურლონი MCK“-მ არ ცნეს სასარჩელო მოთხოვნა შემდეგი საფუძველებით:

1. 1997 წლის 3 ოქტომბერს შპს „მურლონი MCK“-ს მიერ „საქპატენტში“ შეტანილ იქნა განაცხადი სასაქონლო ნიშანზე „ბორჯომის“ ეტიკეტის სახით და წარმოდგენილ იქნა კონკურსში გამარჯვებულ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ. „საქპატენტმა“ შპს „მურლონი MCK“-ს სახელზე სასაქონლო ნიშანი რეგისტრაციაში გაატარა შემდეგი შეზღუდვით: „სიტყვა „ბორჯომი“ დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას არ ექვემდებარება“. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია განხორციელდა 1998 წლის 1 ივნისს, ხოლო კოლექტიური ნიშნისა უფრო მოგვიანებით, 1998 წლის 1 ივლისს.

2. მოსარჩელე არ შეიძლება იყოს ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური წყლები“, ვინაიდან იგი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

3. საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“, რომელზე მოთითებითაც მოსარჩელე ითხოვს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებას, მიღებულია სასაქონლო ნიშნის შემდეგ და არ შეიძლება მას უკუქცევითი ძალა მიეცეს.

4. სასაქონლო ნიშნებს შორის მსგავსება შეიძლება დადგინდეს მხოლოდ სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტისათვის და არა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი საქართველოს დიზაინერთა ფონდის დასკვნით. წარმოდგენილი სარჩელი მიზნად ისახავს კონკურენტისათვის სამომხმარებლო ბაზრის წართმევას და ამიტომ სარჩელს უარი უნდა ეთქვას. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ 2000 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა და გააუქმა „საქპატენტის“ მიერ შპს „მურლონი MCK“-ს სახელზე რეგისტრირებული №9490 სასაქონლო ნიშანი. გადაწყვეტილების

გამოტანისას სასამართლომ შემდეგ გარემოებებზე მიუთითა:

1. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა“ №9925 კოლექტიური ნიშანი ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური ნყლების“ სახელზე რეგისტრაციაში გაატარა 1998 წლის 1 ივლისს. ამ დროისათვის, 1998 წლის 1 ივნისს, შპს „მურლონი MCK“-ს სახელზე უკვე რეგისტრირებული იყო №9490 სასაქონლო ნიშანი, მაგრამ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნად, ვინაიდან, ბორჯომის ჩამომსხმელი №1 და №2 ქარხნების სახელზე 1994 წლის 2 მარტს რეგისტრირებული №000167 სასაქონლო ნიშანი გაუქმდა მხოლოდ ფორმალური ნიშნით, კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციის სასარგებლოდ და შპს „მურლონი MCK“-ს მოტივი, რომ მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებული კოლექტიური ნიშანი უფრო გვიანდელი პრიორიტეტის მქონეა, უსაფუძვლოა.

2. ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური ნყლები“ წარმოადგენს არარეგისტრირებულ კავშირს, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მართალია, არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, მაგრამ ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, იგი შეიძლება სასამართლოში ან სასამართლოსგარეშე ურთიერთობები წარმოდგენილი იყოს თავისი წევრებით. სასარჩელო განცხადებას ხელს აწერს ტენდერში გამარჯვებული კომპანია, რომელიც ასოციაციის წევრია.

3. მართალია, საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მიღებულია 1999 წლის 5 თებერვალს, მაგრამ მანამდე მოქმედებდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №304 დადგენილებით დამტკიცებული დებულება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“, რომელიც არეგულირებდა სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის საკითხებს. აღნიშნული დებულების მე-2 და 36-ე მუხლების შესაბამისად, არ დაიშვება სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია ან გამოყენება სასაქონლო ნიშნისა, რომლის შემადგენლობაში არის მიბაძვა ან გამეორება ისეთი სახის მინიშნებისა, რასაც შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი. ხოლო, თუ აღნიშნული სასაქონლო ნიშანი უკვე რეგისტრირებულია, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს მისი რეგისტრაციის გაუქმება.

4. ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური ნყლების“ №9925 კოლექტიური ნიშნის გვერდითი ფონი წარმოადგენს ნითელი და ცისფერი ფიგურების ერთობლიობას, ხოლო შპს „მურლონი MCK“-ს №9490 სასაქონლო ნიშნის გვერდითი ფონი მხოლოდ ნითელი ფერისაა. ორივე ეტიკეტის ცენტრალური ნაწილი თეთრი ფერისაა, რომელშიც მოთავსებულია ოვალური ფორმის ნახატი სხვადასხვა მთიანი პეიზაჟით. ორივე პეიზაჟის ფორმა, განლაგება და ფერთა შეხამება ერთნაირია. ამდენად, შესადარებელი სასაქონლო ნიშნები მხედველობითი შთაბეჭდილებით იმდენად მსგავსია, რომ მომხმარებლის მიერ აღიქმება, როგორც მინერალური ნყლის „ბორჯომის“ ერთი და იგივე სასაქონლო ნიშანი, ამას ადასტურებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის 1999 წლის 29 ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნაც და შპს „მურლონი MCK“-ს წარმომადგენლის გ. ლონლაძის განმარტებაც, რომ

„მურლონი MGiK“-ს სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის სხვა ფერებში გაფორმების შემთხვევაში, მის მიერ წარმოებული პროდუქცია სამომხმარებლო ბაზარზე არ გასაღდებოდა. შპს „მურლონი MGiK“-ამ საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამონმა გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თელის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში უნდა დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

1. საოლქო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და სწორად განმარტა კანონი, კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №304 დადგენილებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ დებულების მე-2 მე-7, მე-10, 34-ე და 36-ე მუხლები; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 45-ე და 79-ე მუხლები; ასევე, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 11 თებერვლის №95 ბრძანებულება „მინერალური წყლის „ბორჯომის“ წარმოების სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიებათა შესახებ“.

2. სასაქონლო ნიშნების მსგავსებაზე საოლქო სასამართლომ გაიზიარა ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, შპს „მურლონი MGiK“-ს და ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური წყლების“ ეტიკეტები ერთნაირია ძირითადი ელემენტების (ეტიკეტების ზომები, კომპოზიცია, ფერთა შეხამება, მსხვილი შრიფტის მარკა, დამზადების წესი, გეომეტრიული გამოსახულების ფორმა) უმნიშვნელო განსხვავებით. ერთნაირი ელემენტების არსებობა, კომპოზიციური გადაწყვეტის ერთგვაროვნება, სასაქონლო ნიშანთა იმდენად სიახლოვეს იწვევს, რომ ორივე სახის ეტიკეტი აღქმისათვის ერთნაირია, მიუხედავად მათი ზოგიერთი განსხვავებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, მსგავსება შესაძარებელ სასაქონლო ნიშნებს შორის, სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, მითუმეტეს, რომ საკასაციო პალატის აზრით, კასატორმა ვერ წამოაყენა დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

3. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ შპს „მურლონი MGiK“-სა და ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური წყლების“ სახელზე რეგისტრირებული №9490 სასაქონლო ნიშანი და №9925 კოლექტიური ნიშანი მსგავსი არ არის, რომ ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ფერთა გამაზე და „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონით სამართლებრივ დაცვას არ ექვემდებარება ფერები და გეომეტრიული ფიგურები“. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ კანონის მე-3.1 და მე-3.2 მუხლების თანახმად: „სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა“,

ხოლო „სიმბოლო შეიძლება იყოს: სიტყვა ან სიტყვები, აგრეთვე, ადამიანის სახელი, ასოები, ციფრები, ბგერები, გამოსახულება, სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის, საქონლის ფორმა ან შეფუთვა ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით.“

4. საკასაციო პალატა თელის, რომ დავის საგანს სასაქონლო ნიშნები, ეტიკეტები წარმოადგენენ და არა პროდუქციის გარეგანი სახის სხვა დანარჩენი პარამეტრები. თუმცა, თავის მხრივ, როგორც ბოთლი, ისე საცობი და ა.შ., როგორც სასაქონლო ნიშანი, აგრეთვე შეიძლება იყოს დამოუკიდებელი დაცვის საგანი. ამასთან, საკასაციო პალატა იზიარებს მონინაალმდევე მხარის მოსაზრებას, რომ ერთი და იმავე პროდუქციის წარმოების სფეროში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მწარმოებლების იდენტიფიცირების საშუალებას მომხმარებლისათვის არსებითად სწორედ სასაქონლო ნიშნად რეგისტრირებული ეტიკეტები იძლევიან. ამდენად, კასაციის შპს „მურლონი MCK“-ს საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ძალაში უნდა დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება და უნდა გაუქმდეს „საქპატენტის“ მიერ „მურლონი MCK“-ს სახელზე რეგისტრირებული №9490 სასაქონლო ნიშანი.

იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით, საკასაციო პალატამ

და ა დ გ ი ნ ა :

1. კასატორს, შპს „მურლონი MCK“-ს უარი ეთქვას საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო.

2. ძალაში დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება და გაუქმდეს „საქპატენტის“ მიერ შპს „მურლონი MCK“-ს სახელზე 1998 წლის 1 ივნისს რეგისტრირებული №9490 სასაქონლო ნიშანი.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება შესასრულებლად გადაეცეს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა; მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება



გ ა ნ წ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№2/450

17 აპრილი, 2000წ.

ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: დავით თოდრაძე (თავმჯდომარე), ქეთევან დუგლაძე, მადი ჩანტლაძე

ნ. გველესიანის მდივნობით

მოსარჩელე: შპს „გაზეთ ზარია ვოსტოკა“-ს რედაქტორის ი.ნებიერიძის წარმომადგენლის ტ.კბილაშვილის

მოპასუხე: ინდივიდუალური სანარმო „გიორგი ბეზირგანი – გაზეთ “ზარია ვოსტოკა პლუსი“-ს წარმომადგენლების ა.რობაქიძის და ნ.ბეზირგანის მონაწილეობით

განიხილა სამოქალაქო საქმე მოსარჩელე – შპს „გაზეთ ზარია ვოსტოკა“-ს რედაქტორის ი.ნებიერიძის სარჩელისა გამო მოპასუხე ინდივიდუალური სანარმო „გიორგი ბეზირგანი – გაზეთ “ზარია ვოსტოკა პლუსი“-ს მიმართ, გაზეთ „ზარია ვოსტოკა პლუსი“-ს გამოშვების აკრძალვის და მატერიალური ზიანის 2000 ლარის ანაზღაურების შესახებ და შეგებებული სარჩელისა გამო სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვის და მორალური და მატერიალური ზიანის 500 ლარის ანაზღაურების შესახებ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

შპს „გაზეთ ზარია ვოსტოკა“-ს რედაქტორმა ი.ნებიერიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და განმარტა, რომ მოპასუხე გიორგი ბეზირგანმა მასთან შეუთანხმებლად გამოსცა გაზეთი „ზარია ვოსტოკა პლუსი“ და დაარეგისტრირა ინდივიდუალური სანარმო „გიორგი ბეზირგანი – გაზეთ ზარია

ვოსტოკა პლუსი“, რითაც ჩაიდინა პლაგიატობა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს სახელწოდებისა. იმავე შრიფტით, ასოთა განლაგებით, მოიპარა გრაფიკაც. ჩაუმატა სიტყვა „პლუსი“ და ასეთი სათაურით უშვებს თავს გაზეთს. მოსარჩელემ განაცხადა, რომ ამით მოპასუხემ დააბნია ისედაც დაბნეული მკითხველი, შეიყვანა შეცდომაში იგი და სახელი გაუტეხა მის თვალში გაზეთ „ზარია ვოსტოკას“, რითაც არსებითი მორალური და მატერიალური ზიანი მიაყენა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციას.

მოსარჩელემ მოითხოვა სასამართლოს მიერ რეგისტრაციაში გატარებული სახელწოდების „გიორგი ბეზირგანი – ზარია ვოსტოკა პლუსის“ თვითნებურად შეცვლისათვის გაზეთ „ზარია ვოსტოკა პლუსის“ გამოშვების აკრძალვა, ასევე გიორგი ბეზირგანისათვის მორალური და მატერიალური ზარალის – 20000 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოსარჩელის სასარგებლოდ.

სასამართლოს მთავარი სხდომისათვის მომზადების სტადიაზე მოსარჩელემ რამდენიმეჯერ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ მისი მოთხოვნა განისაზღვრა გაზეთ „ზარია ვოსტოკა პლუსის“ გამოშვების აკრძალვითა და მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებით 2000 ლარის ოდენობით.

მოპასუხე – ინდივიდუალური საწარმო „გიორგი ბეზირგანი – გაზეთ ზარია ვოსტოკა პლუსმა“ 2000 წ. 17 იანვარს შეგებებული, სარჩელი აღძრა მოსარჩელის წინააღმდეგ და განმარტა, რომ მის მიერ სასაქონლო ნიშანი „ზარია ვოსტოკა პლუსი“ რეგისტრირებულია საქართველოში და მას ეკუთვნის ექსკლუზიური უფლება ისარგებლოს „ზარია ვოსტოკა პლუსის“ სახელწოდებით, გრაფიკითა და დანერილობის ფორმით. აქედან გამომდინარე, სასაქონლო ნიშნის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე მან მოითხოვა აკრძალოს შპს „გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მთლიანი და ნაწილობრივი გამოყენება „ზარია ვოსტოკას“ სახელწოდების და გრაფიკის. გარდა ამისა ინდივიდუალური საწარმო „გიორგი ბეზირგანი – გაზეთ „ზარია ვოსტოკა პლუსი“-თვის მორალური და მატერიალური კომპენსაციის სახით 500 ლარის დაკისრება მის სასარგებლოდ.

სასამართლო კოლეგიამ მოუსმინა მხარეებს, გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ შპს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორის ი.ნებიერიძის სარჩელი უსაფუძვლოა და უარი უნდა ეთქვას, ხოლო ინდივიდუალური საწარმო „გიორგი ბეზირგანი – გაზეთ ზარია ვოსტოკა პლუსის“ შეგებებული სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 1996 წლის 18 დეკემბრის ქ.თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს მიერ რეგისტრაციაში იქნა გატარებული შპს „გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, რომლის რედაქტორია იური ნებიერიძე. მას მინიჭებული აქვს წარმომადგენლობის ყველა უფლებამოსილება. შპს „გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საქმიანობის საგნად განისაზღვრა, საგამომცემლო, პოლიგრაფიული, სასტამბო, სარეკლამო და საინფორმაციო საქმიანობა და მის მიერ წარმოებს გაზეთის გამოშვება სათაურით „ზარია ვოსტოკა“.

1999 წლის 2 მარტს ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ რეესტრში იქნა რეგისტრირებული ინდივიდუალური მენარმე „გიორგი

ბეზირგანი – გაზეთ ზარია ვოსტოკა პლუსი". აღნიშნული მენარმე უშვებს გაზეთის სათაურით „ზარია ვოსტოკა პლიუსი“.

გიორგი ბეზირგანის მიერ 1999 წლის 04.06 შეტანილი იქნა განაცხადი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში“, საქართველოს რესპუბლიკაში სასაქონლო ნიშნის სახელმწიფო რეგისტრაციის თაობაზე. ამ სასაქონლო ნიშნის – „ზარია ვოსტოკა პლუსის“ ნიშნში წარმოდგენილია საქმეში. აღნიშნული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებული იქნა „საქპატენტში“ 2000 წლის 13 იანვარს და გამოქვეყნებული იქნა „საქპატენტის“ სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში (№4).

1999 წლის 20 მაისს შპს „გაზეთ ზარია ვოსტოკას“ რედაქტორის ი.ნებიერიძის მიერ შეტანილი იქნა განაცხადი „საქპატენტში“ სასაქონლო ნიშნის „ზარია ვოსტოკას“ სახელმწიფო რეგისტრაციის თაობაზე. აღნიშნული სასაქონლო ნიშნის ნიშნში წარმოდგენილია საქმეში. 2000 წლის 01.02 გადაწყვეტილებით სახელმწიფო ექსპერტიზის შესახებ ი.ნებიერიძეს უარი ეთქვა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, იმ საფუძველით, რომ „სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი მსგავსია ინდივიდუალური სანარმო „გიორგი ბეზირგანი – გაზეთ ზარია ვოსტოკა პლუსის“ კუთვნილი ნიშნისა, რომელიც რეგისტრირებულია „საქპატენტში“ (რეგ. №13078, თარიღი 13.01.2000წ.).

2000 წლის 8 თებერვალს შპს „გაზეთ ზარია ვოსტოკას“ რედაქტორმა ი.ნებიერიძემ „საქპატენტში“ შეიტანა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც ითხოვდა ინდივიდუალური სანარმო „გიორგი ბეზირგანი – გაზეთ ზარია ვოსტოკა პლუსის“ მიერ სახელმწიფო ექსპერტიზის გადაწყვეტილებით მიღებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებას.

2000 წლის 16 მარტს №3 ბრძანებით „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის თავმჯდომარემ დაამტკიცა სააპელაციო პალატის კოლეგიის 2000 წლის 9 მარტის №057 გადაწყვეტილება გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სააპელაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ.

სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს შპს „გაზეთ ზარია ვოსტოკას“ მხარის განმარტებას იმის თაობაზე, რომ მათი მოთხოვნები ემყარება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1024-1025 მუხლების მოთხოვნებს, რადგან აღნიშნული მუხლები ეხება საავტორო უფლების ობიექტებს, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს და კავშირი არ აქვს ზოგადად გაზეთის გამოშვების აკრძალვასთან მისი სათაურის მოთავსების მიზეზით. სასამართლო ვერ გაიზიარებს ასევე შპს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მოპასუხემ თვითნებურად შეცვალა სასამართლოს მიერ, რეგისტრაციაში გატარებული მისი სახელწოდება, რისთვისაც უნდა აეკრძალოს გაზეთ „ზარია ვოსტოკა პლუსის“ გამოშვება, რადგან ინდივიდუალური სანარმო გიორგი ბეზირგანის მიერ სასამართლოს რეგისტრაციაში გატარებული საფირმო სახელწოდების შეცვლა საქმის მასალებით არ დასტურდება და იგი მესამე პირებთან ურთიერთობებში გამოდის „გიორგი ბეზირგანი – გაზეთ ზარია ვოსტოკა პლუსის“ საფირმო სახელწოდებით, რომელიც მოთავსებულია მის საფირმო ბლანკზე. ინდივიდუალურმა სა-

წარმომ გრაფიკული გამოსახულება „ზარია ვოსტოკა პლუსი“ გამოიყენა მის მიერ გამოშვებული გაზეთის სახელწოდებად და აღნიშნული გამოსახულება დაარეგისტრირა სასაქონლო ნიშნის სახით „საქპატენტში“. ამდენად, მკს გაზეთი „ზარია ვოსტოკას“ სასარჩელო მოთხოვნა გაზეთ „ზარია ვოსტოკა პლუსის“ გამოშვების აკრძალვის თაობაზე მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. შესაბამისად, უსაფუძვლოა მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რამდენადაც ინდივიდუალური საწარმო „გიორგი ბეზირგანი – გაზეთ ზარია ვოსტოკა პლუსის“ მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებული არ იქნა. სასამართლო კოლეგიამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ინდივიდუალური საწარმო „გიორგი ბეზირგანი – გაზეთ ზარია ვოსტოკა პლუსის“ სასაქონლო ნიშანი „ზარია ვოსტოკა პლუსი“ რეგისტრირებული იქნა „საქპატენტის“ მიერ 2000 წლის 13 იანვარს და გამოქვეყნებული იქნა „საქპატენტის“ სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ რეესტრში №4.

საქართველოს კანონის „სასაქონლო ნიშნის შესახებ“ მე-6 მუხლის 1 ნაწილის თანახმად რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიძობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან. მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად კი „განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუკრძალოს შესამე პირს მისი თანმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

მკს „გაზეთ ზარია ვოსტოკას“ განაცხადზე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ „საქპატენტის“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილების მიხედვით განმცხადებელს უარი ეთქვა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე იმ საფუძველით, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდნელი სასაქონლო ნიშანი მსგავსია ინდივიდუალური საწარმო „გიორგი ბეზირგანი – გაზეთ ზარია ვოსტოკა პლუსის“ კუთვნილი ნიშნისა.

მკს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ და ინდივიდუალური საწარმო „გიორგი ბეზირგანი – გაზეთ ზარია ვოსტოკა პლუსის“ საქონელს წარმოდგენს „ნაბეჭდი პროდუქცია, გაზეთები“. ამდენად, ეს საქონელი იდენტურია.

აღნიშნული გარემოებები სასამართლო კოლეგიას საკმარის საფუძველად მიაჩნია იმისათვის, რომ სასაქონლო ნიშნის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად დაკმაყოფილდეს ინდივიდუალური საწარმო „გიორგი ბეზირგანი – გაზეთ ზარია ვოსტოკა პლუსის“ შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მკს „გაზეთ ზარია ვოსტოკასათვის“ „ზარია ვოსტოკა“ – სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვის ნაწილში.

რაც შეეხება ინდივიდუალური საწარმო „გიორგი ბეზირგანი – გაზეთ ზარია ვოსტოკა პლუსის“ მოთხოვნას მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში სასამართლოს იგი დაუსაბუთებლად მიაჩნია, რადგან საქმეში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება ან არგუმენტი, რომელიც დაადასტურდება მორალური ან მატერიალური ზიანის მიყე-

ნებას – 500 ლარის ოდენობით.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა სსკ-ს 243-ე, 244-ე, 247-ე, 248-ე, 249-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლებით,

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. უარი ეთქვას შპს „გაზეთ ზარია ვოსტოკას“ რედაქტორს ი.ნებიერიძეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

2. დაკმაყოფილდეს ინიციატიული საწარმო „გიორგი ბეზირგანი – გაზეთ ზარია ვოსტოკა პლუსის“ შეგვებულ სარჩელი ნაწილობრივ.

3. აეკრძალოს შპს „გაზეთ ზარია ვოსტოკას“ მის მიერ გაზეთის გამოშვებისას გამოყენებული „ზარია ვოსტოკას“ გრაფიკული გამოსახულების შემდგომი გამოყენება.

4. დაეკისროს მოსარჩელე შპს „გაზეთ ზარია ვოსტოკას“ რედაქტორს ი.ნებიერიძეს სახელმწიფო ბაუის 50 ლარის გადახდა, აღნიშნული თანხის 70% – 35 ლარი ჩაირიცხოს სასამართლოთა მატერიალურ ტექნიკური დეპარტამენტის ანგარიშზე, ხოლო 30% – 15 ლარი დიდუბის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე.

5. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში, თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით.



გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№2/2048

11 ივლისი, 2000წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს

მოსამართლე თ. ტაბატაძემ

მ. გაბუნიას მდივნობით

ლია სასამართლო სხდომაზე განვიხილე სამოქალაქო საქმე საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და თბილისის საქალაქო კომიტეტის ბეჭდვითი ორგანო გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორ იური ნებიერიძის სარჩელისა გამო, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“-სა და ინდივიდუალური სანარმოო გიორგი ბეზირგანი „ზარია ვოსტოკა პლუსის“ მიმართ, გაზეთ „ზარია ვოსტოკა პლუსის“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებისა და გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

მოსარჩელე თავის მოთხოვნას საფუძვლად უდებს იმ გარემოებას, რომ გაზეთი „ზარია ვოსტოკას“ გააჩნია საკმაო ხნის წარსული და კარგი ავტორიტეტი, აქვს კარგი რეპუტაცია, საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის მქონეა. გაზეთ „ზარია ვოსტოკა პლუსის“ მიერ ანალოგიური ნიშნის გამოყენება მას დაუმსახურებლად უქმნის ზელსაყრელ პირობებს და ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას.

სასამართლო სხდომაზე არ განოცხადდა მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. მოპასუხებმა იშუამდგომლეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო და განმარტეს, რომ მოსარჩელემ გამოიჩინა აშკარა უპატივისცემლობა სასამართლოსა და მოპასუხეთა მიმართ, როცა მოსარჩელემ სასამართლოში დატოვა განცხადება და მოითხოვა საქმის გადადება ქალაქგარეთ გასვლის მიზეზით ისე, რომ ისიც კი არ განუმარტავს, რატომ და რისთვის გადის ქალაქგარეთ.

სასამართლომ გაითვალისწინა მოპასუხეთა შუამდგომლობა, იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ს 229-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. უარი ეთქვას საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და თბილისის საქალაქო კომიტეტის ბეჭდვითი ორგანო გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორს, იური ნებიერიძეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო.

2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისადმი ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში, ამავე სასამართლოში. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში.

3. სახელმწიფო ბაჟი 30 ლარი გადახდილია წინასწარ.



ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№2-2048-2000

29 დეკემბერი, 2000წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს

მოსამართლე თ. ტაბატაძემ

ე. კვეზერელის მდივნობით

განვიხილე საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და თბილისის საქალაქო კომიტეტის ბეჭდვითი ორგანო გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორის იური ნებიერიძის საჩივარი ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 11 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადდნენ და საჩივრის განხილვაში მონაწილეობდნენ იური ნებიერიძე და მის წარმომადგენელი ქ.სომხიშვილი ინდ.სანარმო გიორგი ბეზირგანი „ზარია ვოსტოკა პლიუსის“ წარმომადგენლები ნ.ბეზირგანი და ა.რობაქიძე.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ა :

2000 წლის 5 მაისს იური ნებიერიძემ აღძრა სარჩელი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტისა“ და ინდივიდუალური საწარმო გიორგი ბეზირგანი „ზარია ვოსტოკა პლიუსის“ მიმართ.

მოსარჩელე ითხოვს ი/ს „გიორგი ბეზირგანი გაზეთ ზარია ვოსტოკა პლიუსის“ „საქპატენტში“ რეგისტრაციის გაუქმებას. ითხოვს აგრეთვე, დაევალოს „საქპატენტს“ გაატაროს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, ხოლო გაზეთ „ზარია ვოსტოკა პლიუსის“ რეგისტრაციის გაუქმების დღიდან (რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან) შეუწყდეს რეგისტრაციით მინიჭებული უფლებებიც“.

2000 წლის 11 ივლისს ამ საქმეზე (№2/2048) გამოტანილი იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო, რითაც უარი ეთქვა იური ნებიერიძეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

იური ნებიერიძემ დაუსწრებელი გადაწყვეტილების პირის ჩაბარებიდან

10 დღის ვადაში შემოიტანა საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საქმის განახლების შესახებ (კერძოდ საჩივარი შემოიტანა 2000 წლის 16 აგვისტოს). 2000 წლის 21 აგვისტოს განჩინებით იური ნებიერიძის საჩივარი მიღებული იქნა და დაინიშნა საქმის (საჩივრის) განხილვა.

თავის საჩივარში იური ნებიერიძე განმარტავს, რომ მან იცოდა 2000 წლის 11 ივლისს საქმის განხილვის შესახებ, მაგრამ მიაჩნია, რომ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადება გამორჩეული იყო საპატიო მიზეზით, რადგან „სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად მოუწია ბათუმში გამგზავრება“ ქალაქის შესაძენად, რაზედაც „მან აცნობა სასამართლოს“.

ინდ.სანარმო გიორგი ბეზირგანი ვაზეთ „ზარია ვოსტოკა კლიუსის“ წარმომადგენლის ნიკოლოზ ბეზირგანისა და ანტონ რობაქიძის განმარტებით საჩივარი უნდა დარჩეს დაუკმაყოფილებელი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა დარჩეს ძალაში, რადგან იური ნებიერიძეს არ გააჩნია არაავითარი საპატიო მიზეზი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გასამართლებლად იგი სარგებლობს თავისი საფირმო ბეჭდითა და თავის თავს გამოუწერა მივლინების ფურცელი თითქოს 2000 წლის 11 ივლისს იწყობოდა მივლინებაში ქ.ბათუმში. მითუმეტეს, რომ თავისივე გაცემული ცნობა (მივლინების ფურცელი) არ არის გამაგრებული სხვა საბუთებით (მაგ. ქალაქის შეძენის ქვითრებით, სამგზავრო ბითულით, მძლოლის საგზურით და ა.შ.).

სასამართლომ მოისმინა არ იური ნებიერიძის ახსნა-განმარტება საჩივართან დაკავშირებით, მოისმინა რა მოპასუხე მხარის ახსნა-განმარტებანი საჩივრის უარყოფასთან დაკავშირებით და გააანალიზა რა ყოველივე, საჩივარზე წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და საქმის გარემოებების გათვალისწინებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჩივარი უნდა დარჩეს დაუკმაყოფილებელი, ხოლო 2000 წლის 11 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა დარჩეს ძალაში, რადგან:

1. იური ნებიერიძეს შეტყობინება 2000 წლის 11 ივლისს საქმის (მისი სასარჩელო განცხადების) განხილვის შესახებ ჩაბარდა კანონით დადგენილი წესითა და დადგენილი ვადის გათვალისწინებით.

2. 2000 წლის 11 ივლისს საქმის განხილვის დღეს იური ნებიერიძემ სასამართლოში დატოვა ამავე დღით რეგისტრირებული განცხადება, სადაც მიუთითა, რომ ვადის ქალაქგარეთ და ითხოვს საქმის გადადებას.

სასამართლომ ეს განცხადება არ გაითვალისწინა, რადგან განცხადებაში მითითებული არ არის თუ რატომ ვადის იური ნებიერიძე ქალაქგარეთ, რა აუცილებლობით არის იგი განპირობებული მაშინ, როცა განხილვაშია მისი სარჩელი, რომელიც ზოგადი ლოგიკის თანახმად იური ნებიერიძისათვის მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. მითუფრო, რომ იური ნებიერიძე არის იმ იურიდიული ერთეულის (გაზეთის) რედაქტორი და დირექტორი, რომლის ინტერესების დაცვასაც ცდილობს თავისი სასარჩელო განცხადებით და მას ქონდა ყველა უფლება და შესაძლებლობა სასამართლო სხდომაზე გამოეგზავნა თავისი წარმომადგენელი უკეთეს თვითონ „გასასვლელი იყო ქალაქგარეთ“.

3. სასამართლომ ვერ გაითვალისწინა აგრეთვე იური ნებიერიძის „მივლინების ფურცელი“, რომლის თანახმადაც იური ნებიერიძე 2000 წლის 11 ივლისიდან 18 ივლისამდე მივლინებულია ქ. ბათუმში „გაზეთის ქალაქის შესაძენად“.

ვერ გაითვალისწინა და ვერ გაიზიარა იური ნებიერიძის ეს თავის მართლება, რადგან იური ნებიერიძემ მივლინება თავის თავს „გამოუნერა“ თვითონვე. მივლინებას დართული არა აქვს მივლინების ფურცელში მითითებული ბრძანება, საგზური ქალაქის ტრანსპორტირებისათვის, ქალაქის შეძენის ქვითრები და ა.შ.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ მართლაც, რომ ყოფილიყო მივლინების საჭიროება იური ნებიერიძეს როგორც ფირმის ხელმძღვანელს შეეძლო მივლინებაში გაეგზავნა თავისი დაქვემდებარებული მუშაკი ან განცხადებაში მიეთითებინა ამის შესახებ, ანდა „მივლინებიდან დაბრუნების“ შემდეგ მაინც დაინტერესებულიყო სასამართლო სხდომის შედეგით (გადაწყვეტილებით). მან სასამართლოს მოაკითხა მხოლოდ გადაწყვეტილებიდან ერთი თვის შემდეგ, თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, 2000 წლის 10 აგვისტოს, ხოლო საჩივარი შემოიტანა 2000 წლის 16 აგვისტოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმჩნია, რომ აშკარა იყო იური ნებიერიძეს უპატივისმცემლობა სასამართლო დანებსებულებისადმი და საპროცესო დისციპლინისადმი, როგორც 2000 წლის 11 ივლისს გადაწყვეტილების გამოცხადებისას, ასევე მის შემდგომაც. გადაწყვეტილების პირის ჩაბარებისას (სხდომის შედეგით დაინტერესებისას) და მაშინაც როცა საჩივართან ერთად წარმოდგენილია დაუსაბუთებელი „მივლინების ფურცელი“. ამიტომაც მივიჩნევ, რომ არ არსებობს 2000 წლის 11 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების (საქმე №2-2048) გაუქმების საფუძველი.

ვიხელმძღვანელებ სსკ-ს 240-ე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ვ ა დ ბ ი ნ ე ე :

1. იური ნებიერიძის საჩივარი დარჩეს დაუქმყოფილებელი და ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 11 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქმეზე №2-2048 დარჩეს ძალაში.

2. ეს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით (ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატაში განჩინების პირის მხარეთათვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, ამავე სასამართლოს მეშვეობით).



გ ა ნ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№33/403

27 აგვისტო, 2001 წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. ნეკელაძე (თავმჯდომარე),
მ. ჩანტლაძე,
ტ. ზამბახიძე

ნ. კორძაძის მდივნობით

განიხილა გაზეთ „ზარია-ვოსტოკას“ რედაქტორის ი. ნეზიერიძის სააპელაციო საჩივარი თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 29 დეკემბრის განჩინებაზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

გაზეთ „ზარია-ვოსტოკას“ რედაქტორმა ი. ნეზიერიძემ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა მოპასუხეების საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ და ინდივიდუალური სანარმო „გიორგი ბეზირგანი – ზარია ვოსტოკა პლუსი“-ს რედაქტორის გიორგი ბეზირგანის მიმართ და მოითხოვა ინდივიდუალური სანარმო „გიორგი ბეზირგანი – გაზეთ „ზარია ვოსტოკა პლუსის“ სასაქონლო ნიშნის „საქპატენტში“ რეგისტრაციის, „საქპატენტის“ სახელმწიფო ექსპერტიზის 2000 წ. 01.02 გადაწყვეტილების გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 1999 წ. 20.05 განაცხადზე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის შესახებ, „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2000 წ. 16.03 №3 ბრძანების და 2000 წლის 9 მარტის №057 გადაწყვეტილების გაუქმება, დაევალოს „საქპატენტს“ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, გაზეთ „ზარია ვოსტოკა პლუსის“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან გაზეთს შეუწყდეს რეგისტრაციით მინიჭებული უფლებები.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ 2000 წლის

11 ივლისს გამოტანილი იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორმა იური ნებიერიძემ საჩივარი შეიტანა რაიონულ სასამართლოში, რომლითაც მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განხილვა.

რაიონული სასამართლოს 2000 წლის 21 აგვისტოს განჩინებით ი.ნებიერიძის საჩივარი მიღებულ იქნა და დაინიშნა საქმის ხელახალი განხილვა, ხოლო 2000 წლის 29 დეკემბრის განჩინებით ი.ნებიერიძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა 2000 წლის 11 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ი.ნებიერიძემ სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს, რომლითაც ითხოვეს ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 29 დეკემბრის განჩინების გაუქმებას და საქმის რაიონულ სასამართლოში დაბრუნებას განსახილველად შემდეგი მოტივით: სარჩელით იგი ითხოვდა ადმინისტრაციული აქტის გაუქმებას, შესაბამისად ადმინისტრაციული საქმის განხილვისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები, რომლის 26¹-ე მუხლით მოცემულ საქმეზე დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, ანუ სახეზეა მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

სააპელაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის სასამართლო განხილვით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორის ი.ნებიერიძის სააპელაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 29 დეკემბრის განჩინება, როგორც უკანონო, ი.ნებიერიძის საჩივარი ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას რაიონული სასამართლოს მიერ დარღვეულია საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის ა) და ბ) პუნქტების მოთხოვნები, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

სასამართლომ საქმის განხილვისას არ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის დებულებები, მათ შორის კოდექსის 2.2-ე მუხლი, რომლის ა) პუნქტის მიხედვით სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს სწორედ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ (რომელიც საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებს) ადმინისტრაციული აქტებია გასაჩივრებული.

შესაბამისად, რაიონულმა სასამართლომ არ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.1 მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვით, ეს კოდექსი განსაზღვრავს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციუ-

ლი საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს.

სასამართლომ არ გამოიყენა ამავე კოდექსის 26¹ მუხლი, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოებაში არ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის დებულებები ანუ დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

მითითებული დარღვევები წარმოადგენს ისეთ საპროცესო სამართლის ნორმების არსებით დარღვევებს, რომელთა დაუცველად ადმინისტრაციულ საქმეზე შეუძლებელია კანონიერი გადაწყვეტილების მიღება, რის გამოც სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ საქმე ხელახლა არსებითად განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, რომელმაც დავა უნდა გადაწყვიტოს ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის დადგენილი პროცედურის ზუსტი დაცვით.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I, მე-12 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 385-ე, 389-ე, 391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. გაზეთ „ზარია-ვოსტოკას“ რედაქტორის ი.ნებიერიძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს 2000 წლის 29 დეკემბრის განჩინება.

3. გაზეთ „ზარია-ვოსტოკას“ რედაქტორის ი.ნებიერიძის საჩივარი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

4. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში, განჩინების მხარეთათვის გადაცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით.



გ ა ნ ჩ ი გ ა

საქართველოს სახელით

№3/64-03

17 იანვარი, 2003წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე თ.ტაბა-ტაძემ

ანა მანიას მდივნობით

ღია სასამართლო სხდომაზე განვიხილე ადმინისტრაციული საქმე საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და თბილისის საქალაქო კომიტეტის ბეჭდვითი ორგანო გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორ იური ნებიერიძის სარჩელისა გამო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტისა“ და ინდივიდუალური საწარმო გიორგი ბეზირგანი „ზარია ვოსტოკა პლუსის“ მიმართ, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ა :

მოსარჩელე ითხოვს ინდივიდუალური საწარმო „გიორგი ბეზირგანი გაზეთი ზარია ვოსტოკა პლუსის“ სასაქონლო ნიშნის „საქპატენტში“ რეგისტრაციის გაუქმებას.

მოსარჩელე თავის მოთხოვნას საფუძვლად უდებს იმ გარემოებას, რომ „გაზეთი ზარია ვოსტოკას“ გაანჩია საკმაო ხნის წარსული და კარგი ავტორიტეტი, აქვს კარგი რეპუტაცია, საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის მქონეა.

გაზეთ „ზარია ვოსტოკა პლუსის“ მიერ ანალოგიური ნიშნის გამოყენება მას დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს და ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას.

2003 წლის 17 იანვრის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე იმ მოტივით, რომ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ წარმომადგენლის განცხადების თანახმად, მოპასუხემ გაუშვა 2002 წლის 13 იანვარს გაუქმებული რეგისტრაციის აღდგენის ვადა და მისი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია აღდგენას აღარ ექვემდებარება. მიაჩნია, რომ სადავო ურთიერთობა მოგვარებულია

და ითხოვს საქმის წარმოების შეწყვეტას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლის I ნაწილის თანახმად „თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი“.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ პუნქტი ითვალისწინებს მხარეთა გაცხადებით ან თავისი ინიციატივით საქმის წარმოების შეწყვეტას იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. ამიტომ ვიხელმძღვანელებ ზ/აღნიშნული კანონებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე, 274-ე მუხლებითა და

და ვ ა დ გ ი ნ ე ე :

1. შეწყდეს ამ საქმის წარმოება საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და თბილისის საქალაქო კომიტეტის ბეჭდვითი ორგანო გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორ იური ნებიერიძის სარჩელისა გამო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრ „საქპატენტისა“ და ინდივიდუალური საწარმო გიორგი ბეზირგანი „ზარია ვოსტოკა პლუსის“ მიმართ, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ.

2. განემარტოს მოსარჩელეს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დაეკაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

3. სახ.ბაჟი მოსარჩელის მიერ გადახდილია წინასწარ.

4. ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შემოტანა ამავე სასამართლოში განჩინების პირის მოსარჩელისათვის ჩაბარებიდან 12 დღის განმავლობაში.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება



დაუსრეპელი გადაწყვეტილება

საქართველოს სახელით

№02ა/38 10 ნოემბერი, 1999 წ.,

ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და
სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი
შემადგენლობით: მ.ჯიყაშვილი (თავმჯდომარე),
გ.გულედანი,
დ.თოდრაძე

ნ.გველესიანის მდივნობით

მოსარჩელე: გიორგი ილიას ძე სარაჯიშვილის წარმომადგენლების
ლ.მუხაშავერიას და თ.სარაჯიშვილის

მოსარჩელე: ნინელი კონსტანტინეს ასული სარაჯიშვილის წარმომად-
გენლის ლ.მუხაშავერიას

მოპასუხე: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული
ცენტრის „საქპატენტის“ წარმომადგენლის ზ.ნეფარიძის

მოპასუხე: სააქციო საზოგადოება „ენისელის“ წარმომადგენლების
თ.ჯაფარიძისა და ნ.ნებიერიძის მონაწილეობით

განიხილა სამოქალაქო საქმე გიორგი და ნინელი სარაჯიშვილების სარჩე-
ლისა გამო მოპასუხეებთან საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ და სს „ენისელი“ სასაქონლო ნიშნის რეგის-
ტრაციის გაუქმების სს „ენისელისათვის“ ზიანის ანაზღაურების დაკისრების,
წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის უკან დაბრუნების, სს „ენისელისათ-
ვის“ სათანადო რეგისტრაციისა და ნებართვის გარეშე სასმელების გამოშვე-
ბა-რეალიზაციის აკრძალვის შესახებ და

გ ა მ მ ა რ კ ვ ი ა :

მოპასუხე სააქციო საზოგადოება „ენისელის“ მიმართვის შემდეგ, საქარ-
თველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენ-

ტის“ მიერ განხორციელებული იქნა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია 1998 წლის სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის №8(34) გამოქვეყნებული იქნა სააქციო საზოგადოება „ენისელის“ სასაქონლო ნიშანი, რომელზეც ასახული იყო დავით სარაჯიშვილის სახელი, მისი ფოტო, საფირმო ნიშანი და გერბი ალკოჰოლურ სასმელზე. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა“ რეგისტრაცია განახორციელა 1998 წლის 17 აპრილს სს „ენისელის“ მიერ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე.

1997 წლის 17 მაისს მოპასუხე სს „ენისელმა“ დადო ხელშეკრულებები დავით სარაჯიშვილის მემკვიდრეებთან, კერძოდ დავით სარაჯიშვილის დების შთამომავლებთან გიორგი და ნიკოლოზ ბრაილოვსკებთან. ელიზავეტა, მანანა და მიხეილ ტარსაიძეებთან და მანანა ერისთავთან. ხელშეკრულებით მემკვიდრეები აძლევდნენ შპს „დავით სარაჯიშვილი და კომპანია“ თავის სამეურნეო-საწარმო საქმიანობისას მისი შეხედულებისა და საჭიროების მიხედვით გამოყენებინათ დავით სარაჯიშვილის სახელი, გვარი და სურათი, აგრეთვე მია მიერ შექმნილი საფირმო ნიშნები, ემბლემები, ეტიკეტები, რეცეპტები და სხვა, რაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის აკრძალული. ამავე ხელშეკრულებით შპს „დავით სარაჯიშვილი და კომპანია“ კისრულობდა ყოველწლიურად გადაეხადა მემკვიდრისათვის სარგო 2000 აშშ დოლარის ოდენობით ან ეროვნული ვალუტა მისი შესაბამისი კურსით. მოსარჩელეთა განცხადებით, მოპასუხეს არ დაუდია ხელშეკრულება სხვა შთამომავლებთან, რომელთა არსებობა ცნობილი იყო მისთვის. აქედან გამომდინარე მოსარჩელები თვლიან, რომ სს „ენისელი“ ვალდებული იყო დაეხსენებინა ყველა იმ პირთა წრე, რომელთა ნებართვა აუცილებელი იყო სარაჯიშვილის სახელით სარგებლობისათვის და მხოლოდ ყველა მათგანთან დადებული ხელშეკრულების შემდეგ შეიძლებოდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. ამასთან, მოსარჩელის განცხადებით, მოპასუხემ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და არ გადაუხადა მემკვიდრეებს ხელშეკრულებით განსაზღვრული სარგო.

მოსარჩელის განცხადებით სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია სააქციო საზოგადოება „ენისელის“ სახელით, ხოლო დავით სარაჯიშვილის შთამომავლებთან დადებული ხელშეკრულების მხარე არის „დავით სარაჯიშვილი და კომპანია“, ანუ ვიდრე მიღებული იქნებოდა შთამომავლების თანხმობა სახელით სარგებლობის შესახებ და დაიდებოდა შესაბამისი ხელშეკრულება, მანამ მოხდა იმ შთამომავლების სახელის უფლებათა ხელყოფა იმით, რომ კომპანიას ეწოდა დავით სარაჯიშვილის სახელი და შემდეგ ამ კომპანიის სახელით იქნა ხელშეკრულება დადებული დავით სარაჯიშვილის სახელის გამოყენებაზე. ხოლო, ვინაიდან ხელშეკრულებას ხელს აწერს იურიდიული პირი სახელწოდებით – „დავით სარაჯიშვილი და კომპანია“, ხოლო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას განახორციელებს სს „ენისელი“, ამის გამო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია უკანონოდ უნდა ჩაითვალოს, ხოლო სახელის ხელყოფა ბრალეულად. გიორგი და ნინელი სარაჯიშვილები აცხადებენ, რომ არიან მემ-

კვიდრები, როგორც მოსარჩელები ითხოვენ გაუქმდეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ 1998 წლის 17 აპრილს განხორციელებული სს „ენისელის“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. ამავე დროს დაეკისროს მოპასუხეს, სს „ენისელს“, მოსარჩელებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, კერძოდ დავით სარაჯიშვილის სახელით გამოშვებული პროდუქტით მიღებული მოგება 1998 წლის 17 აპრილიდან დღემდე, რაც მათი წინასწარი შეფასებით შეადგენს 10000 ლარს. მოსარჩელე ითხოვს ასევე მის მიერ წინასწარ შემოტანილი ბაჟის 250 ლარის უკან დაბრუნებას სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ბ პუნქტის საფუძველზე. მოსარჩელე, დამატებით ითხოვს აეკრძალოს სს „ენისელს“ სათანადო რეგისტრაციისა და ნებართვის გარეშე სასმელების გამოშვება-რეალიზაცია.

მოპასუხის, სს „დავით სარაჯიშვილი და ენისელის“ მიერ უარყოფილი იქნა სარჩელი მთლიანად. მოპასუხის განმარტებით მას ხელშეკრულებები სახელის ექსკლუზიური უფლების გამოყენების შესახებ გაფორმებული აქტს დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის მემკვიდრეებთან და არა მისი პაპის თბილისის გუბერნიის მდივნის დავით სარაჯიშვილის მემკვიდრეებთან, რადგან იგი თავის სასაქონლო ნიშანში იყენებს დიდი ქართველი მრეწველის და მეცენატის, ქართული კონიაკის, არყისა და ლიქიორის სამრეწველო წარმოების ფუძემდებლის სახელს და არა მისი პაპის სახელს, რომელსაც არავითარი კავშირი არა ჰქონია კონიაკისა და არყის წარმოებასთან. მოპასუხის განმარტებით სარჩელი აღძრულია არასათანადო მოსარჩელის მიერ. გ. და ნ. სარაჯიშვილები არიან დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის პაპის დავით სარაჯიშვილის მემკვიდრეები და ისინი არ შეიძლება ჩათვალოს დიდი მრეწველის დ.ზ.სარაჯიშვილის მემკვიდრეებად, რადგან ცოცხლები არიან წინა რიგის მემკვიდრეები. მოპასუხე ითხოვს საქმის წარმოების შეწყვეტას.

მოპასუხე, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა“ შესაგებელი არ წარმოადგინა წერილობით, თუმცა საქმის არსებითად განხილვისათვის მოსამზადებელ სხდომაზე მხარი დაუჭირა სს „ენისელის“ პოზიციას. საქმის არსებითად განხილვისას კი ახსნა-განმარტებაში განაცხადა, რომ „საქპატენტი“ არ ცნობს სარჩელს 1998 წელს მის მიერ განხორციელებული კონიაკი სარაჯიშვილის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, რადგან მანამდე სასამართლომ უნდა გაარკვიოს მოსარჩელეთა მემკვიდრეობის საკითხი.

საქმის განხილვის მთავარ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელების წარმომადგენელმა ლ.მუხაშავერიამ იშუამდგომლა ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, რაც სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული იქნა.

სასამართლო კოლეგიამ შეისწავლა რა საქმის მასალები, მოუსმინა რა მხარეების ახსნა-განმარტებებს, მიაჩნია, რომ გიორგი და ნინელი სარაჯიშვილების სარჩელს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მიერ 1998 წლის 17 აპრილს განხორციელებული სს „ენისელის“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების ნაწილში უარი უნდა ეთქვას

შემდეგი გარემოებებისა გამო:

1998 წლის 17 აპრილს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ განხორციელებულ იქნა სს „ენისე-ლის“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი არის განსხვავებული სიმბოლო ან მათი ერთობლიობა, რომელიც ერთგვაროვანი საქონლის-თვისაა განკუთვნილი და მას სხვა სანარმოს საქონლისაგან განასხვავებს. იგი შეიძლება იყოს სიტყვა, გამოსახულება, ადამიანის სახელი, ასოები, ციფრები და ა.შ. განსახილველ საქმეზე სასაქონლო ნიშანი შედგება დიდი ქართული მრენველის დ.სარაჯიშვილის (1848-1911) სახელის, გვარისა და ფოტოსაგან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1102-ე მუხლის თანახმად სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ხორციელდება ცალკე არსებული კანონის ნორმათა საფუძველზე. მოსარჩელე მიუთითებს სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“ პუნქტზე და აღნიშნავს, რომ მოპასუხეების მიერ დარღვეული იქნა მისი მოთხოვნები, კერძოდ მათგან და სხვა შთამომავლებისაგან არ იქნა აღებული თანხმობა და არ გაფორმდა სათანადო ხელშეკრულებები. სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის დროისათვის, კერძოდ, 1998 წლის 17 აპრილს მოქმედებდა არა მოსარჩელის მიერ მითითებული 1999 წლის 5 თებერვლის კანონი, არამედ დებულება სასაქონლო ნიშნების შესახებ, დაშკიცებული 1992 წლის 16 მარტის №304 დადგენილებით. აღნიშნული დებულებით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის საფუძველთა შორის (მუხლი 2) არის „ვ“ პუნქტში განსაზღვრული საფუძველიც, კერძოდ „ცალკეულ პიროვნებათა, სახელების, გვარების, ფსევდონიმებისა და პორტრეტების გამოყენებაზე მათი თანხმობის არ არსებობა“. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ წარმომადგენლის ზ.ნეფარიძის განმარტებით დაცული იქნა რეგისტრაციის არა მხოლოდ იურიდიული, არამედ მორალური მხარეც და როგორც თავად მოსარჩელებიც ადასტურებენ, დადებული იქნა ხელშეკრულებები დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის მემკვიდრეებად მიჩნეულ პიროვნებებთან, რომლის მიხედვითაც მემკვიდრეები გადასცემდნენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „დავით სარაჯიშვილი და კომპანიას“ ექსკლუზიურ უფლებას თავის სამეურნეო საქმიანობაში მისი შეხედულებისა და საჭიროებისამებრ გამოყენებინათ დავით სარაჯიშვილის სახელი, გვარი და სურათი, აგრეთვე მის მიერ შექმნილი საფირმო ნიშნები, ემბლემები, ეტიკეტები, რეცეპტები და სხვა. სასამართლომ გამოკვლეულად და დადასტურებულად ჩათვალა ის გარემოება, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დავით სარაჯიშვილი და კომპანია“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბემის“ სამართალმემკვიდრე. შპს „ბემი“ კი ქ.თბილისის გლდანის რაიონის სასამართლოს 1996 27 სექტემბრის დადგენილების მიხედვით არის დამფუძნებელი ანუ აქციათა 57,74%-ის მფლობელი სანარმო სს „ენისელში“. აქედან გამომდინარე შპს „დავით სარაჯიშვილი და კომპანია“ არის სს „ენისელის“ ერთ-ერთი მესაკუთრე და ამდენად მას უფლება ჰქონდა ეთხოვა დ.ზ.სარაჯიშვილის მემკვიდრეებისათვის თანხმობა მათი წინაპრის

სახელისა და გვარის, ფოტოს, რეცეპტების, ემბლემების და ა.შ. გამოყენებისათვის, ხოლო შემდეგ კი გამოყენებინა თავისივე ფირმის ინტერესებისათვის. სს „ენისელის“ მიერ დაცული იქნა მოქმედი კანონმდებლობის ნორმები სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისას.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ დაცული იქნა ასევე დებულების მოთხოვნა რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის საჯაროდ გამოქვეყნების შესახებ და იგი, როგორც თავად მოსარჩელებიც განმარტავენ, გამოქვეყნებული იქნა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ 1998 წლის №8(34) ბიულეტენში, რითაც საშუალება მიანიჭა სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებით გამოეთქვა პრეტენზია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რაც მოსარჩელების მიერ არ იქნა გამოყენებული, არ იქნა გასაჩივრებული განხორციელებული რეგისტრაცია „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში.

მოსარჩელები თავის მოთხოვნებს აფუძნებენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის ნორმებზე, კერძოდ პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად პირს, ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმოყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე. მოსარჩელე ვერ ადასტურებს რაში გამოიხატება მისთვის სახელის ტარების უფლების შეცილება ან მისი სახელით უნებართო სარგებლობით, თუ ეს ხდება, როგორც ილახება მისი ინტერესები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის მიხედვით ფიზიკური პირის სახელი შედგება მისი სახელისა და გვარისაგან. ვერც ნინელი სარაჯიშვილი და ვერც გიორგი სარაჯიშვილი ვერ განუმარტავენ სასამართლოს ვის მიერაა მათი სახელების შეცილება განხორციელებული ან ვინ ისარგებლა მათი ნებართვის გარეშე „ნინელი სარაჯიშვილის“ ან „გიორგი სარაჯიშვილის“ სახელით. ამდენად მოსარჩელების მოთხოვნა – სამოქალაქო კოდექსის 18-ე მუხლის ნორმათა გათვალისწინებით მოხდეს „საქპატენტის“ მიერ განხორციელებული სს „ენისელის“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება, არ შეიძლება იქნეს გაზიარებული და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან მოსარჩელები ვერ უკავშირებენ თავის სასარჩელო მოთხოვნებს კანონის იმ ნორმას, რომელსაც დარღვეულად მიიჩნევენ. დ.სარაჯიშვილის სახელის გამოყენების აკრძალვა არ შეიძლება მოთხოვილი იქნეს ნინელი და გიორგი სარაჯიშვილების მიერ ს.კ.-ს 18-ე მუხლის პირველი პუნქტით.

მოსარჩელეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით და მათივე განმარტებით დადგინდა, რომ მოსარჩელები – გიორგი და ნინელი სარაჯიშვილები არიან დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის (1848-1911) ბიძაშვილის შვილის შვილები, ხოლო ის პირები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ი.სარაჯიშვილის სახელის, გვარის, ფოტოს, მის მიერ შექმნილი საფირმო ნიშნის, ემბლემების, ეტიკეტების, რეცეპტების და სხვათა ექსკლუზიური უფლების გადაცემის შესახებ არიან დ.სარაჯიშვილის შვილიშვილის შვილე-

ბი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის თანახმად დები და ძმები, დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები არიან მეორე რიგის მემკვიდრეები, ხოლო ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები და მათი შვილები კი მეხუთე რიგის მემკვიდრეები. ხელშეკრულებაზე ბელის მომწერი შთამომავლებიც და მოსარჩელებიც სცილდებიან კანონმდებლის მიერ განსაზღვრულ მემკვიდრეთა წრეს და მათ კანონისმიერი მემკვიდრის სტატუსი აღარ მიენიჭებათ. სასამართლომ გამოიკვლია ის გარემოება, რომ არცერთ მათგანს მემკვიდრის მონაგობა არ მიუღია, თუმცა ისინი თავიანთ მოთხოვნებს კატეგორიულად აყენებენ, სწორედ, როგორც მემკვიდრეები.

მოსარჩელები, სარჩელში მიუთითებენ მენარმეთა კანონის 68-ე მუხლზე, რომლის თანახმად „სანარმოს შემძენს შეუძლია გამოიყენოს ადრინდელი საფირმო სახელწოდება სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატების დართვით ან უამისოდ, თუკი ადრინდელი მფლობელი, მისი მემკვიდრეები ან საზოგადოების კანონიერი წარმომადგენლები თანახმა არიან“. ამ მუხლზე მითითებით მოსარჩელებს არა აქვთ დ.სარაჯიშვილის სახელის გამოყენებაზე აკრძალვის მოთხოვნის უფლება სამოქალაქო კოდექსის ზემოთ მითითებული იგივე ნორმებიდან გამომდინარე. ამასთან ერთად, აღნიშნული ნორმა განმარტავს სანარმოს შემძენის უფლებას და არა მოვალეობას გამოიყენოს შეძენილი სანარმოს სახელწოდება. იმედგეროულად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულობებით მოპასუხე სს „ენისელი“ არის სახელმწიფო სანარმოს დ.სარაჯიშვილის სახელობის კონიაკის წარმოების ქარხანა „ენისელის“ მემკვიდრე და შესაბამისად თანხმობაც მისგან უსდა ეთხოვა და არა გარეშე პირებისაგან.

იმდენად, რამდენადაც მოსარჩელები ითხოვენ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ 1998 წლის 17 აპრილის განხორციელებული სს „ენისელის“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებას როგორც მემკვიდრეები, სასამართლოს მიერ გამორკვეული და დადგენილი იქნა, რომ მოსარჩელები კანონით განსაზღვრულ მემკვიდრეთა წრეში არ შედიან და ამიტომ წარმოადგენენ არასათანადო მოსარჩელებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის თანახმად „სასამართლო, რომელიც საქმის განხილვის დროს დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, შეუძლია მოსარჩელის თანხმობით საქმის შეუნყევეტლად შეცვალოს თავდაპირველი მოსარჩელე სათანადო მოსარჩელით“. სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა, ასევე, რომ არ არსებობს სათანადო მოსარჩელე, რომლითაც შეიძლება შეიცვალოს არასათანადო მოსარჩელე, რადგან დ.ზ.სარაჯიშვილს არ დარჩენია ისეთი შთამომავალი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით განსაზღვრულ მემკვიდრეთა წრეს მიეკუთვნება. სასამართლოს შეუძლებლად მიაჩნია არასათანადო მოსარჩელის სათანადო მოსარჩელით შეცვლა განხორციელდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის შესაბამისად.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე, 1102-ე, 17-ე, 18-ე მუხლებით, საქართველოს მენარმეთა

შესახებ კანონის 68-ე მუხლის, 1992 წლის 16 მარტის დებულებით სასაქონლო ნიშნების შესახებ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე, 243-ე, 244-ე, 245-ე, 249-ე, 257-ე, 391-ე და 397-ე მუხლებით

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

მოსარჩელების, გიორგი ილიას ძე სარაჯიშვილისა და ნინელი კონსტანტინეს ასულ სარაჯიშვილების სარჩელს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ 1998 წლის 17 აპრილს განხორციელებული სს „ენისელის“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების ნაწილში ეთქვას უარი.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ერთი თვის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით.



დაუსწრებელი გადაწყვეტილება

საქართველოს სახელით

№02ა/38 19 ნოემბერი, 1999 წ.,

ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი
შემადგენლობით: მ. ჯიყაშვილი (თავმჯდომარე),
გ. გულედანი,
დ. თოდრაძე

ნ.გველესიანის მდივნობით

მოსარჩელების დაუსწრებლად

მოპასუხე: სს „ენისელის“ წარმომადგენლების ნ.ნებიერიძის, თ.ჯაფარიძის

მოპასუხე: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ წარმომადგენლის ზ.ნეფარიძის მონაწილეობით

განიხილა სამოქალაქო საქმე გიორგი და ნინელი სარაჯიშვილების სარჩელისა გამო, მოპასუხებთან – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ და სს „ენისელი“ – სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების, სს „ენისელისათვის“ ზიანის ანაზღაურების დაკისრების, წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის უკან დაბრუნების, სს „ენისელისათვის“ სათანადო რეგისტრაციისა და ნებართვის გარეშე სასაქონლო გამოძევა-რეალიზაციის აკრძალვის შესახებ და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1998 წლის 17 აპრილს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტი“ განახორციელა სს „ენისელი“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, რომელიც სამრეწველო საკუთრების ეროვნული ცენტრის იმავე წლის ოფიციალური ბიულეტენის №8(34)-ში იქნა გამოქვეყნებული. გამოქვეყნებულ სასაქონლო ნიშანში ასახული იყო დიდი ქართველი მრეწველის დავით სარაჯიშვილის სახელი, მისი ფოტო, საფირმო ნიშანი და გერბი ალკოპოლურ სასმელზე. 1997 წლის 17 მაისს მოპასუხემ, სს „ენისელმა“, დადო ხელშეკრულებები დავით სარაჯიშვილის მემკვიდრეებთან, კერძოდ დავით სარაჯიშვილის დების შთამომავლებთან: გიორგი და ნიკოლოზ ბრაილოვსკებთან, ელიზავეტა, მანანა და მიხეილ ტარსაიძეებთან და მანანა ერისთავთან. ხელშეკრულებით ისინი გადასცემდნენ უფლებას შპს „დავით სარაჯიშვილი და კომპანია“ თავის სამეურნეო საწარმოო საქმიანობაში მისი შეხედულებებისა და საჭიროების მიხედვით გამოიყენებინა დავით სარაჯიშვილის სახელით, გვარი და სურათი, აგრეთვე მის მიერ შემქმნილი საფირმო ნიშნები, ემბლემები, ეტიკეტები, რეცეპტები და სხვა, რაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის აკრძალული. მოსარჩელთა განცხადებით, მოპასუხეს არ დაუდია ხელშეკრულება სხვა წარმომადგენლებთან. აქედან გამომდინარე, მოსარჩელები თვლიან, რომ სს „ენისელი“ ვალდებული იყო დაეზუსტებინა იმ პირთა წრე, რომელთა ნებართვა აუცილებელი იყო სარაჯიშვილის სახელით სარგებლობისათვის და მხოლოდ ყველა მათგანთან დადებული ხელშეკრულების შემდეგ შეიძლებოდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. მოსარჩელის განცხადებით, არ შესრულდა მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ხელშეკრულებაზე ხელმოწერილი მემკვიდრეებისათვის ყოველწლიური სარგოს 2000 (ორი ათასი) აშშ დოლარის გადახდის შესახებ.

მოსარჩელის განცხადებით სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია სააქციო საზოგადოება „ენისელის“ სახელით, ხოლო დავით სარაჯიშვილის შთამომავლებთან დადებული ხელშეკრულების მხარე არის „დავით სარაჯიშვილი და კომპანია“, ანუ ვიდრე მიღებული იქნებოდა შთამომავლების თანხმობა, სახელით სარგებლობის შესახებ და დაიდებოდა შესაბამისი ხელშეკრულება, მანამ მოხდა იმ შთამომავლების სახელის უფლებათა ხელყოფა იმით, რომ კომპანიას ეწოდა დავით სარაჯიშვილის სახელი და შემდეგ ამ კომპანი-

ის სახელით იქნა ხელშეკრულება დადებული დავით სარაჯიშვილის სახელის გამოყენებაზე; ხოლო, ვინაიდან ხელშეკრულებას ხელს აწერს იურიდიული პირი სახელწოდებით – „დავით სარაჯიშვილი და კომპანია“, ხოლო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას განახორციელებს სს „ენისელი“, ამის გამო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია უკანონოდ უნდა ჩაითვალოს, ხოლო სახელის ხელყოფა ბრალეულად. გიორგი და ნინელი სარაჯიშვილები აცხადებენ, რომ არიან მემკვიდრეები და როგორც მოსარჩელები, ითხოვენ გაუქმდეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ 1998 წლის 17 აპრილს განხორციელებული სს „ენისელის“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. იგივე საფუძვლებიდან გამომდინარე მოსარჩელები ითხოვენ დაეკისროს მოპასუხეს, სს „ენისელს“, მოსარჩელებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, კერძოდ დავით სარაჯიშვილის სახელით გამოშვებული პროდუქციით მიღებული მოგება 1998 წლის 17 აპრილიდან დღემდე, რაც მათი წინასწარი განმარტებით შეადგენს 10000 ლარს. მოსარჩელე ასევე ითხოვს, მის მიერ წინასწარ გადახდილი ბაჟის 250 ლარის უკან დაბრუნებას სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ბ პუნქტის საფუძველზე. იმავე დროს, მოსარჩელები ითხოვენ აეკრძალოს სს „ენისელს“ სათანადო რეგისტრაციისა და ნებართვის გარეშე საამქლების გამოშვება-რეალიზაცია.

მოპასუხე სს „დავით სარაჯიშვილი და ენისელი“ მიერ სარჩელზე წარმოდგენილ შესაგებელში უარყოფილი იქნა სარჩელი მთლიანად, ხოლო მოსარჩელეთა შუამდგომლობით სარჩელის ნაწილის არსებითად მთავარ სხდომაზე განხილვისას კი სარჩელის ნაწილი, რომლითაც მოსარჩელები ითხოვდნენ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებას. მოპასუხის განმარტებით მას ხელშეკრულებები სახელის ექსკლუზიური უფლების გამოყენების შესახებ გაფორმებული აქვს დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის მემკვიდრეებთან და არა დავითის პაპის, თბილისის გუბერნიის მდივნის დავით სარაჯიშვილის მემკვიდრეებთან, რადგან იგი თავის სასაქონლო ნიშანში იყენებს დიდი ქართველი მრეწველის და მეცენატის, ქართული კონიაკის, არყისა და ლიქიორის სამრეწველო წარმოების ფუძემდებლის სახელს და არა მისი პაპის სახელს, რომელსაც არავითარი კავშირი არა ჰქონდა კონიაკისა და არყის წარმოებასთან. მოპასუხის განმარტებით სარჩელი აღძრულია არასათანადო მოსარჩელის მიერ. გიორგი და ნინელი სარაჯიშვილები არიან დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის პაპის დავით სარაჯიშვილის მემკვიდრეები და ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს დიდი მრეწველის დ.ზ.სარაჯიშვილის მემკვიდრეებად, რადგან ცოცხლები არიან წინა რიგის მემკვიდრეები. მოპასუხე ითხოვს უარი ეთქვას სარჩელს.

მოპასუხე, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“, მხარს უჭერს მეორე მოპასუხის პოზიციას და განმარტავს, რომ სარჩელის ნაწილის განხილვის შედეგად გამოტანილი გადანყეტილებით ნათელი გახდა, რომ იგივე საფუძველით უარი უნდა ეთქვას სარჩელის დანარჩენი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზეც.

ა/წლის 10 ნოემბერს სასამართლო კოლეგიის მიერ სარჩელის მათი მოთ-

ხოენის ნანილში გამოტანილი იქნა ნანილობრივი გადაწყვეტილება.

მოსარჩელეთათვის ცნობილი იყო სასამართლოს მთავარი სხდომის დღე, მაგრამ ისინი არ გამოცხადდნენ სხდომაზე და არც აცნობეს სასამართლო კოლეგიას მათი გამოუცხადებლობის მიზეზები.

მოპასუხეები შუამდგომლობენ გამოტანილი იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დანარჩენ მოთხოვნათა მიმართ და უარი ეთქვას სასარჩელო მოთხოვნებს დაკმაყოფილებაზე.

სასამართლო კოლეგიას მიზანშეწონილად მიაჩნია მთლიანად იქნეს გაზიარებული მოპასუხეთა ახსნა-განმარტებები და მათი მოთხოვნები.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქრთველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 42-ე, 49-ე, 229-ე მუხლის პირველი ნაწილით, 234-ე, 236-ე, 237-ე მუხლებით, საქრთველოს კანონის, სახელმწიფო ბაჟის შესახებ, მე-6 და მე-5 მუხლებით

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

უარი ეთქვას გიორგი ილიას ძე სარაჯიშვილისა და ნინელი კონსტანტინეს ასული სარაჯიშვილის სასარჩელო მოთხოვნას სს „ენისელისათვის“ ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ.

უარი ეთქვას გიორგი ილიას ძე სარაჯიშვილისა და ნინელი კონსტანტინეს ასულ სარაჯიშვილის სასარჩელო მოთხოვნას სს „ენისელისათვის“ სათანადო რეგისტრაციისა და ნებართვის გარეშე სასმელების გამოშვება-რეალიზაციის აკრძალვის შესახებ.

დაუბრუნდეს გიორგი ილიას ძე სარაჯიშვილსა და ნინელი კონსტანტინეს ასულ სარაჯიშვილს შეტანილი სახელმწიფო ბაჟიდან 125 ლარი ადგილობრივი საფინანსო ორგანოებიდან.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ათი დღის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოში.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3ვ-ად-3-კს

20 მარტი, 2000 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ი. ტაბუცაძე (თავმჯდომარე),
ნ. სხირტლაძე,
ნ. კლარჯეიშვილი

განიხილა გიორგი სარაჯიშვილის წარმომადგენლის ლ.მუხაშავერიას კერძო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 4 იანვრის განჩინებაზე.

სასამართლომ გაემოარკვნია :

1999 წლის 31 დეკემბერს გიორგი სარაჯიშვილმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს, რომლითაც ითხოვდა მის სარჩელზე გამოტანილი ნაწილობრივ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენას. ვადის გაშვების მიზეზად გ.სარაჯიშვილი ასახელებდა იმას, რომ ვერ მოახერხა წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაგრძელება, იგი არის 84 წლის ხანდაზმული, ავადმყოფი მოხუცი. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ 04.01.2000წ. განჩინებით უარი თქვა საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენაზე უსაფუძვლობის გამო. აღნიშნული განჩინების გაუქმების და გაშვებული საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენის მოთხოვნით გ.სარაჯიშვილის წარმომადგენელმა ლ.მუხაშავერიამ კერძო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ გ.სარაჯიშვილის წარმომადგენლის ლ.მუხაშავერიას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1999 წლის 10 ნოემბერს გიორგი და ნინელი სარაჯიშვილების სარჩელზე გამოტანილი იქნა ნაწილობრივი გადაწყვეტილება. მის გამოცხადებას ესწრებოდნენ მხარეები, რის შედეგადაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტა-

ნის ვადის დენა დაიწყო მისი გამოცხადების მომენტიდან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლით დადგენილი საკასაციო საჩივრის შეტანის ერთთვიანი ვადა წარმოადგენს ალკვეთი ხასიათის ვადას, რომლის გაგრძელება არ დაიშვება, ამდენად მასზე ვერ გავრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ვადის აღდგენის წესები, მით უფრო, რომ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიო მიზეზით არ მომხდარა. საკასაციო პალატა არ ეთანხმება კერძო საჩივარში გაშვებული ვადის აღდგენის საფუძვლად გ.სარაჯიშვილის მიერ ზანდაზმულობის და ავადმყოფობის გამო წარმოზადგენლებთან ხელშეკრულების დადების შეუძლებლობის მოშველიებას. საქმის მასალებში დაცულია გ.სარაჯიშვილის მიერ გაცემული რწმუნებულებები, რომლითაც გ.სარაჯიშვილმა თავისი საპროცესო უფლებები მიანიჭა ლ.მუხაშავერიას და თ.სარაჯიშვილს 2000 წლის 16 სექტემბრამდე, რის გამოც მას არ სჭირდებოდა ამ ხელშეკრულების ვადის გაგრძელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კერძო საჩივარს თვლის დაუშვებლად და ამკარად უსაფუძვლოდ. სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე, 397-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. გ.სარაჯიშვილის წარმომადგენლის ლ.მუხაშავერიას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№2ა/ა-199-2001

5 ნოემბერი, 2001წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და
სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი
შემადგენლობით: ქ. დუგლაძე (თავმჯდომარე),
მ. ჯიყაშვილი,
მ. ლიბრაძე

მხარეთა ზეპირა მოსამენის გარეშე განიხილა მოსარჩელებების მიხეილ ტარსაიძის, მანანა ტარსაიძის, ელისაბედ ტარსაიძის, გიორგი ბრიალოვსკის განცხადება სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელები, როგორც დავით სარაჯიშვილის მენეჯერები სასარჩელო განცხადებით ითხოვენ აეკრძალოთ მოპასუხეებს სს „სარაჯიშვილი და ენისელი“; შპს „დავით სარაჯიშვილი და ალკო“; შპს „დავით სარაჯიშვილი და კომპანია“; შპს „არგო“ რესტორანი „დავით სარაჯიშვილი“; სსიპ „საქპატენტი“ დავით სარაჯიშვილის სახელითა და ფიზიკო-გამოსახულებით უნებართვოდ სარგებლობა.

მოსარჩელებმა სარჩელის წარმოდგენისას იშუამდგომლეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ და წარმოადგინეს მათი ქონებრივი (ფინანსური) მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტები: საპენსიო მონმობა და ცნობები სამუშაო ადგილიდან თვიური ხელფასის შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსარჩელეთა განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლია მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა.

წარმოდგენილი მდკიცებულებებით ირკვევა, რომ ელისაბედ ტარსაიძე იღებს მოხუცებულობის პენსიას 9 ლარის ოდენობით; მიხეილ ტარსაიძე მუშაობს სასწრაფო სამედიცინო დახმარების №9 ქვესადგურში ექიმ-თერაპევტად, რომლის საშუალო ხელფასია 51,70 ლარი; მანანა ტარსაიძე მუშაობს საგ „ისარში“ უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად და მისი ხელფასია 41 ლარი და ამჟამად იმყოფება უხელფასო შევებულებაში; გიორგი ბრიალოვსკის თვიური ხელფასი შეადგენს 57 ლარს.

მოსარჩელები წარმოადგენენ ფიზიკურ პირებს და მათი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე ისინი ვერ შეძლებენ სახელმწიფო ბაჟის 5000 ლარის გადახდას, რისი გათვალისწინებითაც სსკ-ს 48-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა სსკ-ს 48-ე, 56-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და დაადგინა:

სარეზოლუციო ნაწილი:

1. დაკმაყოფილდეს მოსარჩელების მიხეილ ტარსაიძის, მანანა ტარსაიძის, ელისაბედ ტარსაიძის, გიორგი ბრიალოვსკის განცხადება სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ და გადაუვადდეთ სახელმწიფო ბაჟის გადახდა გადაწყვეტილების გამოტანამდე.

2. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით მხარეთათვის განჩინების ასლის ჩაბარებიდან 12 დღის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოში.

**მსგავსი სასაქონლო ნიშნის გამოყენების შედეგად მიყენებული
ზიანის ანაზღაურება**



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№02ა/84 26 იანვარი, 2001 წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და
სამენარმეო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი
შემადგენლობით: მადი ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
ქეთევან დუგლაძე,
დავით თოდრაძე

სხდომის მდივანი: ნინო ჩომახიძე

განიხილა სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა შუამდგომლობა
მორიგების შესახებ შეთანხმების დამტკიცების თაობაზე, სამოქალაქო საქ-
მეზე №02ა/84, სს „რუსთავეცემენტის“ სარჩელის გამო შპს „სინათლის“ მი-
მართ მსგავსი სასაქონლო ნიშნის გამოყენების შესახებ მიყენებული ზიანის
ანაზღაურების შესახებ.

სასამართლო კოლეგიამ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

მოსარჩელე სს „რუსთავეცემენტმა“ სარჩელით მომართა თბილისის სა-
ოლქო სასამართლოს შპს „სინათლის“ მიმართ, მსგავსი სასაქონლო ნიშნის
გამოყენების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში მიუთითა, რომ მოპასუხემ ცე-
მენტის რეალიზაცია განახორციელა იმგვარ შესაფუთ ტარაში დაფასოე-
ბით, რომელზეც დატანილი იყო მისი, საქართველოში საყოველთაოდ ცნო-
ბილი, სასაქონლო ნიშნის მსგავსი სასაქონლო ნიშანი, რითაც მატერიალუ-
რი და მორალური ზიანი მიადგა მას.

მოსარჩელე ითხოვს: მისი სასაქონლო ნიშანი ცნობილი იქნეს საქართვე-
ლოში საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად, აეკრძალოს მოპასუხეს
მისი სასაქონლო ნიშნის მსგავსი სასაქონლო ნიშნის გამოყენება, დაეკის-

როს მოპასუხეს მორალური და მატერიალური ზიანის ანაზრაურება 40.000 ლარის ოდენობით, განადგურებული იქნეს მისი სასაქონლო ნიშნის მსგავსი სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული მოპასუხის კუთვნილი ცემენტის შესაფუ-
თი ტარა.

მოპასუხე შპს „სინათლე“ სარჩელს არ ცნობს, ვინაიდან მიაჩნია, რომ სა-
დავო სასაქონლო ნიშნები არ არის მსგავსი და არც შეიძლება მათი მსგავსად
მიიჩნევა; ასევე, სადავო სასაქონლო ნიშანზე მისი უპირატესობა სათუო არ
არის, რადგან „საქპატენტში“ ნარდგენილი აქეთ განაცხადი სასაქონლო
ნიშნის რეგისტრაციაზე.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეებმა განაცხადს, რომ მათ შორის
ნიღნეულია შეთანხმება და იშუამდგომლეს სასამართლოს წინაშე მორიგე-
ბის აქტის დამტკიცების თაობაზე.

ა) მხარეებმა დასამტკიცებლად წარმოადგინეს შეთანხმება №1/21-11
25.01.01 მორიგების შესახებ, შემდეგი პირობებით:

ბ) 1. ამ შეთანხმებით „სინათლე“ ადასტურებს „რუსტავცემენტის“ პრიო-
რიტეტულ უფლებას სასაქონლო ნიშანზე და იღებს ვალდებულებას:

გ) არ დაუშვას მის მიერ გამოყენებული „რუსთავცემენტის“ სასაქონლო
ნიშნის მსგავსი სასაქონლო ნიშნის შემდგომი გამოყენება;

გააუქმოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ „საქპატენტში“ შე-
ტანილი განაცხადი;

გადაიხადოს ექსპერტის გასამრჯელო.

2. დავის საგნიდან გამომდინარე „რუსთავცემენტს“ „სინათლის“ მიმართ,
გარდა წინამდებარე შეთანხმების 1.1 პუნქტისა, სხვა არანაირი მოთხოვნა ან
სამართლებრივი და ფინანსური სახის პრეტენზია არ გააჩნია.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ მხარეთა შუამდგომლობა მორიგე-
ბის შესახებ შეთანხმების დამტკიცების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს ვი-
ნაიდან: სსკ-ის მე-3 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით მხარეებს შეუძლიათ
საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. სსკ-ის 218-ე მუხლის მეორე
პუნქტით სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კა-
ნონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით
დაამთავრონ.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ უნდა შეწყდეს სამოქალაქო საქმის
№02ა/84 წარმოება, ვინაიდან სსკ-ის 272-ე მუხლის „დ“ პუნქტის საფუძველ-
ზე სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგდნენ.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო
საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილით, 218-ე მუხლის მე-4 ნა-
წილით, 272-ე მუხლის „დ“ პუნქტით, 49-ე, 273-ე, 274-ე, 284-ე, 285-ე, 416-ე
მუხლებით, საალსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის მე-
ორე მუხლის „ე“ პუნქტით,

დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა მორიგების შესახებ შეიან-ნმების დამტკიცების თაობაზე.

ა) დამტკიცდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი შეთანხმება №1/21-11 25.01.01 მორიგების შესახებ, შემდეგი პირობებით:

ბ) 2.1 შპს „სინათლე“ ადასტურებს „რუსთავეცემენტის“ პრიორიტეტულ უფლებას სასაქონლო ნიშანზე და იღებს ვალდებულებას;

გ) შპს „სინათლემ“ არ დაუშვას მის მიერ გამოყენებული „რუსთავეცემენტი“-ს მსგავსი სასაქონლო ნიშნის შემდგომი გამოყენება.

2. შპს „სინათლემ“ გააუქმოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ „საქქატივტიში“ შეტანილი განაცხადი;

3. შპს „სინათლემ“ გადაიხადოს ექსპერტის გასამრჯელო.

4. დავის საგნიდან გამომდინარე „რუსთავეცემენტს“ „სინაოლის“ მიმართ, გარდა წინამდებარე შეთანხმების 1.1 პუნქტისა სხვა არანაირი მოთხოვნა არ სამართლებრივი და ფინანსური სახის პრეტენზია არ გააწვია.

5. შეწყდეს სამოქალაქო საქმის №02ა/84 წარმოება. სს „რუსთავეცემენტი“-ს სარჩელის გამო შპს „სინათლის“ მიმართ, მსგავსი სასაქონლო ნიშნის გამოყენებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

6. განემარტოს მხარეებს სასამართლოსთვის ხელმოკრედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

7. განემარტოს მხარეებს, მათ მიერ მორიგების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ეს განჩინება შეიძლება აღსრულდეს იძულებითი წესით.

8. დაუბრუნდეს სს „რუსთავეცემენტს“ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 800 ლარის ნახევარი, 400 ლარი. ამ თანხის 70% – 280 ლარი დაბრუნებული იქნეს საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელ ორგანოთა მომსახურების №1 სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან №000141107, ხოლო 30% – 120 ლარი დაბრუნებული იქნეს დიდუბის რაიონის ტერიტორიული ბიუჯეტის დასაბრუნებელი ანგარიშიდან №100137202.

დაეკისროს შპს „სინათლეს“ ექსპერტ ზურაბ მეფარიძის სასარგებლოდ, მის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების, 400 ლარის ანაზღაურება.

განჩინება გასაჩივრდება კერძო საჩივრით თბილისის საოლქო სასამართლოში, განჩინების გამოცხადებიდან 12 დღის განმავლობაში.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმის გადაცემის შესახებ განსჯად სასამართლოსათვის

№03ა/54 22 მარტი, 2000წ., ქ.თბილისი

ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული
სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი
შეჰადგენლობით: **ტ. ზამბახიძე (თავმჯდომარე),**
ი. თოდრია,
ი. ლეგაშვილი

ნ. კაბულაშვილის მდივნობით

განიხილა საქმის მასალები მოსარჩელე ორგანიზაციის დიდი ბრიტანეთის კომპანია „მაკლარენ ინტერნეშნელ ლიმიტიდ“-ის სარჩელისა გამო მოპასუხე ორგანიზაციების საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტისა“ და ინგლისური კომპანია „ბატმარკ ლიმიტიდ“-ის მიმართ დიდი ბრიტანეთის კომპანია „მარტმარკ ლიმიტიდ“-ის საქართველოში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „McLAREN“ ბათილად ცნობის მოთხოვნის შესახებ.

საქმეში არსებული დოკუმენტების საფუძველზე სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი.

ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 2 მარტს სარჩელით მიმართა დიდი ბრიტანეთის კომპანია „მაკლარენ ინტერნეშნელ ლიმიტიდ“-ის წარმომადგენელმა – პატენტრწმუნებულმა შალვა გვარამაძემ მოპასუხე ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტისა“ და ინგლისური კომპანია „ბატმარკ ლიმიტიდ“-ის მიმართ და მოითხოვა: ა) სასამართლომ ცნოს სიტყვა „McLAREN“, როგორც საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშანი კომპანია „მაკლარენ ინტერნეშნელ ლიმიტიდ“-ის სახელზე და ამ მიზეზით გააუქმოს საქართველოში რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნისა „McLAREN“ კომპანია „ბატმარკის“ სახელზე; ბ) პარიზის კონვენციის მეშვეობით საფუძველზე გააუქმოს რეგისტრაცია საქართველოში რეგის-

ტრირებულ სასაქონლო ნიშნისა „McLAREN“ კომპანია „ბატმარკის“ სახელზე, რადგან სიტყვა „McLAREN“ ძირითადი დატვირთვის მატარებელია მოსარჩელის სახელწოდებისა – „მაკლარენ ინტერნეშნელ ლიმიტიდ“.

სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 6 მარტის განჩინებით სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული, როგორც განსჯადი სასამართლო, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის „ბ“ პუნქტი არ ენიშნავს დეკლარაციას და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლს.

საქმის მომზადების სტადიაზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლში 2000 წლის 24 თებერვალს შეტანილი იქნა ცვლილებები და „ბ“ პუნქტის თანახმად საოლქო სასამართლოები პირველი ინსტანციის ნუსით განიხილავენ სარჩელს „საქართველოს სამთავრობო დაწესებულების, პრეზიდენტის გამგებლობაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, სხვა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის, აგრეთვე მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე“.

ამდენად, საოლქო სასამართლოს პირველი ინსტანციით განსჯადი გახდა ისეთი საქვეუწყებო დაწესებულების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე აღძრული სარჩელები, რომლებით პრეზიდენტის გამგებლობაშია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 აპრილის №210 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს დებულების მე-8 თავის „ე“ პუნქტის შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება და იგი არ წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ, პრეზიდენტის გამგებლობაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, რომლის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე აღძრული სარჩელები საოლქო სასამართლოს პირველი ინსტანციით განსჯადია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე. არაუფლებამოსილ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის უფლებამოსილ სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლში 2000 წლის 24 თებერვალს შეტანილი ცვლილებებით (რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის 9 მარტს) ქ.თბილისის საოლქო სასამართლო აღნიშნული სარჩელის განხილვის არაუფლებამოსილი სასამართლო გახდა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, „სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს განიხილავენ რაიონული სასამართლოები, გარდა ამ

კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა". როგორც უკვე აღუნიშნეთ, წარმოდგენილი სარჩელი არ განეკუთვნება მე-6 მუხლში აღნიშნულ სარჩელთა კატეგორიას, რის გამოც სარჩელი განხილული უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის შესაბამისად მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-5, მე-6 და 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, 24-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა :

1. დიდი ბრიტანეთის კომპანია „მაკლარენ ინტერნეშნელ ლიმიტიდ“-ის წარმომადგენლის – პატენტრწმუნებული შალვა გვარამაძის სარჩელი მოპასუხე ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტისა“ და ინგლისური კომპანია „ბატმარკ ლიმიტიდ“-ის მიმართ დიდი ბრიტანეთის კომპანია „ბატმარკ ლიმიტიდ“-ის საქართველოში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „McLAREN“ ბათილად ცნობის მოთხოვნის შესახებ გადაეგზავნოს განსჯადობისამებრ უფლებამოსილ ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს.

2. საქმის გადაგზავნის შესახებ ეცნობოს მხარეებს.

3. განჩინება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.



გ ა დ ა ნ ე ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№2/155-2001 5 თებერვალი, 2001 წ., ქ.თბილისი

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს მოსამართლე ბ.ხურციძემ

განვიხილე დიდი ბრიტანეთის კომპანია „მაკლარენ ინტერნეშნელ ლიმიტიდ“-ს განცხადება სიტყვიერი სასაქონლო ნიშნის „McLAREN“ საყოველთაოდ ცნობილად აღიარებაზე საქართველოში ამ კომპანიის მიმართებაში

და ამის საფუძველზე ინგლისური კომპანია „ბატმარკ ლიმიტიდ“-ის სახელზე საქართველოში რეგისტრირებული სასამართლო ნიშნის „McLAREN“-ის გაუქმების შესახებ.

გ ა მ მ ვ ა რ კ ვ ი ა :

მწველთა, არამწველთა და სპორტთან დამოკიდებულების მიხედვით, გამოვლენის შედეგებით ირკვევა, რომ ფირმის ნიშანს „მაკლარენი“ 1000 რესპონდენტიდან 661(66,1%) უკავშირებს სპორტს. აქედან გამომდინარე კომპანია „მაკლარენ ინტერნეშნელ ლიმიტიდ“-ის განსაკუთრებული უფლება აქვს წარმოშობილი თავის სასაქონლო ნიშანზე, რის გამოც მოსარჩელე ითხოვს სასაქონლო ნიშანზე „McLAREN“-ის საყოველთაოდ ცნობილ სასამართლო ნიშნად აღიარებას საქართველოში.

ინგლისური კომპანიის „ბატმარკ ლიმიტიდ“-ის რწმუნებული საქართველოში თ.ლვინჯილია განმარტავს, რომ მას არ მიუღია რწმუნება თავისი მარწმუნებლისაგან და ამიტომ არ არის უფლებამოსილი მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცესზე.

რაც შეეხება საქართველოს ინტელექტუალურ საკუთრების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს ის მთლიანად სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ამყარებს შედეგს და განმარტავს, რომ მათი ფუნქცია მხოლოდ აღრიცხვის დონეზე შემოიფარგლება და რეალობა სასამართლოსათვის მიუხდვია.

განვიხილო რა საქმის მასალები, მოვისმინე მხარეთა ახსნა-განმარტებანი მივიჩნიე, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძველიანია და ის უნდა იქნეს დაკმაყოფილებული შემდეგ გარემოებათა გამო: 1983 წლიდან საქართველოს რადიო, ტელევიზია და პრესა რეგულარულად აქვეყნებდა ინფორმაციას ავტომობილებთან შეჯიბრების შესახებ „ფორმულა“-ის სახელწოდებით. ამ რბოლებზე ყოველწლიურად თამაშდება 16 პრიზი, პირადი, გუნდური და ავტოკონსტრუქტორებისათვის ცალ-ცალკე. შეჯიბრების ერთ-ერთი ნამყვანი გუნდია „McLAREN“ და ამიტომ სიტყვა-ნიშანი „McLAREN“ მისი ქართული ტრანსალიტერაციის „მაკლარენ“ საყოველთაოდ ცნობილია საქართველოში. ასეთ შემთხვევაში „საქპატენტმა“ რეგისტრაციაში გაატარა რა სიტყვიერი ნიშანი „McLAREN“ მექსიკურ კომპანიის „ემპრესას დამოდერნა“ ს.პ.დე.ს.კ.ის სახელზე, რომელიც შემდგომ გადაეცა ინგლისურ კომპანიას „ბატმარკ ლიმიტიდს“, მან ამ ქმედებით დაარღვია პარიზის კონვენციის 6^{his} მუხლის (1), ასევე 1992-99 წლებში ჩვენს ქვეყანაში მოქმედი სასაქონლო ნიშნების შესახებ დებულების მე-2 მუხლის „დ“ პუნქტის მოთხოვნები. პარიზის კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად დარღვეულია პარიზის კონვენციის ნაწილი ქვეყნების, მოცემულ შემთხვევაში დიდი ბრიტანეთის კომპანიის „მაკლარენ ინტერნეშნელ ლიმიტიდ“-ის უფლება. მისი სახელწოდების რეგისტრაციის დაცვაზე საქართველოში, რადგან სიტყვა „McLAREN“-ი საფირმო სახელწოდების ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანია.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დე-

მოგრაფია და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ მოსახლეობაში ჩატარებული იქნა სოციოლოგიური გამოკვლევა სიტყვა ნიშანი „მაკლარენის“ ცნობილობის დადგენის მიზნით. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ფირმის ნიშანს „მაკლარენი“ 1000 რესპონდენტიდან 661 (66,1%) უკავშირებს სპორტს. აქედან გამომდინარე რეალურია განმცხადებლის მოთხოვნა სასაქონლო ნიშნის „McLAREN“-ის საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად აღრიცხვის შესახებ.

აღნიშნულის გამო ვიხელმძღვანელებ რა საქ. სსკ-ს 310-ე, 311-ე, 312-ე, 313-316-ე მუხლებით,

გ ა დ ა ვ ნ ყ ვ ი ტ ე :

განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, დადგენილი იქნეს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი. კერძოდ ის, რომ დიდი ბრიტანეთის კომპანია „მაკლარენ ინტერნეშნელ ლიმიტიდ“ სასაქონლო ნიშანი „McLAREN“ ცნობილი იქნეს საყოველთაოდ აღიარებულ სასაქონლო ნიშნად საქართველოში, აქედან გამომდინარე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების პროვინულ ცენტრს, „საქპატენტს“ დაევალოს, რათა გაუქმებული იქნეს დიდი ბრიტანეთის კომპანია „ბატმარკ ლიმიტიდ“-ის საქართველოში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „McLAREN“.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის განმავლობაში თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატაში ამავე რაიონის სასამართლოს მეშვეობით.



გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№03ა/41

2 ნოემბერი, 1999წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული
სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი
შემადგენლობით: **ც. ზამბახიძე** (თავმჯდომარე),
ი. თოდრია,
ი. ლეგაშვილი

ლ. ქემოკლიძის მდივნობით

მოსარჩელე: ფიზიკური პირის გიორგი ბიბილაშვილის, მისი ადვოკატის როინ მიგრიაულის (მინდობილობა დამონმებულია სანოტარო წესით 29.09.98წ., რეგისტრირებულია რეესტრში №4-91).

მოპასუხე: საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან მოქმედი ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ (ამ ორგანიზაციის წინანდელი სახელწოდება საქართველოს საპატენტო უწყება „საქპატენტი“) წარმომადგენლის ზურაბ ნეფარიძის

მესამე პირის: დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მოპასუხის მხარეზე ფირმა FERRO-ს წარმომადგენლის საქართველოში Gerdium Consulting Group Inc. (GCI) ადვოკატის რეკომენდაციებით ზაზა ბიბილაშვილის მონაწილეობით

განიხილა საქმის მასალები ფიზიკური პირის გიორგი ბიბილაშვილის ადვოკატის როინ მიგრიაულის სარჩელისა გამო, მოპასუხე ორგანიზაციის საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტისა“ (ყოფილი სახელწოდება ამ ორგანიზაციის იყო საქართველოს საპატენტო უწყება „საქპატენტი“) და მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის უფლების გარეშე. მოპასუხის მხარეზე, ფირმა FERRO-ს წარმომადგენლის საქართველოში Gerdium Consulting Group Inc. (GCI) ადვოკატის, ფიზიკური პირის ზაზა ბიბილაშვილის მიმართ. მოსარჩელე ითხოვს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 16.03.92წ., №304 დადგენილებით დამტკიცებული დებულების „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ 34-ე მუხლის თანახმად საქართველოს საპატენტო უწყება საქპატენ-

ღის სახელმწიფო ექსპერტიზის 23.04.96წ. №3042 გადაწყვეტილების (სასაქონლო ნიშნად „Nutella“-ს „ნუტელას“ რეგისტრაციის) ბათილად ცნობას.

სააშშ-ში სახელმწიფო საქმეში არსებული დოკუმენტების შესწავლისა და საქმის განხილვაში მონაწილე პირთა ზეპირი ახსნა-განმარტებების საფუძველზე სასამართლომ დადგინდა ცნო შემდეგი.

ჟიური კური პირის გიორგი ბიბილაშვილის წარმომადგენელმა, ადვოკატმა როინ მიგრაულმა 15.10.98წ. სარჩელით მიმართა თბილისის ყოფილი ვაკის რაიონის სასამართლოს (ამჟამად თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს) მოპასუხე ორგანიზაცია საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტისა“ (შემდგომში - „საქპატენტი“) და მესამე პირის ფირმა FIFERO-ს წარმომადგენლის საქართველოში GCG Inc.-ის მიმართ, რომლის წარმომადგენელიც არის საქართველოში (Georgian Consulting Group Inc. (GCG)-ის ადვოკატა ზაზა ბიბილაშვილი. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ FIFERO-ს სასაქონლო ნიშნის „Nutella“-ს („ნუტელას“) სახელწოდება არ შეესაბამება ქართულ საზოგადოებრიობას და ემსგავსება უნებანურ სიტყვას, შესაბამისად ბათილად უნდა იყოს ცნობილი მისი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია.

საქმის განხილვა თავდაპირველად მიმდინარეობდა თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოში, ხოლო შემდგომ სასამართლო ორგანოების რეორგანიზაციის შედეგად, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 21.09.99წ. განჩინებით განსჯადობის მიხედვით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარბეო საქმეთა კოლეგიას.

04.10.99წ. საქმის მასალები განსახილველად გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას.

მოპასუხე ორგანიზაციამ „საქპატენტმა“ 20.10.99წ. წარმოადგინა თავისი შესაბამისი №231-06, რომლითაც მთლიანად უარყო სასარჩელო მოთხოვნა. მოპასუხე ეყრდნობა შემდეგ ძირითად დებულებებს: ა) რეგისტრირებული გამოსახულებითი (კომბინირებული) ნიშანი „Nutella“, რომლის როგორც სიტყვიერი, ისე გამოსახულებითი ნაწილი, მთლიანობაში არ აღიქმება ისეთ ნიშნად, რომელიც ბლალავს ეროვნულ ღირსებას, ეწინააღმდეგება საზოგადოების ზნეობას და ტრადიციებს, ბ) „ნუტელას“ („Nutella“-ს) პროდუქციის რეკლამირებისას გათვალისწინებულია „საქპატენტის“ რეკომენდაცია და სარეკლამო მომსახურებაში დაინერგა ამ ნიშნის ქართულად მისაღები ჩანერა და წარმოქმნა „ნუთელა“; გ) მოსარჩელე იყო ვალდებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნისას წარმოედგინა ობიექტური, ყოველგვარი შემთხვევითობისაგან დამოუკიდებელი მტკიცებულებები.

გაირკვა, რომ 1987 წელს ყოფილი სსრ კავშირის საპატენტო უწყებაში „საიუზპატენტში“ რეგისტრაციაში გატარდა სასაქონლო ნიშანი „Nutella“. საკავშირო სახელმწიფოს რღვევის შემდგომ 1996 წელს საქართველოს საპატენტო უწყება „საქპატენტმა“ შეამონმა და სათანადო წესის დაცვით რეგისტრაციაში გაატარა სასაქონლო ნიშანი „Nutella“. 23.04.96წ. საქართველოს საპატენტო უწყებამ „საქპატენტმა“ სახელმწიფო ექსპერტიზის №30 გადაწყვე-

ტილებით დაადგინა „Nutella“-ს სასაქონლო ნიშნის გამოსახულების დაცვა.

სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოსარჩელე ფიზიკური პირის რწმუნებულის სასარჩელო მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველი, 1996 წლის 23 აპრილს რეგისტრაციაში გატარდა სასაქონლო ნიშნის გამოსახულება „Nutella“. იმავედ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია და მასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდებოდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 16.03.92წ. №304 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით სასაქონლო ნიშნების შესახებ. მითითებული აქტის თანახმად სასაქონლო ნიშანი არის ორიგინალურად გაფორმებული განმასხვავებელი სიმბოლო, რომელიც განკუთვნილია ერთგვაროვანი საქონლის და მისი მწარმოებლის ინდივიდუალიზაციისათვის. ამასთან სასაქონლო ნიშანი შეიქმნება იყოს სიტყვიერი, გამოსახულებითი, მოცულობითი ან კომბინაციისაგან შემდგარი (დებულების სასაქონლო ნიშნების შესახებ პირველი მუხლი). ამავე დებულების მე-2 მუხლის „ე“ პუნქტის საფუძველზე არ დაიშვება სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია ისეთი სიმბოლოებისა, რომლებიც ბალავენ ეროვნულ ღირსებას, აღიზიანებენ რელიგიურ გრძნობებს, ეწინააღმდეგებიან ჰუმანისტური მორალის ნორმებს, საზოგადოების ზნეობას და ტრადიციებს.

„Nutella“-ს სასაქონლო ნიშნის გამოსახულების რეგისტრაციამდე იყო შესწავლილი ნიშნის გამოსახულება სამი ასპექტით: ა) სასაქონლო ნიშნის ვიზუალური მხარე; ბ) ფონეტიკური მხარე (ანუ ნიშნის ჟღერადობის თვალსაზრისით); გ) ნიშნის სემანტიკური (ანუ შინაარსობრივი) თვალსაზრისით, ყოველივე აღნიშნული თვალთახედვით, ასპექტების გათვალისწინებით „საქპატენტის“ ექსპერტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არარსებობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

მეორე, ვინაიდან სასაქონლო ნიშნის „Nutella“-ს ლათინური წაკითხვა უახლოვდებოდა სკაბრეზული ლექსემას, უხერხულობის თავიდან ასაცილებლად „საქპატენტმა“ რეკომენდაცია მისცა იტალიურ ფირმას („Nutella“-ს სასაქონლო ნიშნის მესაკუთრეს) სარეკლამო მომსახურებისას დანერგონ ამ ნიშნის ქართულად მისაღები ჩანერა და წარმოთქმა „ნუთელა“.

იტალიური ფირმის მიერ იყო გათვალისწინებული „საქპატენტის“ რეკომენდაციები სასაქონლო ნიშნის რეკლამირებისას ქართულ ჟღერადობასთან დაკავშირებით. აღნიშნული დასტურდება სარეკლამო სააგენტოს მიერ გაცემული ცნობით, რომლის შინაარსიდან ირკვევა, რომ ფირმა „ფერეროს“ პროდუქციის რეკლამირებას სარეკლამო სააგენტო „TV+“ აწარმოებს 1997 წლიდან. 1997-1998 წლებში მათი ნაწარმის „ნუთელას“ 30 ნაშანი სარეკლამო კლიპი სახელმწიფო ტელევიზიის I არხზე გავიდა 301-ჯერ, 151 ნუთის ოდენობით, ხოლო სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის, „იბერიის“ და საკაბელო ტელევიზიით „VI არხი“ გავიდა 472-ჯერ, 236 ნუთის ოდენობით, რადიოთი „ნუთელას“ რეკლამა გავიდა 132-ჯერ, 66 ნუთის ოდენობით. ამავე ცნობით დასტურდება, რომ „ფერერომ“ თავისი პროდუქციის რეკლამირება საქართველოში დაიწყო 1996 წლიდან. ამ ხნის მანძილზე ტელერადიო კომპანიებს, ტელემაყურებლებებისა და რადიომსმენელების მხრიდან რაიმე პრეტენზია ნაწარმის დასახელების თაობაზე სარეკლამო სააგენტოში არ შესულა. ფირმა

„ფერეროს“ პროდუქციის დასახელება მოიხსენიება როგორც „ნუთელა“.

მესამე, საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის 15.01.1996. №15/007 ნებართვადან (რომლის ადრესატიც არის ფირმა „ფერეროს“ წარმომადგენელი) ირკვევა, რომ თანამედროვე ქართული ენის ოცდაცამეტსავე ასო-ნიშანს აქვს დისტინქციური ანუ სიტყვის განმასხვავებლური ფუნქცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ ორ სიტყვას შორის თუნდაც ერთი ასოს განსხვავება იწვევს მნიშვნელოვან სხვადასხვაობას (ქარი-კარი, ჩირი-ჭირი, წელი-ცელი და მისთანანი). განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ერთნაირი დანერილობის სიტყვები ქმნიან ომონიმებს. სიტყვა „ნუთელა“ (ან „ნუტელა“) დღემდე ჩვენთვის ცნობილ ლექსიკურ ერთეულებთან ომონიმური წყვილი არ გააჩნია, ამდენად ასოციაციების მიხედვით მისი სხვა სიტყვასთან მსგავსება არ შეიძლება იყოს ამ სიტყვის ზნეობრივი თავალსაზრისით შეფასების საფუძველი.

შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ „Nutella“-ს სასაქონლო ნიშნის გამოსახულება არ შეიძლება ჩაითვალოს სიმბოლოდ, რომელიც ბლალავს ეროვნულ ღირსებას, ენიწალმდეგება მორალის ნორმებს, საზოგადოების ზნეობას და ტრადიციებს. თავისი ფონეტიკური, ანუ ჟღერადობის მნიშვნელობით ქართულ ენაში არაფერს არ ნიშნავს. მით უმეტეს, რომ სასაქონლო ნიშნის რეკლამირებისას მისი ჟღერადობა ფონეტიკურად გამოითქმის ქართულ ენაზე როგორც „ნუთელა“, არ ბლალავს ეროვნულ ღირსებას და მორალურ ნორმებს, არც მითითებული სასაქონლო ნიშნის სემანტიკური, ანუ შინაარსობრივი მხარე (დატვირთვა).

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა სსკ-ს 243-ე, 244-ე, 247-250-ე, 225-ე მუხლებით

გ ა ლ ა ნ ე ყ ი ტ ა :

1. მოსარჩელე ფიზიკურ პირს ბატონ გიორგი ბიბილაშვილს ეთქვას უარი მის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე საქართველოს საპატენტო უწყების „საქპატენტის“ (ამამად საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“) სახელმწიფო ექსპერტიზის 1996 წლის 23 აპრილის №3042 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე.

2. მოსარჩელე ფიზიკურ პირს გიორგი ბიბილაშვილს გადახდეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟი. სახ.ბაჟი ჩაირიცხოს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ანგარიშზე: ეროვნული ბანკი №1151411 კოდი 220101107 1 სახაზინო სამსახური. გაიცეს საალსრულებლო ფურცელი.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში ქ.თბილისის საოლქო სასამართლოში საკასაციო საჩივრის შეტანით ერთი თვის ვადაში მისი გამოცხადების მომენტიდან.

სასაქონლო ნიშან "REAL"-ის რეგისტრაციის ბათილად ცნობა



გადანყვეტილება

საქართველოს სახელით

№ 2/344

21 თებერვალი, 2001წ., ქ.თბილისი

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე დურგლიშვილმა

დოლონაძის მდივნობით

მოსარჩელე: ფირმა „იმპერიალ ტობაკო კომპანიის“ წარმომადგენლის გ.ციციშვილის

მოპასუხეების: საქართველოს საპატენტო უწყების „საქპატენტის“ წარმომადგენლების ზ.ნეფარიძის და გ.თაქთაქიშვილის, ფირმა „ფხ სიგარეტენფაბრიკ დრეზდენ გმბჰ“ წარმომადგენლის შალვა გვარამიძის მონაწილეობით

განვიხილე ფირმა „იმპერიალ ტობაკო კომპანიის“ სასარჩელო განცხადება მოპასუხეების საქართველოს საპატენტო უწყების „საქპატენტის“ და ფირმა „ფხ სიგარეტენფაბრიკ დრეზდენ გმბჰ“ მიმართ სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობის შესახებ

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ა :

მოსარჩელეს განმარტებით, მოსარჩელე ფირმამ „იმპერიალ ტობაკო კომპანიმ“ საქართველოში რეგისტრაციაში გაატარა სასაქონლო ნიშანი „REAL“ 1994წ. 7 ნოემბერს. მოპასუხეების გერმანული ფირმა „ფხ სიგარეტენფაბრიკ დრეზდენ გმბჰ“ და „საქპატენტის“ მიერ 1997წ. 28 ივლისს რეგისტრირებული იქნა აღნიშნული ფირმის სასაქონლო ნიშანი „REAL“.

ორივე სასაქონლო ნიშანს აქვს როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური მსგავსება. ორივე ნიშანი იცავს ერთი და იგივე საქონლის ჩამონათვალს, კერძოდ 34-ე კლასში შემავალ საქონელს. აღნიშნულმა შესაძლებელია, გამოიწვიოს სასაქონლო ნიშნების ერთმანეთში აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა იმის გამო, რომ მოსარჩელის სასაქონლო ნიშანს მინიჭებული აქვს უფრო ადრინდელი პრიორიტეტი, მოსარჩელე მოითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოში რეგისტრირებული გერმანიის ფირმის „ფხ სიგარეტენფაბრიკ დრეზდენ გმბჰ“ სასაქონლო ნიშანი „REAL“-ის რე-

ვისტრაციის მოწმობა №4860 და შეწყდეს საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული სასაქონლო ნიშნის დაცვა.

მოპასუხეები სარჩელს არ ცნობენ და განმარტავენ, რომ მიუხედავად გარკვეული დონის მსგავსებისა, სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან ისეთი საკპარისონაით, რომ შესაძლებელია მათი გარჩევა. კერძოდ, აღნიშნულ სასაქონლო ნიშნების განსხვავებას განაპირობებს მოსარჩელის სასაქონლო ნიშანი შექავალი ბგერა „გ“, რომელიც მეზობელი მარცვლების მძლავრი დამყოფ როლს თამაშობს, ამასთან აღნიშნული ნიშანი კომბინირებულია, სიტყვები შედგება ფიგურული ნაწილებისაგან, ხოლო მოპასუხის ნიშანი სიტყვიერია. აღნიშნულიდან გამომდინარე მოპასუხეები მიიჩნევენ, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და მას უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებებისა გამო. დადგენილია, რომ მოსარჩელის ფირმა „იმპერიალ ტობაკო კომპანის“ სასაქონლო ნიშან „REAL“-ს პრიორიტეტი მინიჭებული აქვს სახელმწიფო რეგისტრაციის №331. აღნიშნული სასაქონლო ნიშანი იცავს 34-ე კლასში გაერთიანებულ საქონელს, კერძოდ, თამბაქოს, ნივთებს მწვეველებსათვის, ასანთს.

მოპასუხე ფირმა „ფხ სიგარეტენფაბრიკ დრეზდენ გმპ“-ის სასაქონლო ნიშანს „REAL“ პრიორიტეტი მინიჭებული აქვს 21.06.93 წელს. აღნიშნული სასაქონლო ნიშანი „საქპატენტში“ რეგისტრირებულია 28.07.97წ. სახელმწიფო რეგისტრაციის №4860 აღნიშნული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 34-ე კლასში შექავალი საქონლისა და მომსახურებისათვის, კერძოდ თამბაქოს ნაწარმი, ნივთები მწვეველთათვის.

ამჯერად ორივე სასაქონლო ნიშანი იცავს ერთ და იგივე 34-ე კლასის საქონელს, ამასთან სასაქონლო ნიშანს „REAL“ მინიჭებული აქვს უფრო ადრინდელი პრიორიტეტი და უფრო ადრეა რეგისტრირებული „საქპატენტის“ მეორე. ორივე სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური დამწერლობით, საქმეში წარმოდგენილია აღნიშნული სასაქონლო ნიშნების გამომხატველი სიტყვების „REAL“ და „REAL“ ფონეტიკური ანალიზი, რომლის თანახმადაც 35 მახასიათებლიდან ერთნაირია 24, ხოლო განსხვავებული 11, ამდენად მსგავსება შეადგენს 69%. ქართული ტრანსკრიფციის ფონეტიკური ანალიზით 46 მახასიათებლიდან ერთნაირია 35, განსხვავებული 9, ამდენად მსგავსება შეადგენს 76,5.

სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი სანარმოს საქონელს ან მომსახურებას მეორე სანარმოს საქონლისა ან მომსახურებისაგან იმავე კანონის მე-5 მუხლის თანახმად სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „დ“ – საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება მათთან აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა.

იმავე კანონის 28-ე მუხლის თანახმად სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია

ბათილად იქნება ცნობილი სასამართლოს მიერ მესამე პირის მოთხოვნით, თუ სასაქონლო ნიშანი ამ კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნათა დარღვევითაა რეგისტრირებული.

ანალოგიურად არეგულირებს სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის საკითხს საქართველოს სასაქონლო ნიშნების შესახებ დებულება, რომელიც ძალაში იყო საქართველოს კანონის „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ ამოქმედებამდე, კერძოდ, აღნიშნული დებულების მე-10 მუხლის შესაბამისად ორიგინალობის ექსპერტიზის დროს მონმდება სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშნის მსგავსება ან იდენტურობა უკვე მოქმედ ან საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშანთან.

სასაქონლო ნიშნების განაცხადის სახელმწიფო ექსპერტიზის ინსტრუქციაში, კერძოდ 5.5 მუხლში მითითებული იყო, რომ სასაქონლო ნიშნების მსგავსების ზოგადი კრიტერიუმის საფუძველი არის მომხმარებლის მიერ მათი აღრევის შესაძლებლობა. გამოსახულების მსგავსებას განაპირობებს მათში ერთნაირი ელემენტების არსებობა. ნიშნების მსგავსებაზე ექსპერტიზის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ნიშნებში შესული ერთნაირი და განსხვავებული ელემენტების თანაფარდობა და აგრეთვე მათი მნიშვნელობა გამოსახულების კომპოზიციაში. ნიშნების მსგავსობის განსაზღვრის დროს ექსპერტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მომხმარებელს როგორც ნესი, არა აქვს ნივთების შედარების შესაძლებლობა და იგი ხელმძღვანელობს მხოლოდ საერთო შთაბეჭდილებით.

მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ საქონელი რომლისთვისაც რეგისტრირებულია ზემოთ აღნიშნული სასაქონლო ნიშნები, განეკუთვნება ეგრეთწოდებულ „სწრაფი გასაღების“ საქონელთა ჯგუფს, რომელთა რეალიზაცია უმეტესად ხორციელდება ქუჩებში ცუდი განათებისა და ხმაურის ვითარებაში, რაც ზრდის იმის შესაძლებლობას, რომ აღნიშნული სასაქონლო ნიშნებს შორის არსებული ფონეტიკური და ვიზუალური განსხვავება ვერ იქნეს სათანადოდ აღებული და გაანალიზებული მომხმარებლის მიერ, რამაც საბოლოოდ შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნული სასაქონლო ნიშნების აღრევა და შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი საქონლის მწარმოებლის მიმართ.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს სსკ-ს მე-8, 243-ე, 249-ე მუხლებით და საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით

და ვ ა დ გ ი ნ ე :

1. სარჩელი დაკმაყოფილდეს, საქართველოში რეგისტრირებული გერმანული ფირმის „ფნ სიგარეტენფაბრიკ დრეზდენ გმბჰ“ სასაქონლო ნიშნის „REAL“-ის რეგისტრაციის სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრის №4860 ბათილად იქნეს ცნობილი და შეწყდეს საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული სასაქონლო ნიშნის სამართლებრივი დაცვა.
2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოში ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მეშვეობით.

სასაქონლო ნიშან "ROLEX"-ის რეგისტრაცია



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის
"საქპატენტის" სააპელაციო პალატის

გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 215

საკ. №209/03-01

02.04.2002

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის "საქპატენტის" სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: შ. კვიციანიძე, (თავმჯდომარე), გ. თაქთაქიშვილი, ქ. ბოჭორიშვილი, ნ. ბებრიშვილის მდივნობით, განიხილა კომპანიის "მონტრე როლექს ს.ა." (შვეიცარია) (წარმომადგენელი პატენტრწმუნებული შ. გვარამაძე) საჩივარი კომპანიის "კ.ტ. პერმონა" (ინდონეზია) (წარმომადგენელი პატენტრწმუნებული გ. ციციშვილი) სასაქონლო ნიშნის "ROLEX" რეგისტრაციაზე ექსპერტიზის №1488 (30.10.016.) გადაწყვეტილების – "სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია საქონლის ან/და მომსახურების მთელი ჩამონათვლის მიმართ: კლასი 34 – სიგარეტი, არომატიზებული სიგარეტი, თამბაქო, მწველთა საკუთონო, სიგარები, ფილტრი სიგარეტებისათვის, სიგარეტის ქალაღი, სანთებელა და ასანთი." – გადასინჯვის შესახებ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

კომპანიის "მონტრე როლექს ს.ა." წარმომადგენელი პატენტრწმუნებული შ. გვარამაძე არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მოითხოვს მის გადასინჯვას შემდეგი მოსაზრებების გამო:

განცხადებული ნიშნის სიტყვიერი ნაწილი იდენტურია კომპანია "მონტრე როლექს ს.ა." კუთვნილი კომბინირებული სასაქონლო ნიშნის "ROLEX + გამოსახულება", რომელიც რეგისტრირებულია საქპატენტში, რეგ. №12330, მე-14 კლასის საქონლის მიმართ

სასაქონლო ნიშანი "ROLEX + გამოსახულება" პირველად რეგისტრირებულ იქნა 1962 წელს (ლ 252976) და მადრიდის შეთანხმების საფუძველზე გავრცელდა სხვადასხვა ქვეყანაში, ხოლო 1984 წლიდან – სსრკ-შიც. აღსანიშნავია, რომ სხვა საქონელთან ერთად რეგისტრაცია

მოიცავდა 34-ე კლასის საქონელსაც. კერძოდ: - დამუშავებული და დაუმუშავებელი თამბაქო; მწველთა საკუთენო; ასანთი. 1993 წელს კი აღნიშნულ სასაქონლო ნიშანს (IR 252976) მიენიჭა დაცვა საქართველოს ტერიტორიაზე მე-14 კლასის საქონლისათვის.

განცხადებული ნიშნის რეგისტრაციის შემთხვევაში ინდონეზიის კომპანიის სახელზე, მიუხედავად საქონლის არაერთგვაროვნებისა, აუცილებლად იარსებებს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა, ვინაიდან მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც ფართოდ არის ცნობილი საათები სასაქონლო ნიშნით "ROLEX + გამოსახულება" და მომხმარებელში ეს ნიშანი ასოცირდება ამავე სახელწოდების მქონე შვეიცარიულ კომპანიასთან

შ. გვარამაძეს მიაჩნია, რომ ვინაიდან 1984 წელს სსრკ საპატენტო უწყებას აღიარებული აქვს კომბინირებული სასაქონლო ნიშნის "ROLEX + გამოსახულება" ცნობილობა სსრკ-ში, ეს ფაქტი საკმარისია, რათა საქართველოს საპატენტო უწყებამაც, აღიაროს ამ ნიშნის ცნობილობა საქართველს ტერიტორიაზე და ამის საფუძველზე უარი თქვას განცხადებული ნიშნის რეგისტრაციაზე.

აპელანტის წარმომადგენლის აზრით გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე საქართველოში შემოსულია უამრავი უცხოური წარმოების საქონელი, ხოლო მრავალ ქართველს მიეცა საშუალება საზღვარგარეთ მიმოსვლისა. ამიტომ, სასაქონლო ნიშანი "ROLEX" კიდევ უფრო ცნობილი გახდა. ყველამ იცის, რომ საათებში საუკეთესოა "ROLEX", ისევე როგორც ტელევიზორებში "SONY", კომპიუტერებში "IBM" და სხვა.

აპელანტის არგუმენტაციას არ ეთანხმება განცხადებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის "პ.ტ. პერმონა"-ს წარმომადგენელი პატენტრწმუნებული გ. ციციშვილი და მიაჩნია, რომ ვინაიდან "ROLEX"-ის ფირმის საათების საშულო ღირებულება 600\$-ს აღემატება, მისი შეძენა ფართო მომხმარებელს არ შეუძლია. უფრო მეტიც ამ ფირმის საათები შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არც იყიდება. მით უფრო წარმოუდგენელია, რომ ხანგრძლივი მოხმარების საგანი მომხმარებელს აერიოს ისეთი ხანმოკლე მოხმარების საგნებში როგორცაა სიგარეტი. გ. ციციშვილი თვლის აგრეთვე, რომ საქართველო არ არის სსრკ-ს უფლებამონაცვლე, ამიტომ ნიშნის ცნობილობის საკითხს თავის ტერიტორიაზე დამოუკიდებლად უნდა წყვეტდეს, მიუხედავად იმისა თუ თავის დროზე რა გადანყვეტილება იყო მიღებული სსრკ-ს უწყების მიერ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი და მიიჩნია, რომ იგი საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

დადგინდა, რომ კომბინირებული სასაქონლო ნიშანი "ROLEX + გამოსახულება" 1993 წელს რეგისტრირებულ იქნა საქართველოს საპატენტო უწყებაში კომპანია "მონტრე როლექს ს.ა."-ს სახელზე მე-14 კლასის საქონლისათვის.

მხლოდ ის გარემოება, რომ კომპანია "პროდირ ს.ა."-ს 1984 წლის 13

ივლისს უარი ეთქვა სასაქონლო ნიშან "ROLEX"-ის რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ 1984 წლის 30 აპრილიდან აღნიშნული ნიშანი რეგისტრირებულ იქნა აპელანტის სახელზე და ფართოდ იყო ცნობილი მასთან მიმართებაში, არ წარმოადგენს კომპანია "პ.ტ. პერმონა"-ს სახელზე სიტყვიერი სასაქონლო ნიშნის "ROLEX"-ის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს, რადგან გამოგონებებისა და აღმოჩენის საქმეში სსრკ-ს სახელმწიფო კომიტეტის გადანყვეტილებას, რომელზეც აპელირებას ახდენს აპელანტი, არ გააჩნია სავალდებულო ძალა საქართველოს ტერიტორიაზე. თუმცა თვალნათლივ ასახავს სსრკ-ს ტერიტორიაზე იმ დროისათვის არსებულ ვითარებას და იგი თანაბრად შეიძლება გავრცელდეს საქართველოზეც, როგორც სსრკ-ს შემადგენელ ერთეულზე. კოლეგია ვერ გაიზიარებს კომპანია "პროდირ ს.ა."-ს წარმომადგენლის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ სასაქონლო ნიშან "ROLEX"-ს ქართველი მომხარებელი ფართოდ არ იცნობს მარტოოდენ ამ ნიშნით აღნიშნული საათების სიძვირის გამო.

კოლეგიის შეფასებით, რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშან "ROLEX"-ს უდავოდ გააჩნია კარგი რეპუტაცია და ფართოდ არის ცნობილი საქართველოში. აქედან გამომდინარე, განცხადებული სასაქონლო ნიშნის კომპანია "პ.ტ. პერმონა"-ს სახელზე რეგისტრაცია დაუმსახურებლად შეუქმნის მას ხელსაყრელ პირობებს საქართველოს ბაზარზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ "სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლისა და მე-5 მუხლის ზ) პუნქტის თანახმად

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

მთლიანად დაკმაყოფილდეს კომპანიის "მონტრე როლექს ს.ა."-ს სააპელაციო საჩივარი და კომპანიას "პ.ტ. პერმონა" უარი ეთქვას განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე

გაუქმდეს ექსპერტიზის 2001 წლის 30 ოქტომბრის №1488 გადანყვეტილება.



გადაწყვეტილება

საქართველოს სახელით

№3/346-02

10 დეკემბერი, 2002წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ალა კახნიაურმა, გურანდა ჟღენტის მდივნობით, მოსარჩელე „პ.ტ. პერმონა“-ს წარმომადგენელ გ.ციციშვილის, მოპასუხე „საქპატენტო“-ს წარმომადგენელ ზ. ნეფარიძის, მესამე პირის ფირმა „მონტრე როლექს სა“-ს წარმომადგენლის შ.გვარამაძის მონაწილეობით განვიხილე ღია სასამართლო სხდომაზე ადმინისტრაციული საქმე ფირმა „პ.ტ. პერმონა“-ს წარმომადგენლის საქართველოს პატენტრწმუნებულის გ.ციციშვილის სარჩელისა გამო „საქპატენტი“-ს მიმართ, მესამე პირი „მონტე როლექს სა“, საქართველოს სააპელაციო პალატის მიერ სასაქონლო ნიშან „ROLEX“-ზე დადებითი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

სარჩელში აღნიშნულია, რომ 2001 წლის 18 იანვარს მოსარჩელის წარმომადგენელმა „საქპატენტო“ წარადგინა განაცხადი სასაქონლო ნიშნის „ROLEX“-ის რეგისტრაციაზე ფირმა „პ.ტ. პერმონა“-ს სახელზე.

2001 წლის 30 ოქტომბერს „საქპატენტი“-ს მიერ მიღებული იქნა სახელმწიფო ექსპერტიზის დადებითი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე.

2002 წლის 26 თებერვალს აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა საქართველოს სააპელაციო პალატაში ფირმა „Montres Rolex S.A“-ს წარმომადგენლის შ.გვარამაძის მიერ იმ საფუძვლით, რომ საქართველოში რეგისტრირებულია ამ ფირმის სასაქონლო ნიშანი „ROLEX+გამოსახულება“ მე-14 კლასში შემავალი საქონლის მიმართ, რაც საყოველთაოდ იყო ცნობილი ყოფილ სსრკ-ში და შესაბამისად გამოყენებამ და რეგისტრაციამ შეიძლება გამოიწვიოს სასაქონლო ნიშნის „ROLEX“-ს სხვა ფირმის მიერ აღრევა.

სააპელაციო პალატამ გააუქმა საქპატენტის გადაწყვეტილება, რაც მოსარჩელის მოსაზრებით უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ყოფილი სსრკ-ს გადაწყვეტილება თვალნათლივ ასახავს სსრკ-ს ტერიტორიაზე იმ დროისათვის არსებულ ვითარებას სასაქონლო ნიშნის „ROLEX+გამოსახულება“ მიმართ და იგი თანაბრად შეიძლება გავრცელდეს საქართველოზეც.

უნდა განისაზღვროს, თუ რა ანიჭებს სასაქონლო ნიშანს კარგ რეპუტაციას ამა თუ იმ ქვეყანაში.

საქართველოში ფირმა „Montres Rolex S.A“-ს მიერ წარმოებული საათი პრაქტიკულად არ იყიდება. ამ ნიშნით მარკირებულია დაბალი ხარისხის საათები, რომლებიც კარგ რეპუტაციას ვერ მოუპოვებდა ამ ნიშანს.

მოპასუხე „საქპატენტის“ წარმომადგენელმა ზურაბ ნეფარიძემ სარჩელი არ სცნო და განმარტა, რომ სასაქონლო ნიშანი „ROLEX+გამოსახულება“ რეგისტრირებულია საქართველოს საპატენტო უწყებაში კომპანიის „მონტრე როლექს ს.ა“-ს სახელზე მე-14 კლასის საქონლისათვის. გამოგონებისა და აღმოჩენის საქმეში სსრკ-ს სახელმწიფო კომიტეტის გადანყევტილებით, რომლითაც 1984 წლის 13 ივლისს უარი ეთქვა კომპანიას „პროდირ ს.ა“ სასაქონლო ნიშნის „ROLEX“ რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „ROLEX+გამოსახულება“ აღიარებულ იქნა ცნობილ ნიშნად სსრკ-ს ტერიტორიაზე, თუმცა არ გააჩნია სავალდებულო ძალა საქართველოს ტერიტორიაზე, იგი თვალნათლივ ასახავს სსრკ-ს, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე იმ დროისათვის არსებულ ვითარებას.

კომპანიის „მონტრე როლექს ს.ა.“ მიერ წარმოებული საათების სიძვირე არანაირად არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ ქართველი მომხმარებელი ფართოდ არ იცნობს სასაქონლო ნიშნით „ROLEX+გამოსახულება“ ნიშანდებულ საქონელს და მას საქართველოში კარგი რეპუტაცია არ გააჩნია.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი ... მესამე პირის მიერ რეგისტრირებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია, რომელსაც საქართველოში აქვს კარგი რეპუტაცია და ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენება განმცხადებელს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას. ეს ნესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა“. კომპანიის „პ.ტ. პერმონა“-ს სახელზე სასაქონლო ნიშნის „ROLEX“ რეგისტრაცია კი, თუნდაც 34-ე კლასის საქონლისათვის, დაუმსახურებლად შეუქმნის მას ხელსაყრელ პირობებს კომპანიის „მონტრე როლექს ს.ა“ მიერ მოპოვებული კარგი რეპუტაციის ხარჯზე.

მესამე პირის „მონტრე როლექს ს.ა“-ს წარმომადგენელმა შ.გვარამაძემ სარჩელი არ სცნო და განმარტა, რომ აღრევის აშკარა შესაძლებლობის გამო არ უნდა მოხდეს სასაქონლო ნიშნის „ROLEX-ის“ რეგისტრაცია.

განვიხილეთ რა საქმის მასალები, მოვისმინე მხარეთა ახსნა-განმარტებანი, მიმართა, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ 2001 წლის 18 იანვარს მოსარჩელის წარმომადგენელმა „საქპატენტში“ წარადგინა განაცხადი სასაქონლო ნიშნის „ROLEX“-ის რეგისტრაციაზე ფირმა „პ.ტ. პერმონა“-ს სახელზე.

2001 წლის 30 ოქტომბერს „საქპატენტი“-ს მიერ მიღებული იქნა სახელმწიფო ექსპერტიზის დადებითი გადანყევტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე.

2002 წლის 26 თებერვალს აღნიშნული გადანყევტილება გასაჩივრებული

იქნა საქართველოს სააპელაციო პალატაში ფირმა „Montres Rolex S.A“-ს წარმომადგენლის შ.გვარამაძის მიერ იმ საფუძვლით, რომ საქართველოში რეგისტრირებულია ამ ფირმის სასაქონლო ნიშანი „ROLEX+გამოსახულება“ მე-14 კლასში შემავალი საქონლის მიმართ, რაც საყოველთაოდ იყო ცნობილი ყოფილ სსრკ-ში და შესაბამისად გამოყენებამ და რეგისტრაციამ შეიძლება გამოინვიოს სასაქონლო ნიშნის „ROLEX“-ს სხვა ფირმის მიერ აღრევა. სააპელაციო პალატამ 2002 წლის 2 აპრილის №215 გადაწყვეტილებით გააუქმა საქატიენტის გადაწყვეტილება.

სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მტკიცებას იმის შესახებ, რომ საქართველოში ფირმა „Montres Rolex S.A“-ს მიერ წარმოებული საათები პრაქტიკულად არ იყიდება და ამ ნიშნით მარკირებულია დაბალი ხარისხის საათები, რომლებიც კარგ რეპუტაციას ვერ მოუპოვებდა ამ ნიშანს, ვინაიდან გამოგონებისა და აღმოჩენის საქმეში სსრკ-ს სახელმწიფო კომიტეტის 1984 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა კომპანიას „Montres Rolex S.A“ სასაქონლო ნიშნის „ROLEX“ რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი აღიარებულია „ROLEX+გამოსახულება“ აღიარებულია საყოველთაოდ ცნობილ ნიშნად სსრკ-ს, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი ... მესამე პირის მიერ რეგისტრირებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია, რომელსაც საქართველოში აქვს კარგი რეპუტაცია და ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენება განმცხადებელს დაუშვასაბურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას. ეს ნესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა“. კომპანიის „პ.ტ. პერმონა“-ს სახელზე სასაქონლო ნიშნის „ROLEX“ რეგისტრაცია კი, თუნდაც 34-ე კლასის საქონლისათვის, დაუშვასაბურებლად შეუქმნის მას ხელსაყრელ პირობებს კომპანიის „მონტრე როლექს ს.ა.“ მიერ მოპოვებული კარგი რეპუტაციის ხარჯზე.

ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1 მუხლის II ნაწილით, მე-2 მუხლის II ნაწილის „ა“ პუნქტით, მე-12, 22-ე, 32-ე მუხლებით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 243-ე, 244-ე, 249-ე და 369-ე მუხლებით

გ ა ლ ა ვ ე წ ყ ვ ი ტ ე :

1. უარი ეთქვას მოსარჩელე ფირმა „პ.ტ. პერმონა“-ს წარმომადგენელს გ.ციციშვილს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.
2. მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს გადახდილად სახ.ბიუჯეტის სასარგებლოდ.
3. გადაწყვეტილება გასაჩივრდება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატაში თვის ვადაში მისი ჩაბარების დღიდან ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მეშვეობით.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

2 ივნისი, 2001წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე მ.ნიკლაურ-
ვა

ერთპიროვნულად განვიხილე უნგრეთის კომპანია „რიხტერ გედეონ ვე-
დიღეტ დაიარ რტ“-ს წარმომადგენელ შ.გვარამაძის სარჩელი „საქპატენტის“
სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

მოსარჩელე ითხოვს „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის გადაწყვეტი-
ლების გაუქმებას და გაცხადებული ნიშნის რეგისტრაციას. სარჩელი სასა-
მართლოში წარმოდგენილია სსკ-ს 178-179-ე მუხლების მოთხოვნათა დაც-
ვით სარჩელზე თანდართული მტკიცებულებანი წარმოდგენილია უცხო ენა-
ზე და არ ერთვის სათანადოდ დამონმებული თარგმანები. სარჩელში ჩამო-
ყალიბებულია როგორც ადმინისტრაციულ ისე სამოქალაქო წესით განსა-
ხილველი მოთხოვნები ერთად, მაშინ, როცა ადმინისტრაციული წესით საქ-
მეს განიხილავს რაიონული სასამართლო, ხოლო სამოქალაქო წესით საოლ-
ქო სასამართლო. ამიტომ ვიხელმძღვანელებ რა სსკ-ს 185-ე მუხლით

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე ე :

მოსარჩელე უნგრეთის კომპანია „რიხტერ გედეონ ვედიესეტ დაიარ
რტ“-ს სარჩელი არ იქნეს მიღებული წარმოებაში, ვინაიდან წარმოდგენილა
ხარვეზებით და მიეცეს 5 დღის ვადა აღნიშნული ხარვეზების შესასწორებ-
ლად. ამასთანავე ეცნობოს, რომ თუ მითითებულ ვადაში არ შეავსებს ხარ-
ვეზს, სარჩელი დატოვებულ იქნება უმოძრაოდ და დაუბრუნდება შეუსრუ-
ლებული სახით.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№2/ა-187-2001

19 ოქტომბერი, 2001 წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და
სამენარმეო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი
შემადგენლობით: ქ.დუგლაძე (თავმჯდომარე),
მ.ჯიყაშვილი,
მ.ლიბრაძე

განიხილა განსჯადობის საკითხი სამოქალაქო საქმეზე უნგრეთის კომპანია „რიხერ გედონ ვედიესეტ დაიარ რტ“-ს სარჩელის გამო მოპასუხე ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიმართ „საქპატენტი“-ს სააპელაციო პალატის 1999 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილების №56 შეცვლის შესახებ.

ა ღ ნ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა ნ ი ლ ი :

2001 წლის 29 ივნისს მოსარჩელემ მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ წინააღმდეგ და მოითხოვა „საქპატენტი“-ს სააპელაციო პალატის 1999 წლის 9 დეკემბრის №56 გადაწყვეტილების შეცვლა.

„საქპატენტი“-ს სახელმწიფო ექსპერტიზის №2991 08.09.98 უარყოფითი გადაწყვეტილებით უნგრეთის კომპანია „რიხტერ გედონ ვედიესეტ დაიარ რტ“-ს უარი ეთქვა სასაქონლო ნიშნის – „REGULON“ -- რეგისტრაციაზე, იმ საფუძველით, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი სასაქონლო ნიშანი მსგავსია „საქპატენტში“ 10.02.98 წელს რეგისტრირებული (რეგ. №8312) ფორმა „ნორდ მრკ არცნაიმიტელ გმპპ“-ს კუთვნილი სასაქონლო ნიშნისა -- „REGULON“ -- მე-5 კლასის შემდეგი საქონლისათვის: სამედიცინო და ფარმაცევტული პრეპარატები;

„საქპატენტის“ ექსპერტიზის №2991 08.09.98 უარყოფით გადაწყვეტილებაზე უნგრეთის კომპანია „რიხტერ გედონ ვედიესეტ დაიარ რტ“-მ საჩივრით მიმართა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატას, რომელმაც 1999 წლის 9 დეკემბრის №56 გადაწყვეტილებით უარი უთხრა საჩივრის დაკმაყოფილებაზე, რაც დამტკიცებული იქნა „საქპატენტის“ გენერალური დირექტორის ბრძანებით №5 2000 წლის 7 აპრილს.

ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში წარდგენილი სარჩელით

ფირმა „რიხტერ გედონ ვედიესეტ დაიარ რტ“ ითხოვს შეიცვალოს „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის №56 09.19.99 გადაწყვეტილება და მოხდეს საქართველოში რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნისა — „REGULON“ — უნგრეთის კომპანიის სახელზე.

ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ ფირმა „რიხტერ გედონ ვედიესეტ დაიარ რტ“-ს მიერ აღძრული დავა მიიჩნია ინტელექტუალური საკუთრების ურთიერთობიდან წარმოშობილ დავად და 2001 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით სსკ-ს მე-14 მუხლის „ბ“ პუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2, მე-6 მუხლების საფუძველზე, ფირმა „რიხტერ გედონ ვედიესეტ დაიარ რტ“-ს სარჩელი განსჯადობის მიხედვით გადმოაგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოში.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი :

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ მოცემული სამოქალაქო საქმე არ არის თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიის განსჯადი.

სსკ-ს მე-14 მუხლის „ბ“ პუნქტით საოლქო სასამართლოები განიხილავენ „ინტელექტუალური საკუთრების ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს“. ფირმა „რიხტერ გედონ ვედიესეტ დაიარ რტ“-ს მიერ აღძრული დავა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით არ განეკუთვნება ინტელექტუალურ-საკუთრებითი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას. ამ დავის საგანს არ წარმოადგენს არც ინტელექტუალური სამართლის სუბიექტებს შორის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე დავა, არც დავის საფუძველია ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ნორმების დარღვევა. მოცემული დავა შეეხება „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმებას. „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საქართველოს სოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ა“ და „დ“ პუნქტების და საქართველოს საპატენტო კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე მოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის შესაბამისობაც საქართველოს კანონმდებლობასთან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტით და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით გადაწყვეტილი უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით შესაბამისი რაიონული სასამართლოს მიერ.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა სსკ-ს მე-14 მუხლის „ბ“ პუნქტით, 284-ე, 285-ე მუხლებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტებით და დაადგინა:

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი :

სამოქალაქო საქმე „რიხტერ გედონ ვედიესეტ დაიარ რტ“-ს სარჩელის გამო „საქპატენტის“ მიმართ „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 1999

ნლის 9 დეკემბრის №56 გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ გადაიგზავნოს საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ 3გ/ად-23-გ-01
ლისი

15 თებერვალი, 2002 წ., ქ.თბი-

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა,
შემადგენლობა: ბადრი მეტრეველი (თავმჯდომარე),
მაია ვაჩაძე (მომხსენებელი),
ნუგზარ სხირტლაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლისა და 26-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიისა და თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს შორის.

ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა ნ ი ლ ი:

2001 წლის 29 ივნისს უნგრეთის კომპანია „რიხტერ გედონ ვედიესეტ დაიარ რტ“-მ სარჩელით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის — „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 1999 წლის 9 დეკემბრის №56 გადაწყვეტილების შეცვლა მოითხოვა.

„საქპატენტის“ სახელმწიფო ექსპერტიზის 08.09.98 წლის №2991 გადაწყვეტილებით მოსარჩელეს სასაქონლო ნიშნის „REGULON“-ის რეგისტრაციაზე უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ ზემოთითხებული სასაქონლო ნიშანი „საქპატენტის“ მიერ 1998 წელს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „REGULON“-ის მსგავსი იყო.

„საქპატენტის“ ექსპერტიზის 1998 წლის №2991 გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნად „REGULON“-ის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მო-

სარჩელემ „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში გაასაჩივრა. ამ უკანასკნელმა 1999 წლის 9 დეკემბრის №56 გადაწყვეტილებით კომპანია „რიხტერ გედონ ვედიესეტ დაიარ რტ“-ს კვლავ უარი ეთქვა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე და აღნიშნული „საქპატენტის“ გენერალურ დირექტორის 2000 წლის №5 ბრძანებით დამტკიცებული იქნა.

კომპანია „რიხტერ გედონმა“ „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრა, მისი გაუქმება და უნგრეთის კომპანიის სახელზე სასაქონლო ნიშნად „REGULON“-ის რეგისტრაცია მოითხოვა.

ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2001 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით წარმოდგენილი სარჩელი თბილისის საოლქო სასამართლოს განსჯადად მიიჩნია და განსახილველად საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიას გადაუგზავნა.

თბილისის საოლქო სასამართლომ 2001 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით უნგრეთის კომპანია „რიხტერ გედონის“ მიერ წარდგენილი სარჩელი ინტელექტუალური საკუთრების ურთიერთობიდან წარმოშობილ დავად არ მიიჩნია და მიეთითა, რადგან დავა „საქპატენტის“ მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტის (სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ) გაუქმებას შეეხებოდა, საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო რაიონული სასამართლოს მიერ.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადმოუგზავნა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ განიხილა სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საქმე თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ უნგრეთის კომპანია „გედონ რიხტერის“ მიერ წარმოდგენილი სარჩელი მართებულად მიიჩნია ადმინისტრაციულ კანონმდებლობის შესაბამისად განსახილველ საქმედ. მიუთითა რა, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სარჩელი „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით არ განეკუთვნება ინტელექტუალური საკუთრების ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რადგან იგი არც ინტელექტუალური სამართლის სუბიექტებს შორის წარმოშობილ და არც ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ნორმათა დარღვევის გამო წარმოშობილ დავას წარმოადგენს, მითითებული დავა ასევე არ ეხება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის თაობაზე წარმოშობილ დავას, არამედ მოსარჩელის მოთხოვნა მიმართულია „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გა-

უქმებისაკენ. საკასაციო სასამართლო იზიარებს საოლქო სასამართლოს მოსაზრებას, იმის თაობაზე, რომ „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლისა და „საქართველოს საპატენტო კანონის“ მე-8 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენს თავისი იურიდიული ბუნებით სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად განსჯად საქმეს არ წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება საოლქო სასამართლოს მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს განიხილავენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა. საქართველოს პრეზიდენტის 28.06.98წ. №392 ბრძანებულებით დამტკიცებულ იქნა „საქპატენტის“ დებულება, რომლის თანახმადაც, „საქპატენტი“ არ განეკუთვნება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ ქვეუნიქტით გათვალისწინებულ დანესებულებას, იგი პრეზიდენტის გამგებლობაში მყოფ საქვეუნყებო დანესებულებას არ წარმოადგენს და, ამდენად, მასზე ვერ გავრცელდება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეუნიქტის მოთხოვნები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნგრეთის კომპანია „რიხტერ გედეონ ვედიესეტ დაიარ რტ“-ს მიერ წარმოდგენილი დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განსჯადია.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი :

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-6 და 26-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე, 372-ე და 399-ე მუხლებით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა

1. უნგრეთის კომპანია „რიხტერ გედეონ ვედიესეტ დაიარ რტ“-ს მიერ წარმოდგენილი დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სამართლოს.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ 3/137-02

7 მაისი, 2002წ., ქ.თბილისი

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე მ.ნიკლაურმა

ლ. შამისაშვილის მდივნობით

ერთპიროვნულად განვიხილე მოსარჩელის უნგრეთის კომპანია "რიხტერ გედეონ ვედიესეტ დაიარ რტ"-ს სარჩელი საქპატენტის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, მოპასუხის საქ.ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის მიმართ.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

მოსარჩელე ითხოვს საქპატენტის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმებას.

მიმდინარე წლის 7 მაისს 14 საათზე დანიშნული იყო სასამართლო სხდომა, რომელზედაც არ გამოცხადდნენ მხარეები. ამ უკანასკნელებს სასამართლო უწყებები, სასამართლო სხდომის დღის, საათის და ადგილის შესახებ შეტყობინებით, ჩაბარდათ ფოსტის საშუალებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78 მუხლები მიითხოვნათა დაცვით. მხარეთა გამოუცხადებლობა წარმოადგენს ამ სამოქალაქო საქმის განუხილველად დატოვების საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელებ რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის „დ“ პუნქტით, 276, 284 და 285 მუხლებით, აგრეთვე საქართველოს კანონის „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-13 ნაწილით

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. მოსარჩელის უნგრეთის კომპანია "რიხტერ გედეონ ვედიესეტ დაიარ რტ"-ს სარჩელის გამო აღძრული ადმინისტრაციული საქმე №3-137-02 მოპასუხის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ საქპატენტის მიმართ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ დარ-

ჩეს განუხილველი მხარეთა გამოუცხადებლობის გამო.

2. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს 12 დღის ვადაში კერძო საჩივრით ამავე სასამართლოში.



გადანყვეტილება

საქართველოს სახელით

№3-254-03

4 აპრილი, 2003წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე მ.ნიკლაურმა
ლ.მამისაშვილის მდივნობით

მოსარჩელე: უნგრეთის კომპანია "რიხტერ გედეონ ვედიესეტი დაიარ
რტ"-ს წარმომადგენელ შ.გვარამაძის

მოპასუხე: ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპა-
ტენტის“ წარმომადგენელ გ.კვიციანიძის მონაწილეობით

განვიხილე უნგრეთის კომპანია "რიხტერ გედეონ ვედიესეტი დაიარ
რტ"-ს სარჩელი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული
ცენტრის საქპატენტის მიმართ სააპელაციო პალატის და ექსპერტიზის გა-
დანყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

მოსარჩელის წარმომადგენელი ითხოვს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის საქპატენტის სააპელაციო პალატის 1999 წლის 9 დე-
კემბრის №056 გადანყვეტილების და №2991 ექსპერტიზის გადანყვეტილე-
ბის ბათილად ცნობას სასაქონლო ნიშნის „რეგულონის“ რეგისტრაციაზე
უარის თქმასთან დაკავშირებით, იმ მოტივით, რომ კომპანია "რიხტერ გედე-
ონ ვედიესეტი დაიარ რტ"-მ მოახდინა რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნისა
„რეგულონ“ (REGULON) უნგრეთში 1998 წლის 30 იანვარს (რეგ. №148506)
ისარგებლა რა მადრიდის ხელშეკრულებისა და მისი პროტოკოლით მინიჭე-
ბული უფლებებით მოახდინა ამ სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგის-
ტრაცია №692119 და მოითხოვა რეგისტრაციის გავრცელება სხვადასხვა
ქვეყნებში. მაშინ საქართველო არ იყო მიერთებული მადრიდის ხელშეკრუ-

ლების პროტოკოლს და ამ მიზეზით საქართველოში 1998 წლის 25 თებერვალს შეტანილ იქნა ნაციონალური განაცხადი №013185. 1998 წლის 8 სექტემბრის ექსპერტიზამ გასცა უარყოფითი გადაწყვეტილება №2991 სასაქონლო ნიშან „რეგულტონი“ რეგისტრაციაზე საქონლის სრული ჩამონათვალისათვის (ვანაცხადით მოითხოვებოდა დაცულ იქნეს მხოლოდ ერთი სახის საქონელი — კონტრაცეპტივები) გადაწყვეტილების საფუძვლად მითითებულია განცხადებული ნიშნის მსგავსება საქართველოში. ადრე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან „რეგულტონი“ (REGULTON), რომლის განაცხადის შეგნის თარიღია 1993 წლის 22 ივლისი, რეგისტრაციის თარიღი 1998 წლის 10 თებერვალი, რეგისტრაციის ნომერი — 8312 რეგისტრაცია ძალაში 2008 წლის 10 თებერვლამდე საქონელი: კლასი 5 — სამედიცინო და ფარმაცევტული პრეპარატები, ხოლო მფლობელი — “ნორდ მარკ არცნაიმეტელ გმბჰ”, რომლის უფლებრივი მემკვიდრეა “კნოლ აგ”.

მოსარჩელეს და მის წარმომადგენელს მიაჩნიათ, რომ გადაწყვეტილება-თა არასამართლიანობა მდგომარეობს იმაში, რომ პალატის კოლეგიამ არ გაითვალისწინა სასაქონლო ნიშნების არაიდენტურობა. აგრეთვე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელის თანხმობა მოსარჩელის ნიშნის გამოყენებაზე, საქართველოში კონკრეტული საქონლისათვის — კონტრაცეპტივები, რომ პალატის გადაწყვეტილება არ მოიცავს რაიმე არსებით არგუმენტებს გარდა იმისა, რომ “ნიშნები ამკარად მსგავსია”, რასაც ისინი არ ეთანხმებიან რადგან მოსარჩელის ნიშნის საქონელი მე-5 კლასში მოიცავს კონკრეტულ საქონელს — კონტრაცეპტივებს, ხოლო დაპირისპირებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალი მოიცავს მე-5 კლასიდან სამედიცინო და ფარმაცევტულ პრეპარატებს, ზოგადად ერთი შეხედვით ორივე ნიშანში საქონლის ჩამონათვალის იდენტურობა ამკარა მაგრამ მოსარჩელის ნიშანი ეხება კონტრაცეპტივებს, ხოლო დაპირისპირებული ნიშნის ჩამონათვალი ზოგადაა, საქონლის ჩამონათვლების ერთგვაროვნებისა და ნიშნების მსგავსების გამო საქპატენტის მიერ ნიშნის რეგისტრაციაზე უარი მიაჩნიათ არას-ნორად რადგან ნიშნები მსგავსია, მაგრამ არ არიან იდენტურები. REGULON და REGULTON — განსხვავდებიან ერთი ასოთი — თანხმონით, რომელიც წარმოითქმის გამოკვეთილად, რაც გამორიცხავს მათ აღრევას ისეთი საქონლის შექენისას, როგორცაა კონტრაცეპტივები ერთის მხრივ და ფარმაცევტული და სამედიცინო პრეპარატები მეორეს მხრივ. მით უფრო, რომ არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ანალოგიურ საქმეზე სასაქონლო ნიშანზე — PROMERA PROVIRA, რასთან დაკავშირებითაც გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ ჩათვალა, რომ სამედიცინო პრეპარატების შექენისას მყიდველი განსაკუთრებული ყურადღებითა და მცი-რე განსხვავებისასაც კი გამოირიცხება ნიშნის აღრევა. მით უფრო, რომ ამ შემთხვევაში ადრეული რეგისტრაციის მქონე კომპანია არ ეწინააღმდეგება მოსარჩელის ნიშნის რეგისტრაციას. მან გასცა წერილი საქართველოში მოსარჩელის მიერ ნიშნის გამოყენებაზე, მას გაცემული აქვს თანხმობა მადრი-დის ხელშეკრულებით გავრცელებულ ქვეყნებში გარდა ავსტრიისა, გერმანიისა და ბენელუქსის ქვეყნებისა, დღეისათვის ორივე ნიშანია რეგისტრი-

რებული შემდეგ ქვეყნებში: ესტონეთი, ბელორუსია, მოლდოვა, ყაზახსტანი და უკრაინა. ასევე საყურადღებოდ მიაჩნიათ ის გარემოება, რომ დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი არ უშვებს ამ ნიშნით კონტრაცეპტივებს და ამდენად არ არსებობს მისი აღრევის საშიშროება, თუმცა აღნიშნული ნიშნით კონტრაცეპტივების გამოშვების უფლება აქვს, მაგრამ რამდენადაც მისთვის ცნობილია ასეთი საქართველოში არ აქვს შემოტანილი და არც შემოიტანს, მოსარჩელესთან კონკურენციის გამო, რადგან გაცემული აქვს თანხმობის წერილი, ყოველივე ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელის წარმომადგენელი ითხოვს სარჩელის დაკმაყოფილებას და მოპასუხის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნის შესახებ მე-3 მუხლის 1 პუნქტის თანახმად.

მოპასუხე საქ. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ წარმომადგენელი სარჩელს არ ცნობს და ითხოვს მასზე უარის თქმას იმ მოტივით, რომ

1. კონტრაცეპტივები ფარმაცევტული პრეპარატებია ე.ი. ფარმაცევტული პრეპარატებისათვის რეგისტრირებული ნიშანი, რეგისტრირებულად ითვლება კონტრაცეპტივებისათვისაც.

2. ნიშანი „რეგულონი“ იმდენად მსგავსია ნიშნისა „რეგულტონი“ (REGULTON), რომ შეუძლია მომხმარებელში გამოიწვიოს აღრევა, რაც სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად სიმბოლოს სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს. ნიშნებს შორის განსხვავება მხოლოდ ერთ თანხმობანშია, რომელიც სიტყვის შუაში II თანხმობის გვერდითაა მოთავსებული, სიტყვებს შორის უმნიშვნელო ვიზუალური და ფონეტიკური განსხვავების გამო, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის ალბათობა საკმაოდ დიდია.

3. არ ეთანხმება მოსარჩელის აზრს სასაქონლო ნიშნების „PROMERA“ და „PROVIRA“-სთან დაკავშირებით, რადგან აქ მთელ მარცვალშია სხვაობა რაც გაცილებით მეტ განსხვავებულუნარიანობას სძენს სიტყვებს ვიდრე სადავო შემთხვევაში, ამასთან იგი ეხება სხვადასხვა პრეპარატს, ხოლო სადავო შემთხვევაში — ორივე შეიძლება იყოს კონტრაცეპტივი და აღრევის საშიშროება მეტია. ასევე მიაჩნია რომ ერთ სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც სავალდებულო, მეორე ნიშანზე ექსპერტიზის ჩატარებისას, ვინაიდან ყველა შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება ხდება კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით, რაც პრაქტიკულად არასოდესაა იდენტური სხვადასხვა შემთხვევაში.

4. რაც შეეხება თანხმობის წერილს იგი არაუფლებამოსილი პირის მიერაა გაცემული, ვინაიდან ნიშანი REGULON საქპატენტში რეგისტრირებულია არა „კნოლლ აგ“-ს არამედ „ნორდმარკ არცნაიმიტელ გმპპ“-ს სახელზე. თანხმობა უფლებამოსილი პირის მიერაც რომ იყოს გაცემული, მის საფუძველზე „საქპატენტი“ ვერ შეცვლის გადაწყვეტილებას, ვინაიდან „რეგულონის“ (REGULON) რეგისტრაციის შემთხვევაში სხვადასხვა მფლობელის საკუთრებაში აღმოჩნდება იდენტური საქონლისათვის რეგისტრირებული

უაღრესად მსგავსი ნიშნები, რაც მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის წინაპირობას წარმოადგენს, ასევე ეწინააღმდეგება კანონს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი :

სასამართლომ მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეისწავლა საქმეში არსებული მასალები, მიაჩნია, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ სასაქონლო ნიშანი „რეგულონი“ რეგისტრირებულია კომპანია რიხტერ გედონ ვედიუსეტი დაიარ რტ“-ს მიერ უნგრეთში 1998 წლის 30 იანვარს (რეგ. № 148.506) 1998 წლის 25 თებერვალს საქართველოში შეტანილ იქნა განაცხადი ამ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე და გამოყენებაზე მე-5 კლასის საქონლისათვის კონტრაცეპტივები. ასევე დადგენილია, რომ „საქპატენტში“ 10.02.98წ. რეგისტრირებულა (რეგ. № 8312) ფირმა „ნორდ მარკ არცნაიმიტელ გმპ“-ს კუთვნილი სასაქონლო ნიშანი „რეგულტონი“ მე-5 კლასის შემდეგი საქონლისათვის: სამედიცინო და ფარმაცევტული პრეპარატები, საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნის შესახებ მე-5 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება თუ იგი მესამე პირის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა ეხება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მე-5 კლასის საქონლისათვის კონტრაცეპტივები, ხოლო მესამე პირის ანუ ფირმა „ნორდ მარკ არცნაიმიტელ გმპ“-ს კუთვნილი სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია ასევე მე-5 კლასის საქონლისათვის სამედიცინო და ფარმაცევტული პრეპარატები, რომელშიც შედის ასევე კონტრაცეპტივებიც. ასევე სასამართლოს მიაჩნია, რომ სასაქონლო ნიშანი „რეგულონი“ და „რეგულტონი“ ნამდვილად მსგავსია და მისი ერთი და იგივე საქონლისათვის კერძოდ კონტრაცეპტივებისათვის გამოყენება გამოიწვევს აღრევას და არაა გამორიცხული მომხმარებლის შეცდომაში შეყვანაც, ვინაიდან საქონელი იქნება იდენტური, კერძოდ კონტრაცეპტივები და ის გარემოება, რომელსაც მოსარჩელის წარმომადგენელი უთითებს, რომ დღეისათვის არ არის საქართველოში შემოსული აღნიშნული სასაქონლო ნიშნების კონტრაცეპტივები, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო გადწყვეტილებას, ვინაიდან იგი დაუსაბუთებელია და უსაფუძვლო, სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს მოსარჩელის წარმომადგენლის აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მათ აქვთ წარმომადგენელი თანხმობა სასაქონლო ნიშან „რეგულტონის“ მფლობელისა, რომელიც ეთანხმება სასაქონლო ნიშან „რეგულტონის“ საქართველოში რეგისტრაციას და გამოყენებას, რადგან აღნიშნული თანხმობა გაცემულია არა უშუალოდ საქართველოში ამ ნიშნის დამრეგისტრირებელი მფლობელი ფირმის მიერ და თანხმობის წერილის გამცემი ფირმა არის თუ არა შემკიდრე. აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებანი არაა საქმეში წარმომადგენელი თუმცა, ასეთიც, რომ იყოს ვინაიდან რეგისტრაცია ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას იგი

ვერ იქნებოდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან არ არსებობს საქნპატენტის სააპელაციო პალატის და ექსპერტიზის გადანყვეტილების ბათილად ცნობისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობები.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს კანონის „სასაქონლო ნიშნების შენახვებ“ მე-3, მე-4, მე-5, მე-16, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-2, მე-10, მე-12 და სსკ-ს 243-ე, 249-ე, 257-258-ე მუხლებით.

გ ა დ ა ვ ნ ყ ვ ი ტ ე :

1. არ დაკმაყოფილდეს უნგრეთის კომპანია „რიხტერ გედეონ ვედიესტი დაიარ რტ“-ს სარჩელი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 1999 წლის 9 დეკემბრის საკ. №170/03-98 გადანყვეტილება №056-ის და №12991 ექსპერტიზის გადანყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ უსაფუძველობის და დაუსაბუთებლობის გამო.

2. გადანყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით თბილისის საოლქო სასამართლოში მდებარე რობაქიძის 7ა, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს (მდებ. არაყიშვილის ქ. №3) მეშვეობით მხარეებზე სრული გადანყვეტილების გადაცემიდან 1 თვის ვადაში.

სასაქონლო ნიშან "DORINA"-ს რეგისტრაცია

გადაწყვეტილება

№020

19 ივლისი, 1999 წ., ქ.თბილისი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ.კვიციანი (თავმჯდომარე),
ზ.ნეფარიძე,
მ.ფანჩვიძე

განიხილა ფირმის „დორინა ტექსტილ გმპ“ (მისამართი შვანტჰალერ-სტრასე 2, 80336, მიუნჰენი, გერმანია) საჩივარი სასაქონლო ნიშნის „DORINA“ (განაცხადის საკ. №685/03-96) რეგისტრაციაზე უარყოფითი გადაწყვეტილების — „სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი მსგავსია ფირმა „დორინა მენეჯმენტ (ჰოლდინგ) ლტდ“-ს კუთვნილი სასაქონლო ნიშნისა, რომელიც „საქპატენტში“ რეგისტრირებულია 24.04.96წ., რეგისტრაციის №1975, პრიორიტეტის თარიღი 28.11.88წ. საქონლის იგივე ჩამონათვალისათვის“ — გადასინჯვის შესახებ.

კოლეგიამ განიხილა რა სააპელაციო საჩივარი და ექსპერტიზის მასალები, აგრეთვე, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები,

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

„დორინა ტექსტილ გმპ“-ს წარმომადგენელმა პატენტრმუნებულმა ა.ქართველიშვილმა წარმოადგინა არგუმენტაცია იმის შესახებ, რომ დაპირისპირებულ ნიშანი „DORINA“ შესრულებულია ორიგინალური ლათინური ასოებით და მთლიანობაში აღიქმება როგორც გამოსახულებითი სასაქონლო ნიშანი და საერთო ვიზუალური შთაბეჭდილებიდან გამომდინარე, არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. გარდა ამისა, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები განსხვავებულია მათში შემავალი მარცვლების რაოდენობითა და ჟღერადობით, რაც შეუძლებელს ხდის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას.

კოლეგიამ მიიჩნია, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია არასაკმარისია და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს იმგვარი ვიზუალური და ფონეტიკური მსგავსება, რომ არსებობს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

ფირმის „დორინა ტექსტილ გმპ“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.



გადაწყვეტილება

საქართველოს სახელით

№3ა/56

17 ნოემბერი, 1999წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ტ.ზამბახიძე (თავმჯდომარე),
ი.თოდრია,
ი.ლეგაშვილი

ლ.ქემოკლიძის მდივნობით

მოსარჩელე ორგანიზაციის: გფრ-ს ფირმა „დორინა ტექსტილ გმბპ“-ს წარმომადგენლის პატენტრწმუნებულის ალექსანდრე ქართველიშვილის (მინდობილობა 23.09.96წ.)

მოპასუხე ორგანიზაციის: საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ წარმომადგენლის იურიდიული განყოფილების უფროსის ზურაბ ნეფარიძის (მინდობილობა 17.11.99წ.) მონაწილეობით

განიხილა საქმის მასალები მოსარჩელე ორგანიზაციის გფრ-ს ფირმა „დორინა ტექსტილ გმბპ“-ს წარმომადგენლის პატენტრწმუნებულის ალექსანდრე ქართველიშვილის სარჩელის გამო ცენტრის „საქპატენტის“ (შემდგომში „საქპატენტი“) მიმართ. მოსარჩელე ითხოვდა: „საქპატენტის“ 30.08.99წ. №17 ბრძანების ბათილად ცნობას (შემგომ სასამართლო პროცესზე მოსარჩელემ დააზუსტა თავისი სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა სადავო ბრძანების არა მთლიანად ბათილად ცნობა, არამედ ნაწილობრივ, რომელიც ეხება სააპელაციო პალატის კოლეგიის საკანცელარიო განცხადებას №685/03-96); „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 19.07.99წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რაც ეხება ფირმა „დორინა ტექსტილ გმბპ“-ს სააპელაციო საჩივრის განხილვას; მოსარჩელე ითხოვდა დაეაღეს „საქპატენტს“ ფირმა „დორინა ტექსტილ გმბპ“-ს სასაქონლო ნიშნის „დორინას“ რეგისტრაციაში გატარება; მოპასუხისათვის 100 აშშ დოლარისა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურების გადახდის დაკისრება.

05.11.99წ. „საქპატენტმა“ წარმოადგინა შეპასუხება (შესაგებელი), რომ-

ლითაც სრულიად უარყოფს მოსარჩელის მოთხოვნებს. „საქპატენტი ეფუძნება შემდეგ ძირითად დებულებებს: ა) სარჩელით წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „DORINA“ და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „DORNA“ შესრულებულია სხვადასხვა შრიფტით. პირველი სტილნდარტული, ხოლო მეორე — სტილიზებული შრიფტით); ბ) შრიფტები არ არის იმდენად ორიგინალური, რომ მოხდეს მხოლოდ გამოსახულების აღქმა. ორივე შემთხვევაში კარგად იკითხება გამოყენებული სიტყვები; გ) ორივე ნიშნის მსგავსება თავისი უღერადობით ამკარაა; დ) საფირმო სახელოდებებსა ან საფირმო სახელოდებისა და სასაქონლო ნიშნის დაპირისპირების შემთხვევაში ჩვეულებრივ მოქმედებს უფრო ადრინდელი პრიორიტეტის პრინციპი; ე) „საქპატენტის“ ექსპერტიზა სრულ შესაბამისობაშია ექსპერტიზის ჩატარების მომენტში მოქმედ კანონმდებლობასთან; ვ) მოსარჩელეს უნდა ეთქვას უარი 100 აშშ დოლარისა და სასამართლო ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრებაზე.

13.09.96წ. გფრ-ს ფირმა „დორინა ტექსტილ გმბჰ“-მა განაცხადი შეიტანა „საქპატენტში“ სასაქონლო ნიშნის DORINA-ს რეგისტრაციის თაობაზე. განაცხადს მიენიჭა „საქპატენტის“ საკანცელარიო №685/03-96.

„საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების დეპარტამენტმა 29.05.98წ. №1908 გადანყვეტილებით, რეგისტრაციაში არ გაატარა და არ მიანიჭა სამართლებრივი დაცვა საქართველოში ფირმა „დორინა ტექსტილ გმბჰ“-ს კუთვნილ სასაქონლო ნიშან DORINA-ს („საქპატენტის“ საკანცელარიო №685/03-96).

უარის თქმის საფუძველად „საქპატენტმა“ მიიჩნია ის გარემოება, რომ ფირმა „დორინა ტექსტილ გმბჰ“-ს კუთვნილი სასაქონლო ნიშანი მსგავსია ფირმა „დორნა მენეჯმენტ (პოლდინგ) ლტდ“-ს კუთვნილი სასაქონლო ნიშნისა, რომელიც „საქპატენტში“ რეგისტრირებულია 24.04.96წ., პრიორიტეტის თარიღი 22.11.88წ. საქონლის იგივე ჩამონათვისისათვის.

საბელმწიფო ექსპერტიზის 29.05.98წ. გადანყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, რომლითაც მოსარჩელეს ეთქვა უარი სასაქონლო ნიშნის DORINA-ს რეგისტრაციაზე საქონლის ან/და მომსახურების მთელი ჩამონათვალის მიმართ იყო გასაჩივრებული მოსარჩელის მიერ „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში. სააპელაციო პალატის კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის არგუმენტაცია არასაკმარისია და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს იმგვარი ვიზუალური და ფონეტიკური მგავსება, რომ არსებობს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. შესაბამისად ფირმა „დორინა ტექსტილ გმბჰ“-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა (იხ. 19.07.99წ. გადანყვეტილება).

„საქპატენტმა“ თავისი 30.08.99წ. №17 ბრძანებით დაამტკიცა სააპელაციო პალატის კოლეგიის თანდართული გადანყვეტილებები, მათ შორის 19 ივლისის 1999 წ. გადანყვეტილება №685/03-96 საკანცელარიო განცხადებასთან დაკავშირებით.

სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველი, სადავო ურთიერთობები ძირითადად რეგულირდება სამრენ-

ველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციით და საქართველოს ყოფილი მინისტრთა კაბინეტის 1992წ. 16 მარტის №304 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით სასაქონლო ნიშნების შესახებ. ამასთან სასაქონლო ნიშნად მიჩნეულია ორიგინალურად გაფორმებული განმასხვავებელი სიმბოლო, რომელიც განკუთვნილია ერთგვაროვანი საქონლის და მისი მწარმოებლის იდენტიფიკაციისათვის.

სასაქონლო ნიშანი ნიშნავს ნებისმიერ ვიზუალურ აღნიშვნას, რომელიც განკუთვნილია ერთი სანარმოს საქონლის მეორე სანარმოს საქონლისაგან განსასხვავებლად. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სასაქონლო ნიშნის მთავარ კრიტერიუმად მისი განმასხვავებელუნარიანობაა დასახელებული. ამასთან მოცემულია მეორე აუცილებელი კრიტერიუმიც - ნიშნის ვიზუალობა, ანუ ნიშანი ხილვადი უნდა იყოს (კრიტერიუმში არ ეხება ისეთ ნიშნებს, როგორცაა ბგერითი ან სურნელოვანი).

სასაქონლო ნიშნად შეიძლება ცნობილ იქნეს მხოლოდ ისეთი სიმბოლო, რომელიც მიუთითებს საქონელსა და მის მწარმოებელს შორის არსებულ კავშირზე სამოქალაქო მიმოქცევის პროცესში, უპირველესად საქონლით ვაჭრობის დროს. ზოგადად, სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ნებისმიერი სახის სიმბოლოთი. ეს შეიძლება იყოს სიტყვა, ციფრები, ასოები, გამოსახულება, ფერების კომბინაცია, ბგერები, სურნელები, ყოველივე აღნიშნულის კომბინაცია და სხვა. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სასაქონლო ნიშანი არის სიტყვა „DORINA“. სიტყვა მიგრძობდა როგორც ვიზუალურად — ვკითხულობთ თვალთ, ასევე სმენით -- არა აქვს მნიშვნელობა თავად ნაწიკითხვით მოცემული სიტყვას ხმამაღლა, თუ სხვა ნაწიკითხვას, მოვისმენთ მას რადიოს, ტელევიზიის ან სხვაგვარი საშუალებით გადმოცემისას.

სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ სიტყვები „DORNA“ და „DORINA“ თავისი ვიზუალური მხარით ემსგავსება ერთმანეთს. მსგავსია მათი ფონეტიკული მხარეც (ანუ ისინი მსგავსნი არიან თავიანთი ჟერადობით), არ განსხვავდება ორივე სიტყვა — სასაქონლო ნიშანი თავისი შინაარსობრივი დატივრთვითაც.

მეორე, სასაქონლო ნიშანი, რომელიც წარმოდგენილია ჩვეულებრივი სიტყვით (ჩვენს კონკრეტულ მოცემულ შემთხვევაში სიტყვა „DORINA“) შეიძლება იყოს რეგისტრაციუწარიანი ან არა. ეს იმაზეა დამოკიდებული, დააკმაყოფილებს თუ არა ეს სიტყვა სასაქონლო ნიშნის კრიტერიუმს — განმასხვავებელუნარიანობას.

ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილი სასაქონლო ნიშანი „DORINA“ მსგავსია ფირმა „დორნა მენეჯმენტ (პოლდინგ) ლტდ“-ს კუთვნილი სასაქონლო ნიშნისა „DORNA“, რომელიც საქპატენტში რეგისტრირებულია 24.04.96 წელს, რეგისტრაციის №1975, პრიორიტეტის თარიღი 28.11.88წ., საქონლის იგივე ჩამონათვისისათვის, რასაც სთავაზობს მომხმარებელს ფირმა „დორინა ტექსტილ გმპ“ თავისი სასაქონლო ნიშნით „DORINA“, სასამართლო განუმარტავს მხარეებს შემდეგს. დებულების სასაქონლო ნიშნების შესახებ მეორე მუხლის „გ“ პუნქტით განსაზღვრულია, რომ არ დაიშ-

ვება სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია სიმბოლოების, რომლებიც მოიცავენ ან შედგებიან ისეთი სახის მინიშნებებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ მომხმარებელი. სასამართლო მიიჩნევს, რომ რადგანაც კანონიერად იყო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „DORNA“ „საქპატენტმა“ სავსებით სწორად აღარ გაათარა რეგისტრაციაში სასაქონლო ნიშანი „DORINA“.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა სსკ-ს 243-ე, 244-ე, 247-250-ე, 255-ე, 395-ე და 397-ე მუხლებით

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მოსარჩელე ორგანიზაციის გფრ-ს ფირმა „დორინა ტექსტილ გმპ“-ს წარმომადგენლის, პატენტრწმუნებულს ალექსანდრე ქართველიშვილს მთლიანად ეთქვას უარი მისი სასარჩელო მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე მოპასუხე ორგანიზაციის საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტის“ შიგნით.

ა) ეთქვას უარი მოსარჩელეს მის მოთხოვნაზე ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტი“ 1999 წლის 30 აგვისტოს №17 ბრძანების პირველი პუნქტის ნაწილი, რომელიც ეხება ამავე უწყების სააპელაციო პალატის კოლეგიის №685/03-96 განაცხადს.

ბ) ეთქვას უარი მოსარჩელეს მის მოთხოვნაზე ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ერთეული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 1999 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ფირმა „დორინა ტექსტილ გმპ“-ს სააპელაციო საჩივრის განხილვას.

გ) ეთქვას უარი მოსარჩელეს მის მოთხოვნაზე დაევალოს „საქპატენტს“ გაატაროს რეგისტრაციაში სასაქონლო ნიშანი „DORINA“.

დ) ეთქვას უარი მოსარჩელეს მის მოთხოვნაზე მოპასუხე ორგანიზაციისათვის 100 აშშ დოლარის გადახდევინების დაკისრების შესახებ.

ე) ეთქვას უარი მოსარჩელეს მის მოთხოვნაზე მოპასუხისათვის სასამართლო ხარჯების ანაზღაურების დაკისრების შესახებ.

2. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში თბილისის საოლქო სასამართლოში საკასაციო საჩივრის შეტანით ერთი თვის ვადაში მხარეთათვის გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტიდან.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3გ/ად-38-კ

13 მარტი, 2000 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ი.ტაბუცაძე (თავმჯდომარე),
ნ. სხირტლაძე,
ბ. მეტრეველი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა პატენტრწმუნებულის — ა. ქართველიშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს 17.11.99წ. გადანყევტილებაზე, მონინალმდგეგ მხარე — საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“. საკასაციო პალატამ საქმის მასალების შესწავლით

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ცენტრის „საქპატენტი“ (შემდგომ „საქპატენტი“) სასაქონლო ნიშნების დეპარტამენტის 29.05.98წ. №1908 გადანყევტილებით ნიშან „DORNA“-თან მსგავსების მოტივით (რეგისტრირებულია 24.04.96წ., პრიორიტეტის თარიღი 28.11.88წ.), რეგისტრაციაში არ გაატარა „დორინა ტექსტილ გმპზ“-ს კუთვნილი სასაქონლო ნიშანი — „DORINA“. სასაქონლო ნიშნების დეპარტამენტის აღნიშნული გადანყევტილება გასაჩივრებულ იქნა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში, რომლის 19.07.99წ. გადანყევტილებით და „საქპატენტის“ 30.08.99წ. №17 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა „დორინა ტექსტილ გმპზ“-ს აპელაცია.

თბილისის საოლქო სასამართლოს 20.09.99წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა გფრ-ს ფირმა „დორინა ტექსტილ გმპზ“-ს პატენტრწმუნებულმა ა. ქართველიშვილმა მოპასუხე ორგანიზაციის, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიმართ. მოსარჩელე ითხოვდა „საქპატენტის“ 30.08.99წ. №17 ბრძანების ბათილად ცნობას სასაქონლო ნიშან „DORINA“-თან მიმართებაში; სასაქონლო ნიშან „DORINA“-ს რეგისტრაციაში გატარებას; „საქპატენტზე“ მოსარჩელის სასარგებლოდ 100 აშშ დოლარის და სასამართლო ხარჯების დაკისრებას. მოსარჩელის არგუმენტაცია ძირითადად ეფუძნება „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის სახელმწიფო ექსპერტიზის ინსტრუქციას“, რომლის 5.5. და 5.6. მუხლებში მოცემული სასაქონლო ნიშნების მსგავსების

კრიტიკურობების შეჯამების საფუძველზე მოსარჩელე თვლის, რომ სასაქონლო ნიშნები არსებითად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან და შეუძლებელი იყო მათი აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 17.11.99წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელეს მთლიანად ეთქვა უარი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლო კოლეგიამ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ დებულების მე-2 მუხლის „გ“ ქვეუბნქტის საფუძველზე მიიჩნია, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „DORINA“ მსგავსია საქპატენტში მანამდე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „DORNA“. სასაქონლო ნიშნის „DORNA“-ს რეგისტრაციის შემდეგ, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ დებულების მე-2 მუხლის „გ“ ქვეუბნქტის თანახმად მართებულად ეთქვა უარი ნიშნის „DORINA“-ს რეგისტრაციაში გატარებაზე.

„დორინა ტექსტილ გმპ“-ს წარმომადგენელმა, პატენტრწმუნებულმა ა. ქართველოშვილმა საკასაციო საჩივრთ მიმართ საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 17.11.99წ. გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს კოლეგიის დასკვნას ნიშნების ვიზუალური მსგავსების თაობაზე და უთითებს, რომ სასაქონლო ნიშნებს შორის მსგავსების კრიტიკურობები თავმოყრილია „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარების ინსტრუქციაში“, კერძოდ მის 5.5. და 5.7. მუხლებში. კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლო კოლეგიამ უგულვებელყო დავის საგნის გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტი

„სასაქონლო ნიშანზე განაცხადის სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარების ინსტრუქცია“, რითაც საკითხის გადაწყვეტა ექსპერტის სუბიექტურ მოსაზრებებს მიანდო.

მონიშნულმდეგე მხარე თავის შესაგებელში სარჩელს არ ცნობს და აღნიშნავს, რომ არც „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარების ინსტრუქცია“, არც მინისტრთა კაბინეტის 16.03.92წ. №304 დადგენილებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშნების შესახებ დებულება“ არ იძლევა ნიშნების მსგავსების გამო რეგისტრაციის საშუალებას. საკასაციო საჩივრით წარმოდგენილი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის შესრულებულია სხვადასხვა შრიფტით, მაგრამ საკასაციო საჩივრით წარმოდგენილ ნიშანში გამოყენებული სტილიზებული შრიფტი არ არის იმდენად ორიგინალური, რომ მისი აღქმა მოხდეს მხოლოდ გამოსახულებით, საერთო ვიზუალური შთაბეჭდილება არ არის არსებითად განსხვავებული. საკასაციო საჩივრით წარმოდგენილი ნიშნის რეგისტრაციის შემთხვევაში ამ შრიფტის ოდნავ სტილიზებული შრიფტით გამოყენებაც კი უფრო თვალსაჩინოს გახდიდა რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლების დარღვევას. ამკარაა აგრეთვე ორივე ნიშნის მსგავსება თავისი ყლერადობით.

საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კოლოზიური (დაპირისპირებული) სიმბოლოები („DORINA“—„DORINA“) შედგებიან ისეთი სახის ელემენტებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ შეცდო-

მაში შეიყვანონ მომხმარებელი. ამდენად, სასამართლო კოლეგია მართებულად ეყრდნობა მინისტროს კაბინეტის 16.03.92წ. №304 დადგენილებით დამტკიცებულ „სასაქონლო ნიშნების შესახებ დებულებას“, რომლის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, უკეთეს სიმბოლო მოიცავს ან შედგება ამგვარი მინიშნებებისაგან, მისი სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია არ დაიშვება.

სასამართლო კოლეგია მართებულად დაეყრდნო ვადანყვეტილებაში უპირატესი ნორმატიული ძალის მქონე აქტს — „დებულებას სასაქონლო ნიშნების შესახებ“. საკასაციო პალატა თელის აგრეთვე, რომ არც სასაქონლო ნიშანზე განაცხადის სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარების ინსტრუქცია იძლევა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის საფუძველს. საკასაციო საჩივრით წარმოდგენილი ნიშნის რეგისტრაცია გამოიწვევს მომხმარებლის მიერ მათი აღრევის შესაძლებლობას, რაც „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარების ინსტრუქციის“ თანახმად სასაქონლო ნიშნების მსგავსების ზოგადი კრიტერიუმის საფუძველს წარმოადგენს (5.5). გაცხადებული „DORINA“ და დაპირისპირებული „DORNA“ სასაქონლო ნიშნების სხვადასხვა პრიფტით შესრულების მიუხედავად, საერთო ვიზუალური შთაბეჭდილება არ არის არსებითად განსხვავებული, ვინაიდან სტილიზებული პრიფტი არ არის იმდენად ორიგინალური, რომ მისი აღქმა მხოლოდ გამოსახულებით მოხდეს, ხოლო სტანდარტული პრიფტით შესრულებული სასაქონლო ნიშნის სამართლებრივი დაცვა არ გამორიცხავს მისი სტილიზებული პრიფტით გამოყენების შესაძლებლობას, რის შედეგადაც სასაქონლო ნიშნებს შორის მსგავსება კიდევ უფრო გაიზრდება.

ამკარაა აგრეთვე ნიშნების უღერადობის მსგავსება. ნიშნის მსგავსებისათვის ინსტრუქციის 5.6.1 მუხლის თანახმად საკმარისია სანყისი ან ბოლო ნაწილების დამთხვევა, დაპირისპირებულ ნიშნებში კი ემთხვევა სანყისი და ბოლო ნაწილები, ხოლო ხმოვანი „l“ სიტყვის სუსტ ელემენტს წარმოადგენს და ვერ ჩაითვლება მკვერთ განმასხვავებელ ელემენტად. სასაქონლო ნიშნები თითქმის იდენტური ბგერებისაგან შედგება, ნიშნების განსხვავებული დამარცვლა არ იძლევა იდენტიფიკაციის საკმარის საშუალებას, რადგანაც სასაქონლო ნიშანს დამარცვლით არ წარმოთქვამენ. რაც შეეხება ინსტრუქციის 5.6. მუხლით განსაზღვრულ აზრობრივ ნიშანს, ორივე სიტყვიერ ნიშანს არ გააჩნია რაიმე აზრობრივი დატივრთვა, ორთავე ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე და 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. კასატორის, ფირმა „დორინა ტექსტილ გმპ“-ს წარმომადგენლის, პატენტრწმუნებულის ა. ქართველიშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 17.11.99წ. ვადანყვეტილება.

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ 3-144

3 თებერვალი, 2003წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე თ.ტაბატაძემ ანა მანიას მდივნობით

განვიხილე ღია სასამართლო სხდომაზე ადმინისტრაციული საქმე ინ-გლისის შეერთებული სამეფოს კომპანია „ზი ველქომ ფაუნდეიშენ ლიმიტი-დის“ სარჩელისა გამო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ცენტრი „საქპატენტისა“ და შვეიცარიული კომპანია „შერიנג-პლაგ ლტდ“-ს მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

მონაწილეობდნენ: მოსარჩელის წარმომადგენელი — შალვა გვარამაძე.
მოპასუხე: „საქპატენტის“ წარმომადგენელი გიორგი კვიციანი.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

მოსარჩელე ითხოვს „გაუქმდეს მთლიანად რეგისტრაცია საქართველო-ში მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა AERIFED, რეგისტრაციის № AM 2000 015668, რეგისტრაციის თარიღი: 16 თებერვალი 2002წ.

მოსარჩელე თავის მოთხოვნას იმით ასაბუთებს, რომ მისი აზრით „მოპასუხის რეგისტრაცია მოხდა სასაქონლო ნიშნების შესახებ მოქმედი საქართველოს კანონის მუხლი მე-5 პუნქტის გ)-ს მოთხოვნების დარღვევებით; ანუ მოპასუხე თვლის, რომ მოპასუხის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი AERIFED მსგავსია მის მიერ უფრო ადრე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა ACTIFED, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. მოსარჩელე თვლის, რომ თანახმად კანონისა ამ მიზეზით მოპასუხის ნიშანი არ უნდა დარეგისტრირებულიყო საქპატენტის მიერ“. მსგავსებასა და იდენტურობას მოსარჩელე იმაში ხედავს, რომ ორივე სასაქონლო ნიშანი სიტყვიერია და ჩანერილი არიან ლათინური

ანბანის ასოებით.

ასოების რაოდენობა ორივე ნიშანში თანაბარია და ტოლია 7-ის. ორივე სიტყვის დაბოლოება შემდგარი ოთხი ასოსაგან - იდენტურია. ორივე სიტყვა იწყება ერთი და იგივე ასოთი „A“.

საწყისი ბგერებისა და ბოლო ბგერის იდენტურობა და ბგერათა საერთო რაოდენობა, მოსარჩელის აზრით, „იძლევა საფუძველს მტკიცებისა. რომ სამკურნალო საშუალებების ფონეტიკური ჟღერადობა მსგავსია აღრევის შესაძლებლობამდე“.

მოპასუხე „შერინგ-პლაგ ლტდ“-ს წარმომადგენელი, პატენტრწმუნებუ-ლი თამაზ შალიკაძის შესაგებლის მიხედვით:

„სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია (სარეგისტრაციო მოწმობა, სერტიფიკატი, რომელიც გაცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, ხოლო ადმინისტრაციული აქტის გაუქმება შეუძლებელია ვინაიდან არ არსებობს ადმინისტრაციული აქტის გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, რამდენადაც საქარსიკელოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გამოცხადდეს ბათილად ან გამოცხადდეს ძალადაკარგულად და სითრეულ მათგანს შედეგად მოჰყვება განსხვავებული სამართლებრივი შედეგები“.

მოპასუხემ, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ცენტრმა „საქპატენტმა“ არ ცნო კომპანიის „ზი-ველქომ-ფაუსდლიჰენ ლიმიტიდ“-ის (წარმომადგენელი — პატენტრწმუნებული შალვა გვარამაძე) სარჩელი და მიიჩნევს: „სასაქონლო ნიშნები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ შეუძლებელია მომხმარებელს ისინი ერთმანეთში აერიოს, მით უმეტეს. რომ ეს ნიშნები რეგისტრირებულია მე-5 კლასის საქონლისათვის, რომელიც ფარმაცევტულ პრეპარატებს მოიცავს. ამ სახის საქონლის შექმნისას კი მომხმარებელი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს“.

მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებების შეფასების შედეგად სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჩრელის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან:

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი :

სასამართლომ ვერ გაიზიარა „შერინგ-პლაგ ლტდ“-ს მოსაზრება განსჯადობის თაობაზე და მიჩნეულია, რომ განსახილველი საქმე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად განეკუთვნება რაიონული სასამართლოს გასჯადობას.

დადგენილია, რომ მოსარჩელემ 1997 წლის 15 დეკემბერს საქართველოში მოახდინა სასაქონლო ნიშნის ACTIFED-ის რეგისტრაცია. რეგისტრაციის №7854 საქონელი მე-5 კლასიდან საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით ფარმაცევტული და სამკურნალწამლო პრეპარატები და ჩივთიერებები.

განცხადების პრიორიტეტული თარიღი 7 ივნისი 1982 წ.

მოპასუხემ მოგვიანებით მოახდინა სასაქონლო ნიშნის AERIFED-ის რეგისტრაცია. რეგისტრაციის № 7854 საქონელი მე-5 კლასიდან საერთაშო-

რისო კლასიფიკაციის მიხედვით — ფარმაცევტული და სამკურნალო პრეპარატები და ნივთიერებები. განცხადების პრიორიტეტული თარიღი: 7 ივნისი 1982 წ.

მოპასუხემ მოგვიანებით მოახდინა სასაქონლო ნიშნის AERIFED-ის რეგისტრაცია. განცხადების № AM 2000 015668 საქონელი მე-5 კლასიდან — ფარმაცევტული, ვეტერინალური და ჰიგიენური პრეპარატები; სამედიცინო დანიშნულების დიეტური ნივთიერებები; საკვები ბავშვებისათვის; სალბუნები, გადასახვევი მასალები; კბილის დასაპლომბი მასალები და მასალები კბილების ტვიფარების დასაპლადებლად; მადეზინფიცირებელი საშუალებები; მავნე ცხოველების მოსასპობი პრეპარატები; ფუნგიციდები, ჰერბიციდები.

„სასაქონლო ნიშნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით. „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი ... მესამე პირის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სასამართლომ ვერ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმის შესახებ, რომ მოსარჩელის სასაქონლო ნიშნის ჟღერადობა „აქტიფედ“ შესაძლებელია ასოცირებული იქნეს მოპასუხის ნიშნის ჟღერადობად „ერიფედ“.

სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე „საქპატენტის“ განმარტება, რომლის მიხედვითაც „ექსპერტიზამ უნდა გაითვალისწინოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ჟღერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა ნებამება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას“. ვიზუალურად სასაქონლო ნიშნები „ACTIFED“ და „AERIFED“ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამასთანავე, განსხვავებულია მათი საწყისი ნაწილები, რაც, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვების ბოლო ნაწილები ერთნაირია, განსაკუთრებულ განსხვავებულუნარიანობას ანიჭებს მათ. ფონეტიკურად მოსარჩელის ნიშანი შედგება სამი მარცვლისაგან (AC-TI-FED), გასაჩივრებული ნიშანი კი — ოთხისაგან (AE-RI-FED). ამათგან მხოლოდ ბოლო თითო მარცვალია იდენტური, დანარჩენები კი განსხვავებულია ერთმანეთისაგან. გასაჩივრებული ნიშნის პირველი ორი მარცვალი მხოლოდ ხმოვნებისაგან შედგება, რაც აშკარად განასხვავებს მას მოსარჩელის ნიშნისაგან. სემანტიკური დატვირთვა მთლიანობაში არცერთ ნიშანს არა აქვს.

რუსული შრიფტით შესრულებული ნიშნის შემთხვევებში, რომელსაც მოსარჩელის ნიშანთან არანაირი ვიზუალურად მსგავსება არ გააჩნია, განსხვავება კიდევ უფრო დიდია. სასაქონლო ნიშნები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ შეუძლებელია მომხმარებელს ისინი ერთმანეთში აერიოს. მით უმეტეს, რომ ეს ნიშნები რეგისტრირებულია მე-5 კლასის საქონლისათვის, რომელიც ფარმაცევტულ პრეპარატებს მოიცავს. ამ სახის საქონლის შექმნისას კი მომხმარებელი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს“.

სასამართლოს მიერ გაზიარებულია აგრეთვე მოპასუხე „შერიგ-პლაგ-ლტდ“-ს შესაგებლის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „სასაქონლო

ნიშნის რეგისტრაცია (სარეგისტრაციო მონშობა, სერტიფიკატი, რომელიც გაცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, ხოლო ადმინისტრაციული აქტის გაუქმება შეუძლებელია ვინაიდან არ არსებობს ადმინისტრაციული აქტის გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, რამდენადაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით „სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით, რასაც მოჰყვება განსხვავებული სამართლებრივი შედეგები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვიხელმძღვანელებ ამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული კანონებით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I-ლი მუხლის II ნაწილით, მე-12 მუხლით; სსკ-ს 243-244-ე; 247-249-ე მუხლებითა და

გ ა დ ა ვ ნ ე შ ი ტ ა :

1. მოსარჩელეს ინგლისის შეერთებული სამეფოს კომპანია „ზი ველქონ ფაუნდეიშენ ლიმიტიდს“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვას უარი.
2. სახელმწიფო ბაჟი სარჩელისათვის გადახდილია წინასწარ.
3. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა სააპელაციო პალატაში მოტივირებული გადაწყვეტიების პირების მხარეებისადმი გადაცემიდან ერთი თვის ვადაში.



გ ა ნ რ ი ნ ე ჯ ა

საქართველოს სახელით

№33/309-03

2 ივლისი, 2003წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ შემდეგი მემადგენლობით: ნ.ნეკელაძე (თავმჯდომარე), ი.მახათაძე, ჯ.რუსიაშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა შეერთებული სამეფოს კომპანია „ზი ველქომ ფაუნდეიშნ ლიმიტიდის“ საქართველოში წარმომადგენლის პატენტრწმუნებულის შალვა გვარამაძის კერძო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 27 მაისის განჩინებაზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის და კერძო საჩივრის მოტივაციის შესწავლის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სააპელაციო სასამართლოს 2003 წლის 27 მაისის განჩინებით თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებაზე, დატოვებულ იქნა განუხილვალად სსკ-ს 364-ე, 369.1, 374-ე მუხლების საფუძველზე, ზემოთმითითებულ განჩინებაში აღნიშნული გარემოებების გამო.

პატენტრწმუნებულმა შ.გვარამაძემ კერძო საჩივრით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მითითებული განჩინების გაუქმება და მისი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება განსახილველად, შემდეგი მოტივით:

რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ტექსტში დამეებული იყო მეტად მნიშვნელოვანი შეცდომები, რომ მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, არ მიუღია კორექტირებული ტექსტი გადაწყვეტილებისა, შექმნილი მდგომარეობა აცნობა მარწმუნებელს და აუხსნა, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს ერთ თვეში სწორად შედგენილი გადაწყვეტილების მიღებიდან.

სააპელაციო სასამართლოს 2003 წლის 12 ივნისის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს მიეცა ვადა ხარვეზის (სახ.ბაჟის გადახდის ქვითარი) შესავ-

სებად, რაც მის მიერ გამოსწორებულ იქნა.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ პატენტრწმუნებულ შ.გვარამაძის კერძო საჩივარი, როგორც დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო არ უნდა დაკმაყოფილდეს და განსახილველად უნდა გადაეგზავნოს ზემდგომ -- საქართველოს უზენაეს სასამართლოს სსკ-ს 417-ე მუხლის ჩივილით, შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლო კოლეგიას საქმის მასალებზე დაყრდნობით მიაჩნია, რომ შ.გვარამაძის მიერ გაშვებულია საპროცესო კოდექსის 349.1 მუხლით იმპერატიულად დადგენილი სააპელაციო საჩივრის შეტანის ერთიანი საპროცესო ვადა და ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის მოტივს -- კორექტირებული გადაწყვეტილების მიღებიდან აპელაციის ვადის დინების ათვლის თაობაზე, რადგან ამგვარს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

სააპელაციო სასამართლოს მიერ 2003 წლის 27 მაისის განჩინების მიღებისას ვათვალისწინებულია ის გარემოებაც, რომ რაიონული სასამართლოს მიერ სრულიად იქნა დაცული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის მოთხოვნები.

ამდენად, სასამართლო კოლეგიის აზრით, კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I, სსკ-ს 390-ე, 417-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

პატენტრწმუნებულის შ.გვარამაძის კერძო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუსაბუთებლად, არ დაკმაყოფილდეს და განსახილველად გადაეგზავნოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს 5 დღის ვადაში.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ბს-151-73-კს-03

2 ოქტომბერი, 2003 წ., ქ. თბი-

ლისი

საქართველოს უზენაესი სასამართლო ადმინისტრაციული
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნუგზარ სხირტლაძე (თავმჯდომარე),
ნანა კლარჯეიშვილი (მომხსენებელი),
იამზე ლეგაშვილი

განხილვის ფორმა - მხარეთა დასწრების გარეშე

კერძო საჩივრის ავტორი (მოსარჩელე): შეერთებული სამეფოს კომპანია
"ზი ველქომ ფაუნდემენ ლიმიტიდ"-ის წარმომადგენელი საქართველოში,
პატენტრწმუნებული შალვა გვარამაძე;

მონინაალმდევე მხარე (მოპასუხე):

1. შვეიცარული კომპანია "შერინგ-პლაგ-ლტდ"-ს წარმომადგენელი სა-
ქართველოში, პატენტრწმუნებული თამაზ შალიკაძე;

2. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
"საქპატენტი".

გასაჩივრებული განჩინება: თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინის-
ტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის
2003 წლის 27 მაისის განჩინება.

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა.

ა ლ ნ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა ნ ი ლ ი :

2002 წლის 13 აგვისტოს კერძო საჩივრის ავტორმა - შეერთებული სამეფოს
კომპანია "ზი ველქომ ფაუნდემენ ლიმიტიდ"-ის წარმომადგენელმა საქართვე-
ლოში, პატენტრწმუნებულმა შ.გვარამაძემ სარჩელი აღძრა თბილისის ვაკე-სა-
ბურთალოს რაიონულ სასამართლოში და მოითხოვა ინტელექტუალური სა-
კუთრების ცენტრ "საქპატენტის" მიერ მონინაალმდევე მხარის --- შვეიცარული
კომპანია "შერინგ-პლაგ ლტდ"-ს სახელზე 2002 წლის 16 თებერვალს რეგისტრი-
რებული სასაქონლო ნიშნის AERIFED-ის გაუქმება შემდეგი საფუძვლით:

მოსარჩელის განმარტებით, 1997 წლის 15 დეკემბერს "საქპატენტში" გან-
ხორციელდა შეერთებული სამეფოს კომპანიის სასაქონლო ნიშნის ACTIFED-ის

რეგისტრაცია, ხოლო მოგვიანებით კი სასაქონლო ნიშნის AERIFED-ის რეგისტრაცია მოახდინა მოპასუხემ, რითაც დაირღვა "სასაქონლო ნიშნის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის "გ" პუნქტის მოთხოვნები. კერძოდ, მოსარჩელის აზრით, მოპასუხის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი მსგავსი, ხოლო საქონელი იდენტურია, რაც სასაქონლო ნიშნების აღრევის შესაძლებლობას ქმნის.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებით კომპანია "ზი ველქომ ფაუნდეიშნ ლიმიტიდ"-ის სარჩელი არ დაქადაგოფილდა უსაფუძვლობის მოტივით. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაშვებული შეცდომების გასწორების მოთხოვნით, 2003 წლის 2 აპრილს მოსარჩელე პატენტრწმუნებულმა განცხადებით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, ხოლო გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით კომპანია "ზი ველქომ ფაუნდეიშნ ლიმიტიდ"-მა სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2003 წლის 29 აპრილს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 27 მაისის განჩინებით კომპანია "ზი ველქომ ფაუნდეიშნ ლიმიტიდ"-ის სააპელაციო საჩივარი შემდეგი მოტივით განუხილველად იქნა დატოვებული:

პალატამ დადგენილად ცნო, რომ რაიონული სასამართლოს 2003 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება აპელანტის წარმომადგენელ შ. გვარამაძეზე გადასაცემად მის მეუღლეს ჩაბარდა 2003 წლის 17 თებერვალს, ხოლო თავად შ. გვარამაძეს გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა 2003 წლის 20 მარტს, სააპელაციო საჩივარი კი მის მიერ შეტანილია 2003 წლის 29 აპრილს. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ერთთვიანი ვადა. რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა კომპანია "ზი ველქომ ფაუნდეიშნ ლიმიტიდ"-მა და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა მოითხოვა. კერძო საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ მიუხედავად მათთვის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების კორექტირებული ვარიანტის ჩაბარებისა, მასში კვლავ იქნა დაშვებული მნიშვნელოვანი შეცდომები და მიუხედავად მათი არაერთი მოთხოვნისა, რაიონული სასამართლოს კორექტირებული გადაწყვეტილება დღემდე არ ჩაბარებიათ, რის საფუძველზეც კერძო საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ მათ მიერ არ არის გაშვებული სწორად შედგენილი გადაწყვეტილების გასაჩივრების ერთთვიანი ვადა, რადგან ასეთი მათ არც მიუღიათ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 2 ივლისის განჩინებით შ. გვარამაძის კერძო საჩივარი მიჩნეული იქნა დაუსაბუთებლად და განსახილველად გადაეცა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, ვინაიდან პალატის მოსაზრებით, კერძო საჩივრის ავტორის მოტივი კორექტირებული გადაწყვეტილების მიღებიდან აპელაციის ვადის დინების ათვლის შესახებ ვერ იქნება გაზიარებული, რადგან ასეთს არ ითვალისწინებს მოქმედი სამო-

ქალაქო საპროცესო კანონმდებლობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება-კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შეერთებული სამეფოს კომპანია "ზი ველქომ ფაუნდეიშნ ლიმიტიდ"-ის ნარძომადგენლის, პატენტ-ტრანშენებულ შ.გვარამაძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 27 მაისისა და 2 ივლისი განჩინებები შემდეგ ვარემოებთა გამო:

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 27 მაისის განჩინებით ნარძომადგენელ შ. გვარამაძის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული გასაჩივრების ერთთვიანი ვადის დარღვევით სააპელაციო საჩივრის შეტანის გამო. კერძო საჩივრის ავტორი განჩინების გაუქმებას ითხოვს იმ მოტივით, რომ მათ არ ჩაბარებით ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ სწორად შედგენილი გადაწყვეტილება, ხოლო რაც შეეხება მის მიერ 2003 წლის 20 მარტს კორექტირებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებას, კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მასში კვლავ იყო დაშვებული მნიშვნელოვანი შეცდომები. ამიტომ კერძო საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ მას არ გაუშვია რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ერთთვიანი ვადა, რადგან სწორად შედგენილი გადაწყვეტილება არც ჩაბარებია, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და მართებულად მიიჩნევს თბილისის საოლქო სასამართლოს განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 339-ე მუხლის პირველი იმპერატიულად მიუთითებს: სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა ერთი თვე. ამ ვადის გავრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და მისი ათვლა იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. რაც შეეხება გადაწყვეტილებაში დაშვებული შეცდომების გასწორებას, ასეთს ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლი და შესაძლებლობას აძლევს მხარეებს სასამართლოს გადაწყვეტილებაში არსებული უზუსტობის გასწორების მოთხოვნით მიმართონ სასამართლოს, რისი უფლებითაც ისარგებლა კერძო საჩივრის ავტორმა და მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს გადაწყვეტილების უზუსტობის გასწორების მოთხოვნით. რაიონული სასამართლოს მიერ შესწორებული გადაწყვეტილების ასლი მხარეს ჩაბარდა 2003 წლის 20 მარტს, რასაც თავადაც არ უარყოფს, ხოლო თუ მხარეს მიაჩნდა, რომ სასამართლოს უკვე შესწორებულ გადაწყვეტილებაში კვლავ იყო მნიშვნელოვანი შეცდომები, მას უფლება ჰქონდა გადაწყვეტილებაში შესწორების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეეტანა კერძო საჩივარი, რაც მხარეს არ განუხორციელებია და 2003 წლის 29 აპრილს შეიტანა სააპელაციო საჩივარი ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით. სამოქა-

ლაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა იწყება მხარისათვის ვადანწყვეტილების გადაცემის მომენტიდან, რის გამოც საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აპელაციის ვადის დინების ათვლას კორექტირებულ ვადანწყვეტილების მიღებიდან, ხოლო გასაჩივრების ვადის გადაცილებით სააპელაციო საჩივრის შეტანა, აპელაციის განუხილველად დატოვების საფუძველია. თანახმად ამავე კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილისა.

ამდენად, საკასაციო პალატა უსაფუძველობის მოტივით ვერ გაიზიარებს კერძო საჩივარს და ეთანხმება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 27 მაისის განჩინებას, რაც უცვლელად უნდა დარჩეს, რადგან სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის სწორი განმარტებით მართებულად დატოვა განუხილველად შეერთებული სამეფოს კომპანია "ზი ველქომ ფაუნდემს ლიმიტიდ"-ის წარმომადგენლის შ. გვარამაძის სააპელაციო საჩივარი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ ვ ი ნ ა :

1. შეერთებული სამეფოს კომპანია "ზი ველქომ ფაუნდემს ლიმიტიდ"-ის წარმომადგენლის შ. გვარამაძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 27 მაისისა და 2 ივლისის განჩინებები;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



გ ა ნ რ ი ნ ე ჯ ა

საქართველოს სახელით

№ბს-152-74-კს-03

15 ოქტომბერი, 2003 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

მემადგენლობა: ბესიკ კობერიძე (თავმჯდომარე),
მაია ვაჩაძე (მომხსენებელი),
გიორგი ქაჯაია

საქმის განხილვის ფორმა: ზეპირი მოსმენის გარეშე
კერძო საჩივრის ავტორი: შეერთებული სამეფოს კომპანია „ზი ველქომ
ფაუნდეიშნ ლიმიტიდ“

მონინალმდგევე მხარე: შვეიცარიული კომპანია „შერიנג-პლაგ ლტდ“
გასაჩივრებული გადანყვევტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს
ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2003
წლის 2 ივნისის და 2003 წლის 2 ივლისის განჩინებები

დავის საგანი: სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება.

ა ღ ნ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა ნ ი ლ ი :

2002 წლის 13 აგვისტოს შეერთებული სამეფოს კომპანია „ზი ველქომ
ფაუნდეიშნ ლიმიტიდ“-მა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში მო-
პასუხის შვეიცარიულ კომპანია „შერიנג-პლაგ ლტდ“-ის მიმართ სარჩელი
აღძრა და მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის AER-
IFED რეგისტრაციის №AM 2000 01 5668, რეგისტრაციის თარიღი: 16 თებერ-
ვალი 2002 წელი, რეგისტრაციის მთლიანად გაუქმება მოითხოვა.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 3 თებერვლის
გადანყვევტილებით კომპანია „ზი ველქომ ფაუნდეიშნ ლიმიტიდ“-ის სარჩე-
ლი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადანყვევტილება შეერთებული სამეფოს კომპანია „ზი ველ-
ქომ ფაუნდეიშნ ლიმიტიდ“-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა
გასაჩივრებული გადანყვევტილოლების გაუქმება და ახალი გადანყვევტილების
მიღებით მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და
საგადასახადო საქმეთა პალატის 2003 წლის 2 ივლისის განჩინებით კომპა-

ნია „ზი ველქომ ფაუნდეიშნ ლიმიტიდ“-ის წარმომადგენლის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლომ განჩინება შემდეგ გარემოებებზე დააფუძვნა: სასამართლოს მოსაზრებით, საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილების ასლი მოსარჩელის წარმომადგენლის შალვა გვარამაძეზე გადასაცემად მის მუხლეს 2003 წლის 17 თებერვალს ჩაბარდა, ხოლო შალვა გვარამაძემ გადაწყვეტილების ასლი 2003 წლის 20 მარტს ჩაიბარა. სააპელაციო საჩივარი კი რაიონულ სასამართლოში იმავე წლის 29 აპრილს იქნა შეტანილი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კომპანია „ზი ველქომ ფაუნდეიშნ ლიმიტიდ“-მა სააპელაციო საჩივრის შეტანის ერთოვიანი ვადა გაუშვა, ამავე მუხლის თანახმად კი, ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო”.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კომპანია „ზი ველქომ ფაუნდეიშნ ლიმიტიდ“-ის წარმომადგენლის სააპელაციო საჩივრის დაშვების ერთ-ერთი პირობა -- კანონით დადგენილ საპროცესო ვადაში გასაჩივრება, არ არსებობდა, რაც მისი განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო პალატის 2003 წლის 2 ივნისის განჩინებაზე თბილისის საოლქო სასამართლოში შეერთებული სამეფოს კომპანია „ზი ველქომ ფაუნდეიშნ ლიმიტიდ“-მა კერძო საჩივარი შეიტანა და ზემოაღნიშნული განჩინების გაუქმება და მისი სააპელაციო საჩივრის განხილვა მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორმა განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძველებზე მიუთითა:

იგი აღნიშნავდა, რომ შალვა გვარამაძეს მართალია გადაწყვეტილების ასლი 2003 წლის 20 მარტს გადაეცა, მაგრამ გადაწყვეტილების ტექსტში შეტად მნიშვნელოვანი შეცდომები იყო დაშვებული, რის გამოც მან ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა და ამ შეცდომების გასწორება მოითხოვა. 2003 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილების შესწორებული ტექსტი დღემდე არ მიუღია.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2003 წლის 2 ივლისის განჩინებით კომპანია „ზი ველქომ ფაუნდეიშნ ლიმიტიდ“-ის კერძო საჩივარი უსაფუძველობის გამო არ დაკმაყოფილდა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, საქმე საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადმოეგზავნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების კანონიერება და დასაბუთებულობა, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ შეერთებული სამეფოს კომპანია „ზი ველქომ ფაუდეიშ ლიმიტიდ“-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2003 წლის 2 ივნისის და 2003 წლის 2 ივლისის განჩინებები ძალაში უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას ირასთან დაკავშირებით, რომ კომპანია „ზი ველქომ ფაუდეიშ ლიმიტიდ“-მა სააპელაციო წესით გასაჩივრების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით დადგენილი ერთთვიანი ვადა გაუშვა, ამავდროულად მიიჩნევს, რომ სააპელაციო წესით გასაჩივრების დადგენილი ვადის გაგრძელება დაუშვებელია, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად მიიჩნევის შემთხვევაში, იგი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა კომპანია „ზი ველქომ ფაუდეიშ ლიმიტიდ“-ის წარმომადგენლის მითითება შესწორებული გადაწყვეტილების მიღებიდან სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლის თაობაზე, რადგან ზემოაღნიშნულს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, გაერთიანებული სამეფოს კომპანია „ზი ველქომ ფაუდეიშ ლიმიტიდ“-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. შეერთებული სამეფოს კომპანია „ზი ველქომ ფაუდეიშ ლიმიტიდის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2003 წლის 2 ივნისის და 2003 წლის 2 ივლისის განჩინებები;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასაქონლო ნიშან "RHODIA"-ს რეგისტრაცია

გ ა ლ ა ნ ე წ ე ტ ი ლ ე ბ ა № 129

საქ. 7609/03-93

თარიღი: 14.05.2001

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის "საქპატენტის" სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი მქადაგებლობით: ზ. ნეფარიძე, (თავმჯდომარე), მ. ფანჩიძე, ზ. კობალაევა, ნ. ბებრიშვილის მდივნობით განიხილა კომპანიის "როდია" (საფრანგეთი) საჩივარი სასაქონლო ნიშნის "RHODIA" რეგისტრაციაზე ექსპერტიზის №2994 (09.09.1998წ.) გადანყევტილების გადასინჯვის შესახებ.

კოლეგიამ განიხილა რა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები

გ ა მ მ ა რ კ ვ ი ა :

სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის წარმომადგენელი, პატენტრწმუნებული თ. შილაკაძე არ ეთანხმება ექსპერტიზის გადანყევტილებას საქონლის ჩამონათვლიდან 25-ე კლასის ამოღების შესახებ, რასაც ასაბუთებს იმით, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის მფლობელ კომპანიასა და დაპირისპირებული ნიშნის "RHODIER" მფლობელ კომპანია "ვ. ე. ე."-ს შორის 1993 წლის 1 სექტემბერს დადებული შეთანხმება არასწორად იქნა გაგებული და წარმოადგინა აღნიშნული ხელშეკრულების ასლი.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია და წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ შეუძლებელია წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე ექსპერტიზის გადანყევტილების შეცვლა, ვინაიდან ზემოხსენებული კომპანიების შეთანხმება ეხება მხოლოდ ბაზარზე სასაქონლო ნიშნების გამოყენებას. მართალია, დაპირისპირებული ნიშნების მფლობელებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ არ გააპროტესტებენ მსგავსი ნიშნების გამოყენებას, მაგრამ ეს გარემოება სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ამით ისინი დაიცავენ მომხმარებელს აღრევის სამიშროებისაგან. ამასთანავე, აღნიშნული კომპანიები არ წარმოადგენენ ერთმანეთთან დაკავშირებულ კომპანიებს და სხვადასხვა პირის სახელზე მსგავსი სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციამ ერთგვაროვანი საქონლისათვის შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ "სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 და მე-16 მუხლების თანახმად

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიას "RHODIA" მთლიანად ეთქვას უარი აპელაციის დაკმაყოფილებაზე;

2. ძალაში დარჩეს ექსპერტიზის 1998 წლის 9 სექტემბრის №2994 გადაწყვეტილება.



გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3/23-02

3 აპრილი, 2002 წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნ.დურგლიშვილმა

მ. დოლონაძის მდივნობით

მოსარჩელე: კომპანია „როდიას“ წარმომადგენლის -- თ. შილაკაძის

მოპასუხე: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ წარმომადგენლის ზ. ნეფარიძის მონაწილეობით.

განვიხილე კომპანია „როდიას“ სარჩელი მოპასუხე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიმართ, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისა და „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

მოსარჩელის განმარტებით 1993 წლის 29 დეკემბერს „საქპატენტში“ შეიტანეს განცხადება სასაქონლო ნიშნის „RHODIA“-ს რეგისტრაციის თაობაზე საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-17, 22-27-ე და 34-ე კლასის მიმართ. „საქპატენტის“ სახელმწიფო ექსპერტიზამ განიხილა აღნიშნული განაცხადი და 1998 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე 25-ე კლასის საქონლისათვის. განმცხადებლის მიერ ექსპერტიზის გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო პალატაში, რომელმაც 2001 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით უარი უთხრა აპელაცი-

ას დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ სარეგისტრაციოდ შეტანილი ნიშანი მსგავსია უკვე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „RODIER“, რომელიც რეგისტრირებულია იმავე კლასის საქონლისათვის. მოსარჩელე მოითხოვს „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2001 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება ბათილად იქნეს ცნობილი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ საჩივარი განიხილა არა კანონით დადგენილ ორ თვიან ვადაში, არამედ 22 თვის შემდეგ, ამასთან, გადანყევტილებაში არ იქნა ჩითიებული მისი გასაჩივრების ნესი, საკანონმდებლო საფუძველი, რომლის საფუძველზეც მიღებული იქნა გადანყევტილება, შესაბამისად, მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხეს დაევალოს სასაქონლო ნიშნის „RHODIA“-ს რეგისტრაცია 25-ე კლასის ჩამონათვალისათვის.

მოპასუხე სარჩელს არ ცნობს შემდეგ გარემოებათა გამო: სასაქონლო ნიშანს „RHODIA“ უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 25-ე კლასის ჩამონათვალისათვის იმის გამო, რომ განაცხადის განხილვის დროისათვის „საქპატენტში“ უკვე რეგისტრირებული იყო სასაქონლო ნიშანი „RODIER“, იმავე კლასის საქონლისათვის, ექსპერტიზამ მიიჩნია, რომ ამ ორ ნიშანს შორის არსებობდა ისეთი მსგავსება, რასაც შეეძლო გამოენია მათი აღრევა და შეცდომაში შეყვანა მომხმარებელი, ამასთან, დაპირისპირებული კომპანიის თანხმობის წერილი წარმოდგენილი იქნა მას შემდეგ, რაც „საქპატენტს“ უკვე გამოტანილი ჰქონდა უარყოფითი გადანყევტილება რეგისტრაციაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე მოპასუხე მიიჩნევს, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და მას უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

მოუუსმინე რა მხარეებს და გავეცანი საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, მიმაჩნია, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: დადგენილია, რომ 1993 წლის 29 დეკემბერს ფრანგული კომპანია „RHODIA“-ს წარომადგენლის მიერ „საქპატენტში“ შეტანილი იქნა განაცხადი სასაქონლო ნიშან „RHODIA“-ს რეგისტრაციის თაობაზე საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-17, 22-27-ე და 34-ე კლასის მიმართ.

„საქპატენტის“ სახელმწიფო ექსპერტიზის 1998 წლის 5 მაისის გადანყევტილებით მიჩნეული იქნა, რომ „სარეგისტრაციოდ შეტანილი ნიშანი მსგავსია ფირმა „ვევსა“-ს კუთვნილი ნიშნისა „RODIER“, რომელიც რეგისტრირებულია საქპატენტში 23-26-ე კლასის საქონლისათვის, ამიტომ საქონლის ჩამონათვალი, შესაბამისად შეზღუდულია“. მოსარჩელის მიერ ექსპერტიზის აღნიშნული გადანყევტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო პალატაში, რომლის 2001 წლის 14 მაისის გადანყევტილებით საჩივარს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე, ძალაში დარჩა ექსპერტიზის 1998 წლის 9 სექტემბრის №2994 გადანყევტილება, ამდენად, საქონლის ჩამონათვალის დატოვა შეზღუდული 25-ე კლასისათვის.

სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხის განმარტებას იმის თაობაზე, რომ აღნიშნული სასაქონლო ნიშნები იმდენად მსგავსია ერთმანეთისა, რომ მოსარჩელის რეგისტრაციამ შეიძლება გამოიწვიოს სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნიშანი „RHODIA“ ითხოვდა რეგის-

ტრაციის საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-17, 22-27-ე და 34-ე კლასის საკონსოლიდაციის ნიშანი „RODIER“ რეგისტრირებულია 23-26-ე კლასის საქონლისათვის.

სააპელაციო კოლეგიის 2001 წ. 14 მაისის გადაწყვეტილებაში არ არის განმარტებული რატომ შეეზღუდა მოსარჩელეს მხოლოდ 25-ე კლასის საქონლისათვის რეგისტრაცია, თუ აღნიშნული შეზღუდვის მიზეზი იყო სასაქონლო ნიშნების მსგავსება, შესაბამისად, გაურკვეველია შეზღუდვა რატომ შეეხო მხოლოდ 25-ე კლასს.

ანალოზ, მართალია სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონი მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსია იმდენად, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევს შესაძლებლობა, მაგრამ სასამართლოს მიაჩნია, რომ სასაქონლო ნიშნები „RHODIA“ და „RODIER“ არ არიან იმდენად მსგავსი, რომ შესაძლებელია იყოს მათი ერთმანეთში აღრევა. განსხვავებულია მათი ვიზუალური აღქმა, მართალია, ორივე ნიშანი შედგება 6 ასოსაგან, მაგრამ მათგან განსხვავებულია 3, განსხვავებულია ასოთა განლაგება, კერძოდ, ნიშანი „RODIER“ იწყება და მთავრდება ერთი და იგივე ასოთი, რაც გამორიცხავს მის აღრევას დაპირისპირებულ ნიშანთან, განსხვავებულია მათი შრიფტიც.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ნარმოდგენილი ნიშნები განსხვავდებიან ჟღერადობითაც, ერთი იკითხება, როგორც „როდია“, ხოლო მეორე „როდიერ“, რაც აძლიერებს მათ განსხვავებითუნარიანობას.

საქპატენტის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაში არ არის განმარტებული, რატომ და რა ნიშნებით იქნა მიჩნეული აღნიშნული სასაქონლო ნიშნები ერთმანეთის მსგავსად, იმდენად, რომ შესაძლებელი იყოს მათი ერთმანეთში აღრევა, ამდენად, მიმაჩნია, რომ გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, გადაწყვეტილებაში არ არის მიითებული საკანონმდებლო საფუძველი, ამდენად, გაურკვეველია, რით იხელმძღვანელა საქპატენტის სააპელაციო პალატამ აპელაციის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისას. ამასთან აღნიშნულ გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული მისი გასაჩივრების წესი, ამდენად, დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52.2 და 53.3 მუხლების მოთხოვნები.

სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის 16.6 მუხლის თანახმად „სააპელაციო პალატა საჩივარს იხილავს შეტანილად 2 თვის ვადაში“ მოცემულ შემთხვევაში საქპატენტის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება გამოტანილი იქნა 22 თვის შემდეგ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის თანახმად „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა გამოცხადდეს, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები“.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ საქმეში წარმოდგენილია დაპირისპირებული კომპანიის გენერალური მენეჯერის წერილი, რომლის თანახმადაც არ არსებობს არანაირი ინტერესთა კონფლიქტი

VEV-სა და RHODIA-ს შორის სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით და ეთანხმებიან სასაქონლო ნიშნის RHODIA-ს რეგისტრაციას 25-ე კლასში, ისევე, როგორც ყველა სხვა საერთაშორისო კლასიფიკაციის კლასში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმართა, რომ სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სახ.ბაჟი 30 ლარი გადახდილია მოსარჩელის მიერ, რაც საქ. სსკ-ს 53-ე მუხლის თანახმად უნდა დაეკისროს მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ.

ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს სსკ-ს მე-8, 243-249-ე მუხლებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლებით

გ ა დ ა ვ ა ნ ე შ ი :

1. სარჩელი დაკმაყოფილდეს, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“ დაევალოს სასაქონლო ნიშნის „RHODIA“-ს რეგისტრაცია საერთაშორისო კლასიფიკაციის 25-ე კლასის საქონლისათვის.

2. ბათილად იქნეს ცნობილი „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2001 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება №7609/03-93.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოში ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მეშვეობით.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ

№ 3/78-02 9 დეკემბერი, 2002წ., ქ.თბილისი

**კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მ.სონ-
ლულაშვილმა**

განვიხილე ადმინისტრაციული საქმე საქართველოს ეკონომიკის, მრეწვე-
ლობის და ვაჭრობის სამინისტროს სარჩელის გამო, მოპასუხეების საქართვე-
ლოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის, ინტელექტუ-
ალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ მიმართ, მესამე პირი
შპს გაზეთი „რეზონანსი“ საყოველთაოდ ცნობილად ცნობის შესახებ.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

ჩემს წარმოებაშია ადმინისტრაციული საქმე 3/78-02 საქართველოს
ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროს სარჩელისა გამო,
მოპასუხეების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დე-
პარტამენტის, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპა-
ტენტი“ მიმართ, მესამე პირი შპს „გაზეთი „რეზონანსი“ საყოველთაოდ
ცნობილად ცნობის შესახებ. სასამართლოს მთავარი სხდომა განმეორებით
ჩანიშნული იყო 2002 წლის 9 დეკემბერს 13 საათზე. სხდომის დღე მხარეებს
ეცნობათ კანონით დადგენილი წესით, მაგრამ მხარეები არ გამოცხადდნენ.
ამასთან, სასამართლოსთვის არ უცნობებიან გამოუცხადებლობის არასა-
პატიო მიზეზი.

სსკ-ს 231-ე მუხლის შესაბამისად თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოც-
ხადდება არცერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება კანონით
დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას, სარჩელის განუ-
ხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება სსკ-ს 276-ე და 278-ე
მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს სსკ-ს 231-ე მუხლით,

დავალებები:

1. საქართველოს ეკონომიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სარჩელი მოპასუხეების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურა დეპარტამენტის, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ მიმართ, მესამე პირი შპს გაზეთი „რეზონანსი“, საყოველთაოდ ცნობილად ცნობის შესახებ, დარჩეს განუხილველი მხარეთა გამოუცხადებლობის გამო.
2. განემარტოს მოსარჩელეს, რომ მას შეუძლია კვლავ მიმართოს სასამართლოს სარჩელით საერთო ნების დაცვით.
3. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა 12 დღის განმავლობაში მისი მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან.



გ ა ლ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№2/217-01 15 მარტი, 2001წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლელა კალიჩენკომ

ანა ელიზარაშვილის მდივნობით

განვიხილე სამოქალაქო საქმე მოსარჩელე დიდი ბრიტანეთის კომპანია გლაქსო გრუპ ლიმიტიდის სარჩელისა გამო მოპასუხის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ და საფრანგეთის კომპანია სანოფის ს.ა.-ს მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შესახებ.

საქმის განხილვას ესწრებოდნენ და მონაწილეობდნენ:

- დიდი ბრიტანეთის კომპანია გლაქსო გრუპ ლიმიტიდის წარმომადგენელი შალვა გვარამაძე

-- საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ წარმომადგენელი ზურაბ ნეფარიძე

- საფრანგეთის კომპანია სანოფის ს.ა.-ს წარმომადგენელი თამაზ შილაკაძე

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ა :

მოსარჩელემ, დიდი ბრიტანეთის კომპანია გლაქსო გრუპ ლიმიტიდმა 1994 წლის 20 იანვარს შეიტანა განაცხადი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“ სიტყვიერი სასაქონლო ნიშნის ELTROXIN-ის რეგისტრაციის თაობაზე. აღნიშნული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია განხორციელდა 1998 წლის 5 მარტს მოპასუხის — საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ სარეგისტრაციო ნომრით 8545. რეგისტრაცია ძალაშია 2008 წლის 5 მარტამდე (საქონელი კლასი 5 --- ფარმაცევტული პრეპარატები, კლასი 10 --- სამედიცინო და ქირურგიული აპარატური, ინჰალატორები და

მათი მარაგნაწილები).

1998 წლის 18 აგვისტოს საქართველოში შევიდა განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე „ნიოკათინი“ ფრანგული კომპანია სანოფი ს.ა.-ს სახელით. 1999 წლის 23 აგვისტოს საქართველოში ეს ნიშანიც რეგისტრაციაში გაატარა ნომერი M1999, 12594-ით; რეგისტრაცია ძალაშია 2009 წლის 23 აგვისტოდან (საქონელი - კლასი 5 კიბოს სამკურნალო ფარმაცევტული პრეპარატები).

მოსარჩელეს მიაჩნია, რომ არსებობს საშიშროება სასაქონლო ნიშნების ELTROXIN-ის და „ნიოკათინი“-ის აღრევისა მათი მსგავსებისა და მე-5 კლასის საქონლის ერთგვაროვნების გამო, ამიტომ მოითხოვს მოპასუხის საფრანგეთის კომპანია სანოფის ს.ა.-ს სასაქონლო ნიშნის „ნიოკათინი“-ის გაუქმებას საქონლის სრული ჩამონათვალისათვის. კერძოდ, მოსარჩელის ნიშნის საქონელი მე-5 კლასში მოიცავს ყველა ფარმაცევტულ პრეპარატს. მოპასუხის ნიშნის საქონლის ჩამონათვალი წარმოადგენს მე-5 კლასიდან კონკრეტულ საქონელს - კიბოს სამკურნალო ფარმაცევტულ ნიშარმს; ამიტომ, მოსარჩელეს მიაჩნია, რომ ორივე ნიშანში საქონლის ჩამონათვალის იდენტურობა აშკარაა, რადგან სადავო ნიშნის ჩამონათვალი შედის მოსარჩელის ნიშნის ჩამონათვალში; მოსარჩელეს მიაჩნია, რომ ოთხ ჩავეატარებთ შედარებით ანალიზს, მაშინ გამოჩნდება, რომ ორივე ნიშნის საქონლის ჩამონათვალი იდენტურია, ორივე ნიშანი სიტყვიერია და წარმოადგენენ ხელოვნურ სიტყვებს, ერთი ნიშანი ჩანერილია სტანდარტული ლათინური ასოებით, მეორე კი კირილიცაზე სტანდარტული ასოებით. ამ ორი ანბანის ასოთა მსგავსება ექვს არ უნდა იწვევდეს; ორივე ნიშანი ჰოიცავს ბგერათა ერთი და იგივე რაოდენობას (9-9) და მათ შორის 7 ბგერა საერთოა. ორივე სიტყვაში მეორდება ბგერათა ერთი და იგივე წყვილები: 1) ელ, 2) ოქს, 3) ინ (მოსარჩელის ნიშანი ელ ტრ ოქს ინ), 1 და 2-ს შორის ჩამატებულია ორი ბგერა „ტრ“, ხოლო მოპასუხის ნიშანი მიიღება 2-სა და 3-ს შორის ორი ბგერის „ატ“-ს ჩამატებით (ელ ოქს ატ ინ). ამასთან, ამ ჩამატებული ორ-ორი ბგერისაგან ერთი ბგერა „ტ“ საერთოა ორივე ნიშნისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე თვლის, რომ ეს ნიშნები მგავსია იმდენად, რომ შესაძლებელია მოხდეს მათი აღრევა, ამიტომ ითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი მოპასუხის ნიშნის რეგისტრაცია საქართველოში.

საფრანგეთის კომპანია სანოფის ს.ა. შესავებელით არ სცნობს დიდი ბრიტანეთის კომპანია გლაქსო გრუპლიმითიდის სასარჩელო განცხადებას რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „ნიოკათინი“-ის გაუქმების თაობაზე. კერძოდ, მოპასუხეს მიაჩნია, რომ დაპირისპირებული ნიშნები ELTROXIN და „ნიოკათინი“ ვიზუალურად მნიშვნელოვანად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რადგან პირველი მათგანი შესრულებულია ლათინური შრიფტით, ხოლო მეორე კირილიცით; ფონეტიკური მსგავსების შეფასებისას მიუღებელია მარცვლებისა და ბგერების მექანიკური დათვლა და ბგერების ერთი და იგივე რაოდენობის საფუძველზე დასკვნის გაკეთება; ორივე მათგანი არის ფარმაცევტული პრეპარატების სახელები, რომელთა დაბოლოებების „OXIN“ და „KATHIN“ (ოქსინი და კსატინი) აშკარად განსხვავდებიან

ერთმანეთისაგან; სემანტიკური მნიშვნელობით ორივე ნიშანი ფანტაზიური სიტყვებია და შექმნილია მათი მწარმოებლების მიერ. გარდა ამისა, მოპასუხე აღნიშნავს, რომ მათი ნიშანი რეგისტრირებულია მე-5 კლასში შემავალ ნიშნად და წარმოადგენს კიბოს სამკურნალო ფარმაცევტულ პრეპარატს, რომლის მოხმარებაც ხდება მხოლოდ ექიმის დანიშნულებით.

ამრიგად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მოპასუხეს შეუძლებლად მიაჩნია ნიშნების აღრევა და მოხმარების შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

შევიხანავე რა საქმის მასალები და მოვისმინე რა მხარეთა ახსნა-განმარტებანი მიუვდი იმ დასკვნამდე, რომ სარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ მოსარჩელე დიდი ბრიტანეთის კომპანია გლასკო გრუპლიმიტიდის სასაქონლო ნიშანი ELTroxin რეგისტრირებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ 1998 წლის 5 მარტს, რეგისტრაციის №8545, რეგისტრაცია ძალაშია 2008 წლის 5 მარტამდე. საქონელი განეკუთვნება კლასი 5 — ფარმაცევტული პრეპარატები, კლასი 10 — სამედიცინო და ქირურგიული აპარატურა, ინსტრუმენტები და მათი მარაგნაწილები.

დადგენილია, რომ მოპასუხე ფრანგული კომპანია სანოფი ს.ა.-მ 1998 წლის 18 აგვისტოს საქპატენტში შეიტანა განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე „NIOK'ALIM-ის სახელით. 1999 წლის 23 აგვისტოს საქპატენტმა ეს ნიშანიც რეგისტრაციაში გაატარა — რეგისტრაციის ნომერი M 1999 12594; რეგისტრაცია ძალაშია 2009 წლის 23 აგვისტომდე; საქონელი — კლასი 5 — კიბოს სამკურნალო ფარმაცევტული პრეპარატები.

დადგენილია, რომ როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია განხორციელდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №304 დადგენილებით დამტკიცებული „დებულების სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საფუძველზე.

„დებულების სასაქონლო ნიშნების შესახებ“ თანახმად სასაქონლო ნიშანი არის ორიგინალურად გაფორმებული განმასხვავებელი სიმბოლო, რომელიც განკუთვნილია ერთგვაროვანი საქონლის და მისი მწარმოებლის ინდივიდუალიზაციისათვის. დებულების პ.7 მიუთითებს, რომ სასაქონლო ნიშნის თაობაზე შეტანილ განაცხადზე „საქპატენტი“ ატარებს განაცხადის დადგენილი ფორმის შემონახვას და ორიგინალობის ექსპერტიზას, განაცხადის დადგენილი ფორმის შემონახვისას განიხილება დაეკუთვნა თუ არა განაცხადის შეტანის ფორმა, ეხება თუ არა ის ერთ სასაქონლო ნიშანს და ხომ არ განეკუთვნება განაცხადში წარმოდგენილი ნიშანი ისეთ სიმბოლოთა რიცხვს, რომელთა რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნად დაუშვებელია. დებულების პ.10-ის თანახმად ექსპერტიზა სასაქონლო ნიშნის ორიგინალობაზე ტარდება განაცხადის „საქპატენტში“ შეტანიდან 6 თვის ვადაში და მოწმდება სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშნის მსგავსება ან იდენტურობა უკვე მოქმედი ან საყოველთაოდ აღიარებული სასაქონლო ნიშნის მიმართ.

ამევე დებულების 34-ე მუხლის თანახმად სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია შეიძლება ცნობილი იქნეს ბათილად ან ნაწილობრივ ბათილად, თუ ეს მოხდა ამ დებულებით დადგენილი წესების დარღვევით ან თუ პირს არ აქონდა სასაქონლო ნიშანზე განაცხადის შეტანის უფლება.

1999 წლის 5 თებერვალს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 1999 წლის 25 მაისს. ე.ი. მოპასუხე ფრანგული კომპანია სანოფი ს.ა.-ს მიერ სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაში გატარების დროისათვის მოქმედებდა აღნიშნული კანონი. ამ კანონის მ.5-ის (სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებითი საფუძველი) თანახმად სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი იდენტურია მესამე პირის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა და იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება მათი აღრევის შესაძლებლობა.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ 1999 წლის 23 მარტამდე მოქმედი დებულების მე-7, მე-10, 34-ე პუნქტები იძლევა საფუძველს, რომ აღძრული იქნეს სარჩელი, რადგან საქაატენგმა არამართებულად მოახდინა რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნისა; კერძოდ, რეგისტრაციაში გაატარა ერთგვაროვანი სასაქონლო ნიშნები, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს მათი აღრევა.

მიმართა, რომ მოსარჩელის აღნიშნული მოსაზრება არ შეიძლება იქნეს გაზიარებული, რადგან ორივე სასაქონლო ნიშანს შორის განსხვავება აშკარა და ნათელია. ამასთან მომხმარებელმა წინასწარ იცის თუ რას ყიდულობს, რადგან მას საქმე აქვს სამკურნალწამლო პრეპარატთან; გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოპასუხე ფრანგული კომპანია სანოფი ს.ა.-ს მიერ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „NIOKATINI“ არის კიბოს სამკურნალო საშუალება და მისი მიღება დაუშვებელია ექიმის გარეშე. გარდა ამისა ეს ორივე ნიშანი ვიზუალურად მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რადგან პირველი მათვანი შესრულებულია ლათინური შრიფტით, ხოლო მეორე კირილიციტით: ორივე მათგანი არის ფარმაცევტული პრეპარატების სახელები, რომელთა დაბოლოებებიც „OXIN“ და „KATINI“ (ოქსინი და კსატინი) აშკარად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ხოლო დასაწყისი „ELTRO“ და „NIO“ ასევე ძალზე განსხვავებულია; ამდენად, მიმართა, რომ მომხმარებლისათვის შეუძლებელია ამ ორი სასაქონლო ნიშნის აღრევა.

ამრიგად, მოსარჩელე დიდი ბრიტანეთის კომპანია გლაქსო გრუპ ლიმიტის სარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სახელმწიფო ბაჟი დარჩეს გადახდილად.

ვიხელმძღვანელებუ რა საქართველოს სსკ-ს მე-8, 243-ე, 244-ე, 249-ე და 369-ე მუხლებით

გ ა დ ა ვ ნ ე ვ ი ტ ა :

1. სარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს; მოსარჩელეს დიდი ბრიტანეთის კომპანია კლაქსო გრუპ ლიმიტიდს უარი ეთქვას 1999 წლის 23 აგვისტოს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპა-

ტენტი" რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის "XIOKCATIII-ის საფრანგეთის კომპანია სანოფის ს.ა. სახელით ბათილად ცნობაზე უსაფუძვლოების გამო.

2. სახელმწიფო ბაჟი დარჩეს გადახდილად.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატაში გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან ერთი თვის ვადაში ამავე სასამართლოს მეშვეობით.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№33-531

20 იელისი, 2001 წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ნათია ნეკელაძე (თავმჯდომარე), ნათელა ჭავჭავანიძე, ირმა მახათაძე

განიხილა აპელანტის დიდი ბრიტანეთის კომპანია გლექსო გრუპ ლიმიტიდის წარმომადგენლის შ.გვარამაძის სააპელაციო საჩივარი ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 15 მარტის განდევნილობაზე. სასამართლო კოლეგიამ

გ ა მ ო ა რ კ ე ბ ი ა :

მოსარჩელე დიდი ბრიტანეთის კომპანია გლექსო გრუპ ლიმიტიდის წარმომადგენელმა, პატენტრწმუნებულმა შ.გვარამაძემ 2000 წლის 23 ოქტომბერს, სარჩელი აღძრა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ და საფრანგეთის კომპანია სანოფი ს.ა-ს მიმართ, რომელშიც იგი მიუთითებდა, რომ მათი კომპანიის მიერ 1994 წლის 20 იანვარს, შეტანილი იქნა განაცხადი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“ სიტყვიერი სასაქონლო ნიშნის FLTROXIN-ის რეგისტრაციის თაობაზე, აღნიშნული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია განხორციელდა 1998 წლის 5 მარტს მოპასუხე საქართველოს ინტელექ-

ტულური საკუთრების ეროვნული ცენტრის საპატენტოს მიერ, სარეგისტრაციო ნომრით 8545, რომელიც ძალაშია 2008 წლის 5 მაისამდე.

1998 წლის 18 აგვისტოს საქპატენტში შევიდა განაცხადი სასაქონლო ნიშნის „ШОКЧАТНИ“-ის რეგისტრაციაზე ფრანგული კომპანია სანოფი „ა.ა.“-ის სახელით.

საქპატენტის მიერ 1999 წლის 23 აგვისტოს ეს ნიშანიც რეგისტრაციაში იქნა გატარებული.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა. რომ ეს ნიშნები მსგავსი იყო იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი იყო მომხდარიყო აღნიშნული ნიშნების აღრევა, რის გამოც მოითხოვდა, რომ ბათილად ყოფილიყო ცნობილი მოპასუხის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია საქართველოში.

მოპასუხე არ სცნობს სარჩელს იმ საფუძველით, რომ მათი სასაქონლო ნიშნები განსხვავდებოდნენ, როგორც ფიზიკურად ისე დანიშნულების მიხედვით, კერძოდ, მათი სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებული იყო მე-5 კლასში შერეულ ნიშნად და წარმოადგენს კიბოს სამკურნალო ფარმაცევტულ პრეპარატს. რომლის მოხმარება ხდება მხოლოდ ექიმის დანიშნულებით.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით მოსარჩელე დიდი ბრიტანეთის კომპანია გლაქსო გრუპ ლიმიტიდის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება აპელანტის დიდი ბრიტანეთის კომპანია გლაქსო გრუპ ლიმიტიდის მიერ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული იქნა თბილისის საოლქო სასამართლოში.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 28 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული და დაინიშნა საქმის ზეპირი განხილვა, რის თაობაზე ეცნობა მხარეებს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის სხდომაზე. 2001 წლის 16 ივლისს, მხარეები არ გამოცხადდნენ.

აპელანტ დიდი ბრიტანეთის კომპანია გლაქსო გრუპ ლიმიტიდის წარმომადგენლის, პატენტრწმუნებულის შ.გევარამაძის მიერ 2001 წლის 5 ივნისს თბილისის საოლქო სასამართლოს სახელზე წარმოდგენილ იქნა განცხადება, რომელშიც აპელანტი მიუთითებს, რომ იგი არ აკრძელებს სარსელზე წარმოებას, ვინაიდან მხარეთა შორის მიღწეულია შეთანხმება და უარს აცხადებს სააპელაციო საჩივარზე.

სააპელაციო სასამართლომ განიხილა რა დიდი ბრიტანეთის კომპანია გლაქსო გრუპ ლიმიტიდის წარმომადგენლის შ.გევარამაძის განცხადება, მიანია, რომ იგი ზეპირი განხილვის გარეშე უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო საჩივარზე წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, რომელსაც ახასიათებს გარკვეული სპეციფიკა ადმინისტრაციულ ორგანიოსთან მიმართებაში, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის ავტორი კერძო სამართლის იურიდიული პირის წარმომადგენელია, რომელიც არ ახორციელებს

საჯარო ხელისუფლებას, ამდენად მის მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა არ ავალდებულებს სასამართლოს ვანიხილოს საქმე და შეამოწმოს უარის თქმის კანონიერება მოქმედ კანონმდებლობასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლო იზიარებს დიდი ბრიტანეთის კომპანია გლაქსო გრუპ ლიმიტიდის ნარმომადგენლის, პატენტრწმუნებულის შ.გვარამაძის უარს სააპელაციო საჩივრის განხილვაზე და მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივარზე წარმოება უნდა შეწყდეს.

ამასთან, სასამართლო კოლეგია განუმარტავს აპელანტ დიდი ბრიტანეთის კომპანია გლაქსო გრუპ ლიმიტიდის ნარმომადგენელს, პატენტრწმუნებულ შ.გვარამაძეს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 378-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემოხვევაში მას ერთმევა უფლება კვლავ გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება სააპელაციო ნესით.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I, 12-ე, 26¹-ე მუხლებით, საქართველოს სს.კ-ს 272-ე მუხლის „გ“ პუნქტით, 273-ე, 274-ე, 372-ე, 378-ე, 416-456-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა :

1. დიდი ბრიტანეთის კომპანია გლაქსო გრუპ ლიმიტიდის ნარმომადგენლის, პატენტრწმუნებულ შ.გვარამაძის განცხადება სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. აპელანტის დიდი ბრიტანეთის გლაქსო გრუპ ლიმიტიდის ნარმომადგენლის, პატენტრწმუნებულ შ.გვარამაძის სააპელაციო საჩივარზე წარმოება შეწყდეს.

3. განჩინებაზე შეიძლება შემოტანილი იქნეს კერძო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოში 12 დღის განმავლობაში მხარეთათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან.



გ ა დ ა ნ ყ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3-103

3 აპრილი, 2002წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე თ.ტაბატაძემ

თ.ცხვიტაყვას მდივნობით

ღია სასამართლო სხდომაზე განვიხილე ადმინისტრაციული საქმე კომპანია „აშეტ პილაპამ პრეს ს.ა.“ სარჩელისა გამო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე და „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის: უარყოფითი გადაწყვეტილების ბათილად გამოცხადების შესახებ.

საქმის განილვაში მონაწილეობდნენ: მოსარჩელის წარმომადგენელი თამაზ შილაკაძე და მოპასუხის წარმომადგენელი ზ. ნუფარიძე.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

კომპანია „აშეტ პილაპამ პრეს ს.ა.“ თავის მოთხოვნას იმით ასაბუთებს, რომ მან „საქპატენტში“ შეიტანა განაცხადი სასაქონლო ნიშან „PREMIERE“-ს რეგისტრაციაზე. „საქპატენტის“ სახელმწიფო ექსპერტიზამ კი მიიღო გადაწყვეტილება №3494 და მიუთითა, რომ სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია საქონლის ან/და მომსახურების ჩამონათვალის ნაწილის მიმართ და დაინახა მსგავსება ფირმა „გრუპმენტ კარტ ზღუსის“ კუთვნილ ნიშანთან „PREMIER“, რომელიც რეგისტრირებულია საქპატენტში. საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-16 კლასის საქონლისათვის.

„საქპატენტის“ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის კოლეგიამ.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ „საქპატენტის“ გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და კანონსაწინააღმდეგო, მითუმეტეს, როცა პირი, რომლის მიმართაც დარეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი „პრემიერი“. იგი თანაინაა მე-16 კლასის საქონელზე დარეგისტრირდეს ეს ნიშანი სხვა პირის მიმართაც.

მოპასუხემ სარჩელი არ სცნო და განმარტა, რომ იმისდა მიუხედავად თუ რა აზრისაა სასაქონლო ნიშან „პრემიერი“-ს მფლობელი, რჩება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა ორივე სასაქონლო ნიშნის მსგავ-

სი საქონლის მიმართ გამოყენების შემთხვევაში.

საქმეში ნარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მხარეთა ახსნა-განმარტების შეჯასების შედეგად მივედი იმ დასკვნამდე, რომ სარჩელის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან: დადგენილია, რომ „გრუპმენტ კარტ ბლუსის“ სასაქონლო ნიშანი „პრემიერ“ გამოიყენება მხოლოდ საკრედიტო ბარათებისათვის. მაშინ, როცა ნიშანის „პრემიერ“ გამოიყენება ილუსტრირებული ჟურნალებისათვის, კინემატოგრაფიის შესახებ. ნიშნებს გააჩნიათ სამომხმარებლო ბაზრის კონკრეტული არააქვითადი არეალი თავიანთი მომხმარებლის ვინრო ნრით და აღრევა პრაქტიკულად გამორიცხულია. ამავდროულად ჟურნალი „პრემიერე“ არის კონკრეტული პროფილის ნიშანი მე-16 კლასის ჩამონათვალისათვის (კინემატოგრაფია) ამ მხრივ მისი სამომხმარებლო არეალი სპეციფიკურია და მისი აღრევა შეუძლებელია რითაც ბათილდება ნოქასუბის მოსაზრება აღრევის საეარაუდო შესაძლებლობა.

დადგენილია, რომ „საქპატენტის“ სააპელაციო პალატამ სასაქონლო ნიშან „პრემიერე“ რეგისტრაციაზე უარი თქვა თავისი 1998 წლის 22 ოქტომბრის კადანყვეტილებით ამ დროს ჯერ სამოქმედოდ კიდევ არ ყოფილა შემოღებული კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ და მოქმედებდა „სასაქონლო ნიშნის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №304 დადგენილება, რომლის მე-2 მუხლშიც გათვალისწინებული იყო სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციოდ არ დამუშავების საფუძვლები.

მოქასუხის მიერ რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი ხსენებული მუხლით გათვალისწინებული არ არის.

მხედველობაში მივიღე ის გარემოება, რომ დაინტერესებული პირი „გრუპმენტ კარტ ბლუსი“ ნინააღმდეგი არ არის მოსარჩელემ რეგისტრაციაში გაატაროს სასაქონლო ნიშანი „პრემიერე“ კინო ჟურნალებისათვის საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-16 კლასისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელებ ამ გადანყვეტილების სამოტივაციო ნანილში მითითებული კანონებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის II ნანილით, მე-12 მუხლით, 22-ე მუხლით, 32-ე მუხლის I ნანილით, სსკ-ს 243-244-ე, 247-249-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ს ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანია „ამეტ პილიპამ პრეს ს.ა.“-ს სარჩელი დაკმაყოფილდეს. გაუქმებულად იქნეს „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 1998 წლის 22 ოქტომბრის გადანყვეტილება სასაქონლო ნიშან „პრემიერეს“ რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ და დაევალოს „საქპატენტს“ მოახდინოს კომპანია „ამეტ პილიპამ პრეს ს.ა.“-ს სასაქონლო ნიშან „პრემიერეს“ რეგისტრაცია მე-16 კლასის საქონლისათვის.

2. სახელმწიფო ბაჟი სარჩელისათვის გადახდილია.

3. ეს გადანყვეტილება შეიძლება გასაჩივრებული იქნეს ამავე სასამართლოს მეშეობით ქობილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლო პალატაში.

სასაქონლო ნიშნების "BOSS SUPER LIGHTS" და "BOSS CLASSIC"-ის
რეგისტრაცია



გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3ა/51

25 ნოემბერი, 1999 წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა
და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი
შემადგენლობით: ი.ლევაშვილი (თავმჯდომარე),
ი.თოდრია,
ტ.ზამბახიძე

ლ.ქემოკლიძის მდივნობით

მოსარჩელე: სლოვენის კომპანია „ტობანა ლუბლიანას“ წარმომადგენ-
ლის --- პატენტრწმუნებული შ. გვარამაძის

მოპასუხე: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული
ცენტრის „საქპატენტის“ წარმომადგენლის --- ხ. ნეფარიძის მონაწილეობით

განიხილა სლოვენის კომპანია „ტობანა ლუბლიანა პროიზვოდნი
ტროგოვსკო პოდიეტე ზა ტობანე იზდელკელოო ლუბლიანა“-ს სასარჩე-
ლო მასალები მოპასუხე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიმართ. „საქპატენტის“ ექსპერტიზის
1997 წლის 16 მაისის №4130 გადაწყვეტილების განაცხადი №008354/03 1995
წ. 14 ივლისის სასაქონლო ნიშნის BOSS SUPER LIGHTS რეგისტრაციაზე და
1997 წლის 28 თებერვლის ექსპერტიზის №1884 გადაწყვეტილების განაცხა-
დი №006930/03 1994 წლის 3 ივნისის სასაქონლო ნიშნის BOSS CLASSIC
შეცვლის თაობაზე. სასამართლომ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს 15.07.99 სასარჩე-
ლო განცხადებით მიმართა სლოვენის კომპანია „ტობანა ლუბლიანას“ წარ-
მომადგენელმა პატენტრწმუნებულმა შალვა გვარამაძემ, მოპასუხე, საქაროვე-
ლოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მი-

მართ და მოითხოვა „საქპატენტის“ ექსპერტიზის 1997 წლის 16 მაისის №4130 გადანყვეტილების შეცვლა, რომელიც ეხებოდა 1995 წლის 14 ივლისის №008354/03 განაცხადს სასაქონლო ნიშნის BOSS SUPER LIGHTS რეგისტრაციას. მოსარჩელე სლოვენის კომპანია „ტობანჩა ლუბლიანას“ წარმომადგენელმა პატენტრწმუნებულმა იმავე დღეს წარადგინა მეორე სასარჩელო მოთხოვნა სასამართლოში და „საქპატენტის“ 1997 წლის 28 თებერვლის ექსპერტიზის №1884 გადანყვეტილების შეცვლაც, 1994 წლის 3 ივნისის №006930/03 განაცხადს სასაქონლო ნიშნის BOSS CLASSIC რეგისტრაციას. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ორივე სარჩელი მიიღო წარმოებაში 20 ივლისს 1999წ. საქმის მომზადების სტადიაზე მოსამართლემ სკ-ს მე-14 მუხლის საფუძველზე ორივე საქმე ქვემდებარეობით გამოაგზავნა ქ.თბილისის საილქო სასამართლოში 1999 წლის 24 აგვისტოს განჩინებით.

ქ.თბილისის საილქო სასამართლოს ადმინისტრაციულ სამართლისა და საჯალასხადო საქმეთა კოლეგიამ მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე 1999 წლის 19 ნოემბრის განჩინებით ერთ საქმედ გააერთიანა მოსარჩელის ორი სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე.

მოსარჩელე, სლოვენის კომპანია „ტობანჩა ლუბლიანას“ „საქპატენტის“ 1997 წლის 16 მაისის №4130 ექსპერტიზის გადანყვეტილებით და 1997 წლის 28 თებერვლის ექსპერტიზის №1884 გადანყვეტილებით უარი ეთქვა სასაქონლო ნიშნების BOSS SUPPER LIGHT და BOSS CLASSIC რეგისტრაციაზე იმ მიზეზით, რომ საქართველოში უფრო ადრეული პრიორიტეტით რეგისტრირებულია სიტყვიერი სასაქონლო ნიშნები BOSS HUGO BOSS და HUGO BOSS გერმანული კომპანია „ჰუგო ბოს ავ“-ის სახელზე საქონლის იგივე ჩამონათვალისათვის. ექსპერტიზის გადანყვეტილებებში აღნიშნულია, რომ მოსარჩელის მიერ განცხადებულსა და ადრე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებში „ძირითადი დატვირთვა მოდის სიტყვების აღნიშვნაზე „BOSS“ და ამიტომ მომხმარებელი შეიძლება შეყვანილი იქნეს შეცდომაში“.

მოსარჩელე თვლის, რომ ექსპერტიზის გადანყვეტილება არ შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და ითხოვს მის შეცვლას შემდეგი საფუძველით:

1. დაპირისპირებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნებია HUGO BOSS და BOSS HUGO BOSS. ისინი წარმოადგენენ პიროვნების სახელს და გვარს და საყოველთაო ხმაურებაში შესულები არიან არა როგორც „BOSS“ — არამედ როგორც „HUGO BOSS“. ამიტომ არამართებულია ექსპერტიზის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დაპირისპირებულ ნიშანში ძირითადი დატვირთვა მოდის სიტყვაზე „BOSS“. საქონლისა და მწარმოებლის განმასხვავებლად გამოიყენება ორი სიტყვა „HUGO BOSS“ და არა „BOSS“ ასეთი პრაქტიკა მსოფლიოში — არაეინ ამბობს კარდენის, ვალენტინის, რიჩის საქონელზე. ამბობენ პიერ კარდენზე, მარიო ვალენტინზე, ნინა რიჩიზე. ამდენად, მსოფლიოში ჩამოყალიბებული ჩვევის თანახმად დაპირისპირებული ნიშნები განიხილება როგორც HUGO BOSS და არა BOSS. აღსანიშნავია, რომ HUGO BOSS გერმანული წარმოშობისაა და ცალკე აღებულ სიტყვას „BOSS“ არა აქვს სემანტიკური დატ-

ვირთვა გერმანულ ენაში. მეორის მხრივ, სიტყვა „BOSS“ აქვს მრავალმნიშვნელოვანი სემანტიკური დატვირთვა ინგლისურ ენაში. ის ნიშნავს უფროსს, მთავარმართებელს, პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერს, ამონაბურცს. თაღს, რელიეფურ მორთულობას. სლოვენის კომპანია „კობანი ლუბლინას“ განცხადებულ ნიშანში სიტყვა „BOSS“ უნდა განვიხილოთ არა როგორც გვარი ცნობილი პიროვნებისა BOSS, არამედ როგორც სიტყვა ინგლისურ ენაში სემანტიკური დატვირთვის მატარებელი — ლიდერი (მაგ. სივარცტებში).

2. დაპირისპირებული ნიშნები სიტყვიერია. მოსარჩელის ნიშანი BOSS CLASSIC კი წარმოადგენს ეტიკეტს და სიტყვიერ ჩანაწლებთან ერთად შეიცავს ფიგურულ ნაწილებს, რომლებიც ზრდიან ნიშნების განსხვავებადობას. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში რეგისტრირებულნი არიან როგორც HUGO BOSS-ის ნიშნები, ასევე მოსარჩელის ნიშნები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ნიშნები საკმარისად განსხვავდებიან იმისათვის, რომ შეცდომაში არ იქნეს მომხმარებელი შეყვანილი.

საქმის მომზადების სტადიაზე მოპასუხე „საქპატენტმა“ მთლიანად არ სცნო მოსარჩელის მოთხოვნა და მიუთითა, სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოსარჩელის სასაქონლო ნიშნები დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას არ ექვემდებარებიან. რადგან BOSS CLASSIC მიანიშნებს საქონლის ხარისხზე. ხოლო BOSS SUPER LIGHTS -- საქონლის სახეობაზე და თვისებებზე და არა აქვთ განმასხვავებელუნარიანობა. ამიტომ ამ სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის შემთხვევაში დაცული იქნებოდა მხოლოდ სიტყვა „BOSS“ და ნიშანი მთლიანობაში დანარჩენ სიტყვებზე განსაკუთრებული უფლების მინიჭების გარეშე. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ ნიშნის განმასხვავებელუნარიანობა განპირობებულია მხოლოდ სიტყვით „BOSS“ და შესაბამისად იგი წარმოადგენს ამ სასაქონლო ნიშნის ძირითად ელემენტს.

რაც შეეხება სიტყვის „BOSS“ სემანტიკურ დატვირთვას ქართველი მომხმარებლის მიერ იგი ძირითადად აღიქმება როგორც სიტყვა „ბოს“, იმისგან დამოუკიდებლად ეს პიროვნების გვარია თუ სხვა რაიმე მნიშვნელობის მქონე სიტყვა. ამ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებული ვიზუალური მსგავსება იმდენად თვალსაჩინოა, რომ ყოველგვარი ექსპერტიზის ჩატარების გარეშეც სრულიად აშკარაა მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

სასამართლო კოლეგია გაეცნო რა წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მოუხმინა მხარეებს, მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე სადავო ურთიერთობები ძირითადად რეგულირდება სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციით და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №304 დადგენილებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ დებულებით, ასევე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელთა თანახმად „სასაქონლო ნიშანი არის ორიგინალურად გაფორმებული განმასხვავებელი სიმბოლო, რომელიც განკუთვნილია ერთგვაროვანი საქონლის ან მისი მწარმოებლის ინდივიდუალიზაციისათვის“ (მუხლი 1 პ. 1. დებულება სასა-

ქონლო ნიშნების შესახებ). მაშასადამე სასაქონლო ნიშანი ნიშნაქს ნებისმიერ ვი-
ზუალურ აღნიშვნას, რომელიც განკუთვნილია ერთი საწარმოს საქონლის მეო-
რე საწარმოს საქონლისაგან განსასხვავებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე,
სასაქონლო ნიშნის მთავარ კრიტერიუმად მისი განმასხვავებელუნარიანობაა
დასახვებელი განსაზღვრულია მეორე აუცილებელი კრიტერიუმიც. ნიშნის
ვიზუალობა ანუ ნიშანი, ბილვადი უნდა იყოს. ზოგადად, სასაქონლო ნიშანი შეიძ-
ლება წარმოდგენილი იყოს ნებისმიერი სახის სიმბოლოთი. ეს შეიძლება იყოს
სიტყვა, ციფრები, ასოები, გამოსახულება, ფერების კომბინაცია, სურნალება.
სასაქონლო ნიშანი BOSS SUPER LIGHTS არის სიტყვები, რომელიც შეივრძნო-
ბა როგორც ვიზუალურად, ასევე სმენით. სასაქონლო ნიშანში არც „SUPER“ და
არც „LIGHTS“ სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის
შესაბამისად (როგორც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის
1992 წლის 10 მარტის №304 დადგენილებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშ-
ნების შესახებ დებულების მე-2 მუხლის, ასევე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“
საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მიხედვით), დამოუკიდებელ სამართლებ-
რივ დაცვას არ ექვემდებარება, რადგან მიანიშნებს საქონლის ხარისხსა და თვი-
სებებზე. ამდენად ამ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შემთხვევაში დაცული
იქნებოდა მხოლოდ სიტყვა „BOSS“ და ნიშანი მთლიანობაში (როგორც რამდენ-
იმე სიტყვის ერთობლიობა) დანარჩენ სიტყვებზე განსაკუთრებული უფლების
მინიჭების გარეშე. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ ნიშნის განმასხვავებელუ-
ნარიანობა განპირობებულია მხოლოდ სიტყვით „BOSS“ და შესაბამისად იგი
წარმოადგენს ამ სასაქონლო ნიშნის ძირითად ელემენტს.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს სიტყვების „BOSS“
და „HUGO BOSS“ ერთობლიობას, რომელთაგან „BOSS“ შესრულებულია
მნიშვნელოვნად განსხვავებული, უფრო დიდი შრიფტით და ვიზუალურად
წარმოადგენს ნიშნის ძირითად განმასხვავებელ ნაწილს.

სასაქონლო ნიშანი „BOSS CLASSIC“ ასევე არ ექვემდებარება დამოუკი-
დებელ სამართლებრივ დაცვას, რადგან სიტყვა „CLASSIC“ მიანიშნებს სა-
ქონლის ხარისხზე და ამ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შემთხვევაშიც
დაცული იქნებოდა სიტყვა „BOSS“ და ნიშანი მთლიანობაში (როგორც ორი
სიტყვის, გამოსახულების, ფიგურული ელემენტების ერთობლიობა), დანარ-
ჩენ სიტყვებზე განსაკუთრებული უფლების მინიჭების გარეშე. რაც შეეხება
სიტყვის „BOSS“ სემანტიკურ დატვირთვას, ქართველი მომხმარებლის მიერ
იგი აღიქმება როგორც სიტყვა „ბოს“ სმენადობით, იმისგან დამოუკიდებ-
ლად, ეს პიროვნების გვარია თუ სხვა მნიშვნელობის სიტყვა.

სასამართლო კოლეგია ასევე მხედველობაში იღებს იმ გარემოებასაც,
რომ მოსარჩელის მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი სასაქონლო ნიშნები
„BOSS SUPER LIGHTS“ და „BOSS CLASSIC“ მსგავსია ფირმა „ჰუგო ბოს ავ“
კუთვნილი ნიშნისა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბ-
ლიკის საპატენტო უწყებაში, იმავე კლასის ნაწარმზე (34-ე კლასი). 1995
წლის 11.08. №832, პრიორიტეტის თარიღი 04.09.92წ. საქონლის სხვა ჩამო-
ნათვალთან ერთად აწარმოებს ამ სახის საქონელსაც, რასაც სთავაზობს
მომხმარებელს მოსარჩელე სლოვენის კომპანია „ტობანა ლუბლიანა“

(თამბაქო, მწველთა საკუთსი, ასანთი).

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №304 დადგენილებით დამტკიცებული დებულების „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მეორე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად დაუშვებელია სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია "სიზოლოების, რომლებიც მოიცავენ ან მკდვებიან ისეთი სახის მინიშნებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ მომხმარებელი". სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ აღნიშნულის გათვალისწინებით, „საქპატენტმა“ სწორად უთხრა უარი რეგისტრაციაზე მოსარჩელე სლოვენის კომპანია „ტობაჩნა ლუბლიანას“.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ს 243-ე, 247-ე, 250-ე, 255-ე, 395-ე და 397-ე მუხლებით

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მოსარჩელე სლოვენის კომპანია „ტობაჩნა ლუბლიანას“ წარმოადგენელს პატენტრწმუნებულ შალვა გვარამაძეს მთლიანად ეთქვას უარი მის სასარჩელო მოთხოვნაზე.

ა) ეთქვას უარი მოსარჩელეს მის მოთხოვნაზე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ექსპერტიზის 1997 წლის 16 მაისის №4130 გადანყვეტილების შეცვლის თაობაზე.

ბ) ეთქვას უარი მოსარჩელეს მის მოთხოვნაზე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ექსპერტიზის 1997 წლის 28 თებერვლის №1884 გადანყვეტილების შეცვლის თაობაზე.

2. გადანყვეტილება შეიძლება გააჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში, ქ.თბილისის საოლქო სასამართლოში საკასაციო საჩივრის მეტანით, გადანყვეტილების გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში.



გ ა ნ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№033/ად-39-კ

9 მარტი, 2000 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ შემდგეგა

შემადგენლობით: ი. ტაბუცაძე (თავმჯდომარე),
ბ. მეტრეველი,
ნ. სხირტლაძე

განიხილა საკასაციო საჩივარი სლოვენიის კომპანია „ტიობანა ლუბლიანას“ წარმომადგენლის პატენტრწმუნებულის შალვა გვარამაძისა, ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს 1999 წლის 25 ნოემბრის №03ა/51 საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც სლოვენიის კომპანია „ტიობანა ლუბლიანას“ მოლიანად ეთქვა უარი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. კერძოდ უარი ეთქვას საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ 1997 წლის 16 მაისის №4130 გადაწყვეტილების შეცვლაზე, რომლითაც კასატორს უარი ეთქვა სასაქონლო ნიშნის „BOSS SUPER LIGHT“ რეგისტრაციაზე და 1997 წლის 28 თებერვლის ექსპერტიზის №1884 გადაწყვეტილების შეცვლაზე, რომლითაც უარი ეთქვა სასაქონლო ნიშნის „BOSS CLASSIC“ რეგისტრაციაზე, იმ მოტივით, რომ კასატორის მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილ ზემოთაღნიშნული სასაქონლო ნიშნები მშავავსია საქართველოს რესპუბლიკის საპატენტო უწყებაში იზავე კლასის ნაწარმზე რეგისტრირებულ ფირმა „პუგო ბოსს ავ“-ის კუთვნილი სასაქონლო ნიშნისა.

კასატორი ასაჩივრებს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომლითაც მას უარი ეთქვა სასაქონლო ნიშნის „BOSS CLASSIC“ რეგისტრაციაზე, ხოლო დანარჩენი ნაწილის გასაჩივრებაზე უარს ამბობს.

კასატორს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ემყარება იმ ღრობისათვის მოქმედი -- „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ დებულების (დამტკიცებული საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 15 მარტის №304 დადგენილებით), სასაქონლო ნიშნებზე ვანაცხადის სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარების ინსტრუქციის (დამტკიცებული მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს კოლეგიის მიერ 1992 წლის 21 ივლისს) და „სამრეწველო საკუთრების სამართლებრივი დაცვის შესახებ“ პარიზის კონვენციის მიერ დადგენილი ნორმების არასწორ განმარტებას და ითხოვს სასამართლოს გადაწყვეტილების პირველი პუნქტის „ბ“ ნაწილის შეცვლას.

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმეში არსებული მტკიცებულებები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მონიშნა მდგე მხარის შესაგებელი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლო კოლეგია ვერ გაიზარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასაქონლო ნიშნის „BOSS CLASSIC“-ის სიტყვა „CLASSIC“ არ ეკუთვნის ისეთ ტერმინებს, რომლებიც მიუთითებენ საქონლის ან ნაწარმის თავისებურებებზე ან ხარისხზე, არ ეკუთვნის აგრეთვე შესაქები ხასიათის სიტყვებს და ამდენად, აღნიშნული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისას სამართლებრივ დაცვას უნდა დაექვემდებაროს ორივე სიტყვა და არა მხოლოდ სიტ-

ყვა "BOSS", როგორც ძირითადი დატვირთვის მქონე სიტყვა. სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ სასაქონლო ნიშნის "BOSS CLASSIC" რეგისტრაციის შემთხვევაში დაცული იქნებოდა სიტყვა "BOSS" და ნიშანი მთლიანობაში. როგორც ორი სიტყვის ფიგურალური ელემენტების ერთობლიობა, დანარჩენ სიტყვებზე განსაკუთრებულ უფლების მინიჭების გარეშე. სასამართლოს აზრით სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საქაატენჯის მიერ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებში ძირითადი დატვირთვა მოდის სიტყვა "BOSS"-ზე, ვიზუალური შეფასებით ეს სიტყვა წარმოადგენს ორივე ნიშნის ძირითად განმასხვავებელ ნაწილს. შესაბამისად, ორივე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შემთხვევაში, შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ მომხმარებელი.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლომ არასწორად განმარტა იმ დროისათვის მოქმედი ნორმატიული აქტები, ვინაიდან მიაჩნია, რომ „სამრეწველო საკუთრების სამართლებრივი დაცვის შესახებ“ პარიზის კონვენციის, აგრეთვე იმ დროისათვის მოქმედი საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 15 მარტის №304 დადგენილებით დამტკიცებული დებულების „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ და სასაქონლო ნიშნებზე განაცხადის სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარების ინსტრუქციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის დაცვით მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სასაქონლო ნიშნების გამოყენების შედეგად მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობის თავიდან აცილება. მოცემულ შემთხვევაში ამ ორ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებული ვიზუალური და ფონეტიკური მსგავსება იმდენად თვალსაჩინოა, რომ სასამართლო კოლეგიის აზრით სრულიად ამკარაა მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გააჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია, სამართლიანია და დატოვებულ უნდა იქნეს უცვლელად.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 390-ე, 408-ე მუხლის შესამე ნაწილით და 410-ე მუხლებით

და დ ბ ი ნ ა :

1. საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 1999 წლის 25 ნოემბრის გასაჩივრებული გადაწყვეტილება დატოვებულ იქნეს უცვლელად.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.



გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

N:3/253-02

31 ოქტომბერი, 2002წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ა.კახნიაურმა

სხდომის მდიენის: ვ.უენცის

მოსარჩელე: „რედ ბულს გმპკ“-ს წარმომადგენელი კ.შარაბიძე

მოპასუხე: „საქპატენტი“-ს წარმომადგენელი ვ.თაქთაქიშვილის, გ.კვიციანი
აპის მონაწილეობით

განვიხილე ღია სასამართლო სხდომაზე ადმინისტრაციული საქმე „რედ ბულს გმპკ“-ს წარმომადგენლის კ.შარაბიძის სარჩელისა გამო „საქპატენტი“-ს მიმართ. სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე უარის თქმის ბათილად ცნობის და აღნიშნული სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

სარჩელში აღნიშნულია, რომ 2001 წლის 1 ივლისს მოსარჩელე კომპანიამ „ზე სტროუ ბრევერი კომპანისაგან“ შეიძინა საქართველოში რეგისტრირებული 4 სასაქონლო ნიშანი: 11462-სიტყვა Красный бык, 11463 ხარის გამოსახულება და სიტყვა Red Bull, 11464 ხარის გამოსახულება და რუსული სიტყვა Красный бык, 9037 სიტყვა Red Bull.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის თანახმად სასაქონლო ნიშნის გადაცემა საჭიროებს რეგისტრაციას „საქპატენტში“. აღნიშნული მიზნისათვის მოსარჩელემ მიმართა საქპატენტს.

„საქპატენტმა“ განიხილა სასაქონლო ნიშნების გაცემის რეგისტრაციის განაცხადი და თავისი 2001 წლის 25 ოქტომბრის №01-06/291 წერილით უარი განაცხადა სასაქონლო ნიშნების გადაცემის რეგისტრაციაზე, მოსარჩელემ გააპროტესტა მიღებული უარი, მაგრამ „საქპატენტმა“ არ გაიზიარა პროტესტი.

„საქპატენტის“ განმარტებით სასაქონლო ნიშნების გადაცემის რეგის-

ტრაციაზე უარის თქმის საფუძველი შეიქმნა იმ გარემოებით, რომ „ზე სტროუ ბრევერი კომპანის“ სახელზე საქართვეტში რეგისტრირებულია გამოსახულებითი სასაქონლო ნიშანი რეგ. №4437, საკანტ. №888/03-15, რომლის გადაცემაც მოსარჩელეზე არ ხდებოდა. შესაბამისად, „საქპატენტი“ მიიჩნევს, რომ მოთხოვნილი სასაქონლო ნიშნებია რეგისტრაციის შექმნის სხვადასხვა მფლობელის საკუთრებაში აღმოჩნდება. საქონლის მიმართ რეგისტრირებული იდენტური ნიშნები, რამაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი. მოპასუხის უარი დასაბუთებელია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ პუნქტით და 25-ე მუხლის მე-6 პუნქტით.

მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მოპასუხის უარი ნიშნების რეგისტრაციის თაობაზე არ არის კანონიერი და იგი უნდა გაუქმდეს შექმნის გარემოებათა გამო:

1. სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-5 მუხლის „ვ“ პუნქტი ეხება მხოლოდ და მხოლოდ სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციას და არა მასზე უფლებების გადაცემას. ამ შემთხვევაში კი მოსარჩელემ მოითხოვა უკვე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების გადაცემა და არა მათი რეგისტრაცია.

2. „საქპატენტის“ მიერ დაუსაბუთებელია 25-ე მუხლის 6-ე პუნქტის გამოყენება. ამ მუხლის გამოყენებისას „საქპატენტმა“ უნდა დააბაზუროს რომ სასაქონლო ნიშნის გადაცემა მომხმარებელს შეუქმნის მცდარ წარმოდგენას საქონლის თვისების, ხარისხისა და გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ. „საქპატენტი“ ვალდებული იყო მიუთითოს თუ რატომ შეიძლება გამოიწვიოს გადაცემის რეგისტრაციამ კონკრეტული საქონლის ხარისხის, თვისების ან გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ მცდარი წარმოდგენა და უნდა მიეთითებინა იმ მოქმედებისათვის, რომლის შედეგადაც იგი განაბორცელებს გადაცემის რეგისტრაციას.

3. საფუძველს არის მოკლებული „საქპატენტის“ უარის ძირითადი საფუძველი იმის თაობაზე, რომ მოთხოვნილი სასაქონლო ნიშნების გადაცემის რეგისტრაციის შედეგად სხვადასხვა მფლობელის საკუთრებაში აღმოჩნდებოდა მსგავსი საქონლის მიმართ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები, ეინაიდან 2000 წლის 5 მაისს „საქპატენტმა“ ჩოსარსეულის განაცხადის საფუძველზე რეგისტრაციაში გაატარა 2 სასაქონლო ნიშანი: სიტყვა Red Bull და 2 ხარის გამოსახულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელე ითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი „საქპატენტის“ უარი სასაქონლო ნიშნების (11462-სიტყვა КРАУДИИ НАК, Red Bull 11463 ხარის გამოსახულება და სიტყვა Red Bull, 11464 ხარის გამოსახულება და რუსული სიტყვა КРАУДИИ НАК, 9037 სიტყვა Red Bull) რეგისტრაციის თაობაზე და მოპასუხეს დაევალოს რეგისტრაციაში გაატაროს ზემოაღნიშნული სასაქონლო ნიშნების გადაცემა „ზე სტროუ ბრევერი კომპანიისგან“ კომპანია „რედ ბულლ გმპ“-ზე.

მოპასუხე „საქპატენტის“ წარმომადგენელმა ვ. კვიციანი წარჩეული არ სცნო და განმარტა, რომ რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე უფლებების გადაცემის რეგისტრაციის დროს უფლებების შიშლებს წარმოეშობა ისეთი-

ვე განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშანზე, როგორც განაცხადის მარდგენისა და ექსპერტიზის შედეგად რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით (მათ შორის, მომდევნო ათი წლით რეგისტრაციის უფლებით) და როგორც პირველ, ასევე მეორე შენთხვევაში, სასაქონლო ნიშანი ნარმოადგენს მფლობელის საკუთრების დამოუკიდებელ ობიექტს. შესაბამისად, გადასყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-4 და მე-5 მუხლებით დადგენილი რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. მისაღწევად შექმნილ ვაშლში, საერთოდ აზრს კარგავს „საქეპტენტის“ მიერ სასაქონლო ნიშანზე ექსპერტიზის ჩატარებისა და გადასყვეტილების მიღების არა მარტო, რადგან რეგისტრირებული ნიშნების მფლობელთა უკონტროლო ეკვილიბრუმის შედეგად აღმოჩნდება, რომ იარსებებს იდენტური და უგატეო ნიშნების რეგისტრაცია სხვადასხვა მფლობელის სახელზე, რითაც გამოიწვევა სასაქონლო ნიშნის დანიშნულების ამოსავალი პრინციპი — ვაშლის ხეობის ერთი სახარმოსი საქონელი და/ან მომსახურება მეორე სახარმოსი საქონელსა და/ან მომსახურებისაგან და განიდება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტი სპეციალურად გამოყოფს ამავე კანონის მე-4 მუხლით დადგენილ, რეგისტრაციაზე უარის იქნის მიხედვით რაშიდენიმე აბსოლუტურ საფუძველს, რადგან მხოლოდ ასეთი შემთხვევაში ჩსდება მომხმარებლის შეცდომამი შეყვანის შესაძლებლობის ექვილიბრუმზე დიდი საფრთხე. მოცემულ შემთხვევაში, 5 რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი იყო ამერიკული კომპანია „ზე სტროუ ბრევერი კომპანი“, რომლის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა სამსახურული საჯაროების ოფიციალურ ბიულეტენში. მას შემდეგ, რაც ამ კომპანიის ოთხი სასაქონლო ნიშანი ვადასცა აქსტრიულ კორპორაციას „რედ ბულ“, ხოლო ოთხი მფლობელობაში დაიტოვა მსგავსი სასაქონლო ნიშანი, ამგვარად, რომ განხდა მომხმარებლის შეცდომამი შეყვანის შესაძლებლობა, რით მორჩა, ვლოგრაფიული ნარმოდობის მხრივაც.

რაც შეეხება „რედ ბულ გიპზ“ სახელზე რეგისტრირებულ 2 ნიშანს ერთი მათგანი Red Bull რეგისტრირებულია საქონლის მხოლოდ ნაწილის მიმართ, კერძოდ, დაცვიდან ამოღებულია ამ საქონლის მსგავსი საქონელი, რომლის მინარსაცვა რეგისტრირებული კომპანიის „ზე სტროუ ბრევერი კომპანი“ სასაქონლო ნიშნები, მეორე კი გამოსახულებითა და იმდენად განსხვავდება კომპანიის „ზე სტროუ ბრევერი კომპანი“ სასაქონლო ნიშნისაგან, რომ არ შეიძლება მომხმარებელში აღრევა გამოინვიოს.

განვიხილო, რა საქმის მასალები, მოვისმინე მხარეთა განმარტებანი, დაეცვიდან შემდეგ:

2001 წლის 1 ივლისს მოხარჩელემ „ზე სტროუ ბრევერი კომპანიისაგან“ მართის საქარევილით რეგისტრირებული 4 სასაქონლო ნიშანი: 11462 -- სიტყვა Красный бык, Red Bull 11463 ხარის გამოსახულება და სიტყვა Red Bull, 11464 ხარის გამოსახულება და რუსული სიტყვა Красный бык, 9037 სიტყვა Red Bull.

მოსარჩელემ მიმართა „საქპატენტს“ და მოითხოვა უკვე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების გადაცემის რეგისტრაცია.

„საქპატენტმა“ განიხილა სასაქონლო ნიშნების ვაცემის რეგისტრაციის განაცხადი და თავისი 2001 წლის 25 ოქტომბრის №01-06/291 წერილით უარი განაცხადა სასაქონლო ნიშნების გადაცემის რეგისტრაციაზე. მოსარჩელემ გააპროტესტა მიღებული უარი, მაგრამ „საქპატენტმა“ არ ვაიზიარა პროტესტი.

„საქპატენტის“ განმარტებით სასაქონლო ნიშნების გადაცემის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი შეიქმნა იმ გარემოებით, რომ „ზესტროუ ბრევერი კომპანის“ სახელზე „საქპატენტში“ რეგისტრირებულია გამოსახულებითი სასაქონლო ნიშანი რეგ. №4437, საკანც. №888/03-75, რომლის გადაცემა მოსარჩელეზე არ ხდებოდა. შესაბამისად, „საქპატენტი“ მიიჩნევს, რომ მოთხოვნილი სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის შემდეგ სხვადასხვა მფლობელის საკუთრებაში აღმოჩნდება მსგავსი საქონლის მიმართ რეგისტრირებული იდენტური ნიშნები, რამაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი. მოპასუხის უარი დასაბუთებულია სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ პუნქტით და 25-ე მუხლის მე-6 პუნქტით.

სასამართლოს მიაჩნია, რომ „საქპატენტის“ უარი სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის შესახებ უსაფუძვლოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ ... შესამე პირების მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“. მოცემული ნორმა ეხება სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციას და არა მასზე უფლებების გადაცემას. ამ შემთხვევაში კი მოსარჩელემ მოითხოვა უკვე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების გადაცემა და არა მათი რეგისტრაცია.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 25-ე მუხლი ანესრიგებს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

„საქპატენტის“ მიერ დაუსაბუთებელია 25-ე მუხლის 6-ე პუნქტის გამოყენება. ამ მუხლის გამოყენებისას „საქპატენტმა“ უნდა დაასაბუთოს, რომ სასაქონლო ნიშნის გადაცემა მომხმარებელს შეუქმნის მცდარ წარმოდგენას საქონლის თვისების, ხარისხისა ან გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ, რომლის მიმართაც ის რეგისტრირებულია. აღნიშნულ გარემოებას მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. კერძოდ: საქონლის თვისებებში იგულისხმება ამა თუ იმ გემოვნური, ფუნქციონალური ან სხვა სახის დამახასიათებელი თვისებები, საქონლის ხარისხში იგულისხმება მისი თვისებებისა და სხვა მახასიათებლების შესაბამისობა დადგენილ ან დამკვიდრებულ ხარისხთან, გეოგრაფიულ წარმოშობაში იგულისხმება საქონლის მახასიათებლების კავშირი გეოგრაფიულ ადგილთან. ამ მუხლის გამოყენების შემთხვე-

ვარი „საქპატენტის“ ვალდებული იყო მიეთითებინა, თუ რატიმ შეიძლება გამოიხილოს ვადაცემის რეგისტრაციამ კონკრეტული საქონლის ხარისხის, თვისების ან ველოგრაფიული ნარმოშობის შესახებ მცდარი ნარმოდგენა. ანუ გარეშობას ადგილიც რომ ჰქონოდა „საქპატენტი“ არ იყო უფლება-მოხილი უარი განეცხადებინა ვადაცემის რეგისტრაციაზე, არამედ მას უნდა შეეჩერებინა რეგისტრაცია, მანამდე არ მიიღებდა უფლებამონაცემის თანხმობას ჩამოსაივალადის შეცდომამი შეწყვანი საქონლის შესახებ.

რაც იტყვება მოსარჩელის მოთხოვნას, „საქპატენტს“ დაევალოს გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი და რეგისტრაციაში გაატაროს ზემოაღნიშნული სასაქონლო ნიშნების ვადაცემა „ზე სტროუ ბრევერი კომპანისაგან“ კომპანია „რედ ბულ გმბჰ“-ზე, უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შედეგ გარეშობათა ვადა:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის I ნაწილის თანახმად ყოველ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნით. მაგრამ ამავე ნუხლის II ნაწილის თანახმად სასამართლოსათვის მიმართვამდე მოსარჩელის მიერ „საქპატენტში“ უნდა ყოფილიყო შეტანილი განცხადება რეგისტრაციის მოთხოვნით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 77-78-ე მუხლებით დადგენილი წესის შესაბამისად. თუ „საქპატენტი“ არ მიიღებს ვადანეგეტილებას ზოგად ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ვადებში, მაშინ მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნით. ამ შემთხვევაში აღნიშნულს ადგილი არ ჰქონია.

ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის II ნაწილით, მე-2, მე-12, 22-ე, 23-ე, 32-ე, 33-ე მუხლებით და სსკ ს მე-8, 243-ე, 244-ე, 249-ე და 369-ე მუხლებით

გ ა დ ა ვ ა ნ ი ა :

1. დაკმაყოფილდეს სარჩელი ნაწილობრივ.

ბათილად იქნეს ცნობილი საქპატენტის უარი სასაქონლო ნიშნების (11462-სიტყვა Красный бык, 11463 ხარის გამოსახულება და სიტყვა Red Bull, 11464 ხარის გამოსახულება და რუსული სიტყვა Красный бык, 9037 სიტყვა Red Bull) რეგისტრაციის თაობაზე.

უარი ეთქვას მოსარჩელე კომპანია „რედ ბულ გმბჰ“-ს მოთხოვნას ზემოაღნიშნული სასაქონლო ნიშნების „ზე სტროუ ბრევერი კომპანისაგან“ კომპანია „რედ ბულ გმბჰ“-ზე ვადაცემის რეგისტრაციის საქპატენტისათვის დავალებაზე.

2. გადაწყვეტილება გასაჩივრდება ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატაში I თვის ვადაში მისი ჩაბარების დღიდან ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მეშვეობით.

სასაქონლო ნიშან "ACUTIL" -ით დაცულ საქონლის
ჩამონათვალში ცვლილებების შეტანა

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 204

საკ. №281/03-00

26.03.2002

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის "საქპატენტი" სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. კვიციანი, (თავმჯდომარე), ზ. ნეფარიძე, ზ. კობალაძე, ნ. ბუბრიშვილის მდივნობით, განიხილა კომპანიის "პარკე, დევის & კომპანი" (აშშ) (ნარმომადგენელი გ. ციციშვილი) სააპელაციო საჩივარი კომპანიის "აქიენდე კიმიკე რიუნიტი ანჯელინი ფრანჩესკო ა.ს.რ.ა.ფ. ს.პ.ა." (იტალია) (ნარმომადგენელი თ. ლვინჯილია) სასაქონლო ნიშნის "ACUTIL" რეგისტრაციაზე ექსპერტიზის № 1208 (11.09.2000) გადანყევტილების — "სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულ იქნეს საქონლის ან/და მომსახურების მთელი ჩამონათვლის მიმართ" — გადასინჯვის შესახებ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები

გ ა მ მ ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის ნარმომადგენელი პატენტრწმუნებული გ. ციციშვილი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადანყევტილებას და მოითხოვს მის გაუქმებას, ვინაიდან მიაჩნია, რომ სარეგისტრაციოდ ნარმოდგენილი ნიშანი მსგავსია "პარკე, დევის & კომპანი" კუთვნილი სასაქონლო ნიშნისა "ACCUPRIL", რომელიც რეგისტრირებულია "საქპატენტში" 1998 წლის 11 დეკემბერს (რეგ. № 11273). იგი თვლის, რომ დაპირსპირებული ნიშნები მსგავსია როგორც ვიზუალურად, ასევე ფონეტიკურადაც. ორივე შესრულებულია ჩვეულებრივი ლათინური შრიტით, შეიცავენ ორ-ორ მარცვალს (ACCU-PRIL; ACU-TIL) და სანყისი და ბოლო ნაწილები იდენტური აქვთ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ორივე ნიშანი განკუთვნილია სამედიცინო და ფარმაცევტული პრეპარატებისათვის. აქედან გამომდინარე, გ. ციციშვილის აზრით, დაპირსპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია აღრევის დონემდე, რაც გამოიწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას.

სააპელაციო სხდომაზე გ. ციციშვილმა დააზუსტა თავისი მოთხოვნა და მოითხოვა განცხადებული ნიშნის "ACUTIL" დაცვიდან მე-5 კლასის საქონლის ამოღება.

აპელანტის ნარმომადგენლის აზრს არ ეთანხმება განცხადებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის ნარმომადგენელი პატენტრწმუნებული თ. ლვინჯილია. მას მიაჩნია, რომ ნიშნებს შორის ვიზუალურ მსგავსებას არა აქვს ადგილი, რადგან ერთი ნიშანი შედგება ექვსი ასოსაგან, მეორე კი — რვა. იდენტურია მხოლოდ პირველი ორი ასო, დანარჩენების განლაგება

და მოხაზულობა კი აძლიერებს მათ შორის განსხვავებას. მისი აზრით, არანაყოფიერებელია ნიშნების ფონეტიკურ მსგავსებაზე საუბარი, რადგან "AC-CUP-RIL" სამპარცელიანია, "ACU-TIL" კი ორი. პარცელები განსხვავებულია, რაც გამორიცხავს ნიშნების ფონეტიკურ და ვიზუალურ მსგავსებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, თ. ლეინჯილია უსაფუძვლოდ მიიჩნევს აპელანტიის მოთხოვნას და თვლის, რომ იგი არ უნდა დაქმნაყოფილდეს.

კოლეჯამ განიხილა აპელანტიის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ დაპირისპირებულ სიძსებს შორის არსებული ფონეტიკური, მათ შორის ფარმაცევტულ პრეპარატებისათვის ფართოდ გამოყენებული ფორმანტების "TIL" და "PRIL" განსხვავება, საერთო ვიზუალური შთაბეჭდილება გვაძლევს საბუნებრივს ვიზუალურად, რომ მათი თანაარსებობის შემთხვევაში არ იარსებებს აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. შესაბამისად, არ არსებობს "სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მ-5 მუხლის გ) პუნქტით დადგენილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეჯამ "სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიას "პარკე, დევის & კომპანი"-ს მთლიანად ეთქვას უარი სააპელაციო საჩივრის დაქმნაყოფილებაზე და სასაქონლო ნიშანი "ACUTIL" რეგისტრირებულ იქნეს განცხადებული საქონლის მთელი ჩამონათვლის მიმართ.

2. ძალაში დარჩეს ექსპერტიზის № 1208 (11.09.2000) გადანყვეტილება.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№3/175-03

30 მაისი, 2003წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ალა კახნია-ურმა

გ.უღენტის მდივნობით

მოსარჩელე: ფირმა "პარკე, დევის კომპანის" წარმომადგენლის გ.ციციშვილის

მოპასუხე: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ წარმომადგენლის გ.კვიციანი; მესამე პირის ფირმა „აძიენდე კემიკე რიუნიტე ანჯელინი ფრანჩესკო ა.ს.რ.ა.ფ. ს.პ.ა.“-ს წარმომადგენლის თ.ღვინჯილიას მონაწილეობით

განვიხილე ღია სასამართლო სხდომაზე ადმინისტრაციული საქმე „პარკე, დევის კომპანი“-ს სარჩელისა გამო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიმართ, მესამე პირი ფირმა „აძიენდე კემიკე რიუნიტე ანჯელინი ფრანჩესკო ა.ს.რ.ა.ფ. ს.პ.ა.“, სასაქონლო ნიშნი ACUTIL დაცულ საქონლის ჩამონათვალში ცვლილებების შეტანის შესახებ

გ ა მ ო ვ ა რ კ ე ბ ი ე :

სარჩელში აღნიშნულია, რომ 1998 წლის 24 თებერვალს ფირმის „პარკე დევის კომპანი“-ს მიერ საქპატენტში შეტანილი იყო განაცხადი სასაქონლო ნიშანზე ACCUPRIL, რომელიც რეგისტრირებულია საქპატენტის მიერ 1998 წლის 11 დეკემბერს საქონლის შემდეგი ჩამონათვალისათვის: კლასი 5 „სამედიცინო და ფარმაცევტული პრეპარატები“, მონაწილობის №11273, ნიშნის მფლობელი -- ფირმა „პარკე, დევის კომპანი“.

2000 წლის 10 ოქტომბერს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში №19 გამოქვეყნდა ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის ACUTIL რეგისტრაციის შესახებ, განმცხადებელი ფირმა „აძიენდე კემიკე რიუნიტე ანჯელინი ფრანჩესკო ა.ს.რ.ა.ფ. ს.პ.ა.“, რომელიც იცავს მე-5, 30-ე და 32-ე კლასების საქონლის ჩამონათვალს.

მოსარჩელემ შეიტანა აპელაცია „საქპატენტი“-ს სააპელაციო პალატაში და მოითხოვა სასაქონლო ნიშნის ACUTIL განაცხადში მე-5 კლასის საქონ-

ლის აპოლება, იმ მოტივით, რომ ორივე ნიშანს აქვს როგორც ვიზუალური, ასევე ფონეტიკური მსგავსება იმ დონემდე, რომ შეიძლება მოხდეს ამ ნიშნების ერთმანეთთან აღრევა, რაც გამოიწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას, მეგრამ აპელანტის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელე ფირმა "პარკე, დევის კომპანი" ითხოვს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის "საქპატენტის" სააპელაციო პალატის №204 გადაწყვეტილების ცნობას და ფირმა "აძიენდე კემიკე რიუნიტე ანჯელინი ფრანჩესკო ა.ს.რ.ა.ფ. ს.პ.ა."-ს სასაქონლო ნიშნის ACUTIL განაცხადში შეტანილი მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვლის ამოღებას ან შეზღუდვას შემდეგ დონემდე: "სამედიცინო დანიშნულების საკვები დანამატები".

2003 წლის 30 მაისის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე "პარკე დევის კომპანი"-ს წარმომადგენელმა გ.ციციშვილმა უარი განაცხადა სარჩელზე და იშუაბდგომლა სსკ-ს 272-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად საქმის წარმოებით შეწყვეტაზე, იმ მოტივით, რომ მესამე პირის ფირმა "აძიენდე კემიკე რიუნიტე ანჯელინი ფრანჩესკო ა.ს.რ.ა.ფ. ს.პ.ა."-ს მიერ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და არარსებობს დავის საგანი.

განვიხილე რა შუამდგომლობა, მიმართა, რომ იგი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ს 272-ე მუხლის თანახმად „სასამართლო, მხარეთა განცხადებით ..., შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ

გ) მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე".

სასამართლო სხდომაზე მხარეებს განემარტათ, რომ უფლება არა აქვთ ხელმეორედ მიმართონ სასამართლოს დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლის II ნაწილით, მე-2, მე-9, მე-12 მუხლებით და სსკ-ს 272-ე მუხლის „გ“ პუნქტით, 273-ე, 274-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით

დავალებანი:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული საქმის წარმოება „პარკე დევის კომპანი“-ს სარჩელისა გამო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის "საქპატენტის" მიმართ, მესამე პირი ფირმა "აძიენდე კემიკე რიუნიტე ანჯელინი ფრანჩესკო ა.ს.რ.ა.ფ. ს.პ.ა.", სასაქონლო ნიშნით ACUTIL დაცულ საქონლის ჩამონათვალში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. განემარტოთ მხარეებს, რომ უფლება არა აქვთ ხელმეორედ მიმართონ სასამართლოს დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

3. ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა 12 დღის ვადაში ამავე სასამართლოში.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია საქონლის სრული
ჩამონათვლისათვის



გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3/257-03

1 აპრილი, 2003წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ალა კახნია-ურმა

გურანდა ჟღენცის მდივნობით

მოსარჩელე: „კომპანია ნაფ-ნაფ დისტრიბუტიონ ბ.ე“-ს წარმომადგენელ შ.გვარამაძის, მოპასუხე: „საქპატენტის“ წარმომადგენლის გ.თაქთაქიშვილის მონაწილეობით

განვიხილე ღია სასამართლო სხდომაზე ადმინისტრაციული საქმე ფირმა „კომპანია ნაფ-ნაფ დისტრიბუტიონ ბ.ე“-ს წარმომადგენლის შ.გვარამაძის სარჩელის ავამო „საქპატენტის“ მიმართ „საქპატენტის“ წინასწარი გადანყევტილების საერთაშორისო ნიშანზე №768568 მეცვლის შესახებ.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

სარჩელში აღნიშნულია, რომ მადრიდის საერთაშორისო ხელშეკრულების თანდართულ პროტოკოლის საფუძველზე საქართველოში გასაერცვლებლად შემოვიდა სასაქონლო ნიშანი რეგ. №768568 „GHEVIGNION I DANS RECTANGLE“ საქონლისათვის კლასებიდან 3, 9, 14, 16, 18, 20, 21, 24 და 25. საქპატენტმა მიიღო საერთაშორისო ბიუროდან განაცხადი და ჩაატარა მოკვლევა მსგავსი ნიშნების გამოსაელენად. მოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ კომპანია „შალეს შვეინონ ს.ა“ სახელზე უფრო ადრეული პრიორიტეტით საქართველოში რეგისტრირებული იყო სასაქონლო ნიშანი „GHEVIGNON“, რეგ. №795, რომლითაც დაცულია საქონელი საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით კლასებიდან 3, 9, 14, 16, 18, 24, 25 და 34. ვინაიდან მოსარჩელის მიერ განაცხადებული სასაქონლო ნიშანი და საქპატენტის მიერ მოძიების შედეგად გამოვლენილი ნიშნები შეიცავენ ერთი და იგივე სიტყვას „GHEVIGNON“ და ისინი ეკუთვნიან სხვადასხვა კომპანიებს, საქპატენტმა

მიიღო ვადანყვეტილება მოსარჩელის ნიშანზე საქონლის ჩამონათვალიდან
დაწილის შეზღუდვაზე, კერძოდ, ვადანყვეტილებაში უარია ნათქვამი რე-
ვისტრაციის მიმდევრობის კლასებიდან: 3, 9, 14, 16, 18, 24 და 25.

2003 წლის 3 თებერვალს ხელი მოეწერა უფლებათა ვადაცემის ხელშეკრუ-
ლება, რომლის თანახმად მოსარჩელეს გადაეცა უფლებები საქართველოში
№795-ით რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე და რეგისტრაციის შესახებ
2003 წლის 18 თებერვალს მოსარჩელემ შეიტანა განცხადება საქპატენტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელე ითხოვს შეიცვალოს საქ-
პატენტის ვადანყვეტილება საერთაშორისო ნიშანზე №768568 და გე-
რცედეს ეს საერთაშორისო ნიშანი საქართველოზე საქონლის სრული ჩა-
მონათვალისათვის.

შემაჯობებ „საქპატენტის“ ნარმომადგენელმა გ.თაქათაძემ საარჩე-
ლი სტრუქტურა და განმარტა, რომ 2003 წლის 18 თებერვალს „საქპატენტში“ შემო-
ვიდა მოსარჩელეს სერიული, რომლითაც მოითხოვდა კომპანიისაგან „შალეს
შევიზონ ს.ა“ სასაქონლო ნიშანზე „GHEVIGNON“ უფლებების კომპანი-
ისათვის „ნაფ-ნაფ დისტრიბუციონ ბ.ე“ ვადაცემის ხელშეკრულების რეგის-
ტრაციას, რაც საქპატენტის მიერ განხორციელდა, რის შედეგადაც რო-
გორც მოსარჩელის სასაქონლო ნიშანი, ისე ნიშანი, რომელთაგან მსგავსე-
ბის გამოც უარი ეთქვა მოსარჩელის ნიშანს საქართველოს ტერიტორიაზე
დაცვის მიზნებზე, ერთი და იმავე კომპანიის საკუთრებას წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე აღარ არსებობს საერთაშორისო სასაქონ-
ლო ნიშნისათვის „GHEVIGNON“ საქართველოში დაცვის მინიჭებაზე უარის
თქმის „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით
გათვალისწინებული საფუძველი და აქედან გამომდინარე, შესაძლებელია
სასამართლოს ვადანყვეტილების საფუძველზე „სასაქონლო ნიშნების შესა-
ხებ“ საქართველოს კანონით ვათვალისწინებული პროცედურების გავლის
შემდეგ მოხდეს სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭება.

განვიხილე რა საქმის მასალები, მოვისმინე მხარეთა ახსნა-განმარტება-
სი. დავადგინე შემდეგი:

მადრიდის საერთაშორისო ხელშეკრულების თანდართულ პროტოკოლის
ააყოფილებს საქართველოში გასაერცვლებლად შემოვიდა სასაქონლო ნიშანი
რეგ. №768568 „GHEVIGNON | DANS RECTANGLE“ საქონლისათვის კლასები-
დან 3, 9, 14, 16, 18, 20, 21, 24 და 25. საქპატენტის მიერ ჩატარებული მოკლე-
ვის შედეგად აღმოჩნდა, რომ კომპანია „შალეს შევიზონ ს.ა“ სახელზე უფრო
აღრეული პრიორიტეტით საქართველოში რეგისტრირებული იყო სასაქონლო
ნიშანი „GHEVIGNON“, რეგ. №795, რომლითაც დაცულია საქონელი საერთა-
შორისო კლასიფიკაციის მიხედვით კლასებიდან 3, 9, 14, 16, 18, 24, 25 და 34.

იმის ვათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიერ განცხადებული სასა-
ქონლო ნიშანი და საქპატენტის მიერ მოძიების შედეგად გამოვლენილი ნიშ-
ნები შეიცავდნენ ერთი და იგივე სიტყვას „GHEVIGNON“ და ეკუთვნოდნენ
სხვადასხვა კომპანიებს, საქპატენტმა 2003 წლის 10 იანვარს მიიღო ვადან-
ყვეტილება მოსარჩელის ნიშანზე საქონლის ჩამონათვალიდან ნაწილის
შეზღუდვაზე, კერძოდ, ვადანყვეტილებაში უარია ნათქვამი რეგისტრაცია-

ზე შემდეგი კლასებიდან: 3, 9, 14, 16, 18, 24 და 25.

2003 წლის 3 თებერვალს ხელი მოეწერა უფლებათა გადაცემის ხელშეკრულებას, რომლის თანახმად მოსარჩელეს გადაეცა უფლებები საქართველოში №795-ით რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე, რომლის რეგისტრაციის შესახებაც 2003 წლის 18 თებერვალს მოსარჩელემ შეიტანა განცხადება საქმატენტში.

2003 წლის 18 თებერვალს საქმატენტის მიერ განხორციელდა კომპანიისგან „შალეს შევინიონ ს.ა“ სასაქონლო ნიშანზე „GHEVIGNON“ უფლებების კომპანიისათვის „ნაფ-ნაფ დისტრიბუშენ ბ.ე“ გადაცემის ხელშეკრულების რეგისტრაცია, რის შედეგადაც როგორც მოსარჩელის სასაქონლო ნიშანი, ისე ნიშანი, რომელთაგან მსგავსების გამოც უარი ეთქვა მოსარჩელის ნიშანს საქართველოს ტერიტორიაზე დაცვის მინიჭებაზე, ერთი და იგივე კომპანიის საკუთრებაში აღმოჩნდა.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მიუხედავად მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობისა, მოსარჩელის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის II ნაწილი), შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელის აღიარებით 2002 წლის 10 ოქტომბრის ექსპერტიზის გადანყვეტილება იყო კანონიერი და აქედან გამომდინარე მან იგი აღარ გაასაჩივრა საქმატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში ამ გადანყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადაში — 2003 წლის 10 იანვრამდე და ამიტომ ექსპერტიზის გადანყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ მიზეზის აღმოფხვრა, რომელიც საფუძვლად დაედო საქმატენტის მიერ მიღებულ გადანყვეტილებას მოსარჩელის ნიშანზე საქონლის ჩამონათვალიდან ნაწილის შეზღუდვაზე, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ამ გადანყვეტილების შეცვლის საფუძვლად, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ ასეთ პროცედურას არ ითვალისწინებს.

ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის II ნაწილით, მე-2, მე-9, მე-12, 22-ე, 32-ე მუხლებით და სსკ-ს მე-8, 243-ე, 244-ე, 249-ე და 369-ე მუხლებით

გ ა დ ა ვ ნ ყ ვ ი ტ ი ე :

1. უარი ეთქვას მოსარჩელე „კომპანია ნაფ-ნაფ დისტრიბუტიონ ბ.ე“-ს წარმომადგენელ შ.გვარამაძეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

2. მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 30 ლარის ოდენობით დარჩეს გადახდილად სახ.ბიუჯეტის სასარგებლოდ.

3. გადანყვეტილება გასაჩივრდება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატაში 1 თვის ვადაში მისი ასლის ჩაბარების დღიდან ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მეშვეობით.

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №092

საკ. №1709/03-99

24.01.20015.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი მემადგენლობით: მ.კვიციანი (თავმჯდომარე), ზ.ნეფარიძე, გ.თაქთაქიშვილი, ნ.ბებრიშვილის ჩლიჯნობით განიხილა კომპანია „ბევერიჯ ტრიელ მარკ კომპანი ლიმიტიდ“ საქონელი სასაქონლო ნიშნის „CASTEL BEER“ რეგისტრაციაზე №467 (05.04.2000) უარყოფითი გადაწყვეტილების - „სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი მსგავსია ფირმა „ბრაუერაი ფულსპლოსშენ“ კუთვნილი ნიშნისა „CASTELO“, რომელიც რეგისტრირებულია საქპატენტში საერთაშორისო კლასიფიკაციის 32-ე კლასის საქონლისათვის, კერძოდ „ლუდი და უალკოჰოლო სასმელები“, რეგისტრაციის №4981, თარიღი 07.04.97.“ - გადასიჯნვის შესახებ.

კოლეგიამ განიხილა რა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

განცხადებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის წარმომადგენელი პატენტრწმუნებული მ.გვარამაძე არ ეთანხმება ექსპერტიზის გადანყვეტილებას შემდეგი მოსაზრებების გამო:

სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი „CASTELO“ იტალიურ ენაზე ნიშნავს ციხე-სიმაგრეს, ციტადელს, კომკს, კარკასსა და სამშენებლო ხე-ტყეს. დაპირისპირებული ნიშნის გარდა „საქპატენტში“ რეგისტრირებულია ფიგურული სასაქონლო ნიშანი „CASTELO“ №4982, რომელზედაც გამოხატულია ციხე-სიმაგრე და თავთავები. განცხადებული სასაქონლო ნიშანი სიტყვიერია, გამოიყენება საქართველოში 1998 წლიდან და განსხვავდება დაპირისპირებული ნიშნისაგან იმით, რომ იგი შედგება ორი სიტყვისაგან, რომელთაგან არცერთი არ არის დაპირისპირებული ნიშანში გამოყენებული სიტყვის იდენტური; განცხადებულ ნიშანში გამოყენებული სიტყვა „CASTEL“ წარმოსდგება კომპანიის დამაარსებლის პიერ კასტელის გვარიდან, რის გამოც ცხადია, რომ დაპირისპირებულ ნიშნებში გამოყენებული სიტყვები „CASTEL“ და „CASTELO“ კონცეპტუალურად სხვადასხვა წარმოშობის არიან. განცხადებული ნიშნის საქონელი მოიცავს მხოლოდ ლუდს, მაშინ როცა დაპირისპირებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალი შეიცავს აგრეთვე უალკოჰოლო სასმელებსაც. განცხადებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი ფირმის წარმომადგენელი ყურადღებას ამახვილებს

აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ ლუდი იყიდება ბოთლებით, რომლებზედაც დატანილი ეტიკეტები თავის მხრივ მოიცავენ სიტყვიერ სასაქონლო ნიშნებს და ისინი თავის თავზე იღებენ განსხვავებულობის ძირითად დატვირთვას. ყველა ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით მოსარჩელის წარმომადგენელი ითხოვს ექსპერტიზის გადანიშნულებების შეცვლას.

კოლეგიამ განიხილა მოსარჩელეს წარმომადგენლის არგუმენტაცია, რომელსაც იგი ვერ გაიზიარებს, რადგან: მითითება იმის თაობაზე, რომ დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანიის „ბრაუერეი ფულსმლოსშენ პოლდინგ“-ის სახელზე „საქმატენტმი“ ადრე რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი ციხე-სიმაგრის გამოსახულებით, უსაფუძვლოა, რადგან მას ვანსახილველ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ დაპირისპირებულ ნიშანში გამოყენებული სიტყვა „CASTELO“ იტალიურად ნიშნავს ციხეს, კომქს, ეს არავის სადავოდ არ გაუხდია. პირიქით, სწორედ ამის გამო, კოლეგიას მართებულად მიაჩნია ექსპერტიზის გადანიშნულება, ვინაიდან სიტყვა „CASTEL“-ს ინგლისურად აქვს იგივე მნიშვნელობა. რაც შეეხება იმ არგუმენტს, რომ განცხადებული ნიშანი შეიცავს აგრეთვე სიტყვა „BLER“-ს, იგი მხედველობაში არ მიიღება, რადგან ეს სიტყვა განიხილება როგორც ნიშნის არადაცვიოთუნარიანი ელემენტი და წარმოადგენს საქონლის სახეობის აღწინიშნულ გვარობით ცნებას.

კოლეგია, ვერ იზიარებს აგრეთვე იმ მოსაზრებებს, რომ დაპირისპირებული ნიშნები წარმოშობაში არის კონცეპტუალური განსხვავება, რადგან ხელთ არ აქვს მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ სიტყვიერი ნიშანი „CASTELO“-ც არ წარმოსდგება რომელიმე პიროვნების გვარიდან. თუმცა, კოლეგია თვლის, რომ ამ შემთხვევაშიც კი გადამწყვეტი იქნეოდა დაპირისპირებული ნიშნების სემანტიკური მნიშვნელობა, ანუ ის ფაქტი, რომ ორივე სიტყვა ქართულად ნიშნავს ციხეს-კომქს.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აგრეთვე აპელანტის წარმომადგენლის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ სასაქონლო ბაზარზე ლუდის ეტიკეტი დამატებით განმასხვავებელუნარიანობას ანიჭებს ამ საქონელს, რადგან უცნობია თუ რა სახის ეტიკეტია გამოყენებული კომპანია „ბრაუერეი ფულსმლოსშენ პოლდინგ“-ის მიერ წარმოებულ ლუდზე, რომელიც გამოდის „CASTELO“-ს სახელწოდებით. მაგრამ ეს ცნობილიც რომ იყოს, ვინაიდან აღნიშნული დავის საგანს წარმოადგენს ორი სიტყვიერი ნიშნის მსგავსება, კოლეგია ვერ იმსჯელებდა სავარაუდო ეტიკეტის განმასხვავებელუნარიანობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა რა „სასაქონლო ნიშნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის გ) ქვეპუნქტითა და მე-16 მუხლით

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანია „ბევერიჯ ტერიდ მარკ კომპანი ლიმიტედ“-ს უარი ეთქვას

აპელაციის დაკმაყოფილებაზე;

2. ძალაში დარსეს ექსპერტიზის 2000 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება №467.



გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№2/46

24 აპრილი 2003წ.,

ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნ.ზარქუამ

ნ.ნონონავას მდივნობით

მოსარჩელე: „ბევერიჯ ტრეიდ მარკ კომპანი ლიმიტედი“-ს წარმომადგენლის ძალვა გვარამაძის, მოპასუხე: ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“-ს წარმომადგენლის გიორგი კვიციანიძის წინააღმდეგობით

განვიხილე სამოქალაქო საქმე №2/46 „ბევერიჯ ტრეიდ მარკ კომპანი ლიმიტედი“-ს წინააღმდეგობით, მოპასუხე ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“-ს მიმართ „საქპატენტი“-ს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების მეცვლისა და გაცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ.

გ ა მ მ ვ ა რ კ ვ ი ე :

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს სახელით მიმართა „ბევერიჯ ტრეიდ მარკ კომპანი ლიმიტედი“-ს წარმომადგენელმა ძალვა გვარამაძემ და განმარტა, რომ 1999 წლის 10 სექტემბერს, მოასარჩელის მიერ „საქპატენტი“-ში შეტანილი იქნა განაცხადი სასაქონლო ნიშნის „KASTEL BEER“-ის რეგისტრაციაზე ლუდის ნაირსახეობებისათვის. 2000 წლის 5 აპრილს ექსპერტიზამ მიიღო №467 უარყოფითი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე. საქონლის სრული ჩამონათვალისათვის იმ მოტივით, რომ „საქპატენტი“-ში რეგისტრირებულია მსგავსი სასაქონლო ნიშანი „KASTELO“, რეგისტრაციის №4981, ადრეული პრიორიტეტით, 1996 წლის 2 თებერვალს. 2000 წლის 14 ივნისს მოსარჩელემ შეიტანა სააპელაციო გან-

ცხადება „საქპატენტ“-თან მოქმედ სააპელაციო პალატაში, ექსპერტიზის გადამწყვეტილების შეცვლის მოთხოვნით. „საქპატენტი“-ს სააპელაციო პალატამ 2001 წლის 24 იანვარს უარი უთხრა აპელაციის დაკმაყოფილებაზე და ძალაში დატოვა ექსპერტიზის 2000 წლის 5 აპრილის №467 გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება მიაჩნია უკანონოდ, ეინიდან პალატის კოლეგიამ არ გაითვალისწინა მოპასუხის სასაქონლო ნიშნის არაიდენტიფიკაცია დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანთან და ისეთი დონის განსხვავება მათ შორის, რომ გამოორიციხულია მათი აღრევა.

მოსარჩელე ითხოვს შეიცვალოს სააპელაციო კოლეჯის გადაწყვეტილება და მოხდეს მოსარჩელე კომპანიის სახელზე სასაქონლო ნიშნის „KASTEL BEER“-ის რეგისტრაცია საქართველოში.

მოპასუხე ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“-ს წარმომადგენელმა გ. კვიციანიმ სარჩელი ცნო და განმარტა, რომ სარჩელს ცნობს მთლიანად მოსარჩელის მიერ სასამართლოში დამატებითი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების წარმოდგენის შემდეგ, რომლებიც არ ყოფილა წარმოდგენილი „საქპატენტი“-ს სააპელაციო პალატის სხდომაზე.

სასამართლომ განიხილა სასარჩელი განცხადება, მოსმინა მხარეთა ახსნა განმარტებანი, შეაფასა წარმოდგენილი მტკიცებულებანი, მიაჩნია, რომ სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ ვარაუდობათა გამო:

უდავოა, რომ „საქპატენტი“-ში რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი „KASTELO“, რეგისტრაციის №4981, ადრეული პრიორიტეტით, 1996 წლის 2 თებერვალს, რომლის მფლობელია შვეიცარიული კომპანია „ბრაუერეი ფელსშლოსენ ჰოლდინგი“.

დადგენილია, რომ 2000 წლის 5 აპრილს ექსპერტიზამ მიიღო №467 უარყოფითი გადაწყვეტილება „ბევერიჯ ტრეიდ მარკ კომპანი ლიმიტედ“-სათვის სასაქონლო ნიშნის „KASTEL BEER“-ის რეგისტრაციაზე.

დადგენილია, რომ „საქპატენტი“-ს სააპელაციო პალატამ „ბევერიჯ ტრეიდ მარკ კომპანი ლიმიტედ“-ს უარი უთხრა აპელაციის დაკმაყოფილებაზე და ძალაში დატოვა ექსპერტიზის 2000 წლის 5 აპრილის №467 გადაწყვეტილება.

დადგენილია, რომ შვეიცარიული კომპანია „ბრაუერეი ფელსშლოსენ ჰოლდინგი“-ს და „ბევერიჯ ტრეიდ მარკ კომპანი ლიმიტედ“-ის მფლობელი არის ერთი და იგივე პიროვნება პიერ კასტელი.

დადგენილია, რომ შპს „კასტელი საქართველო“-მ განაცხადა თინხმობა, რომ სასაქონლო ნიშნის „KASTEL BEER“-ის რეგისტრაცია საქართველოში მოხდეს „ბევერიჯ ტრეიდ მარკ კომპანი ლიმიტედ“-ის სახელზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარჩელის ცნობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ვინაიდან ჯერ

ერთი მხს „კასტელი საქართველო“-მ განაცხადა თანხმობა, რომ სასაქონლო ნიშნის „KASTEL BEER“-ის რეგისტრაცია საქართველოში მოხდეს „ბევერიჯ ტრეიდ მარკ კომპანი ლიმიტედი“-ის სახელზე, და მეორეც სასაქონლო ნიშნის გამოყენების ფართო: მასშტაბებზე საქართველოში სასაქონლო ნიშანს „KASTEL BEER“-ს შესძინა განმასხვავებელუნარიანობა საქონელთან და მწარმოებელთან მიმართებაში და შესაბამისად აღარ არსებობს დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანთან „KASTELIO“, აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

ვიხელმძღვანელე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-12 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 244-ე, 249-ე მუხლებით და

გ ა დ ა ვ ა ნ ი ტ ა :

1. „ბევერიჯ ტრეიდ მარკ კომპანი ლიმიტედი“-ს წარმომადგენლის შალვა გვარამაძის სარჩელი დაკმაყოფილდეს.
2. შეიცვალოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“-ს სააპელაციო პალატის 2001 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება.
3. მოხდეს კომპანია „ბევერიჯ ტრეიდ მარკ კომპანი ლიმიტედი“-ს სახელზე სასაქონლო ნიშნის „KASTEL BEER“-ის რეგისტრაცია საქართველოში.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით (ერთი თვის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატაში მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის დღიდან, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მეშვეობით.

სასაქონლო ნიშნების „PRIMA ЛЮКС“ და „PRIMA ЛЮКС
ЛІГКІЙ“ რეგისტრაცია



გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№2-1317-01

5 ნოემბერი, 2001წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ი.ხურ-
ციძემ

ნ.ნონონავას მდივნობით

მოსარჩელე: უკრაინის საწარმო უცხოური ინვესტიციებით "რემსტმა-
უკრაინა" წარმომადგენელი - თემურ ლვინჯილია
მოპასუხე: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ცენტრი
„საქპატენტი“, წარმომადგენელი - ზურაბ ნეფარიძე
მესამე პირი: გერმანული კომპანია „ფს სიგარეტენფაბრიკენ დრეზდენ გმბჰ“

განვიხილე კომპანია „რემსტა-უკრაინა“-ს სასარჩელო განცხადება მო-
პასუხე „საქპატენტის“ დაქვემდებარებაში მყოფი სააპელაციო პალატის გა-
დანყევითლების №068 და №069, 2000 წლის 7 ივნისის შეცვლის შესახებ. ეს
გადანყევითებები მოიცავს მოსარჩელის მიერ საქპატენტში შეტანილ გან-
ცხადებას სასაქონლო ნიშნების „PRIMA ЛЮКС“ და „PRIMA ЛЮКС
ЛІГКІЙ“ რეგისტრაციაზე უარს.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს 2001 წლის 3 მა-
ის სასარჩელო განცხადებით მომართა უკრაინულმა კომპანიამ „რემსტმა-
უკრაინა“-ს წარმომადგენელმა საქართველოში პატენტრემსტმულმა თემურ-
რი ლვინჯილიამ, მოპასუხე საქპატენტის მიმართ და მოითხოვა გერმანული
კომპანია „ფს სიგარეტენფაბრიკენ დრეზდენ გმბჰ“-ს სახელზე რეგისტრი-
რებული სასაქონლო სიტყვიერი ნიშნის „PRIMA“ რეგისტრაციის გაუქმება.

2001 წლის 8 მაისის განჩინებით ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამარ-
თლოს მოსამართლემ სარჩელი მიიღო წარმოებაში. მოსარჩელე უკრაინის

კომპანია „რემესტმა-უკრაინას“ მიერ შეტანილ განცხადებაზე სასაქონლო ნიშნების „ПІРІМА ПЛОК“ და „ПІРІМА ПЛОК ПІІ КІІІ“ რეგისტრაციაზე მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილებები იმ მიზეზით, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნების დაცვიოუნაროანი სიტყვიერი ნაწილები, ზღერადობით იდენტურია კომპანიის „ფხ სიგარეტენფაბრიკენ დრეზდენ ვმპ“ კუთვნილი სასაქონლო ნიშნისა საქართველოში „PRIMA“, რეგისტრაციის №5546. რეგისტრაციის თარიღი 1997 წლის 10 ივნისი, საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით საქონლის 34-ე კლასისათვის.

გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ მოსარჩელის მიერ განცხადებულ ნიშნებზე წარმოადგენენ სიგარეტის ეტიკეტებს და ამიტომ ასევე არ შეიძლება ნიშნების რეგისტრაცია მომსახურებისათვის „საქონლის რეალიზაცია“ – მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის გამო.

მოსარჩელე დადგენილ ვადებში მიმართა სააპელაციო განცხადებით სააპელაციო პალატას ექსპერტიზის გადაწყვეტილებების შეცვლის მოთხოვნით. სააპელაციო პალატის კოლეგიამ არ განიხილა ეს განცხადებები და არ ჩათვალა საჯაროდ ექსპერტიზის გადაწყვეტილების შეცვლა. მოსარჩელემ სააპელაციო განცხადებებში აღნიშნა, რომ სიგარეტი „ПІРІМА“ მეტად პროპულარული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მათ შორის საქართველოშიც. ამჟერადაც საქართველოში რამდენიმე მცირე საწარმოების მიერ ხდება სიგარეტის რეალიზაცია სასაქონლო ნიშნით „ПІРІМА“.

მოსარჩელის აზრით, რადგანაც სიგარეტი „ПІРІМА“-ს წარმოება და რეალიზაცია ხდება ადგილობრივი წარმოებების მეშვეობით, ამიტომ ლათინურ ანბანზე ჩანერილი სასაქონლო ნიშან „PRIMA“-ს მფლობელ უცხო კომპანიას არ აქვს უფლება აუქრძალოს სხვა პირებს კირილიცაზე ჩანერილი სასაქონლო ნიშნის „ПІРІМА“ დაცული სიგარეტების წარმოება და რეგისტრაცია, რადგან სიტყვა „ПІРІМА“ ცნობილი უნდა იქნეს როგორც მე-4 კლასის უფილტრო სიგარეტების გვარობით ცნებად საქართველოში და ის უნდა იქნეს დამოუკიდებელ დაცვას არდაქვემდებარებული ნაწილი.

საუპატენტის სააპელაციო კოლეგიამ აღნიშნა თავის გადაწყვეტილებაში, რომ სიტყვა „ПІРІМА“-ს გვარობის გამოსაცვლელად მცნება სცდება სააპელაციო პალატის კომპეტენციის ფარგლებს და ამის გამო ის არ შეიძლება მიღებულ იქნეს განხილვის საგნად. სააპელაციო პალატის კოლეგიამ არ მიიღო განსახილველად მოსარჩელის მიერ შეტანილი განცხადებები და ახალი გზით უცვლელად დარჩა ექსპერტიზის უარყოფითი გადაწყვეტილებები.

სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელე იმეორებს სააპელაციო განცხადებაში შეტანილ არგუმენტებს (მტკიცებულებებს) და აგრეთვე აღნიშნავს, რომ სასაქონლო ნიშან „ПІРІМА“-ში დაცული სიგარეტების წარმოება და რეალიზაცია ხდება გასული 40-50 წლის განმავლობაში. მისი აზრით „ПІРІМА“-ს მიმართ შექმნილი სიტუაცია ანალოგიურია „АСТРА“-ს მიმართ შექმნილი სიტუაციისა. ცნობილია, რომ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის სააპელაციო კოლეგიამ 1948 წლის 24 ივლისის ოქმის №1 დანართი 2, მიიღო გადაწყვეტილება მასზედ, რომ სიტყვა „АСТРА“ უნდა ჩა-

ითვალისწინებდა გვარეობით მცნებათ უფილტრო სიგარეტებისათვის და ის რეგისტრირებულ უნდა იქნეს სასაქონლო ნიშნის დაუცველ ნაწილად.

მოსარჩელეს მიაჩნია, რომ იგივე მდგომარეობა შექმნილი სასასონლო ნიშან „ПРИМА“-ს მიმართ და ითხოვს სასამართლომ სცნოს სიტყვა „ПРИМА“ მე-4 კლასის უფილტრო სიგარეტების გვარეობით მცნებად და შედეგად „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მუხლი 27, პუნქტი 2 „ბ“ გაუქმდეს რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნისა №5546.

საქმის მომზადების სტადიაზე მოპასუხე „საქპატენტმა“ აღნიშნა, რომ სარჩელში მოხსენებული სტატუსის დადგენა არ შეიძლება საქპატენტის კომპეტენციამ და ამიტომ ის ვერ მიიღებს მონაწილეობას მოპასუხის სახით, თუმცა საქპატენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არც სააპელაციო განცხადებებს და არც სასარჩელო განცხადებას თან არ ახლავს მტკიცებულებები სასარჩელო მოთხოვნის დასაქმყოფილებლად.

მოპასუხემ გერმანული კომპანია „ფნ სიგარეტენფაბრიკენ დრეზდენ გმბჰ“-ს წარმომადგენელმა პატენტრემუნებულმა შ.გვარამაჰემ აღნიშნა, რომ თავისთავად ეჭვს იწვევს მეცნიერებათა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის სააპელაციო კოლეგიის მიერ „AC IPA“-თან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა. სასამართლომ არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება „ПРИМА“-თან დაკავშირებით „AC IPA“-ზე გადაწყვეტილების დაყრდნობით.

მოპასუხემ აღნიშნა, რომ თუ ცნობილ იქნა სიტყვა „ПРИМА“ (ალბათ ლოგოტიპი) გვარეობით მცნებად მე-4 კლასის უფილტრო სიგარეტებისათვის მხოლოდ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე (რაც აშკარაა, რომ არ ახლავს განხილვად სარჩელს) მაშინაც კი არ არსებობს კანონიერი საფუძველი დაქმყოფილებულ იქნეს მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის სასაქონლო ნიშან „PRIMA“-ს რეგისტრაციის გაუქმებაზე. „ПРИМА“-ს ცნობილი ლოგოტიპი განსხვავდება სტანდარტულ ლათინური ასოებით ჩანერილი სიტყვისაგან „PRIMA“, იმდენად რომ გამოირიცხება მათი აღრევა, მეორეც მოსარჩელის მიერ განცხადებული სასაქონლო ნიშნებით დაცული სიგარეტები იყიდება ბაზარზე და ისინი ნამდვილად არ წარმოადგენენ მე-4 კლასის უფილტრო სიგარეტებს.

ამრიგად, მოპასუხე „ფნ სიგარეტენფაბრიკენ დრეზდენ გმბჰ“ არ ცნობს მთლიანობაში სარჩელს და თვლის უსაფუძვლოდ მოეხსნას მისი ნიშნის „PRIMA“ რეგისტრაციის გაუქმებაზე.

გავეცანი რა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მოვუსმინე მხარეებს; მიმაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაქმყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულებები იმისათვის, რომ სიტყვა „ПРИМА“ ცნობილ იქნეს მე-4 კლასის უფილტრო სიგარეტების გვარეობით მცნებად.

აქედან გამომდინარე, არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ სიტყვა „ПРИМА“ მიჩნეულ იქნეს გვარეობის აღმნიშვნელ მცნებად, რადგან არარ-

სებობს საფუძველი გვარეობით მცნებად ალიარებისა და არარსებობს აგრეთვე საფუძველი ვანხილულ იქნეს საკითხი მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „PRIMA“-ს რეგისტრაციის გაუქმებაზე.

ვიხელმძღვანელებ რა სსკ-ს 243-ე, 247-ე, 250-ე, 255-ე, 395-ე და 397-ე მუხლებით

გ ა დ ა ვ ე წ ვ ი ტ ა :

1. მოსარჩელე უკრაინის კომპანია „რეემსტმა უკრაინას“ წარმომადგენელ პატენტის მქონებულს შალვა გვარამაძეს უარი ეთქვას სასარჩელო მოთხოვნაზე.

2. უარი ეთქვას მოსარჩელეს მოთხოვნაზე სიტყვა „IPIHMA“-ს გვარეობის გამოწახველად ცნებაზე მე-4 კლასის უფილტრო სიგარეტისათვის.

3. უარი ეთქვას მოსარჩელეს მოთხოვნაზე „ფნ სიგარეტენფაბრიკენ დრეზდენ გმბჰ“-ს სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „PRIMA“ რეგისტრაციის გაუქმებაზე.

4. გადანუვებითი შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის ააოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატაში ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მეშვეობით.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

17 დეკემბერი 2003 წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე მ.ნიკლაურმა

ლ.შამისაშვილის მდივნობით

განვიხილე შპს „ამერიკანსტიმულის“ წარმომადგენლის სარჩელი „ფ-ნ სიგარეტენფაბრიკენ დრეზდენ გმბჰ“-ს მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

მოსარჩელე შპს „ამერიკანსტიმულის“ წარმომადგენელი ნუგზარ რობი-ტაშვილი სასამართლოში წარმოდგენილი სარჩელით ითხოვდა „ფ-6 სიგრეტენფაბრიკენ დრეზდენ გმბჰ-ს“ კუთვნილი სასაქონლო ნიშნის „პრიმას“ რეგისტრაციის გაუქმებას 5 წლის განმავლობაში გამოუყენებლობის გამო.

2003 წლის 17 დეკემბერს სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე, ასევე მოპასუხე „ფ-6 სიგრეტენფაბრიკენ დრეზდენ გმბჰ“-ს წარმომადგენელ შ.გვარამაძის მიერ წარმოდგენილ მიწდობილობაში არ იყო მითითებული მინდობილობის გამცემი პირების სტატუსი, არ იყო დამოწმებული ბეჭდით და შესრულებული სატიტულო ფურცელზე, ამიტომ სასამართლოს მიერ იგი არ იქნა მიჩნეული სრულყოფილად.

სსკ-ის 231-ე მუხლის თანახმად თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა არც ერთი მხარე, რომელთათვისაც სხომის დრო ცნობილი იყო კანონით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვიხელმძღვანელებ რა სსკ-ის 231-ე, 275-ე მუხლის „დ“ პუნქტით, 276-ე, 284-286-ე მუხლებით,

დ ა ვ ა ღ ი ნ ე :

1. შპს „ამერიკანსტიმულის“ სარჩელი, მოპასუხე „ფ-6 სიგრეტენფაბრიკენ დრეზდენ გმბჰ-ს“ მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, დატოვილ იქნეს განუხილველად სასამართლო სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის გამო.

2. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა 12 დღეში მხარეებზე გადაცემიდან.

სასაქონლო ნიშნის ნაწილობრივ ბათილობა



გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

21 ივნისი, 2001 წ., ქ.თბილისი

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს მოსამართლემ ი.ხურციძე

ნ.ნონონავას მდივნობით

მხარეები: საფრანგეთის კომპანია „ბანკ კომერციალ პურ ლ'ეუროპე დუ ნორდ-ეურობანკი“. წარმომადგენელი – პატენტრწმუნებული შალვა გვარამაძე; „საქპატენტი“; ეფგ ბანკ ეუროპენ ფინანსიულ გრუპ ს.ა., წარმომადგენელი – პატენტრწმუნებული ალექსანდრე მიქაძე

განვიხილე საფრანგეთის კომპანია „ბანკ კომერციალ პურ ლ'ეუროპე დუ ნორდ ეურობანკი“-ს და მისი წარმომადგენელის პატენტრწმუნებულ შალვა გვარამაძის სარჩელი, მოპასუხე ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ და ეფგ ბანკ ეუროპენ ფინანსიულ გრუპ ს.ა.-თან, ორი სასაქონლო ნიშნის ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

მოსარჩელემ 1997 წლის 4 აპრილს საქართველოში №4966 ნომრით რეგისტრაციაში გაატარა სასაქონლო ნიშანი BCEN-EUROBANK (ბსენ-ეურობანკ), თეთრ ფონზე რუხი და ლურჯი. პრიორიტეტის 1994 წლის 14 ივნისი, რეგისტრირებულია 1997 წლის 4 აპრილს და ძალაშია 2007 წლის 4 აპრილამდე, საერთაშორისო კლასიფიკაციის მომსახურების 36-ე კლასი.

მოპასუხემ, მოგვიანებით „საქპატენტი“ მოახდინა რეგისტრაცია ორი სასაქონლო ნიშნის: ა) რეგისტრაციის №11364, პრიორიტეტი – 1998 წლის 19 თებერვალი. ნიშანი კომბინირებულია ფიგურული და სიტყვიერი ნაწილები-საგან. ფიგურული ნაწილი წრეში გამოსახული სტილიზებული სამკუთხედებით. სიტყვიერი ნაწილი, EFG EuroBank (ეფგ ეურობანკ) რეგისტრირებულია 1999 წლის 26 იანვარს და ძალაშია 10 წლით. საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი მოიცავს მე-16, 35, 36, 41 და 42-ე კლასებს; ბ) რეგისტრაციის

№11365, პრიორიტეტი 1998 წლის 19 თებერვალი, ფიგურული ნაწილი იგივეა, ხოლო სიტყვიერი ნაწილი წარმოადგენს EuroBank, რომელიც მუქი ფერის მართკუთხედის ფონზეა ჩანერილი, რეგისტრირებულია 1999 წლის 26 იანვარს და ძალაშია 10 წლით, საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი მოიცავს მე-16, 35-ე, 36-ე, 41-ე და 42-ე კლასებს.

მოსარჩელე ითხოვს მოპასუხის მიერ უფრო გვიან რეგისტრირებული ორივე სასაქონლო ნიშნის ნაწილობრივ ბათილად ცნობას, კერძოდ ნიშნის გამოსახულებიდან სიტყვა „EuroBank“-ის ამოღებას იმ მოტივით, რომ მის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი უფრო ადრეული პრიორიტეტი-საა ვიდრე მოპასუხისა – განსხვავება 3 წელი და 8 თვეა. მოახდინა რა რეგისტრაცია საქართველოში კომბინირებული სასაქონლო ნიშნისა „BCEN-EUROBANK“ მოსარჩელემ მოიპოვა განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშანზე. რადგანაც საქაპტენცმა არ ამოიღო დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვიდან არცერთი ელემენტი სასაქონლო ნიშნის გამოსახულებიდან, ეს იმას ნიშნავს, რომ განსაკუთრებული უფლება მოპოვებული იქნა ასევე სასაქონლო ნიშნის ძირითად ელემენტზე, მათ შორის მთავარი დატვირთვის მქონე სიტყვიერ ნაწილზე „EUROBANK“. მოსარჩელეს განმარტებით, მოპასუხის მიერ რეგისტრირებული ნიშნები მოიცავენ სიტყვას „EUROBANK“ და მოიუხედავად არსებული განმასხვავებელი ელემენტებისა მათ შორის მთავარი დატვირთვა მოდის სიტყვაზე „EUROBANK“, რამაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი, რადგან არ არის გამორიცხული ამ ნიშნის მფლობელების აღრევა, რითაც ძალას კარგავს მისი, როგორც განსაკუთრებული უფლების მქონე სასაქონლო ნიშნის მფლობელისა.

მოპასუხე, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ სარჩელს არ ცნობს, განმარტავს, რომ დაუსაბუთებელია და კანონშეუსაბამოა მოსარჩელეს მოთხოვნა, რადგანაც მხარეთა შორის „საქპატენტში“ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნებისა მათი ურთიერთშორის აღრევა შეუძლებელია. არსებობს მთელი რიგი განმასხვავებელი დეტალები, რაც შეეხება ევრობანკს ის ზოგადი ტერმინია და არ შეიძლება რომელიმე იურიდიული პირის საკუთრებას წარმოადგენდეს.

მოპასუხე, ეფგ ბანკ ევროპენ ფინანსიალ გრუპ ს.ა.-ს წარმომადგენელი სარჩელს არ ცნობს, განმარტავს, რომ EFG და BCEN ნიშნებს შორის არ არის არავითარი მსგავსება. EFG-ს ნიშნები შეიცავენ დამახასიათებელ დამწერლობას და ის არსებითად განსხვავდება BCEN-ის ნიშნებისაგან. სიტყვა EUROBANK-ით არ ფორმდება განმასხვავებელი ელემენტები არც EFG ნიშნებისა და არც BCEN ნიშნებს შორის. სხვა მხრივ სიტყვა EUROBANK, რომელიც შედგება საერთო პრეფიქსით (Euro) და ასევე საერთო არსებითი სახელით (Bank), წარმოადგენს ძლიერ დამახასიათებელ ელემენტს, ყოველ სასაქონლო ნიშანში, „ევროს“ შემოტანა, როგორც ძირითადი ვალუტისა, შემდგომში ამცირებს ნებისმიერ ვარაუდს, რომ სიტყვა „EUROBANK“ შეიძლება ჩაითვალოს განსხვავებულად.

მიმარჩნია, რომ სარჩელს უარი უნდა ეთქვას შემდეგ მტკიცებებზე დაყ-

რდნობით, ის ფაქტი, რომ მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამყარებს დებულებაზე სასაქონლო ნიშნების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია 1992 წლის 15 მარტს, კერძოდ მუხლს 1,2,7,10,15,34,51,52,53 და ა.შ. რომ თითქოსდა რადგან მის მიერ სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებული იქნა უფრო ადრე, ვიდრე მოპასუხის მიერ „საქპატენტში“ რეგისტრირებული ორი სასაქონლო ნიშანი და რომ მან აღნიშნული მოიპოვა განსაკუთრებული უფლება, არარეალურია, რადგან „ELROBANK“ არ შეიძლება მიეკუთვნოს რომელიმე ღირსის ინდივიდუალურ ნიშანს. ის საერთო ცნებაა, ისევე როგორც ევროსაბჭო, ევრო და სხვა, მთლიანად სახელი ნაწარმოები, ფუძეა „ევრო“, რაც ზოგადი ტერმინია და არ შეიძლება ერთი რომელიმე ღირსის, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს მიეკუთვნოთ, როგორც განსაკუთრებული უფლება მქონე პირს. მითუმეტეს, რომ სადავო სასაქონლო ნიშნებთან არის მთელი რიგი განმასხვავებელი დეტალები, სიტყვიერი ნაწილები, ფიგურები და ა.შ. რაც ასევე გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომას მომსახურებისათვის ანა თუ იმ ღირსის არჩევის დროს, ამდენად მოსარჩელეს განმარტება იმის შესახებ, რომ მიუხედავად არსებული განმასხვავებელი ელემენტებისა მათ შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ მომხმარებელი მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკასა და მითუმეტეს არ არის დასაბუთებული კანონით.

აღნიშნულის გამო ვიხელმძღვანელებ რა საქ. სსკ-ს 243, 244, 258 მუხლებით:

გ ა დ ა ვ ა ტ ა რ ე ბ ა :

სარჩელს, პურ ლ'ეუროპე დუ ნორდ-ევრობანკი, წარმომადგენელი პატენტრწმუნებული ძალა გვარამაძე, სარჩელზე მოპასუხებთან; „საქპატენტთან“ და ევგ ბანკ ეუროპენ ფინანსიალ გრუპ ს.ა., წარმომადგენელი პატენტრწმუნებული ალექსანდრე მიქაძე, ორი სასაქონლო ნიშნის ნაწილობრივ ბათილად ცნობაზე ეთქვას უარი.

გადანყეტილება შეიძლება გასაჩივრებული იქნეს თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატაში, ამავე რაიონის სასამართლოს მეშვეობით.



გ ა ნ ზ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№03ა/36

13 მარტი, 2000წ., ქ.თბილისი

ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული
სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი
შემადგენლობით: ი.ლევაშვილი (თავმჯდომარე),
ი.თოდრია,
ტ.ზამბახიძე

ლ.ქემოკლიძის მდივნობით

ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 7 თებერვალს სარჩელით მომართა გერმანული ფირმა „ბადიშე ტაბაკმანუფაქტურ როთ-ჰენდლე გმბჰ“-ს წარმომადგენელმა – პატენტრწმუნებულმა თამაზ შილაკაძემ.

მოპასუხე, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ და ინგლისური ფირმა „ბრიტიშ-ამერიკან ტობაკო (ბრენდზ) ლიმიტიდ“-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „P(OL.O)“-ს №011550 რეგისტრაციის გაუქმება.

სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 8 თებერვლის განჩინებით სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული, როგორც განსჯადი სასამართლო, ვინაიდან სსკ-ს მე-14 მუხლის „ბ“ პუნქტი არ ენიშნავდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლს.

საქმის მომზადების სტადიაზე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლში 2000 წლის 24 თებერვალს შეტანილი იქნა ცვლილებები და „ბ“ პუნქტის თანახმად საოლქო სასამართლოები პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ სარჩელს, „საქართველოს სამთავრობო დანესებულების, პრეზიდენტის გამგებლობაში შემავალი სახელმწიფო საქვეუნებო დანესებულების, სხვა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის, აგრეთვე, მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე“.

ამდენად, საოლქო სასამართლოს პირველი ინსტანციით განსჯადი გახდა

ისეთი საქვეუწყებო დაწესებულების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე აღძრული სარჩელები, რომლებიც პრეზიდენტის გამგებლობაშია. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 აპრილის №210 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს დებულების მე-8 თავის „ე“ პუნქტის შესაბამისად ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებაა და იგი არ წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ, პრეზიდენტის გამგებლობაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, რომლის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე აღძრული სარჩელები საოლქო სასამართლოს პირველი ინსტანციით განსჯადია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე. არაუფლებამოსილ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის უფლებამოსილ სასამართლოს და ამის შეახებ აცნობებს მოსარჩელეს. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლში, 2000 წლის 24 თებერვალს შეტანილი ცვლილებებით (რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის 9 მარტს) ქ.თბილისის საოლქო სასამართლო აღნიშნული სარჩელის განხილვის არაუფლებამოსილი სასამართლო გახდა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, „სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს განიხილავენ რაიონული სასამართლოები, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეების“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოდგენილი სარჩელი არ განეკუთვნება მე-6 მუხლში აღნიშნულ სარჩელთა კატეგორიას, რის გამოც სარჩელი განხილული უნდა იქნეს სსკ-ს მე-15 მუხლის შესაბამისად მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-5, მე-6 და 26-ე მუხლებით, სსკ-ს მე-15, 24-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით,

და ა დ გ ი ნ ა :

1. გერმანული ფირმა „ბადიშე ტაბაკმანუფაქტურ როთჰენდლე გმბჰ“-ს წარმომადგენლის - პატენტრწმუნებულ თამაზ შილაკაძის სარჩელი მოპასუხე ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ და ინგლიური ფირმა „ბრიტიშ-ამერიკან ტობაკო (ბრენდზ) ლიმიტიდ“-ის მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე გადაეგზავნოს უფლებამოსილ ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს.

2. საქმის გადაგზავნის შესახებ ეცნობოს მხარეებს.

3. განჩინება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

30 ნოემბერი, 2001წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლ.კალიჩენკომ ერთპიროვნულად

განვიხილე მოსარჩელის – „ბადიმ ტაბაკმანუფაქტურ როთ – ჰენდლე გმბჰ“-ს კერძო საჩივარი ამავე სასამართლოს 15.12.2000 წლის განჩინების თაობაზე

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

მოსარჩელემ გერმანული ფირმის „ბადიმ ტაბაკმანუფაქტურ როთ – ჰენდლე გმბჰ“-ს პატენტრწმუნებულმა – თამაზ შილაკაძემ მოპასუხეებს – ინტელექტუალური საბუთების ეროვნული ცენტრის „საქპატენტისა“ და ინგლისური ფირმა „ბრიტიშ-ამერიკან ტაბაკო (ბრენდზ) ლიმიტედ“-ის მიმართ, სარჩელი აღძრა სასამართლოში და ითხოვა მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „POLO“-ს №011550 რეგისტრაციის გაუქმება.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 15.12.2000 წლის განჩინებით მხარეთა გამოუცხადებლობის გამო განუხილველად იქნა დატოვებული ზემოხსენებული სარჩელისა გამო აღძრული საქმე.

2001 წლის 30 ნოემბერს მოსარჩელის – „ბადიმ ტაბაკმანუფაქტურ როთ – ჰენდლე გმბჰ“-ს პატენტრწმუნებულმა თ.შილაკაძემ სასამართლოს მომართა კერძო საჩივრით და ითხოვა ზემოხსენებული 15.12.2000 წლის განჩინების გაუქმება. მომჩივანი კერძო საჩივარში განმარტავს, რომ სასამართლო უწყება სასამართლო სხდომის შესახებ, მას ისევე როგორც მოპასუხე მხარეს არ ჩაბარებიათ, მათთვის უცნობი იყო სხდომის დღე და საათი, რამაც განაპირობა მხარეთა გამოუცხადებლობა სხდომაზე.

კერძო საჩივრის განხილვის შედეგად იმ დასკვნამდე მივიღე, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

ვიხელმძღვანელე რა სსკ-ს 70-73-ე, 284-ე, 285-ე, 417-ე მუხლებით

დავალები:

დაკმაყოფილდეს მოსარჩელის – „ბადიმ ტაბაკმანუფაქტურ როთ – პენდლე გმპ“-ს პატენტრწმუნებულის თ.შილაკაძის კერძო საჩივარი; გაუქმდეს ამავე სასამართლოს 15.12.2000 წლის №2/818-00 განჩინება საქმის განუხილველად დატოვების შესახებ.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3/135-02

19 მარტი, 2002წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლელა კალიჩენკომ

ანა ელიზარაშვილის მდივნობით

განვიხილე ადმინისტრაციული საქმე №3/135-02 მოსარჩელის – „ბადიმ ტაბაკმანუფაქტურ როთპენდლე გმპ“-ს სარჩელისა გამო

მოპასუხის: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“

თანამოპასუხის: "ბრიტიშ-ამერიკან ტობაკო (ბრენდზ) ლიმიტიდ"-ის მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

სასამართლო სხდომას ესწრებოდნენ მოსარჩელის წარმომადგენელი – პატენტრწმუნებული თ.შილაკაძე; მოპასუხის წარმომადგენელი ზ.ნეფარიძე; თანამოპასუხის წარმომადგენელი პატენტრწმუნებული მ.ციციშვილი

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ა :

მოსარჩელემ „ბადიმ ტაბაკმანუფაქტურ როთპენდლე გმპ“-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში და ითხოვა თანამოპასუხის "ბრიტიშ-ამერიკან ტობაკო (ბრენდზ) ლიმიტიდ"-ის სახელზე მოპასუხის საქპატენტის მიერ რეგისტრირებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნის „POL.O“ რეგისტრაციის გაუქმება.

2002 წლის 19 მარტის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომად-

გენელმა თ. შილაკაძემ სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა მისი მარნმუნებლის სახელით აღძრული ზემოთხსენებული სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

მოპასუხე საქპატენტმა (ნარმომადგენელი ზ. ნეფარიძე) თანამოპასუხე "ბრიტიშ-ამერიკან ტობაკო (ბრენდზ) ლიმიტიდ"-ის ნარმომადგენელმა გ. ციციშვილმა მხარი დაუჭირეს მოსარჩელის შუამდგომლობას, კერძოდ, ისინი ასევე თანახმა არიან მოსარჩელის „ბადიშე ტაბაკმანუფაქტურ როთ-ჰენდლე გმბჰ“-ს სარჩელი დარჩეს განუხილველი.

მოვისმინე რა მხარეთა მოსაზრებანი და გავეცანი რა საქმის მასალებს იმ დასკვნამდე მივედი, რომ შუამდგომლობა საფუძვლიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

ვიხელმძღვანელებ რა საქ. სსკ-ს 275-ე, 276-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით

და ვ ა დ ბ ი ნ ე :

1. შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.
2. მოსარჩელის – „ბადიშე ტაბაკმანუფაქტურ როთჰენდლე გმბჰ“-ს სარჩელისა გამო მოპასუხის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“, თანამოპასუხის – „ბრიტიშ-ამერიკან ტობაკო (ბრენდზ) ლიმიტიდ“-ის მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ აღძრული ადმინისტრაციული საქმე №3/135-02 დარჩეს განუხილველი.



გ ა ნ რ ი ნ ე ჯ ა

საქართველოს სახელით

№3/51-01

21 ივნისი, 2001წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე თ.ტაბა-ტაძე

სსკ-ს 205-ე მუხლის შესაბამისად განვიხილე მოსამზადებელ სხდომაზე სამოქალაქო საქმე „სოსიეტე ანონიმ დეზ ო მინერალე დევიანი“-ს წარმომადგენლის საქართველოს პატენტრწმუნებულის გურამ ციციშვილის სარჩელი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიმართ, „საქპატენტის“ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ა :

მოსარჩელე, ფირმა „სოსიეტე ანონიმ დეზ ო მინერალე დევიანი“ არ ეთანხმება სახელმწიფო ექსპერტიზის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას და ითხოვს ხელახლა განიხილონ სასაქონლო ნიშნის „EVIAN“ რეგისტრაციის საკითხი.

მოსამზადებელ სხდომაზე მხარეებს მიეცათ რჩევა, რომ ყველაზე საკუთესო შედეგი ამ საქმის გადაწყვეტისა – ეს არის საქმის მორიგებით დამთავრება.

მოსარჩელემ ითხოვა ვადა, რათა მას საშუალება მისცემოდა წარმოედგინა დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც იგი ადასტურებდა, რომ არარსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები.

მოსარჩელეს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დადასტურდა, რომ სასაქონლო ნიშანზე „EVIAN“ საერთაშორისო განაცხადის № IR 411912 მფლობელი ფრანგული კომპანია „სოსიეტე ანონიმ დეზ ო მინერალ დევიანი“ ფლობს 1996 წლის 24 ივნისს საქართველოში რეგისტრირებული მსგავსი სასაქონლო ნიშნის „BEAUTE EVIAN“ მფლობელი კომპანიის „ლაბორატუარ დ იჟიენ დერმატოლოჟიკ დ ევიანი სრლ“ აქციების 99% და წარმოადგენს მის ძირითად დამფუძნებელს.

გამომდინარე იქედან, რომ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით დღეისათვის აღარ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციაზე უარი თქმის საფუძველი, მხარეები მორიგდნენ და „საქპატენტმა“ მთლიანად ცნო სარჩელი. ვიხელმძღვანელებ რა სსკ-ს 205-ე, 208-ე და 209-ე მუხლებით

დავალებანი:

1. დამტკიცდეს მხარეთა მორიგება, რომლის თანახმადაც „საქპატენტი“ მთლიანად ცნობს სარჩელს, რადგან აღარ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველები.
2. გაუქმდეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ექსპერტიზის 1999 წლის 22 დეკემბრის უარყოფითი გადაწყვეტილება და სასაქონლო ნიშანს „EVIAN“ (საერთაშორისო რეგისტრაციის № IR 411912) მიენიჭოს დაცვა საქართველოს ტერიტორიაზე განცხადებული საქონლის და მომსახურების მთელი ჩამონათვალის მიმართ.
3. მხარეთა მორიგების დამტკიცების საფუძველზე შეწყდეს ამ საქმის წარმოება სსკ-ს 209-ე და 272-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად.
4. განემარტოთ მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დაევაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.
5. ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა 12 დღის განმავლობაში მისი მხარისათვის გადაცემის მომენტიდან.



გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3ა/14-2000

22 თებერვალი, 2000 წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული
სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი
შემადგენლობით: ი.თოდრია (თავმჯდომარე),
ი.ლევაშვილი,
ტ.ზამბახიძე

ლ. ქემოკლიძის მდივნობით

მოსარჩელის: აშშ კომპანია „ფარმაცია ენდ აჯონ კომპანი“-ს წარმომადგენლის, პატენტრწმუნებულის შალვა გვარამაძის

მოპასუხე: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ წარმომადგენლების ზ.ნეფარიძისა და გ.თაქთაქიძის

მოპასუხის: გერმანული კომპანია „ბაიერ ეგ“-ის წარმომადგენლის პატენტრწმუნებულის ხათუნა იმნაძის მონაწილეობით.

განიხილა ადმინისტრაციული საქმე აშშ კომპანია „ფარმაცია ენდ აჯონ კომპანი“-ს სარჩელი მოპასუხეების საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ და გერმანული კომპანია „ბაიერ ეგ“-ის წინააღმდეგ გერმანული კომპანია „ბაიერ ეგ“-ის სახელზე 1999 წლის 26 თებერვლის №11667 სიტყვიერი ნიშნის PROMIRA-ს რეგისტრაციის ბათილად ცნობის თაობაზე. სასამართლო კოლეგიამ

გ ა მ მ ა რ კ ვ ი ა :

მოსარჩელე არის აშშ კომპანია „ფარმაცია ენდ აჯონ კომპანი“, ადრე ნოდებული „ზე აჯონ კომპანი“.

მოსარჩელე ითხოვს გერმანული კომპანია „ბაიერ ეგ“-ის სახელზე 1999 წლის 26 თებერვლის №11667 სიტყვიერი ნიშნის PROMIRA-ს რეგისტრაცი-

ის ბათილად ცნობას.

თავის სასარჩელო მოთხოვნას მოსარჩელე შემდეგ გარემოებებზე ამყარებს:

1. „ფარმაცია ენდ აპჯონ კომპანი“-მ 1967 წლის 26 იანვარს მოახდინა სასაქონლო ნიშნის PROVERA-ს რეგისტრაცია ყოფილ სსრკ-ში, მეძღვომ ეს ნიშანი საქართველოში რეგისტრირებულ იქნა 1996 წლის 13 სექტემბერს, რეგისტრაციის ნომერი 3093, განაცადის შეტანის თარიღი საქართველოში 1993 წლის 30 ივლისი. მოგვიანებით, 1998 წლის 7 მაისს საქაპატენტში შევიდა განაცხადი ნიშანზე PROMIRA, რომელიც რეგისტრირებული იქნა 1999 წლის 26 თებერვალს კომპანია „ბაიერ ეგ“-ის სახელზე, რეგისტრაციის ნომერია 11667. ორივე სასაქონლო ნიშნის საქონელი იდენტურია და განეკუთვნება ერთი და იგივე მე-5 კლასს. ნიშანი PROVERA რეგისტრირებული პრეპარატებისათვის და ნიშანი PROMIRA რეგისტრირებულია ნამღებებისათვის.

2. სასაქონლო ნიშნები PROVERA და PROMIRA მსგავსია, ორივე ნიშანი ჩანერილია ლათინურ ანბანზე და შედგება სამი მარცვლისაგან, ორივე სიტყვიერი ნიშნის მახვილი მეორე მარცვალზეა. ნიშან PROVERA-ს ულერადობაა პრო-ვი-რა, ნიშან PROMIRA-ს ულერადობაა პრო-მი-რა სამი მარცვლისაგან პირველი და მესამე მარცვლის იდენტურობა ეჭვს გარეშეა. განსხვავება არის მხოლოდ მეორე მარცვლებში, VE და MI, სადაც ბმოვნები წარმოითქმება იდენტურად - „ი“, თანხმოვნები ერთი და იგივე ულერადობის, მჟღერი თანხმოვნების ჯგუფისა. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ნიშნები PROVERA და PROMIRA მსგავსია იმდენად, რომ შესაძლებელია მოხდეს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

3. მოპასუხე, „ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქაპატენტი“-ს მიერ სასაქონლო ნიშნის PROMIRA-ს რეგისტრაციის დროს უგულვებელყოფილ იქნა 1992 წლის 15 მარტს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის №304 დადგენილებით დამტკიცებული დებულება სასაქონლო ნიშნების შესახებ (მუხლები 7, 10 და 34), 1992 წლის 21 ივლისის №25/V ოქმით საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა და ტექნიკის სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული სასაქონლო ნიშანზე განაცხადის სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარების ინსტრუქცია (მუხლი 5.15, 15.2, 5.5).

სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას, მოსარჩელემ შეცვალა სარჩელის საფუძველი, კერძოდ აღნიშნა, რომ მის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის PROVERA-ს ულერადობა არის პრო-ვე-რა და არა პრო-ვი-რა, მოსარჩელემ, აგრეთვე უარი განაცხადა ნიშნების PROVERA-სა და PROMIRA-ს მსგავსების მის მიერ სარჩელში აღნიშნულ საფუძველზე ნიშნების მახვილის იდენტურობაზე.

მოპასუხე, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქაპატენტი“-ს წარმოადგენელი სარჩელს არ სცნობს. სარჩელის უარყოფას იგი ამყარებს შემდეგ გარემოებებზე:

1. არასწორია სარჩელის საფუძველში საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული ინ-

სტრუქციის „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ მითითება, რადგანაც სასაქონლო ნიშნის განაცხადის ექსპერტიზა ძირითადად ეყრდნობოდა იმ დროისათვის მოქმედ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1992 წლის 16 მარტის №304 დადგენილებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ დებულების მუხლების მოყვანის ფაქტს, რადგანაც ისინი ეხება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასზე განაცხადის განხილვის პროცედურულ საკითხებს, რაც „საქპატენტი“-ს ექსპერტების მიერ სრულად იქნა დაცული.

2. საფუძველს მოკლებულია მოსარჩელის განმარტება ნიშნების PROVERA-სა და PROMIRA-ს უღერადობის თაობაზე, რადგან სასაქონლო ნიშან PROVERA-ს ტრანსლიტერაცია არის პრო-ვე-რა.

3. ფარმაცევტული ნაწარმის შექმნისას შეუძლებელია მომხმარებელმა დაუშვას მექანიკური შეცდომა საჭირო პრეპერატის შერჩევისას, რადგან სამკურნალო საშუალებებისადმი მომხმარებელს გასაკუთრებულად ფრთხილი დამოკიდებულება ახასიათებს.

მოპასუხე გერმანული კომპანია „ბაიერ ეგ“-ის წარმომადგენელი სარჩელს არ სცნობს. მას მიაჩნია, რომ სარჩელის დასაბუთება ემყარება მცდარ წინამძღვრებს, რაც იწვევს მცდარ დასკვნას. მისი არგუმენტებია:

1. ნიშანი PROVERA ქართველი მომხმარებლის მიერ ნაიკითხება ისე, როგორც ის აღიქმება დანახვისთანავე პრო-ვე-რა. იგივე ითქმის ნიშანზე PROMIRA, რომელიც ნაიკითხება როგორც პრო-მი-რა.

2. ორივე სიტყვიერ ნიშანში ქართულად გამოთქმისას მახვილი ქართული ენის გრამატიკიდან გამომდინარე მოდის სიტყვის პირველ მარცვალზე და არა მეორეზე, თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

3. არასწორია მითითება იმაზე, რომ მეორე მარცვლების „... თანხმოვნები ერთი და იგივე უღერადობის თანხმოვნების ჯგუფისაა“, ვინაიდან ქართული ენის გრამატიკა განსაზღვრავს ასო-ბგერა „მ“-ს როგორც ბაგისმიერ, ხოლო ასო-ბგერა „ვ“-ს როგორც კბილ-ბაგისმიერს.

4. ნაჩქარევია მოსარჩელის დასკვნა, რომ ორივე ნიშანს პირველი და მეორე მარცვალი იდენტური აქვთ. სიტყვების ელემენტები არატოლფასია, მათ შორის არის ძლიერი და სუსტი ელემენტები. ძლიერ ელემენტებს ახასიათებთ ორიგინალობა, უღერადობის თავისებურება და სწორედ ასეთი ელემენტების დამთხვევა იწვევს სიტყვების მსგავსებას. სუსტი ელემენტები მსგავსებას არ იწვევს, მაგრამ შეუძლიათ მსგავსების გაძლიერება სხვა მსგავს ელემენტებთან ერთობლიობაში. ასეთი სუსტი ელემენტია ფორმანტი, რომელიც მუდმივად ხვდება სასაქონლო ნიშანში, ამიტომაც დაკარგული აქვს განმასხვავებელუნარიანობა. ფორმანტი არის ასოთა ნყოფა, რომელიც რეგულარულად მეორდება სხვადასხვა მფლობელის სასაქონლო ნიშანში, მაგრამ არ იწვევს ნიშნის კოლიზიას ორივე ნიშნის პირველი მარცვლები უდავოდ ფორმანტია, რომელიც არ შეიძლება იწვევდეს ნიშანთა კოლიზიას. აღნიშნულის შეჯამებით მოპასუხე აკეთებს დასკვნას:

- ნიშნის PROVERA და PROMIRA პირველი მარცვლები (PRO) ფორმან-

ტია და კოლიზიას ვერ გამოიწვევს;

- მეორე მარცვლები VE და MI განსხვავებულია;

- მესამე მარცვლები იდენტურია, მაგრამ სუსტ ელემენტს წარმოადგენს;

- MIRA და VERA ისევე ძნელად აღსარეგია ერთმანეთში, როგორც მაგალითად, თინა და ნანი.

სასამართლო კოლეგიამ

და ა დ გ ი ნ ა :

მოსარჩელე აშშ კომპანია „ფარმაცია ენდ აჯონ კომპანი“, ადრე წოდებული „ზე აჯონ კომპანი“ არის უცხოელი იურიდიული პირი, რომელმაც მოახდინა სასაქონლო ნიშნის PROVERA-ს რეგისტრაცია ჯერ კიდევ 1967 წლის 24 იანვარს, ყოფილ სსრკ-ში. მოგვიანებით, ეს ნიშანი რეგისტრაციაში გატარდა საქართველოში 1996 წლის 13 სექტემბერს, რეგისტრაციის №3093.

მოპასუხე გერმანული კომპანია „ბაიერ ეგ“ არის უცხოელი იურიდიული პირი, რომელმაც 1999 წლის 26 თებერვალს მოახდინა საქართველოში სასაქონლო ნიშნის PROMIRA-ს რეგისტრაცია №11667.

შესადარებელი ორი ნიშნიდან მოსარჩელის ნიშანი PROVERA უფრო ადრე რეგისტრირებული ნიშანია, ის რეგისტრირებულია ფარმაცევტული პრეპარატებისათვის, კლასი 5.

ნიშანი PROVERA ქართველი მომხმარებლის მიერ ნაიკითხება ისე, როგორც აღიქმება დანახვისთანავე პრო-ვე-რა. განახადის თანახმადაც ამ ნიშნის ტრანსლიტერაციაა პროვერა.

ნიშანი PROMIRA უფრო გვიან რეგისტრირებული ნიშანია, ის რეგისტრირებულია წამლებისათვის, კლასი 5, ნაიკითხება როგორც აღიქმება – პრომი-რა. ამდენად, ნიშნების PROVERA-ს და PROMIRA-ს ყლერადობა იდენტური არ არის. კოლიზიას ვერ გამოიწვევს აგრეთვე ნიშნების პირველი მარცვლები (PRO), მათი იდენტურობა ნიშნის დაპირისპირებას არ იწვევს, რადგან ეს არის რეგულარულად სხვადასხვა სასაქონლო ნიშანში გამოყენებული სუსტი ელემენტი – ფორმანტი. ნიშნის ასეთ ელემენტს დაკარგული აქვს განმასხვავებელუნარიანობა, ამიტომაც სასაქონლო ნიშნის შედარებისას ის მხედველობაში არ მიიღება.

სასაქონლო ნიშნების მესამე მარცვლები იდენტურია (-RA), მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ისინი სუსტ ელემენტს წარმოადგენენ, მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ნიშანთა აღრევისათვის არ ექნებათ.

იმისათვის, რომ გაირკვეს ხომ არ ემთხვევა სასაქონლო ნიშანი PROMIRA ადრე არსებულ ნიშანს PROVERA-ს შედარების მთავარ პრინციპად გამოდგება შემდეგი: ნიშნების მსგავსება ხომ არ იწვევს მათი აღრევის შესაძლებლობას. ამ ორი ნიშნის მსგავსების განსაზღვრის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოთ საერთო შთაბეჭდილებას. საერთო შთაბეჭდილების შესაქმნელად კი მხედველობაში მისაღებია, თუ როგორ შეიგრძნო-

ბა სიტყვა ვიზუალურად და სმენით. თუ ჩვეულებრივი სიტყვა შეიძლება არ იყოს დაცვისუნარიანი მოგონილი სიტყვა, როგორც წესი ყოველთვის აკმა-ოყფილებს განმასხვავებელუნარიანობის კრიტერიუმს. შესადაარებელი ნიშ-ნები PROVERA და PROMIRA მოგონილი, ანუ ფანტაზიური სიტყვებია და ისინი განმასხვავებელუნარიანი ნიშნებია.

ნიშან PROVERA-ს ფარმაცევტულ საქონელს, საქართველოს ბაზარზე წლებია კონკურენტუნარიანი ადგილი ეკავა, ამიტომაც ნაკლებად დასაშვე-ბია ნიშანი PROMIRA კონფლიქტში შევიდეს ამ ადრე არსებულ ძლიერ ნი-შანთან და გამოირიცხოს მისი განმასხვავებელი უნარიანობა. საკითხს, თუ როგორ უნდა იქნეს შეფასებული ნიშანთა მსგავსება ამომწურავად ვერ პა-სუბობს, ვერცერთი ქვეყნის კანონი. საქართველოში იურიდიული პირების სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის საკითხები 1999 წლის 6 მაისამდე წეს-რიგდებოდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №304 დადგენილებით დამტკიცებული სასაქონლო ნიშნების შე-სახებ დებულებით (შემდგომში „დებულებით“) სასამართლო კოლეგიამ და-ვის განხილვისას ამ დებულებით უნდა იხელმძღვანელოს.

მოსარჩელის მიერ სარჩელის სამართლებრივ საფუძვლად დასახელებუ-ლი საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს კოლეგიის მიერ 1992 წლის 21 ივლისის №25/V ოქმით დამტკიცებული „სასა-ქონლო ნიშანზე განაცხადის სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარების ინ-სტრუქცია (შემდგომში „ინსტრუქცია“) არ წარმოადგენს საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს (ნორმატიული აქტების შესახებ საქარ-თველოს 1996 წლის 28/X-ის კანონის მუხლი 4 და 5).

ამ ინსტრუქციას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტის და-ლა შეიძლება ჰქონოდა და არცერთ შემთხვევაში სავალდებულო. ამასთან, ინსტრუქციამ (მუხლი 5.15) არასწორი ინტერპრეტაცია გაუკეთა სამრეწვე-ლო საკუთრების დაცვის პარიზის 1883 წლის კონვენციის 6^{bis} მუხლს. კერ-ძოდ, მუხლი 6^{bis} განსაკუთრებულად იცავს საყოველთაოდ ცნობილ სასა-ქონლო ნიშანს და კრძალავს ისეთი ნიშნის რეგისტრაციას, რომელმაც შეიძ-ლება გამოიწვიოს ამ ქვეყანაში მოქმედ საყოველთაოდ ცნობილ ნიშანთა აღრევა. კონვენციის 6^{bis} მუხლის დებულება ინსტრუქციის 5.15 მუხლით გავრცელდა სხვა სასაქონლო ნიშნებზეც, რაც არ არის სწორი. ამ მიზეზის გამოც არ გამოდგება ასეთი ნაკლის მქონე ინსტრუქცია დავის სასამარ-თლოში გადაწყვეტისას.

სასაქონლო ნიშნების შესახებ დებულების მე-2 მუხლის „გ“ პუნქტით არ დაიშვება სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია სიმბოლოების, რომლებიც მოი-ცავენ ან შედგებიან ასეთი სახის მონიშნებებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ მომხმარებელი. ამავე დებულების 34-ე მუხლის შესა-ბამისად სასაქონლო ნიშნის გაბათილება შეიძლება, თუ მისი რეგისტრაცია მოხდა დებულებით დადგენილი წესების დარღვევით ან თუ პირს არ ჰქონდა სასაქონლო ნიშანზე განაცხადის შეტანის უფლება.

თითოეული კონკრეტული ნიშნის მსგავსების განსაზღვრისას კი როგორც უკვე აღინიშნა მხედველობაში მიიღება ნიშანში ერთნაირი და განსხვავებული ელემენტების თანაფართოდა, საბოლოო და გადამწყვეტი მნიშვნელობა კი ენიჭება საერთო მთაბეჭდილებას. ამ კრიტერიუმის გათვალისწინებით ნიშანი PROMIRA განსხვავებულუნარაინია.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ ნიშნის PROVERA-სა და PROMIRA-ს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის ალბათობა მინიმალურია და არ არსებობს სასაქონლო ნიშნის PROMIRA-ს რეგისტრაციის ბათილობის საფუძველი.

სასამართლო კოლეგიამ თავისი შინაგანი რწმენით შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, ფაქტობრივი გარემოებები, იხელმძღვანელა სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის 1883 წლის კონვენციით, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მეორე ნაწილით. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №304 დადგენილებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ დებულებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მეორე ნაწილით, მე-12 მუხლით, 32-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 247-ე, 248-ე, 249-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მოსარჩელეს, აშშ კომპანია „ფარმაცია ენდ აპჯონ კომპანი“-ს სარჩელზე მოპასუხეების საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტისა“ და გერმანული კომპანია „ბაიერ ეგ“-ის წინააღმდეგ, გერმანული კომპანია „ბაიერ ეგ“-ის სახელზე 1999 წლის 26 თებერვალს №11667 სიტყვიერი ნიშნის PROMIRA-ს რეგისტრაციის ბათილად ცნობის თაობაზე უარი ეთქვას.

2. გადანყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიაში საკასაციო საჩივრის შეტანით ერთ თვეში გადანყვეტილების სრულად გამოცხადების მომენტიდან.



ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3გ-ად-49-კ

2 ივნისი, 2000 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ი.ტაბუცაძე (თავმჯდომარე),
ბ.მეტრეველი,
ნ.სხირტლაძე

ნ.ჭიჭილეიშვილის მდივნობით

განიხილა აშშ კომპანია „ფარმაცია ენდ აჯონ კომპანიის“ საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც მოსარჩელე აშშ კომპანია „ფარმაცია ენდ აჯონ კომპანიის“ სარჩელზე, მოპასუხეების, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ და გერმანული კომპანია „ბაიერ აგ“-ის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელის სახელზე 1999 წლის 26 თებერვლის №11667 სიტყვიერი ნიშნის PROMIPA-ს რეგისტრაციის ბათილად ცნობაზე უარი ეთქვა.

ბ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აშშ კომპანია „ფარმაცია ენდ აჯონ კომპანიმ“ მოპასუხეების საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრისა და გერმანული კომპანია „ბაიერ-აგ“-ის მიმართ სარჩელი შეიტანა თბილისის საოლქო სასამართლოში და მიუთითა, რომ „ფარმაცია ენდ აჯონ კომპანიმ“ 1967 წლის 26 იანვარს მოახდინა სასაქონლო ნიშნის PROVERA-ს რეგისტრაცია ყოფილ სსრკ-ში. ეს ნიშანი რეგისტრირებულ იქნა საქართველოში 1996 წლის 13 სექტემბერს. საქართველოში განცხადების შეტანის თარიღია 1993 წლის 30 ივლისი. მოგვიანებით, 1998 წლის 7 მაისს საქპატენტში შევიდა განაცხადი ნიშანზე PROMIRA, რომელიც რეგისტრირებულ იქნა 1999 წლის 26 თებერვალს კომპანია „ბაიერ-აგ“-ის სახელზე. ნიშანი PROVERA რეგისტრირებულია ფარმაცეპტენტულ პრეპარატებისათვის (კლასი - 5). ნიშანი PROMIRA

რეგისტრირებულია ნამღებისათვის (კლასი – 5). საქონლის იდენტიზაციისა და სასაქონლო ნიშნების მსგავსების გამო მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ კომპანია „ბაიერ-აგ“-ის სახელზე სასაქონლო ნიშნის PROMIRA-ს რეგისტრაციის ბათილად ცნობა, როგორც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით რეგისტრირებულს.

მოპასუხე, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა“ სარჩელი არ სცნო. მიუთითა, რომ მის მიერ სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისას სრულად იქნა დაცული იმ დროისათვის მოქმედი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1992 წლის 16 მარტის №304 დადგენილებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ დებულების მოთხოვნები, მიიჩნია, რომ სასაქონლო ნიშნებს PROVERA და PROMIRA შორის არ არის ისეთი მსგავსება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

მოპასუხე გერმანული კომპანია „აიერ-აგ“-ის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო, მიიჩნია რა, რომ მოსარჩელის დასაბუთება ემყარება მცდარ წინამძღვრებს, რაც იწვევს მცდარ დასკვნებს. მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ განიხილა საქმე, არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრებები, ჩათვალა, რომ სადავო სასაქონლო ნიშნის PROMIRA-ს რეგისტრაციისას ადგილი არ ჰქონია იმ დროისათვის მოქმედი სასაქონლო ნიშნების შესახებ დებულების მოთხოვნათა დარღვევას. დაადგინა, რომ საქმის განხილვისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №304 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით „სასაქონლო ნიშნების შესახებ“. მოსარჩელის მიერ სარჩელის სამართლებრივ საფუძველად დასახელებული საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს კოლეგიის მიერ 1992 წლის 21 ივლისის №25/V ოქმით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარების ინსტრუქცია“, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-5 მუხლებიდან გამომდინარე არ ჩათვალა ნორმატიულ აქტად, მიიჩნია რომ ნიშან PROVERA და PROMIRA-ს შორის არის საქმარისი განსხვავება, ამდენად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის ალბათობა მინიმალურია და არ არსებობს სასაქონლო ნიშნის PROMIRA-ს რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძველი. შესაბამისად მოსარჩელის აშშ კომპანია „ფარმაცია ენდ აპჯონ კომპანიის“ სარჩელზე მოპასუხეების საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტისა“ და გერმანული კომპანია „ბაიერეგ“-ის წინააღმდეგ, კომპანია „ბაიერ აგ“-ის სახელზე 1999 წლის 26 თებერვლის №11667 სიტყვიერი ნიშნის PROMIRA-ს რეგისტრაციის ბათილად ცნობის თაობაზე უარი უთხრა.

ამ კომპანია „ფარმაცია ენდ აპჯონ კომპანი“ არ დაეთანხმა სასამართლოს გადაწყვეტილებას და საკასაციო ნესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემდეგი საფუძვლით:

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს კოლეგიის 1992 წლის 21 ივლისის №25/V ოქმით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარების ინსტრუქცია“ არ წარმოადგენს ნორმატიულ აქტს და ამიტომ, ამ ინსტრუქციას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი შეიძლება ჰქონდეს და არცერთ შემთხვევაში სავალდებულო. კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლომ ეს დასკვნა გააკეთა ყოველგვარი დამატებითი ინფორმაციის მოკვლევის გარეშე. მას მიაჩნია, რომ „ნორმატიული ანგეზის შესახებ“ კანონის ამოქმედების შემდეგ ინსტრუქციამ შეიძინა შიდაუნებრივი მნიშვნელობა და ექსპერტებისათვის იგი გახდა განმარტებითი-სახელმძღვანელო დოკუმენტი. კერძოდ, ექსპერტი ვალდებულია გაითვალისწინოს ინსტრუქციის, როგორც შიდაუნებრივი დოკუმენტის მოთხოვნები, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას სხვადასხვა აქტებს შორის კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში უპირატესი იურიდიული ძალა აქვს დებულებას. კასატორი თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ უმართებულოდ უგულვებელყო სასაქონლო ნიშნის ორიგინალობაზე ექსპერტიზის ინსტრუქციის ნორმები, არ გაითვალისწინა მოსარჩელის მტკიცებულებები და მიუხედავად ინსტრუქციის მიხედვით ცალსახა განმარტებისა, არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა, საკასაციო სასამართლოს თხოვს გაუქმებულ იქნეს სასაჩივრებელი გადაწყვეტილება და დაკმაყოფილებულ იქნეს მისი სასარჩელო მოთხოვნა სასაქონლო ნიშან PROMIRA-ს რეგისტრაციის ბათილად ცნობაზე.

საკასაციო სასამართლომ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დატოვებულ უნდა იქნეს ძალაში, ხოლო კასატორს უარი უნდა ეთქვას საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს კოლეგიის მიერ 1992 წლის 21 ივლისს დამტკიცებულმა ინსტრუქციამ „სამრეწველო საკუთრების ობიექტზე განაცხადის სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ ამოქმედებისა და ამ კანონის შესაბამისად ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეუტანლობის შემდეგ შეიძინა შიდაუნებრივი მნიშვნელობა და მისი შესრულება სავალდებულო იყო ექსპერტისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი ინსტრუქცია არ შეიძლება ჩაითვალოს შიდაუნებრივი მნიშვნელობის აქტად, ვინაიდან იგი შეიცავს ისეთ დებულებებს, რომლებიც სცილდება უწყებას და მათი შესრუ-

ლების სავალდებულობის შენთხვევაში, გავრცელდება პირთა ფაქტიურად განუსაზღვრელ წრეზე. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვინაიდან სადავო ინსტრუქცია სადავო ნიშნის PROMIRA-ს კომპანია „ბაიერ აგ“-ის სახელზე რეგისტრაციის დროისათვის საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ შესაბამისად არ წარმოადგენდა ნორმატიულ აქტს, მისი მოთხოვნების გათვალისწინება არ შეიძლება ყოფილიყო სავალდებულო ექსპერტისათვის.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ერთდროულად უარყოფს ინსტრუქციას და იმავდროულად მოჰყავს დებულებები ამ ინსტრუქციიდან, ვინაიდან სპეციალური ტერმინები, რომლებიც სასამართლომ გამოიყენა გადაწყვეტილების ჩამოყალიბებისას არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო დაეყრდნო იმ აქტს, რომელშიც მოყვანილია ასეთი ტერმინები.

საკასაციო სასამართლო ამახვილებს მხარეთა ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ სადავო ნიშნის რეგისტრაციის დროს და ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა არ ადგენს ზუსტ კრიტერიუმებს სასაქონლო ნიშნების მსგავსების შესაფასებლად. მსგავსების საკითხის გადასაწყვეტად ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას, რომელსაც ნიშანი ახდენს მომხმარებელზე. აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ აშშ კომპანია „ფარმაცია ენდ აპჯონ კომპანის“ სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი PROVIDERA და კომპანია „ბაიერ აგ“-ის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი PROMIRA რეგისტრირებულია რეგისტრაციის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს კომპანია „ბაიერ-აგ“-ის სახელზე საქპატენტის მიერ 1999 წლის 26 თებერვალს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის PROMIRA-ს რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძველი.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი და სსკ-ს 410-ე მუხლით

და და დ ბ ი ნ ა :

1. აშშ კომპანია „ფარმაცია ენდ აპჯონ კომპანის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. დატოვებულ იქნეს უცვლელად თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 22 თებერვლის გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

სასაქონლო ნიშნის „SCHWARZKOPF BRILLANCE“-ის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე საქმის გადაცემა განსჯადი სასამართლოსათვის



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქმის გადაცემის შესახებ განსჯად სასამართლოსათვის

№03ა/55

21 მარტი, 2006., ქ.თბილისი

ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ შემდეგ შემადგენლობით: ტ.ზამბახიძე (თავმჯდომარე),
ი.თოდრია,
ი. ლევაშვილი

ნ.კაბულაშვილის მდივნობით

განიხილა საქმის მასალები მოსარჩელე ორგანიზაციის „ჰანს შვარცკოფ გმბჰ“-ს სარჩელისა გამო მოპასუხე ორგანიზაციის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ. „საქპატენტის“ უარყოფითი განწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

საქმეში არსებული დოკუმენტის საფუძველზე სასამართლომ დადგინდა ცნო შემდეგი:

ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 6 მარტს სარჩელით მომართა გერმანული ფირმა „ჰანს შვარცკოფ გმბჰ“-ს წარმომადგენელმა – პატენტრწმუნებულმა თამაზ შილაკაძემ, მოპასუხე – ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიმართ და შოითხოვა მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „SCHWARZKOPF BRILLANCE“-ის რეგისტრაციის გაუქმება.

სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 7 მარტის განჩინებით სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული, როგორც განსჯადი სასამართლო, „ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის „ბ“ პუნქტი არ ენიშნავდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლს.

საქმის მომზადების სტადიაზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლში 2000 წლის 24 თებერვალს შეტანილი იქნა ცვლილებები და „ბ“ პუნქტის თანახმად საოლქო სასამართლოები პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ სარჩელს „საქართველოს სამთავრობო დაწესებულების, პრეზიდენტის გამგებლობაში შემავალი სახელმწიფო საქეუწყე-

ბო დანესებულების, სხვა უმაღლესი საბელმნიფო ორგანოს ხელმძღვანელის, აგრეთვე მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე”.

ამდენად, საოლქო სასამართლოს პირველი ინსტანციით განსჯადი ვახდა ისეთი საქვეუნეებო დანესებულების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე აღძრული სარჩელები, რომლებიც პრეზიდენტის გამგებლობაშია. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 აპრილის №210 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს დებულების მე-8 თავის „ე“ პუნქტის შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ ეკონომიკის სამინისტროს საქვეუნეებო დანესებულება და იგი არ წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ, პრეზიდენტის გამგებლობაში შემავალ სახელმწიფო საქვეუნეებო დანესებულებას, რომლის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე აღძრული სარჩელები საოლქო სასამართლოს პირველი ინსტანციით განსჯადია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე. არაუფლებამოსილ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის უფლებამოსილ სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლში, 2000 წლის 24 თებერვალს შეტანილი ცვლილებით (რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის 9 მარტს), ქ.თბილისის საოლქო სასამართლო აღნიშნული სარჩელის განხილვის არაუფლებამოსილი სასამართლო ვახდა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, „სასამართლოსადმი უწყებრვად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს განიხილავენ რაიონული სასამართლოები, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოდგენილი სარჩელი არ განეკუთვნება მე-6 მუხლში აღნიშნულ სარჩელთა კატეგორიას, რის გამოც სარჩელი განხილული უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის შესაბამისად მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით.

სასამართლო კოდექსიამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-5, მე-6 და 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, 24-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით,

და ა დ გ ი ნ ა :

1. გერმანული ფირმა „ჰანს შვარცკოფ გმბჰ“-ს წარმომადგენლის – პატენტრწმუნებულ თამაზ შილაკაძის სარჩელი მოპასუხე ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე გადაეგზავნოს განსჯადობისამებრ უფლებამოსილ ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს.

2. საქმის გადაგზავნის შესახებ ეცნობოს მხარეებს.

3. განჩინება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.



გ ა დ ა ნ ე ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3-134-02

3 აპრილი, 2002წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე თ.ტაბა-ტაძემ

თ.ცხვიტაეას მდივნობით

ღია სასამართლო სხდომაზე განვიხილე სამოქალაქო საქმე ფირმა „ალ-სტომის“ სარჩელისა გამო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცი-ისა და „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის უარყოფითი გადაწყვეტილე-ბის გაუქმების შესახებ.

საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ: მოსარჩელის წარმომადგენელი თამაზ შილიკაძე და მოპასუხის წარმომადგენელი ზურაბ ნეფარიძე.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ა :

მოსარჩელე თავის სასარჩელო მოთხოვნას იმით ასაბუთებს, რომ მოპა-სუხემ რეგისტრაციაში არ გაატარა მოსარჩელის სასაქონლო ნიშანი „ALSTOM“ იმ მოტივით, რომ დაინახა მისი მსგავსება სასაქონლო ნიშან „ALSTOM“-თან, რომლის მფლობელია ფირმა „გეკ ალსტომ ს.ა.“ მოსარჩე-ლემ წარმოადგინა მტკიცებულება, რომლითაც გაირკვა, რომ დაპირისპირე-ბული ნიშნის „ALSTOM“-ის საერთო კაპიტალის 99,76%-ს ფლობს კომპანია „ალსტომი“ (მოსარჩელე) და მიაჩნია, რომ შესაბამისად არანაირი დამაბ-რკოლებელი გარემოება არ უნდა არსებობდეს.

მოპასუხემ სცნო სარჩელი, რაც იმით დაასაბუთა, რომ სარჩელში წარ-მოდგენილი იქნა ახალი მტკიცებულება, რითაც გაირკვა, რომ რეგისტრაცი-ის დამაბრკოლებელი გარემოება აღარ არსებობს.

მივიჩნეიე, რომ სარჩელის ცნობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კა-ნონმდებლობას, ვიხელმძღვანელე საქართველოს ადმინისტრაციული საპო-ცესო კოდექსის 1-ლი მუხლის 1 ნაწილით, მე-12 მუხლით, სსკ-ს 243-244-ე,

გ ა დ ა ნ ე წ ყ ვ ი ტ ე :

1. სარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს. გაუქმებულად იქნეს მიჩნეული საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის უარყოფითი გადაწყვეტილება ფირმა „ალსტომის“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე და დაეველოს „საქპატენტს“ სასაქონლო ნიშან „ALSTOM“-ის რეგისტრაცია.

2. სახელმწიფო ბაჟი სარჩელისათვის გადახდილია.

3. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებული იქნეს ამავე სასამართლოს მეშვეობით ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატაში.



გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№3-144

17 მაისი, 2002წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე თ.ტაბა-ტაძე

თეა ცხვიტაეას მდივნობით

ღია სასამართლო სხდომაზე განვიხილე ადმინისტრაციული საქმე შპს „ღვინის ქარხანა ახაშენის“ სარჩელისა გამო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ.

საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ: მოსარჩელის წარმომადგენელი ნოდარ მჭედლიძე. მოპასუხის წარმომადგენლები ზ.ნეფარიძე და გ.კვიციანი.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ა :

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელემ, შპს „ღვინის ქარხანა ახაშენმა“ 2001 წლის 26 იანვარს მოპასუხეს მიმართა თხოვნით, რათა რეგისტრაციაში გატარებულიყო სასაქონლო ნიშანი – ღვინის სახელწოდება „ქართული ვაზი“, რაზედაც მოპასუხემ განაცხადა უარი იმ საფუძვლებით, რომ სასაქონლო ნიშანი არ ექვემდებარება რეგისტრაციას, ვინაიდან შედგება მხოლოდ მინიშნებისაგან, რომელიც მიუთითებს საქონლის წარმოშობის მახასიათებლებზე მაშინ, როცა საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-4 მუხლის 1 ნაწილის „ბ.ა“ პუნქტით, რეგისტრაციაში არ ტარდება სასაქონლო ნიშანი, რომელიც, როგორც ეს არის კონკრეტულ შემთხვევაში, შედგება მხოლოდ გეოგრაფიული წარმოშობის მახასიათებლისაგან და თუ რეგისტრაციაში გატარდება სადავო სასაქონლო ნიშანი, შეიზღუდება სხვათა უფლება გამოიყენოს სიტყვები „ქართული ვაზი“ საკუთარ პროდუქციაზე. მოსარჩელე თვლის, რომ მოპასუხის ეს დასკვნა უსაფუძვლოა და მიიჩნევს, რომ მის მიერ წარდგენილი სასაქონლო ნიშანი სრულად პასუხობს საქართველოს კანონის „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-3 მუხლის 1 პუნქტს, მე-4 მუხლის 1 ნაწი-

ლის „ბ.ა“ პუნქტს, სასაქონლო ნიშანი განმასხვავებელუნარიანია და ექვემდებარება რეგისტრაციას.

მოსარჩელემ სასამართლოს მტკიცებულების სახით წარუდგინა მოპასუხის მიერ 2001 წელს ქ.თბილისში გამოცემული „ინტელექტუალური საკუთრების“ ნიგნი I-ის 255-ე გვერდის ფოტოასლი, რომლის საფუძველზეც ამტკიცებს, რომ განმასხვავებელუნარიანობის კრიტერიუმის განსაზღვრისას არაგანმასხვავებელ უნარიანობა უნდა ამტკიცოს მოპასუხემ, და თუ ვერ დაამტკიცებს, სასაქონლო ნიშანი ექვემდებარება რეგისტრაციას.

მოსარჩელე ასევე განმარტავს, რომ სახელწოდება „ქართული ვაზი“ არ მიუთითებს ღვინის გეოგრაფიულ წარმოშობაზე, ვინაიდან ღვინო პირდაპირ არ წარმოიშობა ვაზისაგან. ამასთან ერთად ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სახელწოდება წარდგენილი აქვს სამ ენაზე: ქართულად, რუსულად, ინგლისურად. აქედან გამომდინარე რუსულად და ინგლისურად ნაკითხვის შემთხვევაში ნებისმიერი პირისათვის, რომელმც არ იცის ქართული ენა, სახელწოდება გაგებული იქნება, როგორც თავისუფალი ფანტაზიის ნაყოფი.

სასამართლომ შეისწავლა საქმეში არსებული მასალები, მოუსმინა მხარეთა ახსნა-განმარტებას და მიიჩნია, რომ სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი :

დადგენილია, რომ საქართველოს კანონის „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-4 მუხლის I ნაწილის „ბ.ა“ პუნქტი კრძალავს რეგისტრაციაში გატარდეს ისეთი სასაქონლო ნიშანი, რომელიც შედეგადად მხოლოდ გეოგრაფიული წარმოშობის მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად: კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს რეგისტრაციაში გატარდეს სასაქონლო ნიშანი „ქართული ვაზი“ და საქონლის სახელწოდებად გვევლინება ღვინო, რომელიც არის სპირტიანი პროდუქტი და მიიღება ყურძნის ტყბილის ან დურდის ნაწილობრივი ან სრული ალკოჰოლური დუღილის შედეგად, ხოლო ყურძნის ტყბილი, თვით სახელწოდების გათვალისწინებით, შეიძლება მიღებული იქნეს მხოლოდ ყურძნისაგან. სადავო არ არის, რომ ყურძენი არის ვაზის, როგორც მცენარის მნიფე ნაყოფი. ცნობილია აგრეთვე თვით ვაზის მრავალი სახეობა, რომელიც დაყოფილია ასევე მრავალ გვარად. მევენახეობის თვალსაზრისით გამოიყენება ვაზისებრთა მხოლოდ ერთი ოჯახი „ვიტის ვინიფერა“. მაგრამ ამის გათვალისწინებით არ შეიძლება ტექნოლოგიური პროცესების და საქონლის მიღების უშუალო მეთოდების გათვალისწინებით ჩაითვალოს, რომ ღვინო წარმოიშობა უშუალოდ ვაზისაგან. მოპასუხის არგუმენტაცია მიუთითებს, რომ სახელწოდება „ქართული ვაზი“ უშუალოდ მიანიშნებს ღვინის გეოგრაფიულ წარმოშობაზე, მაგრამ ფაქტიურად მიუთითებს მხოლოდ ვაზის, როგორც კულტურული მცენარის, და აქედან გამომდინარე ყველა დამოუკიდებელი და განსხვავებული სასაქონლო თვისებების მქონე საგნის წარმოშობაზე, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ღვინის, როგორც სრულიად დამოუკიდებელი საქონლის კატეგორიის პროდუქტის

გეოგრაფიული წარმოშობის მახასიათებლად, რადგან აშკარაა, რომ ამ ორი სახის საქონელს შორის პირდაპირი კავშირი (პროდუქციის მიღების ტექნოლოგიის გათვალისწინებით) არ არის, ხოლო ირიბი კავშირითიერობების არსებობის შემთხვევაშიც კი სასაქონლო ნიშანი ექვემდებარება რეგისტრაციას. ვინაიდან პირდაპირ არ აღწერს ან არ მიუთითებს საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მახასიათებლებზე. მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს უფრო ასოციურ კავშირზე, რომელიც როგორც მიუთითებს მოპასუხე ნიშნში „ინტელექტუალური საკუთრება“ არის აღნიშვნათა შუალედური კატეგორია, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს საქონლის წარმოშობაზე, მაგრამ ექვემდებარება რეგისტრაციას, რადგან გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორია სასაქონლო ნიშანი საქონლისათვის, რომლისთვისაც იმ გამოიყენება, ასოციაციის გამომწვევი თუ აღწერილობითი.

სასამართლო თელის, რომ ღვინის სახელწოდება „ქართლი ვაზი“ ვერ ჩაითვლება მისი გეოგრაფიული წარმოშობის მახასიათებლის პირდაპირ აღწერად, მაგრამ შეიძლება მიეკუთვნოს ასოცირების კატეგორიას, რაც არ შეიძლება იყოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის საფუძველი.

მელვიზიონის პრაქტიკაში დამკვიდრებულია როგორც აბორიგენული ანუ ადგილობრივი წარმოშობის ჯიშის ვაზი, ისე უცხოეთიდან შემოტანილი და დამკვიდრებული, მაგალითად კაბერნო, პინო, მუსკატი და სხვა. ეს ჯიშები არ შეიძლება ჩაითვალოს ქართული ვაზის ჯიშებად, მაგრამ მათი კულტივაცია საქართველოში მიუთითებს მათ გეოგრაფიულ მახასიათებლებზე გამოყენების თვალსაზრისით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – პირდაპირი გეოგრაფიული წარმოშობის მახასიათებლების თვალსაზრისით.

ასევე, სიტყვები „ქართული ვაზი“ დაკავშირებულია უფრო ეროვნულ და ეთნიკურ კატეგორიებთან და მიანიშნებს პირდაპირ ქართული წარმოშობის ფესვებზე და არავითარ შემთხვევაში ვინრო გეოგრაფიული წარმოშობის მახასიათებლებზე, მაგალითად, „საქართველოს ვაზი“. პირდაპირი მინიშნებით მცენარე ქართული წარმოშობის, აბორიგენული ჯიშის ვაზი, შეიძლება გამოიყენებოდეს ნებისმიერ შესაფერის ტერიტორიაზე და მას აღარ ექნება არავითარი კავშირი გეოგრაფიულ წარმოშობასთან – საქართველოსთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ვერ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს სასაქონლო ნიშანი „ქართული ვაზი“ შედგება მხოლოდ გეოგრაფიული წარმოშობის მახასიათებლებისაგან და დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული ამ სასაქონლო ნიშნის მიმართ „სასაქონლო ნიშნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ.ა“ პუნქტის საფუძველზე რეგისტრაციის აკრძალვის გამოყენება და დასაბუთებულად მივიჩნე, რომ სასაქონლო ნიშანი „ქართული ვაზი“ შეესაბამება „სასაქონლო ნიშნის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ექვემდებარება რეგისტრაციას. ამიტომ ვიხელმძღვანელებ ამ გადამწყვეტილებაში მითითებული კანონით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-244-ე; 247-249-ე მუხლებითა და

გ ა დ ა ნ ვ ე ნ ე რ ი ტ ა :

1. შპს „ლვინის ქარხანა ახაშენის“ სარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს: დაევალოს მოპასუხეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტს“ რეგისტრაციაში გაატაროს (მოსარჩელის სასაქონლო ნიშნად) სასაქონლო ნიშანი „ქართული ვაზი“.

2. სახელმწიფო ბაჟი სარჩელისათვის გადახდილია წინასწარ.

3. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებული იქნეს ამავე სასამართლოს მეშვეობით ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატაში მოტივირებული გადაწყვეტილების პირის მხარეთათვის გადაცემიდან ერთი თვის ვადაში.

სასაქონლო ნიშან "DE-VI"-ს რეგისტრაცია



გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3/299-03

30 აპრილი, 2003წ. ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ა.კახნია-ურმა

გ.ჟღენტის მდივნობით

მოსარჩელე: დანიური კომპანია „DE-VI“-ს წარმომადგენლის თ.ღვინჯილიას

მოპასუხე: „საქპატენტი“-ს წარმომადგენელ გ.კვიციანიძის მონაწილეობით

განვიხილე ღია სასამართლო სხდომაზე ადმინისტრაციული საქმე დანიური კომპანია „DE-VI A/S“-ს წარმომადგენლის თ.ღვინჯილიას სარჩელისა გამო „საქპატენტის“ მიმართ დანიური კომპანია „DE-VI A/S“-ს საერთაშორისო რეგისტრაციის №743221 სასაქონლო ნიშნის „DEVI“-ს მიმართ „საქპატენტის“ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

სარჩელში აღნიშნულია, რომ მადრიდის შეთანხმებისადმი ოქმის შესაბამისად, საქართველოზე გასაერცელებლად, საქპატენტში შემოვიდა საერთაშორისო რეგისტრაციის №743221 სასაქონლო ნიშანი „DEVI“ მე-9 და მე-11 კლასების საქონლიათვის დანიური კომპანიის „DE-VI A/S“ სახელზე. საქპატენტის ექსპერტიზის 2002 წლის 3 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს კანონის „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმად: „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტურია ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“, ამ ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მითითებული კლასების

შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ:

კლ.9 - ელექტრული აპარატები და ინსტრუმენტები:

კლ.11 - სათბობი, ორთქლის ნარმოების, ხარშვის, საცივარი, შრობის სა-
ვენტილაციო დანიშნულების აპარატები.

უარის თქმის საფუძველი იყო ის, რომ საქართველოში საქპატენტის მი-
ერ უკვე იყო დარეგისტრირებული იდენტური სასაქონლო ნიშანი „DEVI“ დი-
ზაინი, ასევე დანიური კომპანიის „DE-VI CONSTRUCTION PRODUCTS A/S“
სახელზე, რომელიც ასევე მოიცავდა მე-9 და მე-11 კლასებში შემავალ იდენ-
ტურ მსგავს საქონელს.

კლ.9 - ელექტრული აპარატები და ინსტრუმენტები, თბორეგულირების
აპარატები, ტერმოსტატები, ელექტრული კაბელები.

კლ.11 - გამათბობელი, სავენტილაციო და გამაცივებელი აპარატები და
ინსტრუმენტები, სითბური დანადგარები და სითბური კაბელები.

მისი ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმასთან დაკავშირებით და-
ნიურმა კომპანია „DE-VI A/S“-მა მოსარჩელეს აცნობა, რომ უნდა მოხდეს
დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანზე მისთვის უფლების გადაცემა და მო-
იხსნება დაპირისპირების საფუძველი, ვინაიდან ორივე ნიშნის მფლობელი
იქნება ერთი და იგივე კომპანია „DE-VI A/S“.

მოსარჩელის განმარტებით, ამჟამად დაპირისპირების საფუძველი არ
არსებობს, რადგანაც უფლების გადაცემის ფაქტი სასაქონლო ნიშანზე
„DEVI“ დიზაინი კომპანია „DE-VI CONSTRUCTION PRODUCTS A/S“-გან „DE-
VI A/S“-თვის რეგისტრირებულია საქპატენტში და შეტანილია რეესტრში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელე ითხოვს გაუქმდეს ექ-
სპერტიზის 2002 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება და საერთაშორისო სასა-
ქონლო ნიშანს „DE-VI“ საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი 743221 მიე-
ნიჭოს დაცვა საქართველოს ტერიტორიაზე განცხადებული საქონლის სრუ-
ლი ჩამონათვალის მიმართ.

მოპასუხე „საქპატენტის“ წარმომადგენელმა გ.კვიციანი სარჩელი სცნო
და განმარტა, რომ ვინაიდან აღარ არსებობს სასაქონლო ნიშნების შესახებ
საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული
სასაქონლო ნიშნით რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი, შესაძლებე-
ლია შეიცვალოს ექსპერტიზის გადაწყვეტილება და კანონით დადგენილი
პროცედურის გავლის შემდეგ ზემოხსენებულ სასაქონლო ნიშანს მიენიჭოს
დაცვა საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ.

განვიხილეთ რა საქმის მასალები, მოვისმინე მხარეთა ახსნა-განმარტება-
ნი, მიმაჩნია, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემ-
დეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ მადრიდის შეთანხმებისადმი ოქმის შესაბამისად სა-
ქართველოზე გასაერცლებლად საქპატენტში შევიდა საერთაშორისო რე-
გისტრაციის №743221 სასაქონლო ნიშანი VI მე-9 და მე-11 კლასების საქონ-
ლისათვის დანიური კომპანიის „DE-VI A/S“ სახელზე. საქპატენტის ექსპერ-
ტიზის 2002 წლის 3 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს კანონის „სა-

საქონლო ნიშნების შესახებ" მე-5 მუხლის „გ“ ქვეუნიქტის შესაბამისად, რომლის თანახმად: „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“, ამ ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მითითებული კლასების შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ:

კლ.9 – ელექტრული აპარატები და ინსტრუმენტები;

კლ.11 – სათბობი, ორთქლის წარმოების, ხარშვის, საცივარი, შრობის სავენტილაციო დანიშნულების აპარატები.

უარის თქმის საფუძველი იყო ის, რომ საქართველოში საქპატენტის მიერ უკვე იყო დარეგისტრირებული იდენტური სასაქონლო ნიშანი „DE-VI“ დიზაინი, ასევე დანიური კომპანიის „DE-VI CONSTRUCTION PRODUCTS A/S“ სახელზე, რომელიც ასევე მოიცავდა მე-9 და მე-11 კლასებში შემავალ იდენტურ და მსგავს საქონელს.

კლ.9 – ელექტრული აპარატები და ინსტრუმენტები, თბორეგულირების აპარატები, ტერმოსტატები, ელექტრული კაბელები.

კლ.11 – გამათბობელი, სავენტილაციო და გამაცივებელი აპარატები და ინსტრუმენტები, სითბური დანადგარები და სითბური კაბელები.

შემდგომში გაფორმებული იქნა უფლების გადაცემის ფაქტი სასაქონლო ნიშანზე „DE-VI“ დიზაინი კომპანია „DE-VI CONSTRUCTION PRODUCTS A/S“-გან „DE-VI A/S“-თვის, რომელიც რეგისტრირებულია საქპატენტში და შეტანილია რეესტრში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის I ნაწილის თანახმად „ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას“.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მიუხედავად მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობისა, მოსარჩელის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, რადგანაც იმ მიზეზის აღმოფხვრა, რომელიც საფუძველად დაედო „საქპატენტის“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მოსარჩელის ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ამ გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველად, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ ასეთ პროცედურას არ ითვალისწინებს.

ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის I ნაწილით, მე-2, მე-9, მე-12, 22-ე, 32-ე მუხლებით და სსკ-ს მე-8, 243-ე, 244-ე, 249-ე და 369-ე მუხლებით

გ ა დ ა ვ ნ ე შ ი ტ ე :

1. უარი ეთქვას მოსარჩელე დანიური კომპანია „DE-VI A/S“-ს წარმოდგენილ თ. ლეინჯილიას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.
2. მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 30 ლარის ოდენობით დარჩეს გადახდილად სახ. ბიუჯეტის სასარგებლოდ.
3. გადანყვეტილება გასაჩივრდება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატაში ერთი თვის ვადაში მისი ასლის ჩაბარების დღიდან ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მეშვეობით.

საკ. № 1809/03-01

12.02.2003

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის "საქპატენტი" სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. კვიციანი, (თავმჯდომარე), გ. თაქთაქიშვილი, მ. ფანჩიძე, ნ. ბებრიშვილის მდივნობით, განიხილა კომპანიის "გალაპერ ლიმიტიდ" (შეერთებული სამეფო) საჩივარი სასაქონლო ნიშნის "SAINT GEORGE" რეგისტრაციაზე ექსპერტიზის 2002 წლის 30 ივნისის №1018 უარყოფითი გადაწყვეტილების – "სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, 1-ლი პუნქტის გ) ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც "შეურაცხოვს ან ენინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს." – გადასინჯვის შესახებ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის წარმომადგენელი პატენტრწმუნებული შ. გვარამაძე არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მოითხოვს მის გადასინჯვას ენაიდან მიიჩნევს, რომ მართალია, ექსპერტიზის აზრით, სასაქონლო ნიშანში გამოყენებული ლათინური ანბანით ჩანერილი სიტყვები ქართულად თარგმნის შემთხვევაში, შეურაცხყოფელი იქნება ქართველებისათვის, მაგრამ იგივეს თქმა არ შეიძლება ბრიტანელებთან მიმართებაში. ამ დასკვნის საშუალებას იძლევა ის ფაქტი, რომ განცხადებული ნიშანი სარეგისტრაციოდ წარმოადგინა სწორედ ბრიტანულმა კომპანიამ. წმინდა გიორგი კი ქრისტეს მიმდევარ ყველა რელიგიაში წმინდანად არის აღიარებული.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ მართალია, განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური ასოებით, მასში გამოყენებული ორი ინგლისურენოვანი სიტყვა აღნიშნავს "წმინდა გიორგის" და ეს სრულიად აშკარა იქნება ინგლისური ენის არმცოდნე ქართველი მომხმარებლებისათვისაც. წმინდა გიორგი საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობის წმინდანია, რომელსაც ქართველები გამორჩეული პატივისცემით ეპყრობიან. აქედან გამომდინარე, მისი სახელის გამოყენება სასაქონლო ნიშნად, მით უფრო ისეთი საქონლისათვის, როგორცაა თამბაქოს ნაწარმი არ შეესაბამება საქართველოს ტრადიციებსა და შეურაცხყოფს ეროვნულ ღირსებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მი-

აჩნია, რომ ექსპერტიზის გადანყვეტილება საფუძვლიანია და, განცხადებულ სასაქონლო ნიშანთან მიმართებაში, არსებობს "სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის გ) ქვეპუნქტით დადგენილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. შესაბამოსად, სააპელაციო პალატის კოლეგიამ "სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიას "გალაპერ ლიმიტიდ" მთლიანად ეთქვას უარი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

2. ძალაში დარჩეს ექსპერტიზის 2002 წლის 30 ივნისის №1018 გადანყვეტილება.



გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ 2/250-04

11 თებერვალი 2004წ., ქ.თბილისი

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ალა კახნიაურმა

გ.ჟღენტის მდივნობით

მოსარჩელე: დიდი ბრიტანეთის „გალაპერ ლიმიტედ“-ის წარმომადგენლის შ.გვარამაძის

მოპასუხე: „საქპატენტი“-ს წარმომადგენლის გ.კვიციანიძის მონაწილეობით

განვიხილე ღია სასამართლო სხდომაზე ადმინისტრაციული საქმე ფირმა „გალაპერ ლიმიტედ“-ის წარმომადგენლის შ.გვარამაძის სარჩელისა გამო „საქპატენტი“-ს მიმართ გადანყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ა :

სარჩელში აღნიშნულია, რომ 2001 წლის 17 ივნისს მოსარჩელემ „საქპატენტ“-ში შეიტანა განაცხადი სასაქონლო ნიშნის „SAINT GEORGE“ რეგისტრაციის მოთხოვნით 34-ე კლასის საქონლისათვის, საქონლისა და მომსახურებების კლასიფიკაციის მიხედვით.

2002 წლის 30 ივლისს „საქპატენტი“-ს ექსპერტიზამ მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე იმ მიზეზით, რომ განცხადებული ნიშანი, მათი აზრით, „შეურაცხყოფს ან ენიანალმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს“.

2002 წლის 28 ოქტომბერს მოსარჩელემ შეიტანა განცხადება „საქპატენტი“-ს სააპელაციო პალატაში ექსპერტიზის გადაწყვეტილების შეცვლის მოთხოვნით, იმ მოტივით, რომ ინგლისურენოვანი ფრაზა „SAINT GEORGE“ არ უნდა იყოს გაიგივებული საქართველოს მომხმარებლისათვის „წმინდა გიორგის“-თან და ამის გამო თამბაქოს ნაწარმის გაყიდვა შეურაცხყოფს ქართველთა ეროვნულ და რელიგიურ ღირსებებს.

2003 წლის 12 თებერვალს სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მოსარჩელის განცხადება. სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაიზიარა ექსპერტიზის შეფასება და უცვლელი დატოვა მისი გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ წმინდა გიორგი განსაკუთრებული მნიშვნელობის წმინდანია, რომელსაც ქართველები პატივისცემით ეპყრობიან. აქედან გამომდინარე, მისი სახელის გამოყენება სასაქონლო ნიშნად, მით უფრო ისეთი საქონლისათვის, როგორცაა თამბაქოს ნაწარმი, არ შეესაბამება საქართველოს ტრადიციებს და შეურაცხყოფს ეროვნულ ღირსებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი „საქპატენტის“ ექსპერტიზის გადაწყვეტილება №1018 სასაქონლო ნიშანზე „SAINT GEORGE“ რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ და სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების №301 პირველი პუნქტი ექსპერტიზის გადაწყვეტილების უცვლელად ძალაში დატოვების შესახებ.

მოპასუხე „საქპატენტის“ წარმომადგენელმა გ.კვიციანი სარჩელი არ სცნო და განმარტა, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სასაქონლო ნიშნის „SAINT GEORGE“ რეგისტრაციაზე 34-ე კლასის საქონლისათვის, რომელიც თამბაქოს, მის ნაწარმს და მწველთა საკუთნოს მოიცავს, სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმად „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც ... შეურაცხყოფს ან ენიანალმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს“.

ზემოაღნიშნული ნიშნის რეგისტრაცია დაუშვებელია, ვინაიდან ნებისმიერი წმინდანის სახელის გამოყენება არარელიგიური დანიშნულების საქონლის, მით უმეტეს, ისეთი საქონლის მოსანიშნად, რომლის მოხმარებაც მართლმადიდებელი და არა მარტო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ცოდვადაა შერაცხული, წმინდანის სახელის შეურაცხყოფას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ენაზეა იგი ჩანერილი, კანონის სიტყვებით რომ ეთქვათ, „ენიანალ-200

მეგება ... რელიგიას" და შეურაცხყოფს მორწმუნეთა გრძნობებს.

მოპასუხეს არ დაურღვევია პარიზის კონვენციის მე-7 მუხლის მოთხოვნა, ვინაიდან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარი არ უთქვამს იმ მოტივით, რომ აკრძალულია თამბაქოს და ჩამონათვალში მითითებული სხვა ნაწარმით საქართველოს ტერიტორიაზე ვაჭრობა.

განვიხილო რა საქმის მასალები, მოვისმინე მხარეთა ახსნა-განმარტებანი, მიმაჩნია, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და მის დაკმაყოფილებაზე უარი უნდა ეთქვას შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ 2001 წლის 17 ივნისს მოსარჩელემ „საქპატენტში“ შეიტანა განაცხადი სასაქონლო ნიშნის „SAINT GEORGE“ რეგისტრაციის მოთხოვნით 34-ე კლასის საქონლისათვის, საქონლისა და მომსახურებების კლასიფიკაციის მიხედვით.

2002 წლის 30 ივლისს „საქპატენტი“-ს ექსპერტიზამ მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე იმ მიზეზით, რომ განცხადებული ნიშანი „შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს“.

2002 წლის 28 ოქტომბერს მოსარჩელემ შეიტანა განაცხადება „საქპატენტი“-ს სააპელაციო პალატაში ექსპერტიზის გადაწყვეტილების შეცვლის მოთხოვნით, იმ მოტივით, რომ ინგლისურენოვანი ფრაზა „SAINT GEORGE“ არ უნდა იყოს გაიგივებული საქართველოს მომხმარებლისათვის „წმინდა გიორგის“-თან, რის გამოც თამბაქოს ნაწარმის გაყიდვა შეურაცხყოფს ქართველთა ეროვნულ და რელიგიურ ღირსებებს.

2003 წლის 12 თებერვალს სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მოსარჩელეს განაცხადება. სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაიზიარა ექსპერტიზის შეფასება და უცვლელი დატოვა მისი გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ წმინდა გიორგი განსაკუთრებული მნიშვნელობის მწინდანია, რომელსაც ქართველები პატივისცემით ეპყრობიან. აქედან გამომდინარე, მისი სახელის გამოყენება სასაქონლო ნიშნად, მით უფრო ისეთი საქონლისათვის, როგორცია თამბაქოს ნაწარმი, არ შეესაბამება საქართველოს ტრადიციებს და შეურაცხყოფს ეროვნულ ღირსებებს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის ზ.მაჩიტაძის წერილიდან ირკვევა, რომ საქართველოს საპატრიარქო თვლის რომ სიგარეტის კოლოფზე „SAINT GEORGE“ დანერა ქრისტიანული სიმნიშვნის შეურაცხყოფაა. იგი ლახავს მორწმუნეთა გრძნობებს და, ამდენად, დაუშვებელია სასაქონლო ნიშნად მისი რეგისტრაცია.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც ... შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული ნიშნის რეგისტრაცია დაუშვებელია, ვინაიდან ნებისმიერი წმინდანის სახელის გამოყენება ისეთი საქონლის მოსაწოდებად, რომლის მოხმარებაც მართლმადიდებელი და არა მარტო მართლმადიდებელი ეკლესიის

მიერ ცოდვადაა შერაცხული, წმინდანის სახელის შეურაცხყოფას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ენაზეა იგი ჩანერილი, ე.ი. „ენინააღმდეგება ... რელიგიას“ და შეურაცხყოფს მორწმუნეთა გრძნობებს.

ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლის I ნაწილით, მე-2, მე-9, მე-12, 22-ე, 32-ე მუხლებით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 243-ე, 244-ე, 249-ე და 369-ე მუხლებით

გ ა ლ ა ვ ე წ ვ ი ტ ე :

1. უარი ეთქვას მოსარჩელე დიდი ბრიტანეთის კომპანია „გალაჰერ ლიმიტიდ“-ის წარმომადგენელ შ.გვარამაძეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

2. მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 30 ლარის ოდენობით დარჩეს გადახდილად სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

3. გადანაცვტილება გასაჩივრდება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატაში ერთი თვის ვადაში მისი ჩაბარების დღიდან ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მეშვეობით.

სარეგისტრაციო მომსახურების განყოფილება



გ ა დ ა ნ ე ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 224

საკ. № 8/03-01

27.05.2002

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის "საქპატენტის" სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ზ. ნეფარიძე (თავმჯდომარე), გ. თაქთაქიშვილი, ლ. ახალკაცი, ნ. ბებრიშვილის მდივნობით, განიხილა კომპანიის "ამერიკან ჰოუმ პროდაქტს კორპორეიშენ" (აშშ) საჩივარი სასაქონლო ნიშნის "MAXELOS" რეგისტრაციაზე ექსპერტიზის №1403 (08.03.2001წ.) გადაწყვეტილების - "სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი მსგავსია ფირმა "სანოფი-სინტელაბოს" კუთვნილი სასაქონლო ნიშნისა "MAXILASE", რომელიც რეგისტრირებულია საქპატენტში (რეგ. №11756, თარიღი: 18.03.99) ერთგვაროვანი საქონლისათვის (ფარმაცევტული პრეპარატები)" - გადასინჯვის შესახებ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის წარმომადგენელი პატენტრწმუნებული თ. შილაკაძე არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას ვინაიდან მიაჩნია, რომ თავსართი "MAX" წარმოადგენს ფორმანტს - ასოთა ნყობას, რომელიც რეგულარულად მეორდება სხვადასხვა სასაქონლო ნიშნებში, რის გამოც მას დაკარგული აქვს განმასხვავებელუნარიანობა. აქედან გამომდინარე, მისი აზრით დაპირისპირებული ნიშნების შედარებისას უნდა შედარდეს სიტყვათა დარჩენილი ნაწილები - "ELOS" და "ILASE", რომლებშიც მსგავსია ორი ასო "L" და "S", რაც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ეს ნიშნები მიჩნეულ იქნეს იმდენად მსგავსად, რომ გაჩნდეს აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. თ. შილაკაძე თვლის აგრეთვე, რომ ვინაიდან დაპირისპირებული ნიშნები გამოიყენება ფარმაცევტული პრეპარატებისათვის, რომელთა გამოწერა და შექმნა ხდება გაცილებით მაღალი სიზუსტით ვიდრე სხვა სასაქონლოსა, ამიტომ ამ ნიშნების აღრევის შესაძლებლობა პრაქტიკულად გამორიცხებულია.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ დაპირისპირებულ ნიშნებში მსგავსია, ვინაიდან თანხმოვნები და მარცვლები

განლაგება იდენტურია, ხოლო ხმოვნების განსხვავება იმდენად უმნიშვნელოა, რომ არ ქნის განმასხვავებელუნარიანობას. რაც შეეხება თავსარს – "MAX", იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ფორმანტად ფარმაცევტული პრეპარატებისათვის. აქედან გამომდინარე, მსგავსი სასაქონლო ნიშნების გამოყენებისას მსგავსი საქონლის მიმართ აუცილებლად იარსებებს მომხმარებლის აღრევისა და შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. შესაბამისად, არსებობს "სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის გ) ქვეპუნქტით დადგენილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ "სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიას "ამერიკან ჰოუმ პროდაქტს კორპორეიშენ" მთლიანად ეთქვას უარი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

2. ძალაში დარჩეს ექსპერტიზის 2001 წლის 8 მარტის №1403 გადანყვეტილება.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3ბ.1362.03

11 დეკემბერი, 2003 წ., ქ. თბილისი

**თბილისის საოლქო სასამართლომ ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მარინა გლოველი (თავმჯდომარე),
ჯუმბერ რუსიაშვილი,
მადონა ლიბრაძე**

ცირა სურამელაშვილის მდივნობით

განიხილა „ამერიკან ჰოუმ პროდაქტს კორპორეიშენ“-ის წარმომადგენ-

ლის თამაზ შილაკაძის კერძო საჩივარი თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის განჩინებაზე.

ა ღ ნ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

2003 წლის 7 აპრილს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა „ამერიკან ჰოუმ პროდაქტს კორპორეიშენის“ წარმომადგენელმა თამაზ შილაკაძემ, მოპასუხე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიმართ, „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2002 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 14 აპრილის ხარვეზის შესახებ განჩინებით, საფუძვლით, რომ სარჩელი წარმოდგენილია სსკ-ის 178-ე და 98-ე მუხლების დარღვევით, მოსარჩელეა მიეცა 5 დღის ვადა ხარვეზის შესავსებად და განმარტა, რომ თუ ამ ვადაში არ შეავსებს ხარვეზს, სარჩელი დარჩება უმოძრაოდ და დაუბრუნდება შემოტანილი მასალა.

2003 წლის 29 აპრილის განცხადებით ხარვეზის შევსების შესახებ „ამერიკან ჰოუმ პროდაქტს კორპორეიშენ“-ის წარმომადგენელმა დააზუსტა მოთხოვნა, კერძოდ, მიუთითა, რომ მათი მოთხოვნაა „სასაქონლო ნიშნების შეახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოხდეს მოსარჩელე კომპანიის სააქონლო ნიშან „მაქსელოს“ „საქპატენტში“ რეგისტრაცია და გაიცეს შესაბამისი მონობა შემდეგი საქონლისათვის: „ფარმაცევტული პრეპარატები ძვლის უჯრედის ზრდის სტიმულირებისათვის“. ამასთან, განმარტა, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 14 აპრილის განჩინებაში არ არის მითითებული კანონი, რომლის საფუძველზეც საზღვარგარეთ ხელმოწერილი მინდობილობა ლეგალიზებული უნდა იყოს. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და 45-ე მუხლებიდან გამომდინარე მათი მხარე ვალდებული არ არის განახორციელოს საზღვარგარეთ გაცემული მინდობილობის ლეგალიზაცია, რადგან საზღვარგარეთ გაცემული არალეგალიზებული მინდობილობის საფუძველზე, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მიიღო წარმომებაში და განიხილა რიგი სარჩელები.

2003 წლის 30 აპრილის თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განჩინებით მოსარჩელე „ამერიკან ჰოუმ პროდაქტ კორპორეიშენი“ წარმომადგენელს შილაკაძეს სასამართლო წარმოებაში სარჩელის მიღებაზე უარი ეთქვა, ვინაიდან სარჩელი წარდგენილია პირის მიერ, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე, შემდეგი საფუძვლით:

„ამერიკან ჰოუმ პროდაქტ კორპორეიშენის“ მიერ სარჩელი წარმოდგენილია რწმუნებულებით, რომელიც არ პასუხობს სსკ-ის 96-ე და 98-ე მუხლის მოთხოვნებს, ასევე საქართველოს კანონის „საქართველოს რესპუბლიკის საკონსულო დანესებულების შესახებ“ 55-ე მუხლის და ვენის კონვენციის საკონსულო, ურთიერთობების შესახებ მე-5 მუხლის მოთხოვნებს, რო-

მელთა მიხედვითაც საქართველოს ოფიციალური ორგანოები იღებენ უცხოურ დოკუმენტებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი ლეგალიზებულია დადგენილი წესით, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოებში შედგენილ დოკუმენტებს იურიდიული ძალა აქვს საქართველოს ტერიტორიაზე თუ ისინი დამონებულია იმ ქვეყანაში მოქმედი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად და ლეგალიზებულია საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო სამსახურის მიერ. სსკ-ის 186-ე მუხლის თანახმად კი, მოსაზრთლე არ მიიღებს სარჩელს თუ დაინტერესებული პირის სახელით განცხადება შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.

2003 წლის 7 მაისის კერძო საჩივრით „ამერიკან ჰუმან რაიტს ვოქსის“ წარმომადგენელმა თამაზ შილაკაძემ მოითხოვა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძველით: შეუძლებელია მოთხოვნილ იქნეს წარმოდგენილი მინდობილობის ლეგალიზაცია, ვინაიდან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ არ არის დადგენილი საკონსულო ლეგალიზაციის წესი „საქართველოს საკონსულო დანესებულების შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად. სარჩელზე თანდართული მინდობილობა არ არის შედგენილი იმ რაიონში, რომელშიც შედის საკონსულო ოლქის ხელისუფლების ორგანოები, როგორც ეს განსაზღვრულია „საქართველოს საკონსულო დანესებულების შესახებ“ კანონის მე-2 და 55-ე მუხლებში. 1998 წლის საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ 57-ე მუხლის შესაბამისად, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და იურიდიული პირები საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო პროცესში სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი გარანტიებით, რა გარანტიებითაც სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები და იურიდიული პირები. მინდობილობა წარმოდგენილი იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც არ ითვალისწინებს ლეგალიზაციის ვალდებულებას. „საქართველოს საკონსულო დანესებულების შესახებ“ 55-ე მუხლი ადგენს: „კონსული აბდენს იმ დოკუმენტებისა და აქტების ლეგალიზაციას, რომლებიც შედგენილია საკონსულო ოლქის ხელისუფლების ორგანოების მიერ, ან მათი მონაწილეობით“, სადავო მინდობილობა ხელმოწერილია კერძო კომპანიის მიერ.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი :

სასამართლო კოლეგია საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძველიანობის შემოწმების და ზეპირი მოსმენის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში უნდა დარჩეს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის განჩინება შემდეგი საფუძველით:

მინდობილობა, რომელიც წარმოდგენილი იქნა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში „ამერიკან ჰუმან რაიტს ვოქსის“

სარჩელთან ერთად არ ადასტურებს, რომ იგი გაცემულია ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ ის დამოწმებული არ არის ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად. სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მოსაზრებას, რომ რადგან თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ მითითებული ხარვეზი შეუსებულ იქნა სააპელაციო სასამართლოში, გაუქმებული უნდა იქნეს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის განჩინება.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი :

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. „ამერიკან ჰოუმ პროდაქტს კორპორეიშენ“-ის წარმომადგენლის თამაზ შილაკაძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის განჩინება.
3. განჩინება არ გასაჩივრდება.



დაუსწრებელი გადაწყვეტილება

საქართველოს სახელით

№2/ა-167-2003

18 ნოემბერი, 2003წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია

შემადგენლობა: მ.ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
მ.ჯიყაშვილი (მომხსენებელი),
გ.გულუდანი

სხდომის მდივანი: ი. ხიჯაკაძე

მოსარჩელე: აშშ კომპანია „ნემენელ ჯიოგრაფიკ სოსაიეტი“, წარმომადგენელი – შალვა გვარამაძე

მოპასუხე: აშშ კომპანია „დისქოვერი კომუნიკეიშენზ ინკ“-ის დაუსწრებლად

მესამე პირი: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“, წარმომადგენელი – გიორგი კვიციანიძე

დავის საგანი: სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობა, სასაქონლო ნიშნების რეესტრიდან სასაქონლო ნიშნის ამოღება.

აღწერილობითი ნაწილი:

სარჩელის მოთხოვნა:

1. ბათილად იქნეს ცნობილი მთლიანად რეგისტრაცია საქართველოში მოპასუხის სასაქონლო ნიშნისა „ADVENTURE I“, რეგისტრაციის №14434 თარიღი 2002 წლის 1 მაისი;

2. ამოღებული იქნეს სასაქონლო ნიშნების რეესტრიდან სასაქონლო ნიშანი „ADVENTURE I“ იმავე მონაცემებით.

სარჩელის გარემოებებია:

მოსარჩელე „ნემენელ ჯიოგრაფიკ სოსაიეტი“ იყენებს და არის მფლობე-

ლი სასაქონლო ნიშნისა „ADVENTUREONE“, რომელიც ცნობილია და რეგისტრირებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

მოსარჩელემ მისი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადი საქართველოში შეიტანა 2002 წლის 8 იანვარს საქონლისა და მომსახურების 38-ე და 41-ე კლასებიდან.

ექსპერტიზის პროცესში გამოვლინდა მოპასუნის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „ADVENTURE 1“ მსგავსი საქონლისა და მომსახურებისათვის, რის გამოც აღრევის შესაძლებლობის საფუძველზე „საქპატენტმა“ უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო მოსარჩელის ნიშნის რეგისტრაციაზე.

მოსარჩელემ 1999 წლის 6 ნოემბერს ისლანდიის სასაქონლო ნიშნების უწყებაში შეიტანა განაცხადი რეგისტრაციაზე სასაქონლო ნიშანზე „ADVENTUREONE“.

1999 წლის 12 ნოემბერს განაცხადი მან შეიტანა შიდა ბაზრის პარმონიზაციის ოფისში (ევროკავშირის ოფისი) ალკანტიეში იმავე ნიშნის რეგისტრაციაზე, რომელიც რეგისტრირებული იქნა 2001 წლის 21 თებერვალს. სასაქონლო ნიშნის დაცვა დაიწყო ევროკავშირის ქვეყნებში დანია, გერმანია, საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია, პორტუგალია, დიდი ბრიტანეთი, ბენელექსის ქვეყნები და სხვა.

მოპასუხემ აგრეთვე შეიტანა განაცხადი ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების ოფისში სასაქონლო ნიშნის „ADVENTURE 1“ რეგისტრაციაზე მე-9 კლასის საქონლისათვის და 41-ე და 42-ე კლასების მომსახურებისათვის (განაცხადის №001977826, თარიღი 27.08.2001).

2000 წლის 14 ნოემბერს მოპასუხემ მეორე განაცხადი შეიტანა ევროკავშირში სასაქონლო ნიშნის „ADVENTURE 1“ რეგისტრაციაზე.

მოსარჩელის საპროტესტო განცხადების საფუძველზე მოპასუხის მიერ განცხადებული სასაქონლო ნიშნები ამოღებული იქნა რეგისტრაციიდან.

მოპასუხემ ადინყო განცხადების შეტანა იმ ქვეყნებში, სადაც მოსარჩელემ ვერ მოასწრო.

მოპასუხემ მოახდინა რა მოსარჩელის სასაქონლო ნიშნის მსგავსი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მან განახორციელა ქმედება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებელში მისი პროდუქციის აღრევა მოსარჩელის ერთგვაროვანი სახის პროდუქციასთან.

მოპასუხეს სარჩელზე შესაგებელი არ წარმოუდგენია.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც ჩაბარდა სასამართლოს უწყება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით განსაზღვრული წესით.

მოსარჩელემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მიხედვით, არსებობს ფაქტობრივი და სასამართლებრივი საფუძველები დაუსწრებელი გადაწყვეტილების მისაღებად.

აღნიშნული ნორმის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას სარჩელი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

საქმის მასალების შესწავლისა და მოსარჩელის მოსმენის შედეგად კოლეგია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აშშ კომპანია „ნემენელ ჯეოგრაფიკ სოსაიეტის“ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებენ მის მოთხოვნებს, კერძოდ მოპასუხის მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი და შემდგომში შესაძლო პირის მიერ რეგისტრირებული იქნა მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის მსგავსი სასაქონლო ნიშანი. ეს კი საკმარისი საფუძველია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით ასეთი რეგისტრაციის ბათილად გამოცხადებისათვის.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 230-ე, 236-ე, 237-ე მუხლებით, გადანყვიტა:

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

1. აშშ კომპანია „ნემენელ ჯეოგრაფიკ სოსაიეტის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნეს ცნობილი სასაქონლო ნიშნის „ADVENTURE I“ რეგისტრაცია № 14434 განხორციელებული საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის, „საქპატენტი“-ს მიერ 2002 წლის 1 მაისს.

3. ამოღებული იქნეს სასაქონლო ნიშნების რეესტრიდან სასაქონლო ნიშანი „ADVENTURE I“ რეგისტრაციის № 14434 რეგისტრაციის თარიღი 2002 წლის 1 მაისი.

4. მოპასუხეს აშშ კომპანია „დისკოვერი კომუნიკეიშენზ ინკ“-ს დაეკისროს 30 ლარი მოსარჩელის აშშ კომპანია „ნემენელ ჯეოგრაფიკ სოსაიეტის“ სასარგებლოდ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

5. გადანყვიტების გასაჩივრება შეიძლება მოპასუხის მიერ თბილისის საოლქო სასამართლოში 10 დღის ვადაში მისთვის დაუსწრებელი გადანყვეტილების ასლის ჩაბარების დღიდან.

არაკეთილსინდისიერი კონსურენციის შედეგად მიყენებული
ზიანის ანაზღაურება და მსგავსი სასაქონლო ნივთის
გამოყენების აკრძალვა



გ ა დ ა ნ ე ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№2/ა-108-2001

25 ივლისი, 2001წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო
საქმეთა კოლეგია

შემადგენლობა: მ. ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
გ. გულედანი (მომხსენებელი),
დ. თოდრაძე

მოსარჩელე: შ.პ.ს. ა/კ „საქართველოს ავიახაზები“; წარმომადგენლები –
ვ. კირვალიძე, ლ. ქავთარაძე
მოპასუხე: შ.პ.ს. ა/კ „აირზენა საქართველოს ავიახაზები“; წარმომად-
გენლები – მ. ყავლაშვილი, თ. ეკალაძე, ლ. კეკელიძე, ნ. გელდიაშვილი

დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვით
მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ა ღ ნ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა ნ ი ლ ი :

შ.პ.ს. ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზებმა“ აღძრა სარჩელი შ.პ.ს.
ა/კ „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ მიმართ მორალური ზიანის ანაზ-
ღაურების შესახებ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ შ.პ.ს. „აირზენა საქართვე-
ლოს ავიახაზების“ მიერ ინტერნეტის მეშვეობით ერთი წლის განმავლობაში
ვრცელდებოდა ყალბი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 1999წ. 31 ოქტომბერს
თითქოს გაერთიანდა სამი ავიაკომპანია: „ეარ ჯორჯია“, „საქართველოს
ავიახაზები“ და „აირზენა“ ერთ მძლავრ ავიაკომპანიად, რომელსაც ეწოდა
„აირზენა საქართველოს ავიახაზები“. კერძო ავიაკომპანია „აირზენა საქარ-
თველოს ავიახაზების“ ხელმძღვანელები არ დაკმაყოფილდნენ ინტერნეტის
მეშვეობით „საქართველოს ავიახაზების“ საქმიანი რეპუტაციის შემლახველი
ცნობების გავრცელებით და 2001 წლის 16 თებერვალს „კავკას-პრესის“ მეშ-
ვეობით გაავრცელეს ყალბი ინფორმაცია სათაურით „აირზენას“ პრიზიდენ-

ტი „საქართველოს ავიახაზების მიერ ფრენების განახლებას ფანტაზიად მიიჩნევს, რომ საქართველოს ავიახაზების“ ფრენების განახლების შესახებ განცხადებებს“ აკეთებენ იქ მომუშავე არაპროფესიონალი, ავიაციის სფერო-საგან შორს მდგომი პირები. 2001 წლის 17 თებერვლის გაზეთ „რეზონანსში“, „აირზენას“ გენერალურმა დირექტიორმა თ. გაიაშვილმა აღნიშნა, რომ საბელმნიფო ავიაკომპანიის მუშაობა მოძველებული ტექნიკით ფანტაზიაა. ესენი არიან ავიაციაში შემთხვევით მოხვედრილი ხალხი.

შ.პ.ს. „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ მიერ გავრცელებული ცნობები, აღნიშნულია სარჩელში, წარმოადგენს არასათანადო რეკლამას, რაც რეკლამის შესახებ კანონის მე-6 მუხლით აკრძალულია და ინვეეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხიმგებლობას. გარდა ამისა მოსარჩელის აზრით დარღვეულია რეკლამის შესახებ კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი (არასარწმუნო რეკლამა) და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 159-ე მუხლის მოთხოვნები.

„საქართველოს ავიახაზები“ 1997 წლიდან ფუნქციონირებდა როგორც სააერო საზოგადოება. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 1999წ. 5 აგვისტოს დადგენილებით რეგისტრაციაშია გატარებული შ.პ.ს-ის ფორმით. სახელმნიფო ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზები“ არ ყოფილა გაერთიანებული რომელიმე კომპანიასთან. იგი რეგულარულ და ჩარტერულ ავიარეისებთან ერთად ასრულებს სამთავრობო რეისებს და სამთავრობო ავიარაზმის ფუნქციები აქვს დაკისრებული.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ ინტერნეტსა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით მოპასუხე „აირზენა“-ს მიერ გავრცელებული ცნობები ამკარად ლახავს „საქართველოს ავიახაზების“ საქმიან რეპუტაციას, პატივსა და ღირსებას.

მოსარჩელემ საბელმნიფო ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზები-სათვის“ მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 993-ე და 413-ე მუხლების შესაბამისად. სარჩელში იქვე მითითებულია, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილი იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში. მოსარჩელემ დაასახელა რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი და საბოლოოდ მორალური ზიანის დარღვევის საკომპენსაციოდ მოითხოვა 1.000.000 ლარის გადახდევინება.

შ.პ.ს. „აირზენა საქართველოს ავიახაზებმა“ არ სცნო „საქართველოს ავიახაზების“ სარჩელი და აღნიშნა, რომ ინტერნეტში ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მაგრამ ანტიმონოპოლიური სამსახურის განცხადების საფუძველზე ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 20 აპრილის დადგენილებით „აირზენა საქართველოს ავიახაზებს“ დაეკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

მოპასუხე „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ წარმომადგენლებმა ზემოთ მითითებული განცხადებების პრესაში გამოქვეყნების თაობაზე აღ-

ნიშნის, რომ „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ გენერალური დირექტორის თ. გაიაშვილის სახელით გავრცელებული ინფორმაცია არის მხოლოდ კომენტარი და არა პირდაპირი გზით გაკეთებული განცხადება, რომ თუნდაც „აირზენას“ პრეზიდენტის თ. გაიაშვილის სიტყვებზე დაყრდნობით უურანალისტს ასეთი კომენტარი გაეკეთებინოს იგი არ არის უსაფუძვლო და „დამყარებულია შექმნილ რეალურ სიტუაციაზე“, რომ ასეთი ინფორმაციის გავრცელება პირველ ნყაროდან არ დასტურდება. ინტერნეტის საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია შეპასუხებაში არ დასტურდება შ.პ.ს. „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ ბრალეულობა, რაც სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

მოპასუხე „საქართველოს ავიახაზებმა“ დამატებით სასარჩელო განცხადებაში აღნიშნა, რომ 2001 წლის 14 მაისს მოპასუხე ავიაკომპანიის პრეზიდენტმა თ. გაიაშვილმა „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო გამოშვებაში „კურიერი 9 საათზე“, „საქართველოს ავიახაზების“ კოლექტივი კრიმინალურად მოიხსენია, დამატებით განცხადებას თანდართული აქვს „რუსთავი-2“-საგან მიღებული ვიდეო ფირი.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი :

კოლეგიამ საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შემდეგ მიიჩნია, რომ შ.პ.ს. „საქართველოს ავიახაზების“ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგი გარემოებების გამო:

ის გარემოება, რომ მოპასუხე „აირზენა საქართველოს ავიახაზებმა“ ნამდვილად გაავრცელეს „საქართველოს ავიახაზების“ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები, საქმის მასალებით მთლიანადაა დადასტურებული.

მოსარჩელე შ.პ.ს. „საქართველოს ავიახაზებმა“ დაადასტურეს, რომ მოპასუხე „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ მიერ ინტერნეტის მეშვეობით ერთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა ცრუ რეკლამა, იმის შესახებ, რომ 1999წ. 31 ოქტომბერს მოხდა საქართველოში მოქმედი სამივე ავიაკომპანიის „ეარ ჯორჯიას“, „საქართველოს ავიახაზების“ და „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ გაერთიანება ერთ მძლავრ ავია კომპანიად, რომელსაც ეწოდა „აირზენა საქართველოს ავიახაზები“. მოპასუხის მიერ ცრუ ინფორმაციის შეგნებულად გავრცელების ფაქტი დადასტურებულია: ანტიმონოპოლიური სამსახურის განცხადების საფუძველზე ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მიერ 2001წ. 20 აპრილს გამოტანილი დადგენილებით, რომლითაც ადმინისტრაციული სახდელის სახით 500 ლარით დაჯარიმდა მოპასუხე „აირზენა საქართველოს ავიახაზები“. ინტერნეტიდან ამოღებული ვებ-გვერდით, მოსარჩელე „საქართველოს ავიახაზების“ და „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ გენერალური დირექტორების ნერილებით, შეპასუხებით და მთავარ სხდომაზე მოპასუხის განმარტებით.

დადასტურებულია ისიც, რომ მოპასუხემ არასათანადო, რეკლამა მას

შემდეგაც არ ამოილო ინტერნეტიდან და ინტერნეტში არ განათავსა კონტრეკლამა, როდესაც მოსარჩელე ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ოფიციალურად მოსთხოვა აღნიშნულის შესახებ. არასწორი აღმოჩნდა „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ გენერალური დირექტიორის 2001წ. 14 მარტის №7-/247 ნერილი ინტერნეტის ვებ-გვერდიდან მცდარი ინფორმაციის 2001წ. 14 თებერვლიდან ამოღების შესახებ, რამდენადაც ინტერნეტის ვებ-გვერდიდან მცდარი ინფორმაცია ამოღებული იქნა „საქართველოს ავიახაზების“ მიერ 2001 წლის 15 თებერვალს. მოპასუხის ასეთი განზრახვი მოქმედებით შეიღება „საქართველოს ავიახაზების“ პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია და მას შეუქმნა არაჯანსაღი კონკურენციის პირობები.

მთლიანად დადასტურდა ასევე „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ მიერ „საქართველოს ავიახაზების“ საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელების ფაქტი „კავკას პრესის“ საშუალებით 2001წ. 16 თებერვალს, სადაც აღნიშნულია, რომ „აირზენას“ პრეზიდენტი „საქართველოს ავიახაზების“ მიერ ფრენების განახლებას ფანტაზიად მიიჩნევს, რომ ფრენების განახლების შესახებ განცხადებებს აკეთებენ იქ მომუშავე არაკომპეტენტური, არაპროფესიონალი და ავიაციის სფეროსაგან შორს მდგომი პირები.

იგივე მინაარსის განცხადება გაკეთებული „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ პრეზიდენტის მიერ 2001წ. 17 თებერვლის გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებულ ნერილში, სადაც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ავიაკომპანიის მუშაობა მოძველებული ტექნიკით ფანტაზიაა, ესენი არიან ავიაციამში შემთხვევით მოხვედრილი ხალხი. მთავარ სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელმა განმარტა, რომ გამოქვეყნებული სტატიები მათ სადავოდ არ გაუხდიათ და პრეტენზიით არ მიუმართავთ რედაქციებისადმი.

მთლიანად დადასტურდა ასევე მოპასუხის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელების ფაქტი სარჩელის იმ ნაწილშიც, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ 2001 წლის 14 მაისს მოპასუხე ავიაკომპანიის პრეზიდენტმა „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო გამომშვებებში „კურიერი 9 საათზე“ „საქართველოს ავიახაზების“ კოლექტივი კრიმინალურად მოიხსენია. ვიდეო ფირი საქმეს თან ერთვის, იგი ნაჩვენები იქნა მთავარ სხდომაზე.

მოპასუხე „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ წარმომადგენლებმა მთავარ სხდომაზე ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაცია ჩათვალეს მათ მიერ დაშვებულ შეცდომად, ამასთან მათ აღნიშნეს, რომ თითქოს დაშვებული შეცდომა მათ გამოასწრეს, ინტერნეტის ვებ-გვერდიდან სინამდვილესთან შეუფერებელი ინფორმაციის 2001წ. 14 თებერვლიდან ამოღებით და მობოდიმებით, ეს მაშინ, როცა ინტერნეტის ვებ-გვერდიდან ინფორმაცია 15 თებერვალს იქნა ამოღებული არა მოპასუხის, არამედ მოსარჩელე „საქართველოს ავიახაზების“ მიერ, ამასთან მიუხედავად მოსარჩელის თხოვნისა მოპასუხის მიერ კონტრეკლამა არ იქნა განათავსებული ინტერნეტში. გარდა ამისა ბოდიშის ნაცვლად მოპასუხის ნერილში აღნიშნულია „გაპარული უზუსტობის“ გამო „ნუხილი“.

ის გარემოება, რომ მოპასუხეს ანტიმონოპოლიური სამსახურის განცხადების საფუძველზე ადმინისტრაციული წესით დაეკისრა ჯარიმა და ამიტომ სასამართლომ არ უნდა იმსჯელოს ზიანის ანაზღაურებაზე, არ ემყარება კანონის მოთხოვნას.

მოპასუხე „აირზენა საქართველოს ავიახაზებმა“ მათ მიერ გავრცელებული ვერცერთი ინფორმაციის ნამდვილობა ვერ დაადასტურეს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია, კონსტიტუციის 45-ე მუხლით კი კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი მათი შინაარსის გათვალისწინებით ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე. მოპასუხე „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ მიერ უბეშადაა დარღვეული „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნა. ამ მუხლით აკრძალულია არასათანადო რეკლამის განთავსება და გავრცელება. იგი ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და ხასიათის შესაბამისად იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხის მიერ „საქართველოს ავიახაზების“ პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია შელახულია „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ ბრალეული მოქმედებით, სწორედ ამიტომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად „საქართველოს ავიახაზებს“ უფლება აქვს მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილი იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების საბით. „რეკლამის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ზუსტადაა განსაზღვრული არაქონებრივი ზიანისათვის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება. ამ მუხლის მე-3 პუნქტით პირებს, რომელთა უფლებები და ინტერესები დარღვეულია არასათანადო რეკლამის შედეგად უფლება აქვთ დადგენილი წესით სარჩევლით მიმართონ სასამართლოს საბელის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის თაობაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, იურიდიული პირის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება მე-18-ე მუხლის წესები. კოლეგიამ გაითვალისწინა რა შ.პ.ს. „საქართველოს ავიახაზების“, როგორც სამთავრობო ავიარაზმისათვის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის მანვე შედეგები და შ.პ.ს. „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ ბრალის ხარისხი, გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად ჩათვალა არა 1 000 000 ლარის, არამედ 500 000 ლარის დაკისრება მოპასუხე შპს „აირზენა საქართველოს ავიახაზებისათვის“.

სარეზოლუციო ნაწილი:

კოლეგიამ იხელმძღვანელა რა სსკ-ის 243-ე, 244-ე, 248-ე, 249-ე 53-ე, 395-ე და 397-ე მუხლებით

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შ.პ.ს. ა/კ „საქართველოს ავიახაზების“ სარჩელი მოპასუხე შ.პ.ს. ა/კ „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.

2. დაეკისროს შ.პ.ს. ა/კ „აირზენა საქართველოს ავიახაზებს“ 500 000 ლარის გადახდა შ.პ.ს. ა/კ „საქართველოს ავიახაზების“ სასარგებლოდ.

3. მოპასუხეს შ.პ.ს. ა/კ „აირზენა საქართველოს ავიახაზებს“ დაეკისროს მოსარჩელის – შ.პ.ს. ა/კ „საქართველოს ავიახაზები“-ს მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაუის – 5000 ლარის გადახდა მოსარჩელე შ.პ.ს. ა/კ „საქართველოს ავიახაზების“ სასარგებლოდ.

4. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება საკასაციო წესით, საქართველოს უზენაესი სასამართლოში თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით ერთი თვის ვადაში მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.



გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3კ/924-01

26 დეკემბერი 2001 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მურმან წიქვაძე (თავმჯდომარე),
ლალი გოჩელაშვილი (მომხსენებელი),
როზა ნადირიანი

სხდომის მდივანი: ლ. სანიკიძე

კასატორი: შპს ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზები“, წარმომადგენელი – ლ. ქავთარაძე, ბ. ახალაძე, ვ. კირვალიძე, დ. ხარატი.

კასატორი: შპს „აირზენა-საქართველოს ავიახაზები“, წარმომადგენელი

- დიმიტრი ქიტოშვილი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება.

კასატორ შპს „საქართველოს ავიახაზების“ თხოვნა: გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

კასატორ შპს „აირზენა - საქართველოს ავიახაზების“ თხოვნა: გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სარჩელის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება.

ა ლ ნ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა ნ ი ლ ი :

შპს ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზებმა“ სარჩელი აღძრა შპს „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ წინააღმდეგ მორალური ზიანის - 1 000 000 ლარის ანაზღაურების შესახებ. სარჩელის საფუძველად აღნიშნულია, რომ შპს „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ მიერ ინტერნეტის მეშვეობით ერთი წლის განმავლობაში ვრცელდებოდა ყალბი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 1999 წლის 31 ოქტომბერს თითქოს ერთ მძლავრ ავიაკომპანიად გაერთიანდა სამი ავიაკომპანია: „ეარ ჯორჯია“, „საქართველოს ავიახაზები“ და „აირზენა“, რომელსაც ეწოდა „აირზენა-საქართველოს ავიახაზები“. კერძო ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ ხელმძღვანელობა არ დაკმაყოფილდა ინტერნეტის მეშვეობით საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელებით და 2001 წლის 16 თებერვალს „კავკას-პრესის“ მეშვეობით გაავრცელა სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაცია სათაურით - „აირზენას“ პრეზიდენტი „საქართველოს ავიახაზების“ მიერ ფრენების განახლებას ფანტაზიად მიიჩნევს“, სადაც ლაპარაკია იმის თაობაზე, რომ „საქართველოს ავიახაზების“ მიერ ფრენების განახლების შესახებ განცხადებებს აკეთებენ იქ მომუშავე არაკომპეტენტური, არაპროფესიონალი და ავიაციის სფეროსაგან შორს მდგომი პირები“. 2001 წლის 17 თებერვლის გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნდა ჟურნალისტ ვ. კაპანაძის წერილი, სადაც ნათქვამია, რომ „სახელმწიფო ავიაკომპანიის მუშაობა მოძველებული ტექნიკით ფანტაზიაა ... ესენი არიან ავიაციაში შემთხვევით მოხვედრილი ხალხი“, - აღნიშნავს თამაზ გაიაშვილი“. 2001 წლის 16 თებერვალს გაზეთ „ახალ თაობაში“ გამოქვეყნდა ზაზა ბაკაშვილის სტატია, სადაც აღნიშნულია, რომ „კონცერნის გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორ ვლადიმერ სილვერსტოუნის თქმით, „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ ბოინგებში მგზავრთა მომსახურება საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება და მნიშვნელოვნად გაფართოვდა ევროპაში ავიაკომპანიის ფრენის გეოგრაფია. მან გაკვირვება გამოთქვა იმაზე, რომ საქართველოში სახელმწიფო ავიაკომპანიის შექმნა განზრახული“. 2001 წლის 14 მაისს თ. გაიაშვილმა „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო პროგრამა „კურიერი 9 საათზე“ „საქარ-

თველოს ავიახაზების" კოლექტივი კრიმინალებად მოიხსენია.

მოსარჩელემ სარჩელის სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილზე, 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 992-993-ე მუხლებსა და „რეკლამის შესახებ“ კანონზე.

მოპასუხემ შპს ავიაკომპანია „აირზენა – საქართველოს ავიახაზებმა“ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ინტერნეტში არასწორი ინფორმაციის გავრცელებას მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ანტიმონოპოლიური სამსახურის განცხადების საფუძველზე ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 20 აპრილის დადგენილებით „აირზენა-საქართველოს ავიახაზებს“ დაეკისრა ჯარიმა – 500 ლარის ოდენობით. რაც შეეხება მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების პრესით გავრცელების ფაქტს, ასეთი თ. გაიაშვილის მიერ არ მომხდარა. სტატიებში აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით ჯურნალისტების კომენტარებია და არა თ. გაიაშვილის მიერ უშუალოდ გაკეთებული განცხადება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შპს „აირზენა-საქართველოს ავიახაზებს“ შპს ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზების“ სასარგებლოდ დაეკისრა 500 000 ლარის გადახდა.

საოლქო სასამართლოს კოლეგიამ საქმეზე დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

1999 წლის 31 ოქტომბრიდან ერთი წლის მანძილზე ინტერნეტის მეშვეობით „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ მიერ ვრცელდებოდა არასწორი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ეარ ჯორჯიას“, „საქართველოს ავიახაზებისა“ და „აირზენას“ შერწყმით ჩამოყალიბდა ერთი მძლავრი ავიაკომპანია – „აირზენა – საქართველოს ავიახაზები“. აღნიშნულის გამო, ანტიმონოპოლიური სამსახურის განცხადების საფუძველზე თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მიერ 2001 წლის 20 აპრილს გამოტანილი დადგენილებით „აირზენა-საქართველოს ავიახაზები“ დაჯარიმდა 500 ლარით;

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია პრესისა და ტელევიზიის („კავკას-პრესი“, „რეზონანსი“, „კურიერი 9 საათზე“) მეშვეობით მოპასუხის მიერ პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელების ფაქტი. კერძოდ, 2001 წლის 16 თებერვალს „კავკას-პრესის“ საშუალებით გავრცელდა შემდეგი შინაარსის ცნობა: „აირზენას“ პრეზიდენტი „საქართველოს ავიახაზების“ მიერ ფრენების განახლებას ფანტაზიად მიიჩნევს, რომ ფრენების განახლების შესახებ განცხადებებს აკეთებენ იქ მომუშავე არაკომპეტენტური, არაპროფესიონალი და ავიაციის სფეროსაგან შორს მდგომი პირები“;

იგივე შინაარსის განცხადებაა გაკეთებული „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ პრეზიდენტის მიერ 2001 წლის 17 თებერვლის გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებულ წერილში, სადაც ნათქვამია, რომ „სახელმწიფო ავიაკომპანიის მუშაობა მოძველებული ტექნიკით ფანტაზიაა,... ესენი არიან

ავიაციაში შემთხვევით მოხვედრილი ხალხი", - აღნიშნა გაიაშვილმა;

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო პროგრამაში „კურიერი ყ საათზე“ მოპასუხე ორგანიზაციის პრეზიდენტმა „საქართველოს ავიაცია“ ე-ბის“ კოლექტივი კრიმინალურად მოიხსენია.

საოლქო სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-17, 45-ე მუხლებზე, „რეკლამის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტზე, 21-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილზე, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე და სასამართლომ მორალური ზიანის გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად მიიჩნია 500 000 ლარი.

შპს ავიაკომპანია „საქართველოს ავიაციაზები“ საკასაციო საჩივრით მოითხოვს აღნიშნული გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმებას, რითაც სარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას შემდეგი საფუძვლით:

სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი. მორალური ზიანის ანაზღაურება გონივრული და სამართლიანი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მოპასუხეს 1 000 000 ლარს დააკისრებდა.

შპს „აირზენა-საქართველოს ავიაციაზები“ საკასაციო საჩივრით მოითხოვს გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას იმ საფუძვლით, რომ იგი მოცემულ დავაში არ წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს, რადგან ცნობების გავრცელება არ მომხდარა შპს-ს სახელით; გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რადგან არასთანადო რეკლამა არ იწვევს პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვას; სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი :

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი და თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი, რადგან სასამართლომ დაარღვია სამართლის ნორმები, კერძოდ, არასწორად განმარტა კანონი. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები საოლქო სასამართლოს კოლეგიის მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა და-

მატებითი გამოკვლევა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ საქმეზე მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა საჭირო არ არის, რადგან საქმეში არსებული მტკიცებულებების დამატებით გამოკვლევასთან დაკავშირებით წამოყენებული არ არის საკასაციო პრეტენზია და ამასთან, სარჩელის მოთხოვნა იურიდიულადაა უსაფუძვლო შემდეგ გარემოებათა გამო:

მ.პ.ს. ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზების“ სარჩელით მორალური ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ინტერნეტის მეშვეობით არასათანადო რეკლამის გავრცელება. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ არასათანადო რეკლამის განთავსება და გავრცელება არ წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების კანონით გათვალისწინებულ საფუძველს. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილით არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ასეთ შემთხვევად საოლქო სასამართლომ არასწორად მიიჩნია „რეკლამის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-6 და 21-ე მუხლის მე-3 პუნქტები. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს არასათანადო რეკლამის განთავსებისა და გავრცელებისათვის პასუხისმგებლობის ზოგად ნებს, ხოლო 21-ე მუხლის მე-3 პუნქტში კონკრეტულადაა მითითებული, თუ რა სახის პასუხისმგებლობა დგება არასათანადო რეკლამის გავრცელებისათვის. აღნიშნულ ნორმაში მითითებულია, რომ პირებს, რომელთა უფლებები და ინტერესები დარღვეულია არასათანადო რეკლამის შედეგად, უფლება აქვთ დადგენილი წესით სარჩელით მიმართონ სასამართლოს ჯანმრთელობისა და ქონებისათვის, სახელის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის თაობაზე და მოითხოვონ არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფა, ე.ი. მიყენებული ზიანის კომპენსაცია ხდება არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფით. ამდენად, აღნიშნული ნორმა ადგენს არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფის და არა არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების ნებს, რასაც ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი. სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული ნორმა განამტკიცებს, თუ რა შემთხვევაში უნდა იქნეს მოთხოვნილი არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება, სხვა შემთხვევაში იგი იურიდიულად უსაფუძვლოა და ასეთი მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს. სამოქალაქო კოდექსი ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტების გაცრცელებისათვის ადგენს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ პირი განზრახ ან გაუფრთხილებლობით ავრცელებს ან ახმაურებს მათ. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, მოსარჩელემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებაზე, მაგრამ მოთხოვნა ამ საფუძველით ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაუყენებია.

რაც შეეხება სარჩელის სხვა საფუძველს – პრესისა და ტელევიზიის საშუალებით მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, პალატა მას არ იზიარებს შემდეგი გარემოების გამო:

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით არაქონებრივ უფლებათა დაცვის ფორმებად მიჩნეულია: არაქონებრივ უფლებათა ხელშეწყობის მოქმედების შეწყვეტა (მე-18 მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადება), ან მათზე უარის თქმა, რაც ხორციელდება გავრცელებული ცნობების უარყოფით (მე-18 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადება), ანდა პირადი არაქონებრივი უფლების ბრალეული მოქმედებით ხელყოფის შედეგად მიყენებული ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურება (ანდა ორივე ერთად – მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი). მართალია, აღნიშნული ნორმა არეგულირებს, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების დაცვას (სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, იურიდიული პირის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება მე-18 მუხლის წესები), მაგრამ ამ მუხლით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, იურიდიულ პირს არ გააჩნია. კერძოდ, იურიდიულ პირს არ გააჩნია მე-18 მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორცაა პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, ასევე, მორალურ განცდებთან დაკავშირებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანი არ შეიძლება მიადგეს იურიდიულ პირს, რადგან მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია (სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდა, და სხვა). ამდენად, იურიდიული პირის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ იურიდიულად უსაფუძვლოა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელემ, მართალია, სარჩელში მიუთითა „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ მიერ პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გავრცელების შესახებ, მაგრამ ამ ცნობების უარყოფა არ მოუთხოვია. აქედან გამომდინარე, არც მოპასუხეს დაუდასტურებია მათი სინამდვილესთან შესაბამისობა.

მოსარჩელემ სარჩელში ასევე მიუთითა, რომ მან ხელყოფით განიცადა ქონებრივი ზიანი, მაგრამ არ წარადგინა სასამართლოში ამ ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულებანი და არ დაასაბუთა, რომ ეს ზიანი ნამდვილად მოპასუხის არამართლზომიერი მოქმედების შედეგია. ამასთან, სარჩელით ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც არ დაუყენებია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლით სასამართლოს უფლება არა აქვს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს მიაკუთვნოს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

პალატა მიუთითებს, რომ შპს ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზების“ საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა ზემოთ აღნიშნული გარემოებების გამო. შპს „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო და-

ნარჩენ ნაწილში საჩივარს უარი უნდა ეთქვას, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილით, თუ საკასაციო სასამართლო საქმეს ხელახლა განსახილველად დააბრუნებს ქვემდგომ სასამართლოში, მაშინ იგი ვალდებულია მიუთითოს, თუ რომელი ფაქტები საჭიროებს გამოკვლევას, რა მტკიცებულებებია შესაკრები და რა სხვა კონკრეტული საპროცესო მოქმედება უნდა შეასრულოს საოლქო სასამართლოს შესაბამისმა კოლეგიამ. მოცემულ შემთხვევაში საქმის გარემოებები საოლქო სასამართლოს კოლეგიის მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

შპს ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზების“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

გადანყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№2/ა-114-20025 12 აპრილი, 2002წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლო სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგია

შემადგენლობა: მ. ჩანტლაძე (თავმჯდომარე),

ქ. ღუგლაძე,

დ. თოდრაძე (მომხსენებელი)

სხდომის მდივანი: ხ. სურამელაშვილი

მოსარჩელე: შ.პ.ს. „საქართველოს ავიახაზები“; წარმომადგენლები – ლ. ქავთარაძე, დ. ხარატი, გ. სვანიძე

მოპასუხე: შ.პ.ს. „აირზენა საქართველოს ავიახაზები“; წარმომადგენელი – დ. ქიტოშვილი

დავის საგანი: მსგავსი სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა.

ა ღ ნ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა ნ ი ლ ი :

შ.პ.ს. „საქართველოს ავიახაზებმა“ სარჩელი აღძრა შ.პ.ს. „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ მიმართ. სასამართლოს მთავარ სხდომაზე მან დააზუსტა სარჩელი და მოითხოვა მოპასუხისათვის სასაქონლო ნიშნით სარგებლობის უფლების ჩამორთმევა. აღნიშნულ მოთხოვნას მოსარჩელე ამყარებს შემდეგ გარემოებებზე:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზები“ სამენარმეო რეესტრში რეგისტრირებულია 1999 წლის 5 აგვისტოს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ, ამავე სახელწოდების სააქციო საზოგადოების გარდაქმნის შედეგად, რომელიც 1997 წლიდან ფუნქციონირებდა.

შესაბამისად, ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზები“ სასაქონლო ნიშნით „ჩეორგიან ირლინეს – საქართველოს ავიახაზები“ ასრულებდა ავიარეისებს როგორც ჩვენს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ 1999 წლის 1 ნოემბრამდე.

1999 წლის სექტემბერში საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროსა და საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის მიერ საქართველოს მთავრობის წინაშე დაისვა საკითხი შ.პ.ს. „საქართველოს ავიახაზების“ კერძო ავიაკომპანია „აირზენასა“ და „ეარ ჯორჯიასთან“ გაერთიანებისა და ერთიანი მძლავრი ავიაკომპანიის შექმნის შესახებ, რასაც პირველ ეტაპზე მოჰყვა „აირზენასა“ და „ეარ ჯორჯიას“ გაერთიანება, ხოლო სავარაუდოდ გამსხვილებულ ავიაკომპანიას გაერთიანების პროცესის განხორციელებამდე შეერქვა „აირზენა საქართველოს ავიახაზები“, რაც მის შემადგენლობაში „საქართველოს ავიახაზების“ არსებობაზეც მიუთითებდა.

მომავალში გაერთიანების მიზეზით 1999 წლის 1 ნოემბრიდან შ.პ.ს. ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზები“ ფუნქციონირება შეჩერდა და პრეზიდენტის განკარგულებით „საქართველოს ავიახაზების“ კუთვნილი ფლაგმანური ავიაგადამზიდველის სტატუსი მიენიჭა ა/კ „აირზენა საქართველოს ავიახაზებს“. ზემოხსენებული ავიაკომპანიების გაერთიანებამდე ა/კ „საქართველოს ავიახაზებში“ დაინიშნა აუდიტი მომავალში გამსხვილებული ავიაკომპანიის ქონებაში სახელმწიფო წილის დადგენის მიზნით, ამასობაში კი ავიაკომპანია „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა ა/კ „საქართველოს ავიახაზებთან“ ურთიერთკავშირზე და ავიაკომპანიების გაერთიანების იდეაც ჩაიშალა.

ამრიგად, ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზები“ არავისთან გაერთი-

ანებული არ ყოფილა და იგი 1997 წლის 4 აპრილიდან, ე.ი. დღიდან დაფუძნებისა, ფუნქციონირებს როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი.

მიუხედავად ამისა, ყოფილ „აირზენას“ შერჩა ახლად შერქმეული სახელწოდება „აირზენა საქართველოს ავიახაზები“ და დღემდე ავიარეისებს ასრულებს ამ საფირმო ნიშნის გამოყენებით.

2000 წლის ნოემბრის თვიდან ა/კ „საქართველოს ავიახაზებმა“ დამოუკიდებლად განაახლა თავისი საქმიანობა, მიენიჭა მას სამთავრობო ავიარაზმის სტატუსი და უკვე ავიარეისებს ასრულებს როგორც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ თავისი კუთვნილი საფირმო ნიშნით „ჩეორგიან ირლინეს – საქართველოს ავიახაზები“, რაც კანონიერად არის დარეგისტრირებული საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „საქპატენტში“ – 2002 წლის 9 იანვარს.

იმასთან დაკავშირებით, რომ ა/კ „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ სახელწოდებას უკანონოდ მთლიანად შთანქმეული აქვს „საქართველოს ავიახაზების“ სახელწოდება, ხშირად ხდება ამ ორი ავიაკომპანიის ერთიმეორეში აღრევა, რასაც შეცდომაში შეჰყავს ავიაკომპანიის მომსახურებით დაინტერესებული პირები და უხეშად ილახება ა/კ „საქართველოს ავიახაზების“, როგორც ქონებრივი, ისე მორალური ინტერესები.

მოსარჩელე აცხადებს, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით, რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიძობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან, მაშასადამე, სახელმწიფო ა/კ „საქართველოს ავიახაზების“ განსაკუთრებული უფლება სადავო სასაქონლო ნიშანზე წარმოშობილია 2002 წლის 9 იანვრიდან, ანუ მისი „საქპატენტში“ რეგისტრაციის დღიდან.

იმავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტი, სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლების მქონე პირს უფლებას აძლევს აუკრძალოს მესამე პირს მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური, ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.

მოცემულ შემთხვევაში ამ ორი ავიაკომპანიის სასაქონლო ნიშნების მსგავსება ეჭვს რომ არ იწვევს, ეს ყველასათვის ნათელია, ხოლო საქონელი ორივე ავიაკომპანიის გადაზიდვა-გადაყვანის შესრულებათა, რაც აბსოლუტურად იდენტურია.

ამდენად მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა საფუძვლიანია და ითხოვს სარჩელის დაკმაყოფილებას.

მოპასუხე შ.პ.ს. „აირზენა საქართველოს ავიახაზებმა“ სარჩელი არ ცნო. მან განმარტა, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილი ზუსტად განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როცა „განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არა აქვს უფლება აუკრძალოს მესამე პირს სამო-

ქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს: ა) საკუთარი სახელი ან მისამართი, თუ ისინი ემთხვევა განსაკუთრებული უფლების მქონე პირის სასაქონლო ნიშანს; ბ) სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს საქონლის სახეობის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებს.

მოპასუხის განცხადებით შ.პ.ს. „აირზენა საქართველოს ავიახაზები“ ამ სახელწოდებით რეგისტრაციაში გატარდა ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით. ამდენად „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ამ სახელის გამოყენების აკრძალვის უფლება მოსარჩელეს არ გააჩნია.

მოპასუხეს მიაჩნია, რომ შ.პ.ს. „საქართველოს ავიახაზებს“ ასევე არ შეუძლია აუკრძალოს მას გამოიყენოს მის სასაქონლო ნიშანში სატყვეების „საქართველოს ავიახაზები“, როგორც საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის და სახეობის მახასიათებლები.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი :

სასამართლო კოლეგიაში შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა განმარტებები და შეაფასა რა სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, თელის, რომ შ.პ.ს. „საქართველოს ავიახაზების“ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ შ.პ.ს. „საქართველოს ავიახაზები“ რეგისტრირებულია სამენარმეო რეესტრში ვაკის რაიონის სასამართლოს 1997 წლის 4 აპრილის დადგენილებით. მისი საქმიანობის საგანია საერთაშორისო და შიდა საჰაერო სამგზავრო გადაყვანები და სატვირთო გადაზიდვები. იგი სარგებლობს სასაქონლო ნიშნით, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ 2002 წლის 9 იანვარს.

შ.პ.ს. „აირზენა საქართველოს ავიახაზები“ რეგისტრირებულია სამენარმეო რეესტრში ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში 1999 წლის 1 ნოემბერს. იგი ძირითად საქმიანობას ახორციელებს სამოქალაქო ავიაციის სფეროში. საფირმო ბლანკებსა და სამენარმეო საქმიანობაში გამოყენებულ საგნებზე იგი გამოსახავს სასაქონლო ნიშნებს, რომელიც შეიცავს სიტყვებს „საქართველოს ავიახაზები“ და რომელთა რეგისტრაციაზე შეტანილი აქვს განაცხადი „საქპატენტში“.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი სანარმოს საქონელს ან/და მომსახურებობას მეორე სანარმოს საქონლისა ან/და მომსახურებობისაგან. იგი შეიძლება იყოს სიტყვა ან სიტყვები, აგრეთვე ადამიანის სახელი; ასოები; ციფრები; ბგერები; გამოსახულება; სამგანზომილებიანი

ფიგურა.

შ.პ.ს. „საქართველოს ავიახაზებს“ როგორც რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნის მფლობელს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად გააჩნია განსაკუთრებული უფლება ამ ნიშანზე. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის მიხედვით მას შეუძლია აუქრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც მისი დაცული სასაქონლო ნიშნის „მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შეაძლებლობა“.

ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტების თანხმად სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არა აქვს უფლება აუქრძალოს მესამე პირს სამოქალაქო ბრუნვაში სასაქონლო ნიშნად გამოიყენოს: საკუთარი სახელი ან მისამართი, თუ ისინი ემთხვევა განსაკუთრებული უფლების მქონე პირის სასაქონლო ნიშანს; ასევე სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს საქონლის სახეობის ან გეოგრაფიული წარმოშობის მახასიათებელს. ამ მუხლის საფუძველზე მოსარჩელეს უფლება არ აქვს აუქრძალოს მოპასუხეს სასაქონლო ნიშნად სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს მისი საკუთარი სახელი შ.პ.ს. „აირზენა საქართველოს ავიახაზები“. რომლის შემადგენელი ნაწილი ემთხვევა მოსარჩელის სასაქონლო ნიშნის შემადგენელ ნაწილს.

მოპასუხის მიერ გამოყენებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს სიტყვებს „საქართველოს ავიახაზები“, რომელთაგან პირველი სიტყვა საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მახასიათებელს წარმოადგენს, ხოლო მეორე – „ავიახაზები“ საქონლის სახეობის ავიაციის სფეროში საქმიანობის განხორციელების მახასიათებელია. აღნიშნული გარემოება ასევე არ აძლევს უფლებას მოსარჩელეს აუქრძალოს მოპასუხეს მისი სასაქონლო ნიშნის მსგავსი ნიშნის გამოყენება.

ამდენად სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და მას უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა სსკ-ის 243-ე, 244-ე, 247-ე, 248-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით, გადანყვიტა:

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი :

1. შ.პ.ს. „საქართველოს ავიახაზებს“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვას უარი;

2. გადანყვიტილების გასაჩივრება შეიძლება საქართველოს უზენაეს სასამართლოში თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით ერთი თვის ვადაში, მხარეთათვის დასაბუთებული გადანყვიტილების ჩაბარების დღიდან.

სისხლის სამართლის საქმის განახლება არაკეთილსინდისიერი
კონსტრუქციის შედეგად მიყენებული ზიანის გამო



გ ა ნ რ ი ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ 39-დად 30 მაისი, 2001 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი
შემადგენლობით: მერაბ ტურავა (თავმჯდომარე),
ირაკლი ბიბილაშვილი (მომხსენებელი),
ნინო გვენეტაძე

სხდომის მდივანი: მ. გელაშვილი

სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროკურორი: გ. ჯანაშია

სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრენვის“ საინიციატივო ჯგუფის წევრები: გ. ხაბაზიშვილი, დ. ფასურიშვილი მათი წარმომადგენელი, ადვოკატი ბ.კვირიკაშვილი;

გ. ვარდიაშვილის წარმომადგენელი – ადვოკატი დ. ლანჩავა

განიხილა სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრენვის“ საინიციატივო ჯგუფის კერძო საკასაციო საჩივარი ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 მარტის დადგენილებაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მათი საჩივარი სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრენვის“ კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, ამავე საზოგადოების ხელმძღვანელობითი, წარმოადგენლობითი და სხვა სპეციალური უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მიხედვით გივი ვარდიაშვილის და სხვათა მიმართ აღძრული საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ – ვაკის რაიონის პროკურატურის 2001 წლის 31 იანვრის დადგენილების გაუქმებისა და გამოძიების განახლების თაობაზე.

ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა ნ ი ლ ი :

2000 წლის 2 ნოემბერს ქ.თბილისის ვაკის რაიონის პროკურატურაში

აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრენვის“ კანონიერი ინტერესების სანინაალმდეგოდ, იმავე საზოგადოების ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი და სხვა სპეციალური უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე გივი ვარდიაშვილის და სხვათა მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების მიხედვით.

საქმის აღძვრას საფუძვლად დაედო სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრენვის“ საინიციატივო ჯგუფის წევრთა კოლექტიური განცხადებები და მოკვლეული მასალები იმის შესახებ, რომ სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრენვის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე – გივი ვარდიაშვილი იმავდროულად მუშაობდა ამ ორგანიზაციასთან დაპირისპირებულ „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ აღმასრულებელ დირექტორად, ასევე შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ გენერალურ დირექტორად. გივი ვარდიაშვილი, როგორც სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრენვის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ბოროტად იყენებდა უფლებამოსილებას, მოქმედებდა სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრენვის“ კანონიერი ინტერესების სანინაალმდეგოდ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ამ ორგანიზაციას, გამოიწვია მუშაობის პარალიზება, მისი ფუნქციონირების შეწყვეტა და სხვა.

2000 წლის 18 იანვარს საქმე შეისწავლა ქ.თბილისის პროკურატურამ, რომელმაც ნაადრევად მიიჩნია საქმის აღძვრა და მისცა მითითება ვაკის რაიონის პროკურატურას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

2001 წლის 31 იანვარს, ქ.თბილისის პროკურატურის მითითების შესაბამისად, ვაკის რაიონის პროკურორის თანაშემწემ კ.კილაძემ სისხლის სამართლის საქმე აღძრული ს.ს. „საქტრანსგაზმრენვის“ კანონიერი ინტერესების სანინაალმდეგოდ, ამავე საზოგადოების ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი და სხვა სპეციალური უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე, კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

დადგენილება საქმის შეწყვეტის შესახებ, სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრენვის“ საინიციატივო ჯგუფის მიერ გასაჩივრებული იქნა ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 მარტის დადგენილებით, არ დაკმაყოფილდა მათი საჩივარი – ვაკის რაიონის პროკურატურის 2001 წლის 31 იანვრის დადგენილების გაუქმებისა და წინასწარი გამოძიების განახლების შესახებ.

პალატის სხდომაზე და წარმოდგენილ კერძო საკასაციო საჩივარში სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრენვის“ საინიციატივო ჯგუფის წევრები: გ.ხაბაზიშვილი და დ.ფასურიშვილი, მათი წარმომადგენელი ადვოკატი ბ.კვირიკაშვილი მიუთითებენ, რომ ვაკის რაიონის პროკურატურამ უკანონოდ შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე – აღძრული სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრენვის“ კანონიერი ინტერესების სანინაალმდეგოდ,

ამავე საზოგადოების ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლო-ბითი და სხვა სპეციალური უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე გივი ვარდიაშვილის და სხვათა მიმართ, თბილისის ვაქე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ კი უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა მათი საჩივარი, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილების გაუქმების შესახებ.

კერძო საკასაციო საჩივრით ისინი ითხოვენ ხსენებული დადგენილებების გაუქმებას და საქმეზე წინასწარი გამოძიების განახლებას შემდეგი მოტივებით:

გივი ვარდიაშვილი იყო როგორც ს.ს. „საქტრანსგაზმრენვის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ისე შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ გენერალური დირექტორი, რომელიც თავისი საქმიანობით აღჭურვილი იყო იგივე ფუნქციებით, რითაც „საქტრანსგაზმრენვი“ და წარმომადგენდა ბაზარზე მის კონკურენტ ორგანიზაციას. საჩივრის ავტორები თვლიან, რომ გივი ვარდიაშვილი, სამენარმეო კანონის თანახმად ვალდებული იყო დაეცვა „საქტრანსგაზმრენვის“ ინტერესები, სანინალმდეგოდ ამისა, მან უფლებამოსილება გამოიყენა ბოროტად, ბაზრიდან „საქტრანსგაზმრენვის“ სახით კონკურენტი ორგანიზაციის ჩამოცილების მიზნით, შეძლო ამ ორგანიზაციის მუშა-მოსამსახურეთა გადაბირება მის დაქვემდებარებაში მყოფ შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების საერთაშორისო კომპანიაში“, რამაც გამოიწვია სააქციო საზოგადოებაში შემაჯავლი სტრუქტურული ერთეულების: საგურამოს, ქვეშეთის, ყაზბეგის, თერჯოლის, გურჯაანის საბაზო სამმართველოების დაშლა, ფუნქციონირების შეწყვეტა.

საჩივრის ავტორები მიუთითებენ, რომ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის (სემეკის) ახდომაზე, ლიცენზიების საკითხის განხილვისას, გივი ვარდიაშვილი გამოდიოდა „საქტრანსგაზმრენვის“ ინტერესების სანინალმდეგოდ და შესაბამისად შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ სასარგებლოდ, რომლის გენერალური დირექტორიც ის გახლდა.

გივი ვარდიაშვილი, როგორც შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ გენერალური დირექტორი და იმავდროულად „საქტრანსგაზმრენვის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხელს აწერდა კონტრაქტებზე და ბრძანებებზე სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრენვის“ მუშახელის კომპანიაში მიღებაზე. საჩივრის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ამან გამოიწვია მათი ორგანიზაციის სამუშაო ძალის გარეშე დატოვება და პარალიზება.

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ არ გააჩნდა გამოცდილება და კვალიფიციური მუშა მოსამსახურეები. საჩივრის ავტორები თვლიან, რომ ლიცენზიის მიღების მიზნით, გივი ვარდიაშვილმა მოახდინა მუშახელის კომპანიაში გადაყვანა, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მათ საზოგადოებას.

გივი ვარდიაშვილი, როგორც სს „გაზის საერთაშორისო კორპორაციის“

აღმასრულებელი დირექტორი, ფლობდა მატერიალურ და ფულად სახსრებს. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებიდან მიღებული სახელმწიფო შემოსავლები აკუმულირებული იყო მის ხელში. იგი გამიზნულად არ უხდოდა „საქტრანსგაზმრენვს“ კუთვნილ თანხებს რის გამოც ხელოვნურად წარმოიშვა სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანება 12 მილიონი ლარის ოდენობით, მუშა-მოსამსახურეთა უხელფასოდ დატოვება.

საჩივრის ავტორები თვლიან, რომ გივი ვარდიაშვილის ქმედებაშია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა და ითხოვენ ამ მიმართებით წინასწარი გამოძიების განახლებას და მის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას.

პალატის სხდომაზე გივი ვარდიაშვილის წარმომადგენელმა ადვოკატმა დ.ლანჩავამ შესაგებელში უსაფუძვლოდ მიიჩნია კერძო საკასაციო საჩივრის მოტივები და ითხოვა ვაკის რაიონის პროკურატურის 2001 წლის 31 იანვრის და ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს იმავე წლის 14 მარტის დადგენილებების უცვლელად დატოვება.

პალატის სხდომაზე სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერმა პროკურორმა გ.ჯანაშიამ კერძო საკასაციო საჩივარს მხარი არ დაუჭირა და ითხოვა თბილისის ვაკის რაიონის პროკურატურის 2001 წლის 31 იანვრის და ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 მარტის დადგენილებების უცვლელად დატოვება.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი :

პალატამ განიხილა რა საქმის მასალები, შეამოწმა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეების პოზიცია, თვლის რომ თბილისის ვაკის რაიონის პროკურატურის 2001 წლის 31 იანვრის და ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს იმავე წლის 14 მარტის დადგენილებები მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმე აღძრული ვაკის რაიონის პროკურატურის მიერ სს „საქტრანსგაზმრენვის“ კანონიერი ინტერესების სანაწინააღმდეგოდ, ამავე საზოგადოების ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი და სხვა სპეციალური უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე გივი ვარდიაშვილის და სხვათა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, ნაადრევად იქნა შეწყვეტილი, რის გამოც გამოკვლევის და სათანადო სამართლებრივი შეფასების გარეშე დარჩა მთელი რიგი გარემოებები, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმეზე ობიექტური გადანყევტილების მისაღებად.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თბილისის ვაკის რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე, სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრენვის“ კანონიერი ინტერესების სანაწინააღმდეგოდ, ამავე საზოგადოების ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი და სხვა სპეციალური უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, გივი ვარდიაშვილის და

სხვათა მიმართ, აღიძრა „საქტრანსგაზმრენვის“ საინიციატივო ჯგუფის კოლექტიური განცხადებების საფუძველზე, რომლებშიც ისინი მიუთითებდნენ, რომ „საქტრანსგაზმრენვის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე – გივი ვარდიაშვილი, იმავედროულად მუშაობდა ამ ორგანიზაციასთან დაპირისპირებულ „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ აღმასრულებელ დირექტორად, ასევე შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ გენერალურ დირექტორად. წინასწარი გამოძიების ჩატარების დროს უნდა დადგინდეს ის გარემოება, რომ გივი ვარდიაშვილი, როგორც სს „საქტრანსგაზმრენვის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ბოროტად ხომ არ იყენებდა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, მიზანმიმართულად ხომ არ მოქმედებდა „საქტრანსგაზმრენვის“ კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ და ზემოთ ხსენებულ ორგანიზაციათა სასარგებლოდ. ის, „საქტრანსგაზმრენვის“, როგორც კონკურენტი ორგანიზაციის ჩამოცილებისა და მის მუშაობაში დეზინფორმაციის შეტანის მიზნით, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ ფუნქციონირებისა და კადრების დაკომპლექტებისათვის, ხომ არ ენეოდა „საქტრანსგაზმრენვიდან“ მუშა-მოსამსახურეთა გადაბირებას. წინასწარი გამოძიებით უნდა დადგინდეს თუ რაში გამოიხატა ამ და სხვა მოქმედებების შედეგად გამონეული მნიშვნელოვანი ზიანი, რაც მიადგა ორგანიზაციას, თუ ცალკეულ ფიზიკურ პირებს, ხომ არ იქნა გამონეული მუშაობის პარალიზება, ორგანიზაციის, ფუნქციონირების შეწყვეტა, სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანება და სხვა.

წინასწარი გამოძიების დროს დაკითხულმა საინიციატივო ჯგუფის წევრებმა გ.ხაბაზიშვილმა, გ.ჯაშმა, დ.ფასურიშვილმა და სხვებმა დაადასტურეს განცხადებაში მითითებული გარემოებები, ამასთან გამოძიებას წარუდგინეს რიგი მასალები, მათ შორის საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი კომისიის (სემეკის) ოქმები, საქართველოს პროფკავშირთა გაერთიანების სამართლის ინსპექციის დასკვნა, რომლებშიც, მათი აზრით, გივი ვარდიაშვილი იმხილებოდა თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, რაც სრულყოფილად და ყოველმხრივ წინასწარი გამოძიების დროს გამოკვლეული და შეფასებული არ ყოფილა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ წინასწარი გამოძიების განახლების დროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად სრულად და ყოველმხრივ გამოკვლეული უნდა იქნეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, „საქტრანსგაზმრენვის“ საინიციატივო ჯგუფის საჩივრის მოტივები, წარმოდგენილი მასალები, დაკითხული უნდა იქნეს გივი ვარდიაშვილიც, იმის გასარკვევად, თუ რამდენად საფუძვლიანია მის მიმართ საჩივრებში მითითებული ფაქტები.

წინასწარმა გამოძიებამ ორივე მხარის პოზიციების და საქმის ფაქტობრივი გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს უნდა მისცეს სამართლებრივი შეფასება და საქმეზე მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე, 562-ე, 568-ე მუხლებით, პალატამ

და ა დ გ ი ნ ა :

სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრენვის“ საინიციატივო ჯგუფის კერძო საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქ.თბილისის ვაკის რაიონის პროკურატურის 2001 წლის 31 იანვრის დადგენილება, სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრენვის“ კანონიერი ინტერესების სანაღმდეგოდ, ამავე საზოგადოების ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი და სხვა სპეციალური უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, გივი ვარდიაშვილის და სხვათა მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ.

გაუქმდეს ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 მარტის დადგენილება, რომლითაც უარი ეთქვა „საქტრანსგაზმრენვის“ საინიციატივო ჯგუფის საჩივარს, თბილისის ვაკის რაიონის პროკურატურის 2001 წლის 31 იანვრის დადგენილების გაუქმებისა და წინასწარი გამოძიების განახლების შესახებ.

საქმე წინასწარი გამოძიების განახლებისათვის გადაეცეს საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

იდეატური საზირმო სახელწოდების - "საქართველოს დემოკრატიული საზოგადოების" რეგისტრაციის გაუქმება



გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№02ბ-848

8 დეკემბერი, 2000წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. კობალაძე (თავმჯდომარე), მ. ნასარიძე, თ. კილანავა

მ.ჯინორიას მდივნობით

აპელანტი: კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“; წარმომადგენლები - ი.ბეგიაშვილი, ა.ბეგიაშვილი და გ.ფირცხალავა
მონინალმდგე მხარე: კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“; წარმომადგენელი - ა.სულაბერიძე

დავის საგანი: კავშირის რეგისტრაციის გაუქმება.

განიხილა კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“ სააპელაციო საჩივარი თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებაზე რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“ პრეზიდენტმა ზ.გომართელმა, სადაც მიუთითა, რომ „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“ დაფუძნდა 1989 წელს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ იმავე წლის 18 სექტემბერს №467 დადგენილებით რეგისტრაციამო გაატარა მისი წესდება.

1993 წლის 25 ივნისს „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“

რეგისტრაცია მოახდინა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. 1999 წლის 1 სექტემბრიდან „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“ ფუნქციონირებდა, როგორც არარეგისტრირებული კავშირი. 2000 წლის 25 იანვარს კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“ რეგისტრაციაში გაატარა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ.

ზემოაღნიშნული საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, რომ თბილისის კრწანისი-მთანმინდის რაიონულ სასამართლოს 1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრაციაში გაუტარებია კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“.

იმ მოტივით, რომ სხვა იურიდიული პირის ფუნქციონირება და რეგისტრაცია მოსარჩელის სახელით მიზანშეუწონელი და უკანონოა, სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლისა და კანონი „მენარმეთა შესახებ“ მე-5 თავის თანახმად მოსარჩელემ სარჩელით მოითხოვა მოპასუხე – კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“ რეგისტრაციის გაუქმება.

თბილისის მთანმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს შეგებებული სარჩელი წარუდგინა მოპასუხე – კავშირი „საქართველოს დემოგრაფიულმა 'აზოგადოებამ“ (რეგისტრირებულმა კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 9 ნოემბრის დადგენილებით) და იმ მოტივით რომ მოსარჩელის მიერ ე.წ. ყრილობის ჩატარების დღეს, 1999 წლის 9 ნოემბერს უკვე რეგისტრირებული იყო კავშირი – საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება, ამასთან კავშირის ჩამოყალიბება მოხდა რიგი დარღვევებით. მოპასუხემ მოითხოვა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ 2000 წლის 25 იანვარს კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“ რეგისტრაციის გაუქმება.

თბილისის მთანმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელი უარყოფილი იქნა, ხოლო შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა და 2000 წლის 25 იანვარს კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“ რეგისტრაცია გაუქმებულ იქნა.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა კავშირი „საქართველოს დემოგრაფიულმა საზოგადოებამ“ (რეგისტრირებულმა 2000 წლის 25 იანვარს) და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება და შეგებებული სარჩელის უარყოფა.

სააპელაციო საჩივარი დაფუძნებულია შემდეგ გარემოებებზე: სასამართლომ უკრიტიკოდ გაიზიარა მოპასუხე მხარის დაუსაბუთებელი ბრალდებები, ფაქტებისა და დოკუმენტების შეჯერებისა და გაანალიზების გარეშე დაეთანხმა მოპასუხე მხარეს.

მოპასუხე მხარეს ყრილობის მონვევის უფლება არ ჰქონდა, რადგან ცენტრალური საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ომარაშვილი, 5 ნელზე მეტია ნასულია დემოგრაფიული საზოგადოებიდან.

ასევე, საზოგადოებიდან ნასულია საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი ნ.ტუსიაშვილი, ამდენად, მოქალაქის მიერ წარდგენილი რაიონული ორგანიზაციების კონფერენციების ჩატარების შესახებ ოქმები ყალბია, ცენტრალურ საბჭოს ყრილობის მონევის შესახებ გადანყვეტილება არ მოუღია; 2000 წლის 25 იანვრის სასამართლოს დადგენილებაში არარეგისტრირებული დემოგრაფიული საზოგადოების უფლებამონაცვლედ მითითებულია მოსარჩელე და არა მოქალაქე.

მონინალმდგეე მხარემ არ სცნო სააპელაციო საჩივარი და მოითხოვა გადანყვეტილების უცვლელად დატოვება.

სააპელაციო პალატამ საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სააპელაციო საჩივრის მოტივების შემონმების შედეგად შეამონმა რა სასამართლოს გადანყვეტილება ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, დადგენილად სცნო შემდეგი:

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება 1993 წლის 25 ივნისს რეგისტრაციაში გატარდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ.

1999 წლის 9 ნოემბერს თბილისის კრნანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს მიერ რეგისტრაციაში იქნა გატარებული კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“, ხოლო 2000 წლის 25 იანვარს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ძირითადი სარჩელის უარყოფასა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ მოსარჩელემ არასწორად მოიპოვა რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება, რითაც დაირღვა სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ, ყრილობა ადრე მოქმედი წესდების მიხედვით არ მოუნვევია ცენტრალურ საბჭოს, არ არჩეულა ყრილობის დელეგატები, ყრილობაზე მოსარჩელეს არ მოუნვევია მოქალაქე ორგანიზაციის წარმომადგენელი, კრებას არ ესწრებოდა საზოგადოების პრეზიდენტი ზ.გომართელი. კრების ოქმში დამფუძნებლებად არ არის მითითებული იურიდიული პირები „ცისკარი“ და შპს „სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება“ და ა.შ.

სააპელაციო პალატა თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების მითითებული საფუძვლით დასაბუთება არ არის სწორი, სასამართლომ ძირითადი სარჩელის უარყოფისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე, 394-ე მუხლის „ე“ პუნქტისა და 385-ე მუხლის თანახმად გადანყვეტილება ვერ დარჩება უცვლელი.

ძირითადი სარჩელი უარყოფილ უნდა იქნეს, ხოლო შეგებებული სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებული იყო 1993 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ, იყო არაკომერციული

იურიდიული პირი.

სამოქალაქო კოდექსის 1511-ე მუხლის თანახმად არაკომერციული იურიდიული პირები ექვემდებარებოდნენ ხელახალ რეგისტრაციას 1999 წლის 1 სექტემბრამდე.

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებას ხელახალი რეგისტრაცია აღნიშნულ ვადაში არ გაუვლია, რამაც გამოიწვია მოცემული საზოგადოების რეგისტრაციის კანონისმიერი გაუქმება.

ამგვარად, 1999 წლის 1 სექტემბრიდან ფაქტიურად და იურიდიულად აღარ არსებობდა ეს საზოგადოება და ამ პერიოდიდან სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ნებისმიერ 5 წევრს შეეძლო დაეფუძნებინა კავშირი, რომელსაც იურიდიულად არარსებული საზოგადოების წესდების მოთხოვნების დაცვა და გათვალისწინება არ ევალებოდა.

ახლად დაფუძნებული კავშირის რეგისტრაციისათვის აუცილებელი იყო წესდების შესაბამისობა კანონის მოთხოვნებთან, აგრეთვე, იურიდიული პირის მიზნები წინააღმდეგობაში არ უნდა ყოფილიყო მოქმედ სამართალთან, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებთან ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებთან (სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის 1 ნაწილი).

1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებულ კავშირს „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“ დაცული აქვს კავშირის რეგისტრაციისათვის საჭირო კანონის ყველა მოთხოვნა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 31-ე, 32-ე, 33-ე მუხლები, ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად გააჩნია სახელწოდება.

მოსარჩელე, კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“ რეგისტრაციაში გატარდა 2000 წლის 25 იანვარს, მაშინ, როდესაც კანონის მოთხოვნათა დაცვით ამგვარი სახელწოდებითა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით უკვე რეგისტრირებული იყო მოქალაქე და ამდენად, მოსარჩელის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ მოქალაქემ თვითნებურად მიიტვის მისი სახელწოდება, არ გამომდინარეობს საქმის ფაქტიური გარემოებიდან, პირიქით, ამგვარი პრეტენზია სამართლიანად გააჩნია უფრო ადრე – 1999 წლის 9 ნოემბერს, რეგისტრირებულ კავშირს, რომლის რეგისტრაციის შესახებ ცნობილი იყო მოსარჩელისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე, 389-ე, 257-ე მუხლებით

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

გაუქმდეს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

მოსარჩელეს – კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“

(რეგისტრირებული 2000 წლის 25 იანვარს) უარი ეთქვას სარჩელზე თბილისის კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 9 ნოემბრის დადგენილებით მომხდარი კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“ რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე უსაფუძვლობის გამო.

დაკმაყოფილდეს კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“ (რეგისტრირებული 1999 წლის 9 ნოემბერს) შეგებებული სარჩელი და გაუქმებულ იქნეს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 25 იანვრის დადგენილებით მომხდარი კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“ რეგისტრაცია.

გადანყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო საჩივრით საქართველოს უზენაეს სასამართლოში ერთი თვის ვადაში. მხარესათვის დასაბუთებული გადანყვეტილების ასლის გადაცემის დღიდან.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ 3კ\211-01

30 მარტი, 2001 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვალერი ხრუსტალი (თავმჯდომარე),
ლალი გოჩელაშვილი (მომხსენებელი),
მურმან ნიქვაძე

სხდომის მდივანი: ლ. სანიკიძე

კასატორი: კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“ (რეგისტრირებული 2000 წლის 25 იანვარს); წარმომადგენლები – ილია ბეგიაშვილი, გია ფირცხალავა

გასაჩივრებული განჩინება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 8 დეკემბრის გადანყვეტილება

კასატორის თხოვნა: გადანყვეტილების გაუქმება, ახალი გადანყვეტილების მიღება და ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილება

მონინააღმდეგე მხარე: კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზო-

გადოება" (რეგისტრირებული 1999 წლის 9 ნოემბერს); წარმომადგენელი – ავთანდილ სულაბერიძე

დავის საგანი (სარჩელის): რეგისტრაციის გაუქმება.

აღწერილობითი ნაწილი:

კავშირმა „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“ (რეგისტრირებული 2000 წლის 25 იანვარს) სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“ (რეგისტრირებული 1999 წლის 9 ნოემბერს) რეგისტრაციის გაუქმება იმ საფუძველით, რომ ერთი და იგივე სახელწოდებით სხვა იურიდიული პირის ფუნქციონირება მიზანშეუწონელია. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მას აქვს აღნიშნული სახელწოდებით სარგებლობის უპარატესი უფლება.

საქმის განხილვის პროცესში მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მოითხოვა მოსარჩელის რეგისტრაციის გაუქმება იმ საფუძველით, რომ საზოგადოების სახელით დაფუძნებულია შპს „სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება“, რომელსაც დაუქვემდებარა ადრე არსებულ კავშირში (რეგისტრირებული 1993 წელს) შემავალი მალაზიები. აღნიშნული საქმიანობა ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 35-ე მუხლის მოთხოვნებს.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა და გაუქმდა 2000 წლის 25 იანვარს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ რეგისტრირებული კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“.

სასამართლომ ძირითადი სარჩელის უარყოფასა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძველად დაუდო ის გარემოება, რომ მოსარჩელე არასწორად იქნა რეგისტრაციაში გატარებული, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, კერძოდ, ყრილობა ე.ი. სართო კრება ადრე მოქმედი ნებსების მიხედვით არ მოუწვევია ცენტრალურ საბჭოს; არ არჩეულა ყრილობის დელეგატები; ყრილობაზე მოსარჩელეს არ მოუწვევია მოპასუხე ორგანიზაციის წარმომადგენელი; კრებას არ ესწრებოდა საზოგადოების პრეზიდენტი ზ. გომართელი; კრების ოქმში მითითებული არ არის იურიდიული პირები „ცისკარი“ და შპს „სამრეწველო-სავაჭრო პალატა“, რომლებიც კავშირის დამფუძნებლები არიან.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება; მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომელითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა და გაუქმდა 2000 წლის 25 იანვარს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული

სასამართლოს მიერ რეგისტრირებული კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“. სასამართლომ სარჩელზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 31-33-ე მუხლები, ასევე, 26-ე მუხლი და მიიჩნია, რომ 1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებული კავშირი კანონის მოთხოვნათა დაცვითაა რეგისტრირებული, ხოლო 2000 წლის 25 იანვარს რეგისტრირებული კავშირი გააუქმა იმ საფუძველით, რომ ამავე სახელწოდების კავშირი უკვე რეგისტრირებული იყო და ეს ფაქტი ცნობილი იყო მოსარჩელესათვის.

საკასაციო საჩივრის ავტორი მოითხოვს აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმებას, ახალი გადაწყვეტილების მიღებას და სარჩელის დაკმაყოფილებას იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია. კასატორს მიაჩნია, რომ 2000 წლის 25 იანვარს რეგისტრირებული კავშირი აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 31-ე და 33-ე მუხლების მოთხოვნას და იგი არ უნდა გაუქმდეს, ხოლო მოწინააღმდეგე მხარე კანონდარღვევითაა რეგისტრირებული.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტით გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად საკმაოდ არ არის დასაბუთებული.

ამავე კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილით გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაარღვია რა აღნიშნულ ნორმათა მოთხოვნები, საქმეზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. კერძოდ, ძირითადი სარჩელის უარყოფისას სასამართლომ არ დაასაბუთა რატომ არის სარჩელი უსაფუძველო; სასარჩელო მოთხოვნას არ მისცა იურიდიული კვალიფიკაცია. კერძოდ, სასარჩელო მოთხოვნა კავშირის რეგისტრაციის გაუქმებაა, ხოლო სარჩელის საფუძველი კავშირის სახელწოდების კანონით დაცული უფლება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კავშირის რეგისტრაციას არეგულირებს სამოქალაქო კოდექსის 31-34-ე მუხლები. შესაბამისად, რეგისტრაციის გაუქმების საფუძველიც აღნიშნული ნორმებისა და ამავე კოდექსის 35-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევა უნდა იყოს, ხოლო არასამენარმეო იურიდიული პირის სახელწოდების შესახებ დავა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლით და იგი (სახელწოდება) არ შეიძლება რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი გახდეს. ამდენად, სასამართლომ, ისე რომ არ დააზუსტა დავის საგანი, საქმეზე მიიღო დაუსაბუ-

თებელი გადანყვეტილება.

რაც შეეხება შეგებებულ სარჩელს სასამართლომ არ განიხილა ის საფუძვლები, რაც მასში იყო მითითებული და სულ სხვა საფუძვლით დააკმაყოფილა იგი. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2000 წლის 25 იანვარს მოსარჩელე გატარდა რეგისტრაციაში, მაშინ როდესაც კანონის მოთხოვნათა დაცვით ამგვარი სახელწოდების კავშირი უკვე რეგისტრირებული იყო და ეს ფაქტი ცნობილი იყო მისთვის. ე.ი. შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად სასამართლომ მიუთითა კავშირის სახელწოდება და არ გამოიკვლია ის გარემოებები, რაც შეგებებულ სარჩელშია მითითებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, რადგან მოცემულ საქმეზე დასადგენი და გამოსაკვლევი საქმის ფაქტობრივი გარემოებები. საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ უნდა დააზუსტოს სარჩელის მოთხოვნა; განიხილოს შეგებებული სარჩელის საფუძვლები და მასთან დაკავშირებით დამატებით გამოიკვლიოს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებანი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტით, 412-ე მუხლით და

დ ა ა დ ვ ი ნ ა:

კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 8 დეკემბრის გადანყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შესაბამის პალატას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



გ ა ლ ა ნ ე ყ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№2ბ-1237

25 ივნისი, 2001წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმოო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ.ჭყონია (თავმჯდომარე),
ხ.არევაძე,
მ.ფარცვანია

ე.ბულაძის მდივნობით

აპელანტი: „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“ ვიცეპრეზიდენტი ი.ბეგიაშვილი და გ.ფირცხალავა
შონინაალმდეგე მხარე: საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება – სულაბერიძე; წარმომადგენელი – შ.ძინძიბაძე

განიხილა კავშირი – საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი ვია ფირცხალავას სააპელაციო საჩივარი კრწანისი-მთან-მინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებაზე.

ა ლ ნ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა ნ ი ლ ი :

2002 წლის 6 მარტს კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს სარჩელით მიმართა კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“ პრეზიდენტმა ზ.გომართელმა, რომელშიც განმარტა, რომ მათი საზოგადოება 1993 წლის 25 ივნისს რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ. 1991 წლის 1 სექტემბრიდან საზოგადოება ფუნქციონირებდა როგორც არარეგისტრირებული კავშირი სამოქალაქო კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად, ხოლო 2000 წლის 25 იანვარს იგი რეგისტრაციაში გატარდა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში როგორც კავშირი. რეგისტრაციის დადგენილებაში მითითებულია, რომ კავშირი არის დამოუკიდებელი საზოგადოების სამართალმემკვიდრე. მოსარჩელის განმარტებით, მათთვის ცნობილი გახდა, რომ 1999 წლის 9 ნოემბერს კრწანისი-მთანმინდის რაიონულ სასამართლოს რეგისტრაციაში გაუტარებია იურიდიული პირი მათი სახელწოდებით, კერძოდ „საქართველოს დემოგრაფიუ-

ლი საზოგადოება". მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მათი სახელწოდებით სხვა იურიდიული პირის ფუნქციონირება მიზანშეუწონელია. სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლისა და მენარმეთა შესახებ კანონის მე-5 მუხლის თანახმად მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხე „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“ 1999 წლის 9 ნოემბრის რეგისტრაციის გაუქმება.

მოპასუხე საზოგადოებამ შეგებებული სარჩელით მოითხოვა მოსარჩელე საზოგადოების 2000 წლის 25 იანვრის რეგისტრაციის გაუქმება იმ მოტივით, რომ ისინი რეგისტრაციაში გატარდნენ კანონის დარღვევით და დოკუმენტების გაყალბების გზით, ასევე მოპასუხე საზოგადოებამ მოითხოვა საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების სამართალმემკვიდრედ ცნობა.

2000 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ძირითადი სარჩელი და დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი და გაუქმდა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ 2000 წლის 25 იანვარს კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“ რეგისტრაცია, იმ მოტივით, რომ მოსარჩელე ორგანიზაციის რეგისტრაციამდე უკვე არსებობდა მოპასუხე ორგანიზაციის რეგისტრაცია, მოსარჩელის მიერ მონეული ყრილობა და კრება არ იყო ჩატარებული ადრე მომქმედი წესდების მიხედვით. აღნიშნულ კრებაზე დამტკიცებული იქნა ახალი წესდება, რითაც საზოგადოებამ არასწორად მოიპოვა რეგისტრაცია მოთხოვნის უფლება და დაირღვა სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები. მოსარჩელემ უგულვებლყო 1993 წლის 25 ივნისის №13/44 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დადგენილებით რეგისტრირებული საზოგადოების მოთხოვნები ისე გატარდა რეგისტრაციაში.

მოსარჩელე ორგანიზაციამ სააპელაციო წესით მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება.

2000 წლის 8 დეკემბერს სააპელაციო პალატამ მოტივაციის შესწავლის გამო გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და იმავე სარეზოლუციო ნაწილით მიიღო ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

1993 წელს მოსარჩელე (აპელანტი) ორგანიზაცია რეგისტრირებული იქნა როგორც არაკომერციული იურიდიული პირი. სამოქალაქო კოდექსის 1511-ე მუხლის თანახმად ასეთი იურიდიული პირები ექვემდებარებოდნენ ხელახალ რეგისტრაციას 1999 წლის 1 სექტემბრამდე, რაც არ მომხდარა, ამდენად მოხდა საზოგადოების რეგისტრაციის კანონისმიერი გაუქმება.

მოპასუხე ორგანიზაცია რეგისტრაციაში გატარდა სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად და დაცული იქნა 26-ე მუხლი. რის გამოც სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ ჩათვალა მოსარჩელის პრეტენზია სახელწოდების მითვისების შესახებ. ეს პრეტენზია სამართლიანია უფრო ადრე რეგისტრირებული ორგანიზაციისათვის.

2001 წლის 30 მარტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით გაუქმდა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო პალატას შემდეგი მოტივებით:

სააპელაციო სასამართლომ არ დაასაბუთა თუ რატომ არის სარჩელი უსაფუძვლო, არ მისცა სასარჩელო მოთხოვნას იურიდიული კვალიფიკაცია, არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სახელწოდება არ შეიძლება გახდეს რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი. ასევე არ იქნა დაზუსტებული შეგებებული სარჩელის საფუძველები და სასამართლომ სულ სხვა საფუძველით დააკმაყოფილა იგი, ისე რომ არ დააზუსტა მოთხოვნები.

სააპელაციო საჩივრის ხელახლა განხილვისას აპელანტმა და მონინაალმდევე მხარემ დააზუსტეს თავინათი მოთხოვნები, კერძოდ, აპელანტმა მოითხოვა რეგისტრაციის გაუქმება არა სახელწოდების უკანონოდ მითვისების გამო, არამედ ორგანიზაციის რეგისტრაციის დაშვებული კანონის დარღვევების გამო, ხოლო მონინაალმდევე მხარემ ყურადღება კვლავ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მათი რეგისტრაცია მომხდარა მოსარჩელე ორგანიზაციაზე ადრე და ამ უკანასკნელმა მიითვისა უკვე დარეგისტრირებული ორგანიზაციის სახელწოდება, რაც რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლომ მოისმინა მხარეთა დაზუსტებული მოთხოვნები, შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება როგორც ფაქტობრივი ისე სამართლებრივი საფუძველებით და მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ იქნა დაზუსტებული მოსარჩელის მოთხოვნა, რომელსაც საფუძველად ედო სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლით დაცული უფლების დარღვევა და "მენარმეთა შესახებ" კანონის 5-ე მუხლიდან გამომდინარე სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლის დარღვევა მოპასუხის რეგისტრაციის დროს.

2. ასევე არ იქნა დაზუსტებული მოპასუხის შეგებებული სარჩელი, რომელშიც ითხოვდნენ მოსარჩელე ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმებას და საქართველოს დემოკრატიული საზოგადოების სამართალმემკვიდრედ ცნობას ამ მეორე მოთხოვნაზე საერთოდ არ იმსჯელა სასამართლომ.

3. შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლი და მიიჩნია, რომ მოსარჩელე საზოგადოებამ არასწორად მოიპოვა რეგისტრაციის უფლება, სასამართლო მსჯელობისას დაეყრდნო თავის მოსაზრებებს და არ უმსჯელია შეგებებული სარჩელის მოთხოვნებზე და მასში მითითებულ გარემოებებზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, არ ემყარება საპროცესო კანონის მოთხოვნებს, მითითებული არ არის გარემოებები, რომლებიც დადგენილად ცნო სასამართლომ და შეფასებული არ არის მტკიცებულებანი, რომლებიც გახდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მიღების საფუძველი. ამდენად იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად უნდა გაუქმდეს.

სააპელაციო სასამართლომ განიხილა მოსარჩელე ორგანიზაციის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა, რომელიც დაეფუძნა იმ გარემოებას, რომ

1999 წლის 9 ნოემბერს კონანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს მიერ განხორციელდა მოპასუხე ორგანიზაციის რეგისტრაცია არ შეესაბამება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არაკომერციული იურიდიული პირის კავშირის რეგისტრაციას, რადგან მოსამართლეს რეგისტრაციის საფუძველად მითითებული აქვს "მენარმეთა შესახებ" კანონის მე-4 და მე-5 მუხლები და განახორციელა სანარმოს რეგისტრაცია, საქმიანობის საგანში მითითებულია, რომ კავშირი ეწევა დამხმარე ხასიათის სამენარმეო საქმიანობას კავშირის მიზნების განსახორციელებლად, აგრეთვე ნებისმიერ სხვა სამენარმეო საქმიანობას, რომელიც არ იკრძალება კანონით, მათ შორის ისეთ საქმიანობას, რომელიც არ იკრძალება კანონით, ასეთი ლიცენზიის აულების შემდეგ.

სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის თანახმად თუკი კავშირი არსებითად გადავიდა სამენარმეო საქმიანობაზე ეს მისი რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია. სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ "მენარმეთა შესახებ" კანონის მე-4, მე-5 მუხლების თანახმად განხორციელებული სანარმოს უპირველესი ნიშანი არის მისი კომერციული ხასიათი (მოგების მიზნით შექმნილი სანარმო, იურიდიული პირი) და სანამ არსებობს რეგისტრაცია, არსებობს კომერციული საქმიანობით დაკავებული სანარმოს პრეზუმფცია მენარმეთა შესახებ კანონის 5-8-ე მუხლების თანახმად. საქმის მასალებით და თვით მოპასუხე ორგანიზაციის განმარტებით იგი არის სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი არაკომერციული იურიდიული პირი, რაც არ გამოდინარეობს სადავო რეგისტრაციის დადგენილებიდან.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად განხორციელდა რეგისტრაცია, რომელიც უნდა განხორციელებულიყო და 35-ე მუხლის თანახმად იგი უნდა გაუქმდეს. რაც შეეხება შეგებებულ სასარჩელო მოთხოვნას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის I ნაწილით სასამართლოში სარჩელი იურიდიული პირის მიმართ შეიტანება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით, ანუ იურიდიული მისამართის მიხედვით. მოსარჩელე ორგანიზაცია რეგისტრაციაში გატარდა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში 2000 წლის 25 იანვარს, ხოლო შეგებებული სარჩელი წარდგენილი იქნა კონანისი-მთანმინდის რაიონულ სასამართლოში. ამას გარდა შეგებებული სარჩელი თავისი ბუნებითა და შინაარსით არ აკმაყოფილებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლს, თუმცა სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საკითხი მოსარჩელე მხარის მიერ სადავოდ არ გამხდარა, არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ, მონინაალმდეგე, მხარის მიერ შეგებებული სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლი არ შეიძლება იყოს კავშირის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი. სხვა სამართლებრივი საფუძველი მონინაალმდეგე მხარის მიერ, გარდა ერთი ზემოაღნიშნული მუხლისა, ვერ იქნა მითითებული, ამდე-

ნად სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მათი მოთხოვნა დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე, 397-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. დაკმაყოფილდეს კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების (პრეზიდენტი გომართელი) სააპელაციო საჩივარი.

გაუქმდეს კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

2. დაკმაყოფილდეს „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“ სარჩელი. გაუქმდეს კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“ 1999 წლის 9 ნოემბრის კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს მიერ განხორციელებული დემოგრაფიული საზოგადოების (პრეზიდენტი გომართელი) შეგებებული სარჩელი.

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ერთი თვის ვადაში მხარისათვის მისი ჩაბარების დღიდან.



გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3კ/939-01

28 ნოემბერი, 2001 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო,

სამენარშეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მურმან ნიქვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლალი გოჩელაშვილი,

როზა ნადირიანი,

სხდომის მდივანი: ლელა სანიკიძე

კასატორი: 1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებული კავშირი „საქარ-

თველოს დემოგრაფიული საზოგადოება" (მოქასუხე); წარმომადგენელი – ა. სულაბერიძე, მ. ასანიძე

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება

კასატორის თხოვნა: ამ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და მის მიერ შეტანილი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

მონინალმდევე მხარე – 2000 წლის 25 იანვარს რეგისტრირებული კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“ (მოსარჩელე); წარმომადგენელი – ბეგიაშვილი, ფირცხაეალავა

სარჩელის საგანი: კავშირის რეგისტრაციის გაუქმება

შეგებებული სარჩელის საგანი: კავშირის რეგისტრაციის გაუქმება

ა ღ ნ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა ნ ი ლ ი:

2000 წლის 25 იანვარს რეგისტრირებულმა კავშირმა „საქართველოს დემოგრაფიულმა საზოგადოებამ“ 1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებული კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“ წინააღმდეგ სარჩელით მიმართა სასამართლოს.

მოსარჩელემ მოითხოვა მოქასუხის სასამართლო რეგისტრაციის გაუქმება იმ საფუძველით, რომ მას გააჩნდა ამ სახელით სარგებლობის უპირატესი უფლება და ერთი და იგივე სახელწოდებით ორი იურიდიული პირის ფუნქციონირება მიზანშეუწონელი იყო.

საქმის განხილვის პროცესში მოქასუხემ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოსარჩელის სასამართლო რეგისტრაციის გაუქმება იმ საფუძველით, რომ საზოგადოების სახელით დაფუძნებულია შპს „სამრეწველო სავაჭრო გაერთიანება“, რომელსაც დაექვემდებარა 1993 წელს რეგისტრირებული კავშირი და მასში შემავალი მაღაზიები. აღნიშნული საქმიანობა ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის მეორე ნაწილსა და 35-ე მუხლის მოთხოვნებს.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა და გაუქმდა 2000 წლის 25 იანვარს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ რეგისტრირებული კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“.

გადაწყვეტილებას საფუძველად დაედო ის გარემოება, რომ მოსარჩელე არასწორად იქნა რეგისტრაციაში გატარებული, რითაც დაირღვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, კერძოდ, ყრილობა, ე.ი. საერთო კრება ცენტრალურ საბჭოს ადრე მოქმედი წესების მიხედვით არ მოუწვევია; არ აურჩევიათ ყრილობის დელეგატები; ყრილობაზე მოსარჩელეს არ მოუწვევია მოქასუხე ორგანიზაციის წარმო-

მადგენელი; კრებას არ ესწრებოდა საზოგადოების პრეზიდენტი ზ. გომართელი; კრების ოქმში მითითებული არ იყვნენ კავშირის დამფუძნებელი იურიდიული პირები: „ცისკარი“ და შპს „სამრეწველო სავაჭრო პალატა“.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა. დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი, გაუქმდა 2000 წლის 25 იანვარს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ რეგისტრირებული კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“.

სასამართლომ სარჩელზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძვლად მიიჩნია სამოქალაქო კოდექსის 31-33-ე მუხლები, ასევე – 26-ე მუხლი და მიუთითა, რომ 1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებული კავშირი კანონის მოთხოვნათა დაცვითაა რეგისტრირებული, ხოლო 2000 წლის 25 იანვარს რეგისტრირებული კავშირი გაუქმდა იმ საფუძველით, რომ ამავე სახელწოდების კავშირი უკვე რეგისტრირებული იყო, ხოლო ფაქტი – მოსახლეობისათვის ცნობილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 30 მარტის განჩინებით 2000 წლის 25 იანვარს რეგისტრირებული კავშირის, „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს 2000 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს შესაბამის პალატას.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს დარღვეული ჰქონდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის, 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები და საქმეზე მიღებული იყო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რაც იმაში გამოიხატა, რომ სარჩელის უარყოფისას სასამართლომ არ დაასაბუთა, რატომ იყო სარჩელი უსაფუძვლო; სასარჩელო მოთხოვნას არ მისცა იურიდიული კვალიფიკაცია. კერძოდ, სასარჩელო მოთხოვნა კავშირის რეგისტრაციის გაუქმება იყო, ხოლო სარჩელის საფუძველი – კავშირის სახელწოდების კანონით დაცული უფლება. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კავშირის რეგისტრაციას არეგულირებდა სამოქალაქო კოდექსის 31-34-ე მუხლები. რეგისტრაციის გაუქმების საფუძველიც შესაბამისად აღნიშნული ნორმებისა და ამავე კოდექსის 35-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევა უნდა ყოფილიყო. არასამენარმეო იურიდიული პირის სახელწოდების შესახებ დაეა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლით და იგი არ შეიძლება რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი იყოს.

საკასაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ განიხილა შეგებებული სარჩელის საფუძველები და სულ სხვა საფუძველით დააკმაყოფილა იგი. შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითა კავშირის სახელწოდებაზე (მოსარჩევე რეგისტრაცია-

ში გატარდა 2000 წლის 25 იანვარს, მაშინ, როცა 1999 წლის 9 ნოემბრიდან უკვე ფუნქციონირებდა ამავე სახელწოდების კავშირი) და არ გამოიკვლია ის გარემოებები, რაც შეგებებულ სარჩელში იყო მითითებული.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით გაუქმდა ამ საქმეზე რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და მიღობულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით გაუქმდა 1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებული კავშირი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“.

არ დაკმაყოფილდა 1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებული კავშირის, „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“, შეგებებული სარჩელი 2000 წლის 25 იანვარს რეგისტრირებული კავშირის, „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“, სასამართლო რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის ხელახალი განხილვის დროს მხარეებმა დააზუსტეს თავიანთი მოთხოვნები: 2000 წლის 25 იანვარს რეგისტრირებულმა კავშირმა მოითხოვა რეგისტრაციის გაუქმება არა სახელწოდების უკანონოდ მითვისების გამო, არამედ ორგანიზაციის რეგისტრაციის დარღვევის გამო, ხოლო 1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებულმა კავშირმა რეგისტრაციის გაუქმება მოითხოვა იმ საფუძველით, რომ მათი ორგანიზაციის რეგისტრაცია მოხდა უფრო ადრე, ვიდრე მოსარჩელისა და 2000 წლის 25 ნოემბერს რეგისტრირებულმა კავშირმა მითვისა უკვე დარეგისტრირებული კავშირის სახელწოდება, რაც რეგისტრაციის გაუქმების საფუძველად მიიჩნდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ 1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებული კავშირის რეგისტრაციისას მითითებული იყო, რომ კავშირი ენეოდა დამხმარე ხასიათის სამენარმეო საქმიანობას კავშირის მიზნების განსახორციელებლად, აგრეთვე, ნებისმიერ სხვა სამენარმეო საქმიანობას, რომელიც არ იკრძალებოდა კანონით, მათ შორის ისეთ საქმიანობას, რომელიც არ იკრძალებოდა კანონით ლიცენზიის ალების შემდეგ. ამასთან, რეგისტრაციის საფუძველად სასამართლოს მითითებული ჰქონდა „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-4 და მე-5 მუხლებზე. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად რეგისტრირებული საზოგადოების უპირველესი ნიშანია მისი კომერციული ხასიათი და სანამ იარსებებდა ასეთი სახის რეგისტრაცია, არსებობდა კომერციული საქმიანობით დაკავებული სანარმოს პრეზუმპცია, მაშინ, როცა თვით მოპასუხის განმარტებით, იგი არის სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი არაკომერციული იურიდიული პირი, მაგრამ აღნიშნული გარემოება არ გამომდინარეობდა სადავო რეგისტრაციის დადგენილებიდან, ამიტომ სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 235-ე მუხლის თანახმად მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი გახდებოდა, თუ კავშირი არსებითად გადავიდოდა სამენარმეო საქმიანობაზე, მისი რეგისტრაცია მითითებული კანონის შესაბამისად არც უნდა განხორციელებული-

ყო, ხოლო ასეთი სახით რეგისტრაცია გაუქმებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მოქალაქემ შეგებებულ საარჩელის დაზუსტებით 2000 წლის 25 იანვარს რეგისტრირებული კავშირის რეგისტრაციის გაუქმება მოითხოვა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის საფუძველზე, რაც რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს არ წარმოადგენდა.

2001 წლის 1 აგვისტოს 1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებულმა კავშირმა „საქართველოს დემოკრაფიული ფონდმა“ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

კასატორმა მოითხოვა მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და თავისი ძველებული სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველით:

1. სააპელაციო სასამართლომ 1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებული კავშირის რეგისტრაციის გაუქმებას საფუძველად დაუდო ის გარემოება, რომ იგი სასამართლოში რეგისტრირებული იყო მენარმეთა შესახებ კანონის მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად. სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის შესაბამისად, თუ კავშირი არსებითად გადავიდოდა სამენარმეო საქმიანობაზე, ეს შიში რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი გახდებოდა, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია, ხომ არ იყო დაშვებული ტექნიკური შეცდომა რეგისტრაციის დადგენილებაში. ფაქტობრივად კავშირი ასრულებდა თუ არა სამენარმეო საქმიანობას. 1999 წლის 9 ნოემბრის რეგისტრაციის დადგენილება გასწორებულ იქნა 2000 წლის 9 ივლისის სასამართლოს განჩინებით და რეგისტრაციის საფუძველად მიეთითა სამოქალაქო კოდექსის 31-33-ე მუხლებზე. სააპელაციო სასამართლომ მითითებული საკითხები არ გამოიკვლია, მას კი ამ საკითხის გამოკვლევის გარეშე უფლება არ ჰქონდა გადაეწყვიტა 1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებული კავშირის რეგისტრაციის გაუქმების საკითხი.

2. სააპელაციო სასამართლომ ამ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს დაუშვა შეცდომა, როცა გადაწყვეტილების ერთი პუნქტით დააკმაყოფილა კავშირი „საქართველოს დემოკრაფიული საზოგადოების“ (პრეზიდენტი – გომართელი) სააპელაციო საჩივარი, ხოლო მომდევნო პუნქტით არ დააკმაყოფილა კავშირი „საქართველოს დემოკრაფიული საზოგადოების“ (პრეზიდენტი – გომართელი) შეგებებული სარჩელი.

3. კასატორმა საკასაციო საჩივარში ასევე მიუთითა სხვა გარემოებებზე (2000 წლის 25 იანვარს რეგისტრირებულ კავშირს თავის განცხადებაში არ ჰქონდა ჩამოყალიბებული მოთხოვნა, კერძოდ სამართალმემკვიდრეობას, თუ ხელახალ რეგისტრაციას ჰქონდა ადგილი; კავშირის პრეზიდენტად ფორმალურად ითვლება გომართელი; რომ სამართალმემკვიდრეებად შეიძლება ჩათვლილიყვნენ მხოლოდ 1993 წელს რეგისტრირებული საზოგადოების დამფუძნებლები, რაც უნდა გადაწყვეტილიყო ყრილობაზე; არ ჩატარებულა რაიონული ორგანიზაციების კონფერენციები და სხვა), რომლებიც სააპელაციო სასამართლოში არ დაუყენებია და მოითხოვა ამ გარემოებათა დასადასტურებლად მოწმეთა დაკითხვა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი :

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის ფარგლებში გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა განმარტებები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის შესაბამისად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონინალმდეგე მხარე თანახმა იქნება ამაზე ან სააპელაციო სასამართლო ამას მიზანშეწონილად ცნობს. ამავე კოდექსის 224-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოსარჩელის მიერ სარჩელის საფუძვლისა თუ საგნის შეცვლის ან სასარჩელო მოთხოვნის გადიდების შემთხვევაში სასამართლო ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი წესით, ხოლო 83-ე მუხლის მე-4 ნაწილით სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული ვარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე, სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება.

მოცემულ შემთხვევაში 1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებულმა კავშირმა სააპელაციო საჩივრის განხილვის დროს 2000 წლის 25 იანვარს რეგისტრირებული კავშირის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველად მიუთითა, მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის დარღვევაზე (არასამენარმეო იურიდიული პირის სახელი). შეგებულ სარჩელში მის მიერ დაყენებული სხვა საფუძვლები, რომლითაც მოითხოვდა 2000 წლის 25 იანვარს რეგისტრირებული კავშირის რეგისტრაციის გაუქმებას მოხსნა, რისი უფლებაც მას ჰქონდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისას. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრობითობის საფუძველზე. მხარეები თვითონვე განსაზღვრვენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

მოცემულ შემთხვევაში 1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებულმა კავშირმა 2000 წლის 25 იანვარს რეგისტრირებული კავშირის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველად სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს აიჩნია ის გარემოება, რომ 2000 წლის 25 იანვარს რეგისტრირებულ კავშირს სახელწოდებად არჩეული ჰქონდა „საქართველოს დემოკრაფიული საზოგადოება“ და ამის უფლება არ გააჩნდა მას, ვინაიდან მათი კავშირი, 1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებული კავშირი „საქართველოს დემოკრაფიული საზოგადოება“, უფრო ადრე იყო რეგისტრირებული. აღნიშნულის გამო, სააპელაციო სასამართლოს 2000 წლის 25 იანვარს რეგისტრირებული კავშირი რეგისტრაციის გაუქმების სხვა საფუძვლები არ განუხილავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-გან-

მარტების მიმართ, რომელიც ასახულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ან საქმის მასალებში. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან 1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებულ კავშირს სააპელაციო სასამართლოში საკასაციო საჩივარში მითითებული საფუძვლებით არ მოუთხოვია 2000 წლის 25 ნოემბერს რეგისტრირებული კავშირის რეგისტრაციის გაუქმება, საკასაციო საჩივარში მითითებულ ამ საფუძვლებს საკასაციო სასამართლო ვერ განიხილავს და ვერ დაუდებს საფუძვლად 2000 წლის 25 ნოემბერს რეგისტრირებული კავშირის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნას, რადგანაც ეს საკითხები სააპელაციო სასამართლოში არ განიხილულა. ასევე არასწორი და უსაფუძვლო კასატორის მოთხოვნა საკასაციო სასამართლოში მოწმეთა დაკითხვის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავ კოდექსის 406-ე მუხლის შესაბამისად დავის საგნის შეცვლა ან გადიდება საკასაციო სასამართლოზე დაუშვებელია. საკასაციო სასამართლო არ ახდენს ფაქტების გამოკვლევას, მოწმეთა დაკითხვას. 408-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად საკასაციო პალატა ისმენს მხარეთა განმარტებებს საჩივრის მიმართ. საქმეში არსებული მასალების შესაბამისად მათ ეძლევათ საშუალება თავიანთი განცხადების დასასაბუთებლად. ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, არასწორია კასატორის მოთხოვნა მოწმეთა დაკითხვის შესახებ.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად უთხრა უარი 1999 წლის 9 ნოემბრის რეგისტრირებულ კავშირს 2000 წლის 25 იანვარს რეგისტრირებული კავშირის რეგისტრაციის გაუქმებაზე სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის საფუძვლებზე.

ამ მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე არასამენარმეო იურიდიულ პირს აქვს სახელწოდება. ამავ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობს სხვა იურიდიული პირის სახელწოდებით, ვალდებულია, უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტოს ეს სარგებლობა და ანაზღაუროს მართლსაწინააღმდეგო სარგებლობით გამოწვეული ზიანი. მითითებული მუხლი სახელის მართლსაწინააღმდეგო სარგებლობისათვის ამ იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმებას არ ითვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში სახელით მართლსაწინააღმდეგო მოსარგებლე პირი ვალდებულია, უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტოს ეს სარგებლობა და ანაზღაუროს სარგებლობით გამოწვეული ზიანი. აღნიშნული გარემოება არ ნიშნავს რეგისტრაციის გაუქმების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ, სწორად არ დააკმაყოფილა 1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებული კავშირის სარჩელი ზემოთმითითებული საფუძვლით 2000 წლის 25 იანვარს რეგისტრირებული კავშირის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სწორია კასატორის მოთხოვნა, 1999

წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებული კავშირის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ 1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებული კავშირის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 31-ე და 35-ე მუხლების მოთხოვნების დარღვევაზე. კერძოდ, მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის თანახმად, თუკი კავშირი არსებითად გადავიდა სამენარმეო საქმიანობაზე, ეს მისი რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მითითებული კავშირის რეგისტრაციიდან არ გამოძინდნარება, რომ იგი სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი არაკომერციული იურიდიული პირი იყო. ანტიტომ სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე რეგისტრაცია გაუქმებას ექვემდებარებოდა.

სამოქალაქო კოდექსის 31.2-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება არსებობს მაშინ, როცა წესდება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და რეგისტრაციისათვის წარდგენილი იურიდიული პირის მფლობელი არ ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს. აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს. ამავე კოდექსის 35-ე მუხლის შესაბამისად სასამართლომ უნდა ვააუქმოს რეგისტრაცია, თუ კავშირი ან ფონდი არსებითად გადავიდა სამენარმეო საქმიანობაზე, ან თუ წესდებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელება შეუძლებელი ხდება.

სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის შესაბამისად რეგისტრაციის გაუქმების საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 348-ე მუხლის შესაბამისად. ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ საწარმო რეესტრში მოხდება რეგისტრაცია, რომელიც მნიშვნელოვანი მიზეზის გამო არ უნდა მომხდარიყო, სასამართლოს, რომელმაც ასეთი რეგისტრაცია მოახდინა, შეუძლია გამოიტანოს განჩინება და თავისი ინიციატივით ამოძალოს იგი. რეგისტრაციის გაუქმება ხდება შესაბამისი განმარტების შეტანით. ამავე მუხლის მეორე ნაწილით განჩინების გამოტანამდე სასამართლომ უნდა შეატყობინოს სათანადო პირს რეგისტრაციის ამოშლის განზრახვის შესახებ და მისცეს მას ვადა შესაბამისი მოქმედების შესასრულებლად.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ გააუქმა რა 1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებული კავშირი, დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 348-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა – რეგისტრაციის გაუქმების გადაწყვეტილების მიღებამდე არ შეატყობინება სათანადო პირს რეგისტრაციის შესაძლო გაუქმების შესახებ და არ მისცა მას ვადა ხარვეზის შესავსებად. ამ საპროცესო მოქმედების განხორციელების გარეშე უფლება არ ჰქონდა სააპელაციო სასამართლოს რეგისტრაცია გაუქმებინა.

გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის შესაბამისად, როცა სასამართლო ამ ნიშნის მიხედვით გადაწყვეტს რეგისტრაციის გაუქმებას, უნდა გაითვალისწინოს ისიც, რომ რეგისტრაციის გაუქმება მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როცა ეს ორგანიზაცია არსებითად გადავიდა სამენარმეო საქმიანო-

ბაზე (კავშირის პრინციპულად აქვს კომერციული საქმიანობის განხორციელების უფლება. ასეთი საქმიანობით მიღებული შემოსავალი მათ მიზნებს უნდა ამართლებდეს). აღნიშნულს კი მაშინ ექნება ადგილი, როცა დადგინდება, რომ სამენარმეო საქმიანობით მიღებული მოგება კავშირის სექტორს შიგნით ნაწილდება: მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია, რომ კავშირი არსებითად გადავიდა სამენარმეო საქმიანობაზე. უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლოს ისიც კი არ დაუდგენია, კავშირის წესდებაში მითითებული სამენარმეო საქმიანობა კავშირისათვის დასაშვებ საქმიანობად შეიძლება ჩათვლილიყო, თუ არა და თუ არ ჩაითვლებოდა, რა ნიშნით.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად კი გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონი დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარის დასაბუთებული. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია, კავშირი არსებითად გადავიდა თუ არა სამენარმეო საქმიანობაზე, არ მიუცია ვადა კავშირისათვის მის მიერ ხარეზად დაგულებული გარემოების შესავსებად და არც კი დაუდგენია, წესდებით გათვალისწინებული კომერციული საქმიანობის განხორციელების უფლება რა დოზით სცილდებოდა კავშირისათვის დაშვებულ საქმიანობას. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში დაუსაბუთებელია.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ ვ ი ნ ა:

1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებული კავშირის „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება 1999 წლის 9 ნოემბერს რეგისტრირებული კავშირის „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების“ რეგისტრაციის გაუქმების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შესაბამის პალატას.

დანარჩენ ნაწილში მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ 2001 წლის 25 ივნისის მიღებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი*

მიღებულია - 26.06.1997წ., ძალაშია - 25.11.1997წ-დან

წიგნი პირველი

.....>

პირი პირველი

პირები

თავი პირველი

ფიზიკური პირები

.....>

მუხლი 18. პირადი არაქონებრივი უფლებები

1. ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმწიფის მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე.

2. პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება. იგივე წესი გამოიყენება ფაქტობრივი მონაცემების არასრულად გამოქვეყნებისათვის, თუკი ამით ილახება პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია.

3. თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.

4. პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში.

5. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა მისი გამოსახულება (ფოტოსურათი,

* ამონარიდი

კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკეპირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკეპილულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან. სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

< . . . >

თავი მეორე

I. იურიდიული პირები

ზოგადი დებულებანი

< . . . >

მუხლი 26. არასამენარმეო იურიდიული პირის სახელწოდება

1. არასამენარმეო იურიდიულ პირს აქვს სახელწოდება, რომელშიც აღინიშნება მისი ორგანიზაციულ-საძარტლებრივი ფორმა. სამემარმეო იურიდიული პირის საფირმო სახელწოდება წესრიგდება კანონით მენარმეთა შესახებ.

2. პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობს სხვა იურიდიული პირის სახელწოდებით, ვალდებულია უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტოს ეს სარგებლობა და აანაზღაუროს მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობით გამოწვეული ზიანი.

3. იურიდიული პირის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება მე-18 მუხლის წესები.

II. საერთო ნორმატიული აქტებისა და ფონდის შესახებ

მუხლი 31. კავშირისა და ფონდის რეგისტრაცია

1. კავშირის რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო, ხოლო ფონდი - იუსტიციის სამინისტრო.

2. რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება არსებობს მაშინ, როცა წესდება შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და რეგისტრაციისათვის წარდგენილი იურიდიული პირის მიზნები არ ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს. ფონდის შემთხვევაში ქონება უნდა მიესადაგებოდეს დასახულ მიზნებს.

3. რეგისტრაციისათვის აუცილებელია ყველა დამფუძნებლისა და გამგეობის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი განცხადება და წესდება. კავშირის რეგისტრაციისათვის აუცილებელი მასალები წარედგინება კავშირის ადგილსამყოფლის მიხედვით არსებულ სასამართლოს.

4. სასამართლომ გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ უნდა მიიღოს ერთი თვის ვადაში განცხადების შეტანის დღიდან. თუ ამ ვადაში გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, რეგისტრაცია განხორციელებულად ჩაითვლება. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც რეგისტრაციას ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო.

5. რეგისტრაციაზე უარი უნდა იყოს დასაბუთებული და ითვალისწინებდეს გასაჩივრების შესაძლებლობასა და წესს. უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 32. კავშირისა და ფონდის წესდება

1. კავშირისა და ფონდის ორგანიზაცია და სტრუქტურა წესრიგდება წესდებით.

2. წესდება უნდა შეიცავდეს:

ა. საქმიანობის მიზნებს;

ბ. სახელწოდებას;

გ. ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს);

დ. ქოხების ლიკვიდაციისა და განაწილების წესს;

ე. კავშირის ან ფონდის დამფუძნებლების, შემომწირველების, გამგეობის ყველა წევრის სახელს, გვარს, დაბადების თარიღსა და ადგილს, პროფესიასა და საცხოვრებელ ადგილს, გამგეობის სხდომების დანიშვნისა და მათზე გადაწყვეტილებების მიღების წესებს;

ვ. კავშირის წევრთა უფლებამოსილებას.

3. წესდება შეიძლება შეიცავდეს სხვა მონაცემებსაც, სახელდობრ:

- ა. მმართველობისა და კონტროლის სხვა ორგანოების ფუნქციებს;
 - ბ. კავშირის წევრთა კრების უფლებამოსილებას.
4. ფონდის წესდება, ამ მუხლის მეორე ნაწილში მოცემულის გარდა, უნდა შეიცავდეს:
- ა. შესანიშნავის მინიმალურ ოდენობასა და სახეს;
 - ბ. მითითებებს თანხის გამოყენების შესახებ.
5. წესდება უნდა დამონმდეს სანოტარო წესით.

მუხლი 33. რეგისტრაციის მონაცემები

1. კავშირისა და ფონდის რეგისტრაციის დოკუმენტი შეიცავს შემდეგ მონაცემებს: იურიდიული პირის სახელწოდებასა და ადგილსამყოფელს, საქმიანობის მიზანს, წესდების მიღების თარიღს, დამფუძნებლების ვინაობას, გამგეობის წევრთა ვინაობასა და მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესაძლო შეზღუდვებს.

2. რეგისტრაციის მონაცემები უნდა გამოქვეყნდეს.

3. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს რეესტრის ჩანაწერებს და მოითხოვოს წერილობითი ამონაწერები.

< . . . >

მუხლი 35. სახელმწიფო კონტროლი კავშირისა და ფონდის საქმიანობაზე

სასამართლომ (იუსტიციის სამინისტრომ) უნდა გააუქმოს რეგისტრაცია, თუ კავშირი ან ფონდი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, ან თუ წესდებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელება შეუძლებელი ხდება.

< . . . >

კარი მესამე

უფლების განხორციელება

მუხლი 115. უფლების გორტად გამოყენების დაუშვებლობა

სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიაღგეს სხვას.

< ... >

ნიგნი მესამე ვალდაულებითი სამართალი

< ... >

კარი მეოთხე ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

< ... >

მუხლი 413. ზიანის ანაზღაურება არაქმნებრივი ზიანისათვის

1. არაქმნებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

2. სხულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვის ანაზღაურება არაქმნებრივი ზიანისთვისაც.

< ... >

მიღებულია - 05.02.1999 წ.

თავი I. ზოგადი დებულებანი

<...>

მუხლი 2. კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება

კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) "საქპატენტი" – საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრებას დაცვის სფეროში სამართლებრივად უზრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებს;

ბ) პარიზის კონვენცია – 1883 წლის 20 მარტს ხელმოწერილი სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია (გადასინჯულია სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს, შესწორებულია 1979 წლის 28 სექტემბერს);

გ) მადრიდის შეთანხმების პროტოკოლი – 1989 წლის 27 ივნისს ბელგიის ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების პროტოკოლი;

დ) საერთაშორისო კლასიფიკატორი – 1957 წლის 15 ივნისს ნიცის შეთანხმებით მიღებული და ხელმოწერილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკატორი (გადასინჯულია სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს, შენევაში 1977 წლის 13 მაისს);

ე) მონეობა – ამ კანონის შესაბამისად სასაქონლო ნიშნის მფლობელის სახელზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის განსაკუთრებულ უფლებებს;

ვ) განაცხადი – მონეობის გასაცემად აუცილებელი საბუთების ერთობლიობა, რომელიც ფორმდება დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ზ) განმცხადებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ითხოვს მონეობას;

თ) პრიორიტეტი – უპირატესობა, რომლითაც სარგებლობს განაცხადი მასზე გვიან შეტანილ განაცხადთან შედარებით;

ი) საკონვენციო პრიორიტეტი – პარიზის კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად დადგენილი პრიორიტეტი;

კ) საგამოყენო პრიორიტეტი – პარიზის კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად დადგენილი პრიორიტეტი;

ლ) პატენტრწმუნებული – სამრეწველო საკუთრების სფეროში სხვისი სახელით მოქმედი "საქპატენტი" რეგისტრირებული პირი;

* ამონარიდი

მ) სააპელაციო პალატა - "საქპატენტთან" არსებული სამრეწველო სა-
კლტორების იბოქტებზე უფლების მოპოვებასთან წარმოქმნილი დავის გან-
ძილელეი ორგანო;

ნ) ვაერთიანება - მენარმეო ნებისმიერი ვაერთიანება, რომელიც შექ-
წილია საქართველოს ან მისი წარმოშობის ქვეყნის მოქმედი კანონმდებ-
ლობის შესაბამისად.

მუხლი 3. სასაქონლო ნიშანი

1. სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რო-
მელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქო-
ნელ ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურე-
ბისაგან (შემდგომ - საქონელი).

2. სიმბოლო შეიძლება იყოს: სიტყვა ან სიტყვები, აგრეთვე ადამიანის სა-
ხელი; ასოები; ციფრები; ბგერები; გამოსახულება; სამგანზომილებიანი ფი-
გურა, მათ შორის, საქონლის ფორმა ან შეფუთვა ისევე, როგორც საქონლის
სხვა გარეგნული ვაფორმება ფერის ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით.

3. სასაქონლო ნიშანი დაცულია "საქპატენტში" მისი რეგისტრაციის ან
საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე.

4. საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცუ-
ლია რეგისტრაციის გარეშე, პარიზის კონვენციის მე-6-ბის მუხლის შესაბა-
მისად.

მუხლი 4. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები

1. სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერ-
თობლიობა, რომელიც:

ა) არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვ-
ნებს;

ბ) არავანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ:

ბ.ა) შედეგა საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის,
თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, ვა-
ალების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა
მიწნეულია ასეთად;

ბ.ბ) საყოველთაოდ გამოიყენება, როგორც გარკვეული სახის საქონლის
ვუარეობითი ცნება;

ბ.გ) წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვაში იმ საქონლისათვის დამახასი-
ათებელ საყოველთაოდ დამკვიდრებულ ტერმინს ან სიმბოლოს, რომლის-
თვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია;

გ) შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა

და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს;

დ) შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ;

ე) მთლიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით ემთხვევა უცხო ქვეყნის გერბს, დროშას, ემბლემას, მის სრულ ან შემოკლებულ საბეჭდო ნიშანს; საერთაშორისო ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის ემბლემას. მის სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას; ოფიციალურ საკონსტრუქციო, აგარანტიო, სასინჯ დაძვას, ნიშანს (მათ შორის, საქონლის შესაბამისობის სასერტიფიკაციო ნიშანს), ბეჭედს, ორდენსა და მედალს; საქართველოს ტერიტორიული ერთეულის არსებულ ან ისტორიულ დასახელებას, გერბს, დროშას, ემბლემას, ფულის ნიშანს ან წარმოდგენს მათ იმიტაციას. ასევე სიმბოლოები სასაქონლო ნიშანში შედის დაუცველი ნაწილის სახით, თუ არსებობს საქართველოს კულტურის სამინისტროს ან მსგავსი სხვა სტრუქტურის დასახელების სიმბოლოები და მათი იმიტაციის სიმბოლოები.

2. სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება ისეთი მოცულობის ნიშანი, რომლის ფორმაც:

ა) განპირობებულია მხოლოდ საქონლის თვისებებით;

ბ) აუცილებელია ტექნიკური შედეგის მისაღწევად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი არ გამოიყენება, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე გადამწყვეტილების გამოტანამდე, სამოქალაქო ბრუნვაში გამოყენების შედეგად, ეს ნიშანი განმასხვავებელ სიმბოლოდ დამკვიდრდა განაცხადში მითითებული საქონლის მიმართ.

მუხლი 5. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედეგებითი საფუძველი

სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი:

ა) იმავე საქონლის მიმართ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტურია;

ბ) მესამე პირის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტურია და საქონელი იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

გ) მესამე პირის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

დ) საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება მასთან აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა;

ე) საქართველოში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ან ადგილწარმოშობის დასახელების იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება მასთან

აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

ვ) საქართველოში დაცული სამრეწველო ნიმუშის იდენტიურია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ითხოვს ამ სამრეწველო ნიმუშზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი;

ზ) მესამე პირის მიერ რეგისტრირებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტიური ან მსგავსია. რომელსაც საქართველოში აქვს კარგი რეპუტაცია და ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენება განმცხადებელს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას. ეს ნუსი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონაირალი სხვადასხვაა;

თ) შეიცავს საქართველოში ცნობილი პიროვნების სახელს, ფსევდონიმს, ფაქსიმილეს, პორტრეტს – ამ პიროვნების ან მისი მემკვიდრეების თანხმობის გარეშე, ხოლო თუ ისინი საქართველოს ისტორიისა და კულტურის კუთვნილებას წარმოადგენენ – საქართველოს კულტურის სამინისტროს ნებართვის გარეშე;

ი) შეიცავს საქართველოს ისტორიული ძეგლების დასახელებას ან გამოსახელებას საქართველოს კულტურის სამინისტროს ნებართვის გარეშე;

კ) შეიცავს საფირმო სახელწოდებას, რომელიც ინვესს აღრევას.

მუხლი 6. განსაკუთრებული უფლება

1. რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიძობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან.

2. განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის:

ა) იდენტიურია და საქონელიც იდენტიური;

ბ) იდენტიურია, ხოლო საქონელი იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

გ) მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტიური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

დ) იდენტიური ან მსგავსია და დაცულია სასაქონლო ნიშნის საქართველოში კარგი რეპუტაციის გამო, ამ ნიშნის გამოყენება მესამე პირს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას ან მის განმასხვავებელუნარიანობას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სხვა შესაძლო აკრძალვათა გარდა, იკრძალება:

ა) სასაქონლო ნიშნის დატანა საქონელზე ან მის შეფუთვაზე;

ბ) ისეთი საქონლის შეთავაზება, სავაჭრო ბრუნვაში შეტანა ან სანყობში ამ მიზნით შენახვა, იმპორტი ან ექსპორტი, რომელიც ნიშანდებულია ამ ნიშ-

ნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ქმედება ხორციელდება სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირის მიერ ნიშანდებულ საქონლით;

გ) სასაქონლო ნიშნის გამოყენებით მომსახურების შეთავაზება არ განეკუთვნება;

დ) სასაქონლო ნიშნის გამოყენება რეკლამისათვის ან საქმიან ქალაქდებზე.

4. სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე შესაძლებელია პირის ეკონომიკური:

ა) ამ სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნის დატანა შესაფუთ საშუალებაზე, ეტიკეტზე და ა.შ.;

ბ) ამ სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნით ნიშანდებული შესაფუთი მასალის ან შეფუთვის შეთავაზება, მომოქცევაში შეტანა, გასაღება ან გასაღებისათვის მომზადება, მათი იმპორტი ან ექსპორტი.

მუხლი 7. განსაკუთრებული უფლების ფარგლები

1. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არა აქვს უფლება აუკრძალოს მესამე პირს სამოქალაქო ბრუნვაში სასაქონლო ნიშნად გამოიყენოს:

ა) საკუთარი სახელი ან მისამართი, თუ ისინი ემთხვევა განსაკუთრებული უფლების მქონე პირის სასაქონლო ნიშანს;

ბ) სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს საქონლის სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებს;

გ) დაცული სასაქონლო ნიშანი, თუ ის აუცილებელია საქონლის დანიშნულებისამებრ გამოყენებისას, მათ შორის, თუ ამ სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული საქონელი გამოიყენება როგორც შემადგენელი ან სათადარიგო ნაწილი. ამ შემთხვევაში დაცული სასაქონლო ნიშანი მესამე პირმა უნდა გამოიყენოს სამენარმოო საქმიანობის კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

2. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არა აქვს უფლება აუკრძალოს მესამე პირს ამ დაცული სასაქონლო ნიშნის გამოყენება ისეთ საქონელზე, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილი იქნა უშუალოდ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვის საფუძველზე. ეს ნესი არ მოქმედებს, თუ საქონლის თვისებები შეიცვალა, ხარისხი გაუარესდა ან არსებობს ამ აკრძალვისათვის სხვა მნიშვნელოვანი საფუძველი.

< . . . >

თავი II. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება და შენარჩუნება

< . . . >

მუხლი 15. გამოქვეყნება

1. "საქპატენტი" სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე არსობრივი ექსპერტიზის დადებითი გადანყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში აქვეყნებს განაცხადის მონაცემებს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში (შემდგომში - ბიულეტენი).

2. თუ განსაცხადებელი სარგებლობს ამ კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით ვათვალისწინებული უფლებით, "საქპატენტი" განაცხადის მონაცემებს აქვეყნებს ბიულეტენში სააპელაციო პალატის მიერ შესაბამისი გადანყვეტილების გამოტანის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბიულეტენში ქვეყნდება სასაქონლო ნიშნის გამოსახულება, ცნობები ძფლობელის შესახებ და მისამართი, საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით დაჯგუფებული იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტი.

მუხლი 16. ექსპერტიზის გადანყვეტილების განსაჩივრება სააპელაციო პალატაში

1. განმცხადებელს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის გადანყვეტილება განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ შეუძლია გაასაჩივროს სააპელაციო პალატაში გადანყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადაში.

2. განმცხადებელს არსობრივი ექსპერტიზის გადანყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საქონლის მთლიანი ჩამონათვალის ან მისი ნაწილის მიმართ შეუძლია გაასაჩივროს სააპელაციო პალატაში გადანყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადაში.

3. არსობრივი ექსპერტიზის გადანყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ შეიძლება გადაისინჯოს სააპელაციო პალატის მიერ ამ კანონის მე-11 მუხლის თანახმად, "საქპატენტში" უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე განაცხადის შეტანასთან დაკავშირებით.

4. განაცხადის მონაცემების ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სააპელაციო პალატაში გაასაჩივროს ექსპერტიზის გადანყვეტილება.

5. სააპელაციო პალატა საჩივარს იხილავს მისი შეტანის დღიდან 2 თვის ვადაში.

6. სააპელაციო პალატის გადანყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

<...>

მუხლი 22. საჯარო

სასაქონლო ნიშნის განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის, არსობრივი ექსპერტიზის, ექსპერტიზის გადანაცვლების განხორციელების, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის, ცვლილებების რეგისტრაციის, გამოქვეყნების, მოწმობის გაცემის, რეესტრიდან ამოხანერის გაცემის, რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურული ვადებისა მუჩერების, აღდგენისა და გაგრძელების, აგრეთვე სასაქონლო ნიშნის სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებებისთვის გადაიხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული საფასური. საფასურის ოდენობა და მისი გადახდის პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დასაშვებია საფასურების ოდენობის გადასინჯვა შესაბამისი საერთაშორისო ნორმების, ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებისა და ინფლაციის გათვალისწინებით.

<...>

თავი III. სასაქონლო ნიშნის გამოყენება და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა

<...>

მუხლი 25. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებები გადაეცემა სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სასაქონლო ნიშნის გადაეცემა სხვა პირს საწარმოსთან ერთად ან მის გარეშე.

3. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა ითვალისწინებს საქონლის მთლიან ჩამონათვალს ან მის ნაწილს.

4. საწარმოს გადაცემა ვულისხმობს სასაქონლო ნიშნის გადაცემასაც, თუ გადაცემის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნის გადაცემის შესახებ ფორმდება ხერხილობით. ხერხილობითი ფორმის დაუცველობა იწვევს ხელშეკრულების ბათილობას.

6. თუ "საქპატენტი" სასაქონლო ნიშნის გადაცემის შესახებ წარდგენილი საბუთების საფუძველზე მიიჩნევა, რომ სასაქონლო ნიშნის გადაცემამ შეიძ-

ლკნა მოქმედებებს მცდარი ნარმოდგენა შეუქმნას იმ საქონლის თვისების, იარაღის ან გეოგრაფიული ნარმოცობის შესახებ, რომლის მიმართაც ის რეგისტრირებულია, "საქპატენტი" რეესტრში არ შეიტანს ცნობას გადაცემის შესახებ, ვიდრე არ მიიღებს უფლებამონაცვლის თანხმობას ჩამონათკალიდან შეცდომაში შემყვანი საქონლის ამოღების თაობაზე.

7. სასაქონლო ნიშნის გადაცემისას სათანადო ცვლილებები შეიტანება რეესტრში და ქვეყნდება ბიულეტენში დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ.

8. სასაქონლო ნიშნის ახალ მფლობელს არ შეუძლია გამოიყენოს რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებები მესამე პირის წინააღმდეგ, ვიდრე რეესტრში არ შეიტანება სათანადო ცვლილებები სასაქონლო ნიშნის გადაცემათან დაკავშირებით.

< . . . >

თავი IV. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დაკარგვა

მუხლი 27. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას აუქმებს "საქპატენტი":

ა) სასაქონლო ნიშნის მფლობელის მოთხოვნით;

ბ) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ვადის გასვლის შემთხვევაში, თუ ვადა არ გაგრძელდება;

გ) სასაქონლო ნიშნის მფლობელი ფიზიკური პირის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მას არ დარჩა მემკვიდრე, ან იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, თუ არ არსებობს უფლებამონაცვლე;

დ) თუ არსებობს ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე განაცხადი.

2. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას აუქმებს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ:

ა) სასაქონლო ნიშანი არ გამოიყენებოდა უწყვეტად 5 წლის განმავლობაში იმ საქონელზე, რომლის მიმართაც ეს ნიშანი რეგისტრირებულია საქართველოში. იმ შემთხვევაში, თუ ნიშნის გამოყენება დაიწყო ან განახლდა აღნიშნული ხუთწლიანი ვადის გასვლიდან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის შეტანამდე შუალედში, არავის არა აქვს უფლება მოითხოვოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება;

ბ) სასაქონლო ნიშანი ვახდა გვარუბითი ცნება იმ საქონლისთვის, რომლის მიმართაც ის რეგისტრირებულია;

გ) არსებობს ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დროს;

დ) სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ან მისი თანხმობით სასაქონლო ნიშნის გამოყენება მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას უქმნის საქონლის სახეობის, ხარისხის, თვისების, ღირებულების ან გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ.

3. თუ სასაქონლო ნიშნის გაუქმების საფუძვლები არსებობს საქონლის რეგისტრირებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ, რეგისტრაცია უქმდება მხოლოდ ამ ნაწილზე.

მუხლი 28. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ბათილად იქნება ცნობილი, სასაქონლო-თლოს მიერ მესამე პირის მოთხოვნით, თუ სასაქონლო ნიშანი ამ კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნათა დარღვევითაა რეგისტრირებული.

2. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძვლები არსებობს საქონლის რეგისტრირებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ, რეგისტრაცია ბათილად იქნება ცნობილი მხოლოდ ამ ნაწილზე, რაც შეიცავს რეგისტრში და ქვეყნდება ბიულეტენში.

< ... >

თავი V. კოლექტიური ნიშანი

< ... >

მუხლი 34. კოლექტიური ნიშნის დაცვის შეზღუდვა

გეოგრაფიული სახელის კოლექტიურ ნიშნად რეგისტრაცია არ ანიჭებს მის მფლობელს უფლებას, აუკრძალოს მესამე პირს ამ სახელწოდების გამოყენება სამოქალაქო ბრუნვაში, თუ ამით არ ირღვევა კეთილსინდისიერი კონკურენციის ნორმები და მესამე პირს აქვს ამ დასახელების გამოყენების მართლზომიერი საფუძველი.

< ... >

თავი VII. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დაცვის უზრუნველყოფა

მუხლი 45. პასუხისმგებლობა სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევისათვის

1. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს:

- ა) თავისი უფლების დამრღვევი ქმედების შეწყვეტა;
- ბ) მოყენებული ზიანის ანაზღაურება;
- გ) ყველა იმ გამოსართულების, ეტიკეტის, ანაბეჭდის, შეფუთვის, შესაფუთო მასალისა და სარეკლამო განცხადების განადგურება, რომელიც შეიცავს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს, წარმოადგენს მის ასლს ან იმიტაციას;
- დ) სასაქონლო ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილი კლიშეების, მატრიცების, ხილო თუ სასაქონლო ნიშნის-საქონლისაგან განცალკევება შეუძლებელია, თუ ამ საქონლის განადგურებაც კი.

თავი VIII. გარდამავალი დებულებანი

მუხლი 46. ამ კანონის ძალაში შესვლამდე შეტანილი განაცხადი და გაცემული მოწმობა

1. განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე, რომელიც შეტანილი იქნა ამ კანონის ამოქმედებამდე, განიხილება "სასაქონლო ნიშნების მესახეებ" დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის 304 დადგენილების მიხედვით.

2. ამ კანონის ძალაში შესვლამდე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე გაცემული მოწმობა ძალაშია ამ კანონის ამოქმედების შემდეგაც.

თავი IX. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 47. ძალადაკარგული ნორმატიული აქტები

კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალის:

ა) "სასაქონლო ნიშნების შესახებ" დებულების დამტკიცებისა და ს.ამოქმედოდ შემოღების თაობაზე" საქართველოს რესპუბლიკის მინისტროთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №304 დადგენილება.

ბ) "საქართველოს რესპუბლიკაში სასაქონლო ნიშნის (ნიშანდების) გამოყენების მონესრიგების დამატებით ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტროთა კაბინეტის 1993 წლის 25 ივნისის №483 დადგენილება.

მუხლი 48. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 3 თვის გასვლისთანავე.

№ 1795-ის

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი*

მიღებულია – 22.07.1999წ., ძალაშია – 01.06.2000წ-დან

< ... >

პარი 8. ეკონომიკური დანაშაული

< ... >

თავი 29. დანაშაული სამენარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ

მუხლი 220. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

სამენარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის

საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესო-

* ამონარიდი

ბის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან ცუსალობით ვადით ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით იუთ: წლამდე.

< . . . >

№ 2287-რს.

საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ*

მიღებულია - 28.10.1994წ., ძალაშია - 01.03.1995წ-დან

I. ზოგადი ნაწილი

< . . . >

მუხლი 4. სამენარმეო რეესტრი

4.1 სანარმოს რეგისტრაციას, გარდა ინდივიდუალური სანარმოსი, აიორციელებს სასამართლო სამენარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით.

4.2 სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ფაქტები ჩაინერება რეესტრის ფორმულარებში. რეესტრის ფორმულარი მოცემულია ამ კანონის დანართში.

4.3. სამენარმეო რეესტრის მონაცემებს სასამართლო აქვეყნებს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ხოლო სასამართლო დადგენილების ასლს უგზავნის შესაბამის საგადასახადო ორგანოს და საქართველოს სტატისტიკის საბელმნიყო დეპარტამენტს თვეში ერთხელ, არა უგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა. სააქციო საზოგადოებასთან დაკავშირებით გამოტანილი დადგენილების ასლს სასამართლო იმავე ვადაში უგზავნის საქართველოს ფასიანი ქალაღდების ეროვნულ კომისიას.

4.4 ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სამენარმეო რეესტრს და მიიღოს რეესტრის ამონაწერები.

მუხლი 5. რეგისტრაციის პირობები

5.1 რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს ერთ-ერთ პარტნიორს, თუ განცხადება რეგისტრაციაზე შესრულებულია მე-5 მუხლის მოთხოვნათა დაცვით. სასამართლო ამონებებს, აკმაყოფილებს თუ არა განცხადება ამ მოთხოვნებს.

* ამონარიდი

5.2 პარტნიორები, ისევე როგორც წარმომადგენლობითი და სამეთვალყურეო ორგანოს შესაძლო წევრები, ვალდებული არიან ხელი მოაწერონ საზოგადოების განცხადებას რეგისტრაციის შესახებ. პირები, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საზოგადოება, ვალდებული არიან სასამართლოში დატოვონ ხელმოწერის ის ნიმუში, რომლებსაც საქმიან ურთიერთობებში გამოიყენებენ.

განცხადება რეესტრში რეგისტრაციის შესახებ, სასამართლოში დატოვებული ხუსტი ხელმოწერის ნიმუში, აგრეთვე თანდართული დოკუმენტები ან მათი ასლები წარმოდგენილი უნდა იქნეს სანოტარო წესით დამონმებულ ფორმით.

განცხადება შეიტანება სასამართლოში საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით.

5.3 თუ საზოგადოების შექმნის მიზნით წარდგენილია არასწორი მონაცემები ან დაფუძნების ხარჯების გამო საზოგადოებას ზარალი მიადგა, მაშინ პარტნიორები, ისევე როგორც საზოგადოების დირექტორები, როგორც სოლიდარული მოვალეები, ვალდებული არიან გადაიხადონ შეუტანელი გადასახდელები, აანაზღაურონ დაფუძნების ხარჯების გადაუხდელობით გამოწვეული, აგრეთვე ამ დროს წარმოშობილი სხვა ზარალი.

5.4 განცხადება უნდა შეიცავდეს:

5.4.1 ყველა საწარმოსათვის:

- ა) საფირმო სახელწოდებას (ფორმას);
- ბ) ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას;
- გ) ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს);
- დ) საქმიანობის სავანს;
- ე) მონაცემებს სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ;
- ვ) ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის (კოოპერატივის შემთხვევაში - არანაკლებ ორის) სახელს, გვარს, დაბადების ადგილსა და თარიღს, პროფესიას და საცხოვრებელ ადგილს; ხოლო, თუ დამფუძნებელი იურიდიული პირია - მის საფირმო სახელწოდებას და რეგისტრაციის მონაცემებს (იურიდიული მისამართი, სასამართლოს დასახელება, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა იურიდიული პირი, რეგისტრაციის თარიღი და ნომერი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, მისი წარმომადგენლის მონაცემები).

ზ) წარმომადგენლობის უფლებამოსილებას.

5.4.2 კომანდიტური საზოგადოებებისათვის, 5.4.1 მუხლში მოცემულის გარდა, დამატებით საჭიროა ყოველი კომანდიტის შესატანის ოდენობა და წარმოდგენილ იქნეს საბუთი, უკვე ვინ რამდენი შეიტანა.

5.4.3 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივისათვის, 5.4.1 მუხლში მოცემულის გარდა, დამატებით საჭიროა:

ა) სანესდებო კაპიტალის ოდენობა და საბუთი შესრულებული შესატანის შესახებ;

ბ) ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის შესატანის ოდენობა, შესაბამი-

სად წილი;

ვ) ყოველი დირექტორის ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროსიყესია და საცხოვრებელი ადგილი;

ფ) დოკუმენტები ყოველი დირექტორის დანიშვნისა და სამეთვალყურეო საბჭოს (თუ ასეთი არსებობს) წევრების არჩევის შესახებ.

5.5 საზოგადოების განცხადებას თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

ა) საზოგადოების წესდება;

ბ) არაფულადი შესატანით დაფუძნებისას - შესატანის შეფასების დამატატურებელი საბუთი;

გ) შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებებისათვის - დოკუმენტები ყოველი დირექტორის დანიშვნის შესახებ, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის თაობაზე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას სამეთვალყურეო საბჭო არა აქვს);

დ) შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებებისათვის დოკუმენტები დირექტორების დანიშვნის შესახებ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას მისი წევრების დანიშვნის შესახებ.

5.6. ამ კანონის მე-5 მუხლის 5.4 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტების ყოველი ცვლილება ასევე საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილება ძალაში შედის მხოლოდ მისი რეგისტრაციის შემდეგ. პარტნიორების შეცვლა სააქციო საზოგადოებებში არ მოითხოვს რეგისტრაციას. ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება დირექტორებს.

5.7 ვაკოტრების შემთხვევაში ან საზოგადოების წესდებაში სასამართლოს მიერ სერიოზული ხარვეზების დადგენისას, სასამართლო ვალდებულია მოახდინოს საზოგადოების ლიკვიდაციის რეგისტრაცია და მიუთითოს საფუძველი.

5.8 თუ სანარმო რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, რეგისტრაცია უქმდება, თუკი ეს ხარვეზი სამი თვის ვადაში არ იქნება გამოსწორებული. რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს აგრეთვე საზოგადოების ნებისმიერი პარტნიორის ან ნებისმიერი მესამე პირის სარჩელის საფუძველზე.

რეგისტრაციის გაუქმებამდე შეცდომით რეგისტრირებული სანარმო განიხილება როგორც უშეცდომოთ რეგისტრირებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს არ ენიანაღმდეგება ცალკეული პირების ან საზოგადოებების არსებით ინტერესებს და 5.8 მუხლში აღნიშნულ პირებს არ განუცხადებიათ ამის შესახებ.

5.9. სასამართლო ვალდებულია რეგისტრაცია განახორციელოს აუცილებელი საბუთების წარდგენიდან ხუთი კალენდარული დღის განმავლობაში. თუ ამ ვადაში რეგისტრაცია არ განხორციელდება ან განმცხადებელს წერი-

ლობით არ ეცნობება მოტივირებული უარის შესახებ, სანარმო ჩაითვლება რეგისტრირებულად და სასამართლო ვალდებულია, განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ გასცეს სარეგისტრაციო მოწმობა.

მუხლი 6. საფირმო სახელწოდება (ფირმა)

6.1 საფირმო სახელწოდება ანუ ფირმა არის სახელი, რომლითაც საქმიანობს სანარმო.

6.2 ინდივიდუალური მენარმე საფირმო სახელწოდებად იყენებს თავის სახელსა და გვარს. დამატებები დაიშვება 6.6 მუხლის პირობების დაცვით.

6.3 სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთ-ერთი პარტნიორის გვარს და სახელს (ან გვარს) "შპს"-ის დამატებით ან ყველა პარტნიორის გვარსა და სახელს (ან გვარს).

6.4 კომანდიტური საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს არანაკლებ ერთი პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის (კომპლემენტარის) გვარსა და სახელს (ან გვარს) "კს"-ის დამატებით.

6.5 პარტნიორთა სახელის გამოყენების შესაძლებლობის გარდა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, საქციო საზოგადოებას, კოოპერატივს შეუძლიათ საფირმო სახელწოდება შეარჩიონ მათი საქმიანობის საქმის მიხედვით, ან ეს სახელწოდება შეიძლება იყოს ფანტაზიის ნაყოფი. მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს აღნიშვნას "სააქციო საზოგადოება" ან "სს" ანდა დამატებას "შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება" ან "შპს" ანდა "რეგისტრირებული კოოპერატივი" ან "რკ"

6.6 საფირმო სახელწოდებას არ უნდა ერთვოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ანდა გამოიწვიოს შეცდომა ან გაუგებრობა სანარმოს ფორმისა თუ საქმიანობის მოცულობის ანდა პარტნიორთა ურთიერთობის გამო.

6.7 საფირმო სახელწოდებას დაერთვება დამატებები, თუ ეს საჭიროა სხვა ფორმებისაგან განსასხვავებულად.

6.8 სანარმოს შემძენს შეუძლია გამოიყენოს ადრინდელი საფირმო სახელწოდება სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატების დართვით ან უამისოდ, თუკი ადრინდელი მფლობელი, მისი მემკვიდრეები ან საზოგადოების კანონიერი წარმომადგენლები თანახმა არიან.

<...>

II. ქართო ნაწილი

<...>

თავი მეოთხე

სააქციო საზოგადოება

<...>

მუხლი 54. საერთო კრება

54.1. ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში ტარდება მორიგი საერთო კრება, რომელზეც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა შესაძლო საკითხები. სხვა შემთხვევებში ტარდება რეგულარულად საერთო კრება დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ან 53.3.3. მუხლის შესაბამისად, აქციონერთა მოთხოვნით.

სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, როდელიც არ შეიძლება იყოს კრების მონვევამდე 45 დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ ამ დღისათვის.

54.2. საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების წევრში შეტანილ უკანასკნელ იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე ოცი დღის ვადაში დირექტორების მიერ ბეჭდვით ორგანოში გამოცხადებით ან აქციონერებისათვის მოსაწვევის გაგზავნით. მოწვევასთან ერთად უნდა გამოცხადდეს დღის წესრიგი და დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად; შესაძლო ცვლილებებ საზოგადოების წესდებაში უნდა გამოცხადდეს ასევე წინასწარ.

კრების მოწვევის შეტყობინებას თან უნდა დაერთოს აგრეთვე იმ პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც კრების ჩატარებამდე ათი დღის განმავლობაში აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება.

საზოგადოების აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელებს საერთო კრებაზე მოსაწვევი ეგზავნებათ დაზღვეული წერილით. ანგარიშვალდებული სანარმოს შემთხვევაში საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისია განსაზღვრავს, თუ 1%-ზე ნაკლები როგორი წილის მფლობელს უნდა გაეგზავნოს მოსაწვევი ფოსტით. საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისია გან-

საზღვრავს აგრეთვე იმ ბეჭდვით ორგანოს, რომელშიც დასაშვებია შეტყობინების გამოქვეყნება.

54.3. აქციონერს შეუძლია 54.2 მუხლის მიხედვით დადგენილი პროცედურის შესაბამისად წინასწარ მიიღოს კრებაში მონაწილეობის უფლებებისა და მის განკარგულებაში არსებულ ხმათა რაოდენობის დასტური. იგი მოწაწილობას იღებს კრების მუშაობაში პირადობის მონაწილისა და კრებაზე წარმოდგენილი აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე. დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.

54.4. საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას - მოადგილე, მოადგილას არყოფნისას - ერთ-ერთი დირექტორი. კრების მიმდინარეობისა და ვადანყვეტილების შესახებ ოქმს ადგენს ნოტარიუსი.

54.5. საერთო კრება ვადანყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე სანესდებო კაპიტალის ნახევრის მფლობელები მაინც. თუ კრება არ არის ვადანყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იგივე დღის წესრიგით, 54.2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად, მოაწვევა ახალი კრება, რომელიც ვადანყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე კაპიტალის არანაკლებ 25%-ის მფლობელებისა. თუ კრება კვლავ არ არის ვადანყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იგივე დღის წესრიგით, 54.2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად, მოინვევა ახალი კრება, რომელიც ვადანყვეტილებაუნარიანია გამოცხადებული ან წარმოდგენილი ხმის უფლების მქონე კაპიტალის მფლობელთა მიუხედავად.

54.6. საერთო კრება უფლებამოსილია:

ა. შეცვალოს საზოგადოების წესდება, კერძოდ, სანესდებო კაპიტალი, საფირმო სახელწოდება, საზოგადოების საქმიანობის სავანი და ვადანყვეტიტოს მისი ლიკვიდაციის საკითხი;

გ. მიიღოს ვადანყვეტილება შერწყმის, გაყოფის ან გარდაქმნის შესახებ;

დ. მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება სანესდებო კაპიტალის მომატების დროს (მუხლი 59), აგრეთვე მუხლი 52.4-ის შესაბამისი ღონისძიებითა განხორციელებისას;

ე. მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ ან, როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან ნიგადადებას, მიიღოს ვადანყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;

ვ. აირჩიოს აქციონერთა წარმომადგენლობა სამეთვალყურეო საბჭოში, ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან;

ზ. დაამტკიცოს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში;

თ. ვადანყვეტიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა პროშის ანაზღაურების საკითხი;

ა. აირჩიოს აუდიტორი და სპეციალური კონტროლიორი;

ბ. მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და ღირექტორე-ბის წინააღმდეგ საბაზარო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესში მათი წარმომადგენლის დასაშვების ჩათვლით;

გ. მიიღოს გადაწყვეტილებები ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთავლებზე.

ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებებს იღებენ სამეთვალყურეო საბჭო ან ღირექტორები.

მ. მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების ან გაცვლის გარეგნობის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარეგნობის) შესახებ, ჩვეულო საქმიანობის წარმართვის გარდა, რომელთა ღირებულებაც შეადგენს საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულებას ნაივარზე მეტს. თუ ნებსდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

54.7 54.6 მუხლში გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 50%-ზე მეტის შესაბამისი აქციების ბიულეტენითა ხმა, გარდა "ა" და "ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვადანყვეტილებებისა, რომელთა მისაღებად საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 2/3-ზე მეტის შესაბამისი აქციების ბიულეტენითა ხმა და "ვ" და "დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვადანყვეტილებებისა, რომელთა მისაღებად საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 3/4-ზე მეტის შესაბამისი აქციების ბიულეტენითა ხმა.

54.8. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევნის აქციონერები შეიძლება შეთანხმდნენ ხმების აკუმულირების მეთოდის გამოყენებაზე, რაც მდგომარეობს შემდეგში:

ა) ყოველი აქციონერი ანაწილებს მთელ თავის ხმებს წარმოდგენილ კანდიდატთა ნებისმიერ რაოდენობაზე ისე, რომ მის მიერ მიცემულ ხმათა ჯამი არაოდნობა არ აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებულ აქციონერულ რაოდენობას;

ბ) აქციონერს შეუძლია თითოეული თავისი ხმით მხოლოდ მხარი დაუჭიროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატს (მის წინააღმდეგ ხმის მიცემა დაეძმებელია);

გ) თუ კანდიდატების რაოდენობა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობაზე ხაკლებია ან ტოლია, მაშინ ყველა კანდიდატი, რომელმაც მიიღო თესდაც ერთი ხმა, ავტომატურად ხდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; თუ კანდიდატების რაოდენობა აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულად მიითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს ხმათა უმრავლესობა.

< ... >

თავი მეხუთე

კოოპერატივი

< ... >

მუხლი № 68 მოგების და ზარალის განაწილება

ნლიური ანგარიშის დამტკიცებისას კოოპერატივის წევრებისათვის გათვალისწინებული სამეურნეო წლის მოგება ან ზარალი უნაწილდებათ კოოპერატივის წევრებს. პირველი სამეურნეო წლისათვის განაწილება ხდება მათ მიერ შესრულებული შენატანების პროპორციულად, ყოველი მომდევნო წლისათვის კი - მოგების მიმატებით და ზარალის ჩამონერის გზით წინა სამეურნეო წლის ბოლოსათვის არსებული პაის საერთო თანხის პროპორციულად. მოგების მომატება გრძელდება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული პაის ოდენობა.

ნესდება შეიძლება ითვალისწინებდეს მოგებისა და ზარალის განაწილების სხვა წესებს. სანამ არ მიიღწევა (ზარალის გამო ძემცირებული) პაის ოდენობა, მოგება არ განაწილდება.

ნესდება ან საერთო კრების დადგენილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ დაერიცხოს რეზერვს.

< ... >

საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ*

მიღებულია - 18.02.1978წ., ძალაშია - 18.02.1978წ-დან

< ... >

თავი 2. ზოგადი და სპეციალური მოთხოვნები რეკლამისადმი

მუხლი 4. ზოგადი მოთხოვნები რეკლამისადმი

1. რეკლამა მისი წარდგენის მომენტშივე გასაგები უნდა იყოს სპეციალური ცოდნისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებლად, როგორც უშუალოდ რეკლამა.

2. რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლო-

* ამონარიდი

ვოციპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე.

3. უცხო ენაზე შესრულებული ნარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით (გარდა ტელეპროდუქციისა) არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას.

4. ორენოვანი მანათობელი ნარწერის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა ნარწერა (ქართულიც და უცხოურიც) იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი.

5. რეკლამაში ენობრივი ნორმების დაცვის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ბ. დაუძვეტელია იმ საქონლის რეკლამირება, რომლის ნარმოება და რეალიზაციაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით ან საჭიროებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას), მაგრამ ასეთი ნებართვა არ არის მიღებული; აგრეთვე იმ ეკონომიკური აგენტის რეკლამირება, რომლის საქმიანობაც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას), მაგრამ ასეთი ნებართვა არ არის მიღებული.

7. იმ საქონლის რეკლამას, რომლის სერტიფიცირებაც აუცილებელია, უნდა ახლდეს აღნიშვნა "სერტიფიცირებულია".

8. აკრძალულია არასათანადო რეკლამის განთავსება და გავრცელება. იგი ჩადენილი ქმედების, საზოგადოებრივი სამიშროების ხარისხისა და ხაზიანობის შესაბამისად იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

9. აკრძალულია რეკლამაში ფიზიკური პირის გამოსახულების ან სახელის გამოყენება მისი ნებართვის გარეშე.

10. რეკლამაში განსაკუთრებული უფლებების ობიექტების (ინტელექტუალური საკუთრების) გამოყენება შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

11. რეკლამა არ უნდა უბიძგებდეს მოქალაქეებს ძალადობის, აგრესიისა და ქაოსისაკენ, არ უნდა მოუწოდებდეს მათ სამიში ქმედებისაკენ, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას ან დაემუქროს მის უსაფრთხოებას.

12. აკრძალულია რეკლამის გადასახდელის დიფერენცირება რეკლამირებადი საქონლის სახეების მიხედვით.

13. უცხო ქვეყნიდან საქართველოში გავრცელებული (ტრანსლიტერირებული) რეკლამა, რომელიც ენიშნავს რეკლამირებულ საქართველოს კანონმდებლობას რეკლამის შესახებ, უნდა აღიკვეთოს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

14. აკრძალულია სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეკლამირებისას არასრულწლოვანთა გამოსახულების ან ხმის ნებისმიერი ფორმით გამოყენება.

<... >

მუხლი 6. გარე რეკლამა

1. რეკლამის გავრცელება საქართველოს ქალაქებში, სოფლებში და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე შეიძლება პლაკატების, სტენდების, შუქუჩურიშემების, სტამბილური ტერიტორიული განათავსების სხვა ტექნიკური საშუალებების (გარე რეკლამა) გამოყენების იმ ნებისთინით, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-2-8 პუნქტებით.

2. გარე რეკლამა არ უნდა ჰგავდეს საგზაო ნიშნებსა და მაჩვენებლებს; მან არ უნდა გააუარესოს ამ ნიშნების, მაჩვენებლებისა და გზის ხილვადობა. საფრთხე არ უნდა შეუქმნას ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას. შენობა-ნაგებობებზე გავრცელებული რეკლამა არ უნდა აუარესებდეს მათ არქიტექტურულ იერსახეს და კონსტრუქციულად მდგრადი უნდა იყოს. ნებისმიერი საბით გავრცელებული გარე რეკლამა არ უნდა ამახინჯებდეს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ საგანძურში შემავალ ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს.

3. გარე რეკლამის განთავსებასა და გავრცელებაზე ნებართვას ვასცემენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები წერილობითი ფორმით, რეკლამის შინაარსში ჩაურევლად.

4. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს უნდა ჰქონდეთ გარე რეკლამის გავრცელების გეგმა (რეკლამის ზომის, ფორმისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით), რომელიც წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული:

ა) საავტომობილო გზათა მმართველობის სათანადო ორგანოსთან და საგზაო პოლიციის ტერიტორიულ ქვედანაყოფთან – რეკლამის გავრცელების ტერიტორიის საავტომობილო გზების კუთვნილ ან მის მომიჯნავე ზოლში მდებარეობისას (დასახლებული პუნქტების საზღვრებს გარეთ);

ბ) საგზაო პოლიციის ტერიტორიულ ქვედანაყოფთან – საქალაქო და სასოფლო დასახლებების ტერიტორიებზე;

გ) რკინიგზის მმართველობის სათანადო ორგანოსთან – რეკლამის გავრცელების ტერიტორიის რკინიგზის ტერიტორიის კუთვნილ ზოლში მდებარეობისას;

დ) საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან ან მისდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურებთან რეგიონებში – ბუნების, ისტორიისა და კულტურის დაცვით ზონებში, ნაკრძალებსა და ეროვნულ პარკებში.

5. გარე რეკლამის გავრცელებაზე ნებართვის მისაღებად მოსაყრებლის შემოღების წესი და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს კანონით.

6. გარე რეკლამის გავრცელება ტერიტორიაზე (მათ შორის, კულტურის ძეგლების, სარიტუალო ობიექტების, დაცულ ტერიტორიაზე), შენობა-ნაგებობებზე (ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე) და სხვა ობიექტებზე, აგრეთვე ამ რეკლამის გავრცელებისათვის გადასახდელის ოდენობა და გადახდის წესი დგინდება მესაკუთრესთან (ან პირთან, რომელსაც აქვს ქონების ფლობის უფლება) დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთან, აუცილებელ

ლია ავ მუხლის მე-3 პუნქტით ცათელისწინებული ნებართვის არსებობა.

7. გარე რეკლამაზე მოითხოვება უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს მიერ რეკლამის გამავრცელებელზე გაცემული ნებართვის ნომერი.

8. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის ახლი 5 დღის ვადაში უნდა გადაეცეს საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ადგილობრივ ორგანოს.
< . . . >

თავი 5. კონტრაქტაჟა და პასუხისმგებლობა არასათანადო რეკლამისათვის

< . . . >

მუხლი 21. პასუხისმგებლობა რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის

1. რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის ყოიკურ და იურიდიულ პირებს (რეკლამის დამკვეთებს, მმართველებსა და გამავრცელებლებს) ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი არიან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები.

3. პირებს, რომელთა უფლებები და ინტერესები დარღვეულია არასათანადო რეკლამის შედეგად, უფლება აქვთ დადგინდონ ნესით, სარჩელით მიმართონ სასამართლოს ჯანსრთელობისა და ქონებისათვის, სახელის, ღირსებისა და თავმინი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის თაობაზე და მოითხოვონ არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფა.

4. პასუხისმგებლობის დაკისრება რეკლამის დამკვეთს, მმართველსა და გამავრცელებელს არ ათავისუფლებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისაგან და კონტრაქტის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების შესრულებისაგან.

5. რეკლამის დამკვეთს, მმართველსა და გამავრცელებელს უფლება აქვთ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოს მიმართონ განცხადებით ანტიმონოპოლიური სამსახურის გადაწყვეტილების სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ.

6. აქტიური ვანცხადების სასამართლოში შეტანა არ აჩერებს ანტიმონოპოლიური სამსახურის გადაწყვეტილების შესრულებას, თუ სასამართლომ არ გამოიტანა გადაწყვეტილება მისი შეჩერების შესახებ.
< . . . >

